



# ოლე

მწერალთა ასოციაცია  
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა  
The Literary Magazine OLE

ჭურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან  
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა  
*სულხან საბა*

ოლე – ახომი საჩრდილობლად დატოვებული  
ხე  
*ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედეგრი

**მთავარი რედაქტორი**  
**აკაკი დაუშვილი**  
**რედაქტორები**  
ფარნა რაინა  
ნუნუ ძამუკაშვილი  
**მხატვრული რედაქტორი**  
სოფიო ქელიძე

მისამართი: 2200 თელავი  
ერეკლე II-ის გამზირი №6  
III სართული  
მობ: 555 46 44 29  
მწერალთა ასოციაცია  
„ლიტერატურული კახეთი“  
მობ: 558 48 24 80

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ  
ელექტრონული ფოსტით  
E-mail: akakidau@mail.ru

ჭურნალ „ოლეს“ წინა ნომრების წაკითხვა  
შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge) —  
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“  
ვებგვერდზე.

„ოლეს“ რედაქციასში შემოსული მასალა  
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება



საქართველოს  
აუღბურის, სკოტისა  
და ახალგაზრდობის  
სამინისტრო

ჭურნალის ეს ნომერი გამოდის  
საქართველოს კულტურის, სკოტისა  
და ახალგაზრდობის სამინისტროსა  
და „შემოქმედებითი საქართველოს“  
ხელშეწყობით



შემოქმედებითი  
საქართველო  
CREATIVE GEORGIA



№3, (62), 2023

ივლისი



გამოდის სამ თვეში ერთხელ



„ოლე“ ლიტერატურული ჭურნალი



## შინაარსი

### მხატვრული ლიტერატურა

- 2. **ფარნა რაინა.** კატრენები
- 17. **ზურაბ არსენიშვილი.** უშო, გამოდი!  
მოთხრობა
- 32. **ლიკა კორძია.** ლექსები
- 35. **ლანა მანველი.** სად არის ბედნიერება.  
რომანი
- 40. **თინათინ თელაველი.** ლექსები
- 43. **მაია კაკაშვილი.** მეორედ მოსვლის ჟამს.  
მოთხრობა
- 51. **გიორგი ზუბიტაშვილი.** ლექსები
- 53. **მარიამ კამუკაშვილი.** ერთ სიყვარულზე.  
მოთხრობა

### სახალხო მითხველი

- 61. **ფირუზ კოჭლამაზაშვილი.** ლექსები

### გავშვებისთვის საკითხავი

- 63. **ნუნუ კამუკაშვილი.** საბავშვო ლექსები
- 66. **აკაკი დაუშვილი.** კეთილი თეთრა. პიესა

### თარგმანი

- 71. **როგერტო პიშინი.** ჯადოსნური ტაბლა,  
ოქროს ვირი და მოცეკვავე კომბალი.  
თარგმნა მაია ტურაბელიძე

### კრიტიკა-კუბლიცისტკა

- 75. **იკა ქალაგიძე.** როლანდ გიორგაძის  
წიგნის: „დისო დისო-ს“ გამოძახილი
- 77. **ქეთევან ჯარვალიძე.** გივი გეგეჭკორი
- 82. **ნიკო გიორგაძე.** ეპიკური ამბებიდან  
ერეკლეს ეპოსამდე
- 85. **ნიკო კოჭლოშვილი.** ეპოქალური  
სინამდვილე დავით თურდოსპირელის  
მინიატურებში

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანში“

გარეკანის პირველ გვერდზე უშანგი ხუმარაშვილის





ცამდე,  
დღეს, –  
ფული გახდა:  
სიყვარულიც,  
სიბრძნეც და...  
აზრიც...  
ფეხქვეშ ვეგებით  
უფულონი –  
ფულით მტვრის  
ამდენს,  
სამშობლოც,  
ხალხიც  
და... სიმართლეც  
დახლზე დევს –  
ბაზრის...

10. III. 2023

გამიკრთა ძილი,  
გამიკრთა შვეზა...

ნამნამი, ბევრჯერ,  
ალარ-რით შრება,  
ზღვა... ოკეანე  
მიღელავს, –  
დარდის...  
გამიკრთა ძილი,  
გამიკრთა შვეზა,  
მსოფლიო –  
თითქოს,  
ამ გულზე  
დადის...

9. V. 2023

ყველაზე დიდი

ჭილდო, –

მზის ქვეშ,

არსებობს –

თუ, რამ...

ვისთვის –  
ლხინია ეს ცხოვრება,  
და... ვისთვის –  
ურვა,  
ვისთვის –  
იმედი,  
რწმენა,

ჯილდო,  
და... ვისთვის –  
ალხი...  
ყველაზე დიდი  
ჯილდო, –  
მზის ქვეშ,  
არსებობს –  
თუ, რამ,  
სიყვარულია – უნრფელესი,  
ალალი, –  
ხალხის...

P.S.

სიკეთის მთესველთ  
ლოცავს ყველა,  
უმზერს ალერსით,  
მათი სახელით  
თავს იწონებს –  
პლანეტის  
სივრცე...  
სიყვარულია:  
უმზესი და  
უზუნაესი,  
სიყვარულს ხალხის  
უნდა შენი  
სიცოცხლე  
მისცე...

18. XI. 2022

უნდა –

დამთავრდეს!!!

დღეს,  
ყველას ღვიძავს,  
ქვაც არ არის –  
ყრუ და...  
მძინარი,  
შევძრავ სამყაროს, –  
ზღვიდან – ზღვამდე  
ცხრაჯერ  
ცხრა მთამდე...  
დედამინაზე  
ყველამ ვიცით:  
ვინაც  
ვინ არი,  
ყველა სპექტაკლი,  
ყველა ცირკი  
უნდა –  
დამთავრდეს!!!!

P.S.

სანამ – შარში და...  
შურში,

შულღმი,  
შიშში,  
დავაში?!..  
უნდა –  
დამთავრდეს:  
ხალხის ბედით  
ცეკვა,  
თამაში...

3. I. 2023

მინდა, რომ...

ჩემი ხმა

ესმოდეს –

სამყაროს!!!!

მინდა, რომ...  
ჩემი ხმა  
ესმოდეს –  
სამყაროს, –  
დედამინას და...  
გულგაშლილ  
ცის კიდეს...  
სიმართლის,  
სიკეთის  
გგენვიე –  
მაყარო,  
სიყვარულს  
ვინც თესავს,  
სიყვარულს  
იმკიდეს...

P.S.

შვი –  
ერთგულება,  
სინრფელე,  
შვი – ნდობა,  
ბედნიერება, –  
მსოფლიოს  
მშვიდობა!!!!  
8. I. 2023

პოეზია...

მზე არის –  
სიბძნის პოეზია  
და... არა –  
ლანდი,  
სიბრძნეზე არის





ნაშენები –  
ბედი, – ერების...  
მწამს პოეზია –  
მზეგულიდან,  
თუ, მზემდი  
ადის,  
მეგზური თუა:  
სიკეთის და...  
ბედნიერების...  
25. XI. 2022

## ჩვენი სიწოცხლის

სიმბოლო, –

სამი...

არყოფნა არის –  
უმათოდ,  
წამიც, –  
სუნთქვად –  
ამ გულს და...  
ამ სულს მოება...  
ჩვენი სიწოცხლის  
სიმბოლო, –  
სამი:  
„მამული,  
ენა  
სარწმუნოება“\*...  
3. IV. 2023

ოდიღან,

ღღემღე...

ხან, –  
მზეს შემოგნყროთ...  
და... ღამეს –  
ვენდეთ...  
ვარ –  
ამის მთქმელი:  
მუდამ,  
ყველგანა, –  
თუკი, რამ, ღუპავს,  
ოდიდან,  
ღღემღე,  
უსამართლობა ღუპავს –  
ქვეყანას...  
11. XI. 2023

\* დიდი ილიას სიბრძნეთა სიბრძნე, ამო-  
საკვეთი ფიცარზე გულის...

უმთავრესია,

უმზესიყ და...

უნაზესიყ...

სიდიადეა, –  
გულებს, ვინაც  
უმზერს ალერსით,  
ვინაც, სამყაროს,  
სიყვარულის  
მზედ მიეღვევა...  
უმთავრესია,  
უმზესიყ და...  
უზენაესიც, –  
ადამიანებს ანიჭებდე –  
ბედნიერებას...  
10. XII. 2022

ვეფრება...

ჭეშმარიტ ქართველს  
გადმოხედე მაღლით, –  
უფალო,  
და... მარადისად  
დაუმკვიდრე – საუფლო, –  
სადა...  
მისებრ –  
ბრძენს,  
ალაღს,  
ქველს,  
წრფელსა და...  
ეგზომ,  
უბრალოს, –  
მზეს –  
სიყვარულის  
და... სიკეთის,  
ვინ ნახავს?!..  
სადა?!..  
16. IV. 2023

ორი საყუნჯე...

ხან, –  
დიდი განცდა –  
მანთებს,  
მამუნჯებს,  
მიყვარს –  
წამიც კი, –  
დასით, – დარულით...

უფალმა მოგვცა  
ორი საუნჯე, –  
ეს –  
სიცოცხლეა...  
და... სიყვარული...  
02. IV. 2023

დრო მოსთხოვს –

ყველას...

რეგვენი... ხეტი...  
და... უგვანი  
თავზე ქვას –  
გვაშლის,  
დრო მოსთხოვს ყველას:  
აზრით,  
საქმით –  
უნდილს,  
ლონდრესაც...  
შეცდომას, ზოგი,  
ხვდება – გვიან...  
და... მხოლოდ,  
მაშინ,  
ცეცხლი –  
შეცდომის,  
სინანულის,  
დანვავს, –  
როდესაც...  
02. III. 2023

სანამ, –

მზეს ვხედავ...

მსურდა:  
ფიქრიც და  
სიტყვაც –  
მეხედნა, –  
მზესიყვარულად –  
მილიარდების...  
სანამ, –  
ვსუნთქავ და...  
სანამ, –  
მზეს ვხედავ,  
სიბრძნის,  
ღირსების,  
ვივლი ვარდებით...  
29. III. 2023



## იესოს...

მინდა ვთქვა –  
სიტყვა, –  
სიტყვა თუ, ისთვლის,  
რომ...  
ეს ტკივილი  
გულეში –  
ენტოს...  
სიკეთისათვის,  
სიყვარულისთვის,  
სიდიადისთვის,  
დასჯილო –  
ღმერთო...

### P.S.

წყვიდადში – გულთა,  
ვინ – გულის  
მზით არს...  
არიან – ჩვენშიც,  
იესო,  
ვითარ...

30. III. 2023

## სიტყვა...

ვინ –  
სიტყვით მზეობს,  
ვინ, სიტყვის –  
ტყვევა,  
მინახავს სისხლიც, –  
სიტყვით  
დაღვრილი...  
ვარდია –  
სიტყვა,  
ხან, არის –  
ტყვიაც...  
ზოგჯერ, –  
სიტყვასაც უნდა –  
აღვირი...

19. III. 2023

## ღღეს. –

## ყველამ ვიყით...

ფიქრის –  
ბოსფორო... გიბრალტარო...  
ფიქრის –  
ლამანშო,  
ღვიძავს ყველას და...

არვინ არის –  
ჩლუნგიც,  
მძინარიც...  
ვინ არის –  
მტერი,  
მეგობარი...  
და... ვინ –  
თამაშობს?!..  
დღეს, –  
ყველამ ვიცით –  
პლანეტაზე:  
ვინაც,  
ვინ არი...

### P.S.

ყველამ ვიცით და...  
დღეს,  
ყველა ვართ:  
მოგვიც,  
მისანიც,  
დევეს ხელის გულზე:  
ყველას –  
ფიქრი,  
ყველას –  
მიზანი...

18. II. 2023

## ნეტავ, შემიძლოს!..

მზედ ვიქცეოდი, –  
ზეუფლის –  
რჩევით,  
სულ, ვისხივებდი, –  
სიბრძნის  
ცა, ვითა...  
ნეტავ, შემიძლოს,  
სიცოცხლე –  
ჩემი,  
დამენყო:  
ერთხელ, კიდევ, –  
თავიდან!..

26. III. 2023

## მაოჯებს, –

## უფრო...

ადამის მოდგმა  
ჯვარზე აცვა –  
დარდმა და...  
ურვამ,  
სიკეთეზე, რომ...

ბოროტება –  
ზეობს და...  
უფლობს...  
ალარაფერი  
არ მაოცებს, –  
არსებობს  
თუ, რამ,  
მზით სავესე გული  
და... მზესული  
მაოცებს, –  
უფრო...

22. II. 2023

## არარაობა

რა არის, –

## უფრო?!..

ქვეყანა, ოდით,  
ხან, ჩვენით –  
ქუფრობს,  
გონის და...  
გულის  
გვინდა –  
ცხრა თვალი...  
არარაობა  
რა არის, –  
უფრო?  
ხალხთან, როდესაც,  
არ ვართ –  
მართალი...

24. III. 2023

## შეგონება...

ყველამ ისმინოს –  
კარგად,  
ცხოვრება ათას  
კარს გავს,  
ხან, თუ –  
დიდებით გემოსავს,  
ზოგჯერ,  
ამაო –  
ქარს გავს...

### P.S.

არ ვამბობ  
სიტყვის –  
ქარგად...  
სიმართლეს, ვინაც –  
კარგავს,





იგი –  
სულის მზეს  
კარგავს...  
03.III.2023

ღარბი ღა...

მდიდარი...

ეს ფიქრი –  
ელვად,  
ხან, კი –  
მდორედ რბის,  
ვინ – ავდარია,  
ხოლო,  
ვინ – დარი...  
მიყვარს –  
ღარიბი ღმერთი, –  
ცხოვრებით,  
სულით,  
გულით და...  
სიბრძნით –  
მდიდარი...  
20.III.2023

სიყვარულით ღა...

უსიყვარულოდ...

ბედნიერებას, –  
სიყვარულის  
სიკეთით –  
ვპოვებთ,  
ვართ ბედნიერი –  
სიყვარულით, –  
თუ, ვსიხარულობთ...  
სიყვარულია:  
მზესიციცხლის –  
„ანიც“ და...  
„ჰოეც“,  
ჯოჯოხეთია –  
სამყაროში, –  
უსიყვარულოდ...  
24.II.2023

ამას გთხოვ,

ღმერთო!..

ვდგამ –

ფიქრის მთებს და...  
ზედ, ნისლს, –  
მისეულს,  
ფიქრის მწვერვალს და...  
აულს, – ნანვიმებს...  
ამას გთხოვ,  
ღმერთო,  
ჩემზე ღირსეულთ  
ჩემი სიციცხლე –  
გაუნანილე!..  
07.I.2023

ფარაონები...

ზესიბრძნეს უფლის  
ვინ, არ – მივნებდით, –  
ვინ –  
ემშას მიზანს  
ფარავს ომებით?!..  
ცას შეწვდნენ  
ფულის –  
პირამიდებით,  
ამ საუკუნის  
ფარაონები...  
02.I.2023

სიკვდილზე ძნელი...

ვინა სვა ნეტარ –  
სიციცხლის  
ბოცა?!..  
ვის ჰქონდა წლები –  
ბოლომდე,  
ღარი?!..  
ყოფნის აზრს კარგავს –  
სიციცხლე,  
როცა,  
სიკვდილზე ძნელი –  
სიციცხლე  
არი...  
09.III.2023

რატომ მგონია?!..

მზეგულზე  
ფიქრის წლები  
წამება...  
ვინ, ვის –  
მორჩილებს?!..  
მისდევს –

ვის ნებას?!..  
რატომ მგონია:  
ჯვარცმა,  
წამება, –  
იბადებთან, ვინაც –  
მისნება?!..  
06.III.2023

მე –

მეყოფება:

მტერი, –

მტრობით...

რა დიადია,  
რომ ნათდება  
სიკეთის  
მზით – ცა,  
ყვავილი ყველა,  
დასაბამით,  
სიავით  
დაზრის...  
მე – მეცოდება:  
მტერი, –  
მტრობით,  
სიციცხლეს –  
ვფიცავ,  
რადგან, მას,  
ღმერთმა  
ნატამალიც  
არ მისცა –  
აზრის..  
04.III.2023

თუ, სიყვარულით

არ აშენე...

საწუთრო ჩვენი –  
ტკივილია,  
ხან, არის –  
რთველიც...  
თუ, სიყვარულით  
არ აშენე,  
დრო, ისევ,  
წაშლის...  
წყალობა უფლის, –  
რაც აგროვე,  
სიციცხლით, –  
მთელით,



შეიძლება, რომ...  
ყოველივე,  
დაკარგო –  
წამში...  
03. V. 2023

მე –  
ამ გულის  
გიძღვნი...

სიტყვით, რომ  
ვსხივობ,  
თანაგრძნობით,  
მზეც –  
ფეხზე ადგა,  
მემკვიდრე არ ვარ –  
ფარაონთა,  
კეისართ  
გვართა...  
მე –  
ამ გულს  
გიძღვნი, –  
სასოებით,  
ძვირფასო, რადგან,  
არ გამაჩნია –  
არაფერი,  
ამ გულის  
გარდა...  
03. III. 2023

შეუძლებელის

შეძლება

მიყვარს...

არ მინდა ვგავდე –  
ფარფატა  
ჭილყვავს,  
სიბრძნე მსურს, –  
მზის ქვეშ,  
ვიცოდე –  
რას ქმნის?..  
შეუძლებელის  
შეძლება  
მიყვარს,  
დაუძლეველის –  
დაძლევა, –  
საქმის...  
09. II. 2023

როგორ, ძნელია?!..

დემოკრატიას ხრავს –  
თურმე,  
ჭია, –  
ბნელის – მთესველი,  
ნათლის – მსახვრელი  
როგორ, ძნელია, –  
ხალხს, როცა –  
სჯიან:  
მართალს, –  
სიმართლის –  
ნიღბით,  
სახელით?!..  
27. II. 2023

უბედურება,

თუ, რამ, არის...

სიცოცხლე, ზოგჯერ,  
ტკივილია,  
ხან, კი –  
საარი,  
წლებმა, რამდენჯერ,  
გულზე,  
დარდის ცეცხლი –  
მოყარეს...  
უბედურება, –  
თუ, რამ, არის,  
უფრო,  
რა არის? –  
თუ, არ ახსოვხარ:  
ალარც –  
მტერს და...  
ალარც –  
მოყვარეს...  
26. II. 2023

დარიალი...

თერგის შფოთით  
და... რიალით  
მორიალებს –  
დარიალი...  
ნუთუ, –  
თქემი,  
დეღამა,  
წარღვნა,  
დარიალის  
დარი არი?!..

ზოგი –  
კაციც,  
ქალიც, თურმე,  
დარიალის –  
დარი არი...  
21. II. 2023

ბედნიერება და...

ტოტოხეთი...

დამემონება –  
კლარჯეთიც,  
ტაოც,  
დამემონება –  
ხერთვისიც,  
ხანძთაც, –  
რწმენა, იმედი  
და... სიყვარული  
უგანძესია  
სიკეთის  
განძთა...

P.S.

თუ, –  
არ გყავს  
სულის –  
არც ძმა და...  
არც – და,  
მზე –  
სიყვარულის  
თუ, მიზანს –  
აცდა,  
დროც, –  
სილამაზის  
თუ –  
გაქრა,  
გაცვდა,  
ჯოჯოხეთია:  
ყოფნაც და...  
განცდაც...  
16. II. 2023

მოსწრება

უნდა...

მზე,  
თუ, გაქვს –  
გულში,  
ნათდება  
ცა – მით,





არ დაგეცემა  
კაემნის –  
გუნდა,  
რომ...  
არ დაკარგო  
ამაოდ,  
ნამიც,  
თქმულა:  
სიყვარულს –  
მოსწრება  
უნდა...  
15.11.2023

შარბათი, –  
ნაღდი სიყვარულის –  
ვინ ვირგეთ,  
ვინ ვსვით?!..  
სიყვარული, რომ –  
უმზესია,  
ხომ, ვიცით  
ყველამ?..  
უძნელესია დაბრმავება –  
მისგან და...  
მისით...  
02.11.2023

მწვანის,  
ზოგი –  
ქვეყანას  
ჰყიდის?!..  
12. VII. 2008

რად ხდებდა –  
ასე?!..

სიტყვაც და...  
საქმეც –  
ზოგთა მანთებს...  
და... რისხვით –  
მავსებს,  
ვთხოვ, – მაპატიოს –  
ამ განცდისთვის,  
მზესულა  
ხვითომ...  
ეს, –  
ვერ გავიგე,  
ვერ ავხსენი,  
რად ხდება  
ასე?!..  
თავის სინდისს და...  
თავის სახელს  
რად სვრიან, –  
თვითონ?!..  
10.11.2023

ნეტავ...

შენი ხმა –  
ატკობს,  
ადნობს, –  
მზეს, ოდეს,  
ნეტარ,  
ქვაცა და...  
ლოდიც –  
შეირხა...  
მარადიულად,  
ნეტავ,  
მესმოდეს:  
სიტყვაც,  
სიცილიც,  
სუნთქვაც,  
შენი ხმაც...  
13.11.2023



სიღიაღე –

კაპიტალიზმის...

სიყვარულმა და...  
სიბრძნემ,  
ზოგნი –  
ვერაფრით  
რანდეს, –  
არ-რით არგიან –  
ხალხს,  
ქვეყანას,  
სოფელს და  
ქალაქს...  
ფული აქვს ბევრი,  
ბევრზეც ბევრი, –  
ხომ, ვიცით,  
რამდენს?!..  
მაგრამ...  
არა აქვს –  
მზესული და...  
მზე გულიც –  
არ აქვს...

P.S.

არსთა არსია –  
პირადული, –  
კვანტიც და... იზმიც...  
აი, ეს გახლავთ –  
სიღიაღე, –  
კაპიტალიზმის...  
13.11.2023

უძნელესი

დავლოცავ თვალებს, –  
სწორად მხედველს  
და... არ-რით –  
ელამს,

გიჟურ წღებთან –

ზოგჯერ,

მეფენიც...

ცხოვრებას  
დიდი ტკივილიც  
ახლავს, –  
გზას  
ვერ მივყვებით,  
როცა –  
მზეფენილს...  
ბევრჯერ ვთქვი, რაიც,  
კვლავ, ვამბობ, –  
ახლაც,  
გიჟურ ცდებთან –  
ზოგჯერ,  
მეფენიც...  
12.11.2023

დროა –

ორგულის,

ფლიდის...

გვაქვს –  
სულის, გულის  
წვანი, –  
დროა:  
ორგულის,  
ფლიდის...  
ზოგი –  
სოკოს და



## მაოჯრეზს...

სანატრელია –  
 მზე, –  
 სიხარულის,  
 გამრავლდა –  
 გულზე დარდის  
 დამდენი...  
 მაოცებს... ეგ ზომ,  
 დღეს,  
 სიყვარულის –  
 მოთამაშეა სიტყვით, –  
 რამდენი?!..  
 28.1.2023

## არჯ, –

## ღავფიქრდები...

ამ, მთა-მდელოსთვის  
 ვარ –  
 მძაფრი ნთებით,  
 ზესიყვარულით,  
 ცეცხლის –  
 მჭირს დება...  
 თუ,  
 მამულს უნდა,  
 არც –  
 დავფიქრდები,  
 ჩემი სიცოცხლე,  
 როცა –  
 სჭირდება...  
 23.1.2023

## მნამს –

## მხოლოდ,

## მაშინ...

გამოცდილება  
 ფიქრს ფიქრზე  
 მაშლის,  
 სიბრძნეც და  
 ცოდნაც  
 მზით, რომ –  
 ერთვიან...  
 მე, –  
 ქვეყნის წინსვლა  
 მნამს –  
 მხოლოდ,

მაშინ,  
 სიტყვა და საქმე,  
 როცა –  
 ერთია...  
 25.1.2023

## ფხიზლად!!!

ცა – მინა, თითქოს,  
 ერთად იქცევა,  
 ცეცხლი შეუნთო  
 გულს, – სატანამო...  
 ფხიზლად! —  
 სამყარო  
 სანამ იქცევა –  
 აბუგრეიბად,  
 გუანტანამოდ!!!!..  
 19.1.2023

## ბედნიერება...

სანუთრო სიბრძნით,  
 ხან –  
 იცლება,  
 ხან კი –  
 ივსება...  
 ხან –  
 ბედს ვერევით,  
 მაგრამ...  
 ხან კი –  
 ბედი გვერევა...  
 ბედნიერებად,  
 ვინ –  
 სიმდიდრეს თვლის,  
 ვინ კი –  
 ღირსებას,  
 სიყვარული და  
 მზესულია –  
 ბედნიერება...

## P.S.

ბედნიერებად  
 მნამს ლაჟვარდი –  
 სულის და  
 გულის...  
 და... არასოდეს:

\* დედამინის ჯოჯოხეთის მოციქულებმა,  
 მზის ქვეშ, ზოგიერთ ქვეყანაში, დააარსეს  
 – ადამიანთა სანამებელი, ჯვარსაცმელი,  
 – ე.წ. აბუგრეიბისა და გუანტანამოს დი-  
 ლეგები და ციხე-ჯურღმულები...  
 მსოფლიოს ხალხებმა ჯეროვანი რისხვა  
 უნდა მიაგონ – ყველა უღმერთოსა და  
 სატანისგს..

ხვეჭა,  
 ძარცვა,  
 ტაცება, –  
 მგლური...  
 20.1.2023

## მზეც ვეთაყვანე...

სახელი, ვინაც,  
 აროდეს,  
 შერყვნა,  
 არ ითამაშა –  
 აროდეს,  
 ფარსი...  
 მზედ ვეთაყვანე –  
 ვინც იცის,  
 ქვეყნად,  
 სულის და...  
 გულის ტკივილის –  
 ფასი...  
 23.1.2023

## მე –

## გული მტკივა...

ქვეყანა, – ზოგი,  
 რო არის –  
 მგლური,  
 მიზანი მათი –  
 ტახტი და...  
 ქისა...  
 მე –  
 გული მტკივა,  
 რადგან... მაქვს –  
 გული,  
 ვით ასტკივდება,  
 არა აქვს –  
 ვისაც?!..

## ვლოჯავ...

ალალ გულს ვლოცავ, –  
 მის –  
 ნეტარ ყანებს,  
 შვერისხავ:  
 შავ გულს,  
 შავ საქმეს,  
 შავ სვეს...



დავლოცავ –  
იმ გულს  
და...  
ვეთაყვანე, –  
იმ გულს,  
რომელიც –  
მზით არის  
საესე...  
10.1.2023



### მიყვარს ქართველი...

მიყვარს ქართველი, –  
ქვეყნის ბურჯად  
ვინაც –  
მეგულის,  
ბედნიერების,  
რწმენის სხივით,  
როცა –  
ვივსები...  
მიყვარს ქართველი, –  
მზესულით და...  
გულით,  
მზეგულით,  
საქმით,  
სახელით,  
სიყვარულით,  
უფლის –  
ღირსებით...  
05.1.2023

### ფვირავ...

**ახმეტის რაიონის ყოფილ  
თავკაცს, – სამაგალითო  
ქართველს – ვაჟა ბატიაშვილს**

წინაპარს ფვიცავ  
და... წინაპრის  
სამარის –  
ფიცარს,  
დრო არის, ზოგჯერ:  
უსამართლოც,  
უაზროც,  
მკაცრიც...  
მე, ცოტა ვიცი:  
შენებრ –  
ქველი,  
მართალი, –  
ფვიცავ,  
საქვეყნო საქმის,  
ხალხის საქმის –  
ერთგული  
კაცი...



P.S.  
ქვეყნად, –  
რამდენი – მხვეჭელია?!..  
რამდენი – ქუფრობს?!..  
მე, შენი  
სულის სიდიადე –  
მაოცებს, – უფრო...  
20. XII. 2022

### მიყვარს

მიყვარს –  
თუ, ვინმე,  
სიკეთედ  
ინვის, –  
ხალხს და  
ქვეყანას –  
მზედ მიეღვეს,  
როგორც – გზავნილი:  
ცისა და  
მინის,  
სიყვარულის და...  
ბედნიერების...  
14.IV.2023

### რამდენი არის –

### უმზაკვრესი,

### უგულო,

### თარსი...

კრულვას უგზავნის  
ხალხი, რადგან –  
სახელთა,  
გვართა,  
რამდენი არის –  
უმზაკვრესი,  
უგულო,  
თარსი...  
ოთხფეხა ცხოველს  
რამდენს ვლოცავთ, –  
მტაცებლის  
გარდა,  
ორფეხა ცხოველს  
ვერ – რით ვიტანთ –  
საქმით და...  
არსით...  
10. XII. 2022

### სადიდებელი –

### სიყვარულის, –

### სამარადისო...

არ გვექცეს –  
არ – რით,  
არასოდეს,  
ცა – უკუნეთად,  
მინიდან ლოცვა  
უფლისადმი  
სანამ ადისო...  
სულის სანთელის  
სიდიადე, –  
საუკუნეთა,  
სადიდებელი –  
სიყვარულის, –  
სამარადისო...  
17. XII. 2022

### სჯობს

სჯობს:  
სიყვარული,  
რომ ვინამოთ –  
სიცოცხლის  
არსად,  
ოდიდან –  
ქიშპით,  
შულლით,  
მტრობით  
რამდენი ვივინეთ?!..  
ადამიანის,  
რომ არ იყოს –  
ჭაჭანი, –  
არსად,  
რა იქნებოდა –  
ეს სამყარო, –  
თუ, ფიქრობს ვინმე?!..  
19. XII. 2022

### შემოვევლები –

### მარადის...

შემოვევლები –  
მარადის,  
გულის უსხივეს,  
მდიდარ ცას...

ვინაც –  
ზესიბრძნით,  
დარად დის,  
მზეობს, –  
იესო,  
ვითარცა...  
04. V. 2023

ათჯერ ღა...

ასჯერ...

გადავათენებ –  
სულის სხივით,  
სამყაროს  
სივრცეს, –  
ცას –  
სიყვარულის  
და... სიკეთის:  
ასი მზით,  
ას ჭერს,  
ტყვიით სიკვდილზე,  
ფიქრითაც კი,  
გული, რომ –  
გვიცემს,  
სირცხვილით სიკვდილს  
ვიცი,  
რომ სჯობს,  
ათჯერ და...  
ასჯერ...  
28. I. 2023

თუ, ვარგე,

ნეტავ,

ვისმე?.. რამე?..

დამიდგა, როცა –  
აზრის ტვერი...  
და... სიბრძნის –  
რთველი,  
თუ, ვარგე,  
ნეტავ,  
ვისმე?.. რამე?..  
დაო და  
დამი?..  
დავხარჯე ფიქრში, –  
სიკეთისთვის,  
სიცოცხლე, –  
მთელი...  
უმისოდ,

ძილშიც,  
არ ვყოფილვარ, –  
არც ერთი –  
წამით.  
29. IV. 2023

მაოჯრებს, ეგზომ...

ფიქრმა ტკივილი  
არ დამიამა, –  
ისევ, რამდენი –  
ვანდალი არი?!..  
მაოცებს, ეგზომ,  
აღამიანმა  
ჯვარს რატომ აცვას –  
აღამიანი?!..  
06. XII. 2022

ვარ –

სიყვარულით

მთვრალი...

ვით გავანვდინო  
თვალი:  
ფიქრის,  
ოცნების –  
მინდვრებს?!..  
ვარ –  
სიყვარულით  
მთვრალი,  
შენი მზით  
ვსუნთქავ, –  
ვიდრე...  
08. XII. 2022

როგორც, პეტეფი, –

გაფრენილ –

ყანჩას...

წარსულზე, ისევ,  
ფიქრს ფიქრზე –  
ვისევ,  
თითქოს, იქ,  
რადაც, ძვირფასი  
დამრჩა...

ჩემს სიჭაბუკეს  
მივტირი, –  
ისე,  
როგორც, პეტეფი, –  
გაფრენილ –  
ყანჩას...  
13. VI. 2023

მიყვარს...

მიყვარს სიცოცხლე, –  
ხეშიც, რო ჩქეფს –  
მწვანე კვირტებად...  
რწმენა,  
იმედი,  
რომ არ იქცეს –  
ამო... ცრუ ნთებად...  
განთიადისას,  
ცას, რომ...  
ცეცხლი –  
ნაეკიდება...  
და... მზე –  
სიცილით  
და... კისკისით  
ამოცურდება...  
02. XII. 2022

იროდეს –

ყველამ...

თეთრს და შავს,  
ზოგი,  
ვერ-რით არჩევს, –  
ხედავს ერთიან,  
ხან, ვითომ,  
დარი –  
წვიმა იყოს,  
წვიმა –  
დარობდეს...  
იცოდეს, –  
ყველამ,  
რომ... სიმართლე –  
ერთადერთია,  
ორი სიმართლე  
არ არსებობს, –  
არ-რით,  
აროდეს...  
04. V. 2023





რით?! □

როგორ ავხსნა?!..

თავბრუს რომ მახვევს –  
ფიქრების  
ბოცა...

და... გულს, თან,  
დარდის –  
დანა ჩაუვლის,  
რით?! –  
როგორ ავხსნა,  
უფალო,  
როცა –  
სიყვარულია  
დანაშაული?!..

P.S.

ეშმა ჩამძახის:  
შვებას  
ნუ ელი...  
და... სურს:  
გავმართო, თავთან –  
დუელი...

03. V. 2023

მიყვარს...

ვინ ცდილობს, –  
ვისთვის,  
ვის ყავლს?!..  
მინდა –  
მზე ვიყო, –  
სრული...  
მზით სავსე  
გული –  
მიყვარს...  
მიყვარს –  
მზით სავსე  
სული...

01. V. 2023

წხოვრების –

გამოყდა...

დრო –  
მზეც არის და..  
უკუნიც, –  
მრუმეც...  
აზრით ვიცლებით,

ხან კი –  
ვივსებით...  
ცხოვრება არის, –  
საერთოდ,  
თურმე,  
გამოცდა –  
ჩვენი აზრის,  
ღირსების...

02. V. 2023

აი, მთავარზე,

უფრო,

მთავარი...

ზოგი ჰგავს:  
ბულბულს,  
ან – იადონს,  
ტოროლას,  
თუ – ყვავს?!..  
ვის აქვს –  
სიკეთის,  
სიყვარულის,  
სულის  
თალარი?...  
მე, რაიც მიყვარს,  
ის კი არა,  
ხალხს, რაიც,  
უყვარს,  
აი, ეს არის –  
თვით, მთავარზეც,  
უფრო,  
მთავარი...

28. IV. 2023

წხოვრებამ

ასჯერ და...

ათასჯერ

აჩვენა...

ხომ, –  
ყველა დროშია  
ბნელეთიც,  
ბინდისიც, –  
ცხოვრებამ  
ასჯერ და...  
ათასჯერ  
აჩვენა...

სად ჰქონდა:  
გონება,  
გული და...  
სინდისი,  
ვინაც არსაკიძეს  
აჭრიდა –  
მარჯვენას?!..

P.S.

დღესაც, კვლავ,  
შეხვედებით:  
ასჯერ ბნელს,  
ასჯერ ნავსს,  
რომ... ისევ,  
მოაჭრან გენიას –  
მარჯვენა...

21. IV. 2023

ერადო უნდა

რამდენჯერ, ხდება?!..  
მტკივან გულებს  
ვერ ვაძლევთ –  
ნამალს,  
მონქეა ყოვლის:  
დაბლა – მინა,  
და...  
მალლა –  
ცაი...  
თუკი, ხალხისთვის  
არ-რით ძალგის  
სიკეთე,  
ძამა,  
ეცადო უნდა –  
შენი არსით,  
არ ავნო, –  
მაინც...

25. IV. 2023

მტერზე უარესი...

დაემართება  
გულს და  
სულს – სტრესი,  
ეშმა თუ, ჩემობს  
თავის –  
არედა...  
ოპოზიცია არის –  
უმტრესი, –  
შემოგდებული თუა, –  
გარედან...

12. IV. 2023



სიზროროტე და...

სიკეთე...

ვინაც, –  
სიავით, სიბოროტით,  
თვითონ,  
ინვავს – მზეს,  
უმზეოა და  
უსიკეთო, –  
მისთვის –  
დროც, – ხვალის...  
ზოგს, მიცვალებულს,  
რამდენს ვხედავთ –  
მალლა,  
მინაზე...  
ვინც წევს მინაში,  
რამდენია –  
ისევ,  
ცოცხალი?!..  
24.IV.2023

სასწაული

ჩემშია, თითქოს,  
ცა-მინის –  
ძვრად,  
სასწაულია სამყარო,  
ღმერთო...  
ბევრი რამ –  
დავთმე,  
თვალს ვახელ, –  
რაიც...  
სიყვარულსა და  
სიცოცხლეს  
ვერ ვთმობ  
23.IV.2023

რად მენატრები, –

ასე,

არ ვიყრი...

შენა ხარ, –  
მე, რომ... მანებებს  
ალი – ცის,  
გულში მეღვრება  
განცდა, –  
ივლისად...  
რად მენატრები, –

ასე,  
არ ვიცი,  
როგორც, სიცოცხლის –  
სვე და...  
თილისმა...  
18.IV.2023

მზეიყ, რომ იყო,

არა ხარ, –

ვითომ?!..

ვინ –  
დღეებს, თვეებს  
და... წლებს ვხარჯავთ –  
კაშნის  
ფერთხვით,  
დრო –  
ბენვის ხიდზე  
გვატარებს და...  
ვინა თქვა:  
ხვითომ?!..  
თუ, –  
მეფის ტახტზე  
არ ზიხარ და...  
ხელთ არ გაქვს –  
კვერთხიც,  
მზეიც, რომ იყო სიღიადით,  
არა ხარ, –  
ვითომ...  
22.IV.2023

სიზრძნეთა

სიზრძნე...

ეს მინა, რაიც –  
მზის ირგვლივ,  
ბრუნდა,  
ყველას –  
ეს სიზრძნე  
უნდა –  
კმაროდეს:  
ყველა მოკვდავი  
ცდილობდეს  
უნდა: –  
არ აიკიდოს –  
ცოდვა, –  
აროდეს...  
17.IV.2023

მიყვარს...

მიყვარს –  
ფუტკარს, რომ...  
ვერ ვხედავ –  
მოცლილს...  
და... ფერადებით  
ელავს – ბუნება...  
მზე –  
მეფერება,  
მეხვევა,  
მკოცნის...  
ხოლო, ნიავი –  
მესაუბრება...  
15.IV.2023

მიყვარს!!!

მიყვარს!!!

მიყვარს!!!...  
მიყვარს –  
დრო, ყვავილთა  
აფრით!!!...  
რომ ვისტუმრებთ –  
ზამთარსა და...  
მის – ყავლს...  
ვლოცავ,  
ვკოცნი –  
მზით მოხატულ  
აპრილს,  
მოკისკისე ალუბლები  
მიყვარს!!!...  
08.IV.2023

რა ღიაღია

რა ვუთხრა,  
ვინც წვავს –  
სახიდე  
ფიცარს?! —  
უგულოთ,  
უნდოთ,  
ულვოთ,  
წარმართებს,  
რა ღიაღია, –  
სიცოცხლეს  
ვფიცავ,  
სიკეთის ვალი  
ვისაც –  
არ მართებს...  
31.III.2023





### ვიხსენებ...

#### ვლოცავ...

გულით მეგობრებს –  
 მოვინატრებ, – გარდასულთ,  
 როცა,  
 უსამართლოა, –  
 ვამბობ, წყენით,  
 სიკვდილის –  
 ცელი...  
 მზედ, ვინაც ტოვებს  
 თავის სახელს –  
 ვიხსენებ,  
 ვლოცავ...  
 და...  
 წამნამებზე დამძივდება –  
 ალალი,  
 ცრემლი...  
 31. III. 2023

#### მზეკალმოსანი...

მზეკალმოსანი  
 მისდევს –  
 ღვთის ნებას,  
 აქვს:  
 სულიც,  
 გულიც, –  
 უფლის,  
 წმინდისი...  
 მზეკალმოსანი –  
 სიბნრძნე,  
 ღირსება...  
 მზეკალმოსანი  
 მზეა –  
 სინდისის...

#### P.S.

აუტანელის უნევს –  
 ატანა,  
 რადგან, –  
 სინათლეს ებრძვის –  
 სატანა...  
 07. V. 2023

#### ვთხოვ ყველას...

მზე მოკისკისებს,  
 იცინის –  
 ნუშიც, –  
 ხალისი არის



სიცოცხლის, –  
 ორწილ...  
 ვთხოვ ყველას –  
 დღეებს  
 ამაოდ  
 ნუ შლით,  
 დავესწროთ მაყრად –  
 ბუნების  
 ქორწილს...  
 22. III. 2023

#### სულ, ამას –

#### ვფიქრობ...

ვებრძვი და...  
 ვუფრთხი –  
 სიავის  
 მიკრობს...  
 და... გულთან ვიკრებ –  
 მზის  
 მშველელ ძალას...  
 არ შემეშალოს, –  
 სულ ამას –  
 ვფიქრობ,  
 თუ –  
 შემეშალა,  
 რა –  
 შემეშალა?!..

#### P.S.

დე, – ყველა,  
 ვინაც,  
 მზეს ხედავს –  
 ბუნდად,  
 რა –  
 შეეშალა,  
 დაფიქრდეს –  
 უნდა!!!..  
 29. III. 2023

#### ყირამალა

#### გვატრიალებს...

აგერ – დათვი,  
 აგერ – მგელი,  
 აგერ – მელა,  
 აგერ – ტურა...  
 ყირამალა გვატრიალებს:  
 შინა ომი,  
 აგენტურა...  
 16. III. 2023

#### უფრო, –

#### ძალიან...

უსაზღვრო განცდამ  
 გულის –  
 ცა ღია,  
 შემომეჩვია ფიქრი, –  
 ეული...  
 მიყვარს –  
 ჩემ თავზე,  
 უფრო, –  
 ძალიან:  
 შენი –  
 სულიც და...  
 შენი –  
 სხეულიც...  
 25. III. 2023

#### ფული...

#### ფული... ფა...

#### ფული...

ძალმომრეობის  
 დრო დადგა –  
 რთული...  
 დაბრმავდა ბევრი, –  
 თვალს ვეღარ –  
 ახელს...  
 დედამიწაზე ბატონობს –  
 ფული, –  
 და... ფული გახდა –  
 ეშმაკის  
 მახე...  
 23. III. 2023

#### კამათი...

თინათინ თელაველის  
 აზრი ლექსად

იყო, ოდესღაც, –  
 მოკამათის –  
 სარზეც აგება,  
 ხოლო, რამდენი –  
 დაჭრეს,  
 ანდა,  
 კრავსავით აქნეს...  
 სადაც – სიბრძნეა,  
 სადაც – აზრი,

სადაც – გაგება,  
არ უნდა გახდეს  
საკამათო –  
კეთილი საქმე...

P.S.

კამათი არის, –  
ზოგჯერ:  
სიტყვით,  
მუშტით და...  
ტყვიით,  
ვის მოუქარგავს  
ბრმა კამათი –  
ვარდით და  
იით?!..  
17. III. 2023

ვარ მონმე, –

ამის...

რამდენი ვიცი,  
ვისაც ხელში  
ეჭირა ლახტი,  
ვარ მონმე ამის,  
და... ვარ ამის –  
მხილველიც,  
მჭვრეტიც, –  
ნაყიდი სკამით,  
სავარძლით და...  
ნაყიდი ტახტით,  
სიამით, –  
თრობით გაბრუნებულს  
დასხმია –  
რეტი...  
26. XI. 2022

ვითარ?!..

*ზოგიერთი, მოჩვენებითი,  
კონკურსის მესვეურებსა და  
უთვალეზო, უყურებო და  
უგულლო ჟიურის წევრებს...*

გულზე –  
ფიქრების ღვართქაფი  
მანვიმს,  
დავცალე დარდის –  
თასიც და...  
ყანნიც...  
ვითარ ვირწმუნო  
სიმართლე, –  
ანი?! –

ბატი სჯობნისო –  
ფრენაში,  
არნივის?!..  
24. XI. 2022

უშენოდ...

დღეთა ლაშქართან,  
ფიქრს, რომ ვებრძვი,  
განა,  
ცალია?!..  
ოკეანეში –  
განცდის,  
დარდის  
ტალღას ვავსებო...  
ვარ მონყენილი, –  
უშენობით,  
ისე,  
ძალიან,  
თითქოს, უშენოდ,  
ეს სამყაროც  
აღარ არსებობს...  
23. XI. 2022

არჩევანი...

გზას დაგვილოცავს  
და... მოგვხედავს –  
მალლიდან,  
ლმერთიც,  
საბედნიეროდ, –  
ხალხისათვის,  
თუ, სიბრძნით  
ვმძლოლობთ...  
პარტ-პურტიების ნაცვლად,  
მინყივ,  
სჯობს იყოს –  
ერთი, –  
სიკეთის და...  
სიყვარულის  
პარტია, –  
მხოლოდ...

P.S.

უნდა ხვდებოდეს, –  
სულით,  
არსით,  
ორფეხა –  
ლორიც,  
ჭეშმარიტება  
არ არსებობს, –  
აროდეს,  
ორი...  
24. XI. 2022

აი, ეს არის –

ახლა,

მთავარი...

ყოფნა, ხან, –  
ბამბა,  
ხან, კი –  
ლოდია...  
ფარნავაზიდან –  
ბრძოლით  
მოვდივართ...  
და... დავითიდან –  
ბრძოლით  
მოვდივართ...  
და... თამარიდან –  
ბრძოლით  
მოვდივართ...  
რუსთაველიდან –  
სიბრძნით  
მოვდივართ...  
და... ილიადან –  
სიბრძნით  
მოვდივართ...

P.S.

სიცოცხლე –  
ხან, მზე,  
ხან, კი –  
ბინდია, –  
ბრძოლით,  
ტკივილით,  
სიბრძნის –  
თალარით...  
მაგრამ... დღეს,  
სად ვართ?!..  
საით –  
მივდივართ?!..  
აი, ეს არის –  
ახლა,  
მთავარი...  
22. II. 2023

იწოდეს –

ყველამ...

სიბრძნეთა სიბრძნე, –  
მარადისი,  
მინდა ვთქვა –  
ერთი,  
რომ გადავურჩეთ –  
დროს, –  
ულმობელს,







ბრმასა და...  
 ელამს,  
 სულით და...  
 გულით,  
 სიყვარულით,  
 ვინც არის –  
 ღმერთი,  
 ღმერთის სიკვდილი  
 არ არსებობს,  
 იცოდეს –  
 ყველამ...  
 20.11.2023

### სიწოცხლე...

სიცოცხლე მიყვარს, –  
 მზით... სიკეთით...  
 ვარდად –  
 მთოველი, –  
 სანდო,  
 საზეო,  
 სანეტარო,  
 სულში დარულობს...  
 ჯოჯოხეთია:  
 წელი,  
 დღე და...  
 წამიც, –  
 ყოველი –  
 ურწმუნო,  
 უნდო,  
 უგულო და...  
 უსიყვარულო...

P.S.  
 სიცოცხლე მიყვარს,  
 მიყვარს,  
 მიყვარს  
 დაუსაბამოდ, –  
 ბედნიერების  
 და... სილალის –  
 ცა, – უსაღამო...  
 25.11.2023

### უსიყვარულოდ, –

წამიც კი –

არ მწამს...

უსიყვარულოდ, –  
 არ გავხსნი –  
 წამწამს,  
 წლებს არ გავატან –  
 ამაოდ, –  
 ქართა...  
 უსიყვარულოდ, –  
 წამიც კი –  
 არ მწამს,  
 სიცოცხლე არ მწამს, –  
 მზეგულის  
 გარდა.  
 27.11.2012

### სიყვარულია –

თავიც და...

### ბოლოც...

ბედს ვებრძვით,  
 ხან, კი –  
 ბედი გვერევა,  
 წუთისოფელო, –  
 ავ-კარგით,  
 მსრბოლო...  
 სიცოცხლის –  
 ყველა,  
 ბედნიერება:  
 სიყვარულია, –  
 თავიც და...  
 ბოლოც...  
 16.11.2023

### ვლოცავ...

რამდენი, –  
 სულით,  
 გულით ალურობს,  
 ვლოცავ, –  
 სიკეთით  
 ვინც ახელს –  
 წამწამს...  
 უსიკეთოდ და...  
 უსიყვარულოდ,  
 მე –  
 ერთი წამის,  
 სიცოცხლევ  
 არ მწამს  
 3.11.2022



ზურაბ არსენიშვილი

მ  
ლ  
ა  
ნ  
ა  
ს  
ა  
ნ  
ი  
შ  
ვ  
ი  
ლ  
ი

ლიანოს პირველი თანაკლასელები ლამის სკოლას ამ-  
თავრებდნენ, წელიწადი ზევით კი კვლავ დანახვით კლასებში  
ბუფარაობდა. როცა საყოველთაოდ წნობილმა და არაერთი  
თაობის აღმზრდელმა ელენე მასნავლოვნიძემ, ზენია სკო-  
ლაში დაიბარა. საყვედურის საპასუხოდ, ფედაბერი, მარ-  
თალი კარის თუ ქალის იერიშით ლიანოს მიუბრუნდა –  
რატო არა სწავლობ, შვილო, დილით არაყი არ გაკლია  
და საღამოთი ღვინოო. ამ სიტყვების შემდეგ ორივე მს-  
არე მიხვდა, რომ წვილისებრ სიმნიფეში შესული გოგო  
სკოლას უნდა დამშვიდობებოდა.

ზ. არსენიშვილი



ციკლიდან – ჩანანერები თელაველთათვის

უშო, გამოდი!

1

უშო ერთი თვალმალხაზი ბიჭი იყო, სა-  
ნამ მოსკოვს დანახვებდნენ. ეს გასართობი,  
სტალინის ზეობისას, ძლიერ გავრცელებული იყო  
ქალაქად თუ სოფლად – უფროსკლასელი ზურ-  
გიდან ეპარებოდა ყმანვილს, ორივე ხელის თავ-  
ზე მოჭერით (ასე საზამთროს სინჯავს სიმნიფეზე  
გამოცდილი მყიდველი!) მსხვერპლს მალლა წევ-  
და. ტკივილისაგან აყვირებული უმცროსკლასე-  
ლი ფეხებს ასავსავებდა, ფართხალებდა, მაგრამ  
მნამებელი მანამდე არ დაუშვებდა მიწაზე, სანამ  
ბავშვი არ აღიარებდა, რომ წითელ მოედანზე,  
ტრიბუნაზე მდგომი ხალხთა ბელადი დაინახა.

უშოს დაუგვიანდა ამწვეისთვის დასტურის  
თქმა, რადგან ბატონის ციხეში მოქცეულ პირ-  
ველი სკოლის გაღავანს პირველად აცდენილ-  
მა, პირველად მოავლო ერთიანად მზერა ალა-  
ზნის ველს და კავკასიონს. მიუხედავად კისრის  
მალეების ტკაცატკუცისა, ცაში მონავარდე მერ-  
ცხლებ-ნამგალების დამნახვამ ბიჭმა, თავადაც  
ფრინველის სიმსუბუქე იგრძნო და უფროსკლა-  
სელ ტარზანას დალლა რომ არა, ვინ იცის მა-  
ნამდე სამშობლოს გამოუცდელი შეგრძნების  
გასახანგრძლივებლად, კიდევ რამდენ ხანს  
გაუძლებდა უშო ცნობისნამრთმევე ტკივილს.  
დამარცხებული ტარზანა ისე გაეცალა ნამების  
ადგილს, რომ კითხვის პასუხსაც არ დაელოდა.  
როცა გვერდზე თავგადაგდებული ბიჭი შინ მი-  
ვიდა, მუდამ ბედსმორჩილმა მამამ ქოჩორზე ხე-  
ლის გადასმით დაუყვავა შვილს – მამ დაგანახვეს  
მოსკოვიო. როცა გაიგო, რომ მტკივნეული ხუმ-  
რობის შემოქმედი მისი ნათლული ტარზანა იყო  
ლიმილი მოეძალა და ლამის სიამაყით დააყოლა  
– ნათლიასა ჰგავს, ეგ მამაძალდიო. საბა ხარაზი  
იყო და ძლიერ ეამაყებოდა, რომ ყმანვილობისას,

თელავის ძველი სასაფლაოს ჩრდილო-აღმოსავ-  
ლეთის მაცვლიან კუთხეში, ბესო ჯულაშვილის  
დაკრძალვისას, მასაც მოუწია ამქრისგან გამარ-  
თულ ქელებს სუფრასთან ტრიალი. თუმცა სა-  
ტრიალოც არაფერი იყო – ბალახზე გაშლილ  
მუშამბაზე ღვინის ლურჯი ბოთლები და ჭიქები  
იდგა და იქვე აქა-იქ, პური, ყველი და მწვანილი  
ელაგა.

უფრო მეტად კი ის დაამახსოვრდა, სუფრის  
დასასრულისას, სწრაფი სიარულით ლოყებ  
აფაკლული სამი ჭაბუკი რომ მოადგა ახლად-  
კოკოლავებულ საფლავს. ერთმა მათგანმა მუხ-  
ლმოყრით დაატირა მიცვალებულს – სიმღერე-  
ბი დედაზე არის ყველა ენაზე და მამებმა რალა  
დააშავესო. ქსოვრელებმა დამსწრეთ აუხსნეს –  
ეს კობაა, ბესოს რევოლუციონერი შვილი და ის  
ორი კი წითელი პარტიზანები ხარება და გოგიაო.

მოგონებამ, თითქოს დროის შორეთიდან  
დედუკის სევდიანი ჰანგი მოიყოლა. მერე ერთ-  
ბაშად ყინწმონწყეტილ შვილს მიუბრუნდა – ეგეც  
არაფერი, ნემს-სადგისი სადღა გაგვექცევაო,  
ამოოხვრით თქვა და უსასოებისგან ხელი შუბ-  
ლზე იტკიცა – რაკილა საქმე ბელადს ეხებოდა,  
ამ დროს მშობლები მომხდარის გამო გაჩუმებას  
ამჯობინებდნენ.

მოხითხითე ეშმაკი კი თურმე სხვაგან  
იმალებოდა – უშომ ხელობაშიც ვერ ივარგა.  
თავიდან თითქოს აულო ალლო საქმეს, ძაფის  
დაგრეხა-გასანთვლა იყო თუ ტყავის თარგზე  
მოჭრა, მაგრამ, როგორც კი ძირზე მიდგებო-  
და საქმე, ყველაფერი ირეოდა. საყოველთაოდ  
ცნობილია, რომ ამ დროს, ჩაქუჩ-ფეხსაცმლით  
ორივხელდაკავებულ კაცს, მარქაფი ლურსმანი  
პირით უჭირავს. უშოც, ბუნებრივია ვერ ასც-  
დებოდა საყოველთაო წესს, მაგრამ როგორც





უშო. მხატვარი ვანო გოცირიძე

კი ძირს ჩაქუჩს დაჰკრავდა, ლურსმანი ეყლაპებოდა და დილდილობით, სახლიდან მოშორებით მდგომ ფეხსადგილიდან, წესიერი ყმანვილისთვის შეუფერებელი სიტყვების კორიანტელი ისმოდა. მამამაც, უკვე ჯარმოვლილ და შოფრობა ნასწავლ ნათლულ ლავრენტის, რომელსაც სიყოჩლის გამო ტარზანასაც ეძახოდნენ, ბიჭის დამხმარედ აყვანა სთხოვა – შენგან გატეხილი ქოთანნი, შენვე უნდა გაამთელოო.

2

ლავრენტის ბრწყინვალე მათხოვარს უნოდებდა ელენე მასწავლებელი. ბიჭი ყველაფერს ასწრებდა – სწავლას (ოლიმპიადა არ ჩატარდებოდა რომ არ გაემარჯვა!), ფიზიკურ ვარჯიშს და უბანში თავის გამოჩენას – მინევმონევა იყო თუ უპოვართათვის დახმარება. მაგრამ ბიჭს ესეც არ კმაროდა და გული საფრენად მიუწევდა. ანდა რა იყო ამაში გასაკვირი, როცა თელავს დღედაღამ ბელანაფშის ნითელვარსკვლავიან შვეულმფრენთა ესკადრილია დასტრიალებდა თავს. დაუოკებელი სურვილი მოსვენებას არ აძლევდა ჭაბუკს და ზოგჯერ სიკვდილ-სიცოცხ-



ლის ზღვარზეც ატარებდა – ხიდან ხეზე გადახტომა იყო თუ წყალში ხტომა. განსაკუთრებით ეს უკანასკნელი გამოსდიოდა კარგად – რკინის ფერმებისგან შეკრულ (მუხრანის ხიდის მსგავსად!) შაქრიანის მაღალი ხიდიდან, ჯერ ცაში ჰკრავდა კამარას და მერე ხელფეხაკეცვით მოზორიალე, წყლისპირზე ზამბარასავით გაშლილი, მდინარის ტალღებში უჩინარდებოდა. იმ წლებში თელავში ბევრი ბაძავდა ვაისმიულერს, მაგრამ ყველაზე ხშირად ტარზანად სწორედ ლავრენტი მოიხსენიებოდა. ხმელეთზეც ვარგოდა ბიჭი, განსაკუთრებით ველოსიპედით დაბახნებზე უმუხრუჭოდ (უპედლოდ!) დაშვებისას. მაგრამ თავსზემით მწვანე კალიებივით შვეულმფრენების გადავლისას ყოველივე ხუნდებოდა და ჭაბუკს სუნთქვა ეკვროდა. იქნებ იმიტომაც, რომ შხუილით მოტრიალე პროპელერების ჭრიჭინს, თითქოს საზეიმოდ გამოწყობილი მფრინავთა ცოლ-შვილი უნდა მოყოლოდა.

რა დასამალია და ელენე მასწავლებელს ფრიადოსანი მოსწავლე სასიძოდ მოსწონდა. მით უმეტეს, რომ მისი ერთადერთი ქალიშვილი, რომელსაც ესპანეთის სამოქალაქო ომში უგზოუკვლოდ დაკარგული ქმრის სახსოვრად ელენემ დოლორესი უწოდა, რაც ფეხზე დადგა ოჯახობანას თამაშობდა. სწორედ ეს აფრთხობდა ლავრენტის და როცა სალამოხანს, ქალაქის ერთადერთ პარკ „ნადიკვრიდან“ ვალს-ფოქსტროტის ხმა დაირხეოდა – ლავრენტი ამფსონებთან ერთად საცეკვაო მოედანს აწყდებოდა. ბიჭები თავნამახულ ფიცრის მესერს ეტოტებოდნენ, ზოგჯერ წარმატებით, ზოგჯერ არა – იმის დამიხედვით მილიციელი შამილა რა ხასიათზე დახვდებოდათ. უფრო ხშირად ხვენწა-მუდარა და მამაკაცური თანადგომა სამოთხის კარს ხსნიდა. მეორე დღეს კლასის და ზოგადად ახალგაზრდობის დამრიგებელი, ელენე მასწავლებელი გაკვეთილზე დაგვიანებულ ლავრენტის ამუნათებდა – ისევ იმათხოვრე არაო. თუმცა იქვე ხელის ჩაქნევით ამატებდა – შენი ქცევა რა გასაკვირია, როცა ქვეყნიერებას მუდამ ვნება აშენებდა და ანგრევდაო და მაგალითად ანტონიუსს და კლეოპატრას, ანდა პრინც ჩარლზს და პრინცესა დაიანას ასახელებდა. მერე ჩაფიქრებით ამატებდა – სხვათა აყოლა რას გვარგებს, ჩვენ საკუთარი მაგალითი გვზრდის – ოთხმოცი ბრძოლის გადამხდელი მეფე არც ერის გამრავლებას აკლებდა მცდელობას. აკი ოთხი ცოლისგან ოცდაოთხი ქალ-ვაჟი დატოვაო. ზოგადად ქორწინების აუცილებლობას, თუნდაც შეთხელებული ერის გამრავლების მიზნით, ლავრენტიც ხვდებოდა მაგრამ ხმამაღლა ამის თქმას ერიდებოდა, რადგან დოლორესი სულ უფრო ხშირად ესროდა საყვედურიან მზერას კლასელს და ზედაც ამატებდა – დრო ალაზანია ტარზან, უკან არა ბრუნდებო. ლავრენტისგან გულდანწყვეტილ

შვილს დედა თავისებურად ამშვიდებდა – ეგეც არაფერი, მეფე-ერეკლეს მხევლობა გერჩინოს სხვის ცოლობასო. დოლორესი სიყმანვილიდან, ნათლია თამასთან ერთად თელავის მუზეუმის ფონდებში ტრიალებდა და ისიც ცნობილი იყო, რომ მეფის ნაწერებთან თუ საგნებთან ხანგრძლივი სიახლოვე ქალიშვილებს გათხოვების სურვილს უკარგავდათ.

სკოლადამთავრებულ ლავრენტის ჯარში წასვლამ უნია. სანიმუშო რიგითმა, საფრენოსნო სასწავლებელში ჩააბარა გამოცდები და ცოდნა-გამძლეობის ხარჯზე კოსმონავტთა მოსამზადებელ ჯგუფშიც მოხვდა. მაგრამ სტრატოსფერომდე ვინ მიუშვა – სათვლიო და წინმხედ ჭაბუკს სასწავლებლის შურიანმა დირექტორმა ფრთები შეაჭრა და ოჯახის შოფრად აქცია – ცოლ-შვილის აღმა-დაღმა სატარებლად, მაღაზიები იყო თუ საპარიკმახეროები. რა მოჰყვებოდა ყოველივეს, ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ერეკლე I-ის რუსეთის სამეფო კარზე თავსგადამხდარის გათვალისწინებით, დიდ წარმოსახვას არ საჭიროებს. სულ მალე ერთმანეთს თმებში ჩაფრენილი დედა-შვილი გენერალმა სატაბელო პისტოლეტიდან ჰაერში გასროლითლა გააშველა. თავად ლავრენტის კი, სამშობლოში, კავშირში ცნობილ ბელანაფუმის შვეულმფრენთა ბაზისაკენ უქნა პირი. ზედაც საწყენი სიტყვები მიაყოლა – ხოხვისთვის დაბადებული ფრენას ვერ შეძლებსო. სურდა რიგითს შეესხნებინა გენერლისათვის, რომ როცა მისი წინაპრები ჯერ კიდევ შიშვლები დარბოდნენ, თუშ-ფშავ-ხევ-სურნი და იქაც ლაზ-ჭან-მეგრელნი აფრონავებით მიიკვლევდნენ ცაში გზას, მაგრამ გაჩუმება ამჯობინა – ხვიმრაში ჯერ კიდევ „დიდი ძმების“ ეყარა და სამხრეთის, ჩრდილოეთით (ციმბირით) შეცვლა გენერალს არ გაუჭირდებოდა. შინ დაბრუნებულს, სსრკ-ს დაშლის კვალად, ერთ დროს ავლანელთათვის თავზარდამცემ აეროპორტის მინდორზე, კუდით ბუზების მოგერიებით, ძროხები ძოვდნენ და ლავრენტიც კვლავ ძველი ქალაქის მჩქეფარე ცხოვრებას მიეცა.

ეს ის დრო იყო, როცა ნაგვის საზიდ, ჭალიან ცხენის ურმებს, თვითმცლელეები ენაცვლებოდა და ლავრენტიმაც იმარჯვა და ადრე რომელიღაც კოლმეურნეობის ოღროჩოლო გზებზე ნატანჯ „გაზ-51“-ის საჭეს მიუჯდა. ნათლიას თხოვნაც შეასრულა – კისერმონყევილ ჭაბუკს, თუნდაც „პამოშნიკად“ საჭეს ვინ გააკარებდა, მაგრამ ნაგვის ძარაზე შეყრას წინ არაფერი ედგა. უშო პირმოტეხილ, ნასკოლარ ზარსაც ისეთი ოსტატობით რეკდა, რომ თვით კაიხნისწინ სკოლადამთავრებულებიც კი სწავლა-განათლების ხასიათზე დგებოდნენ და გაცდენილი გაკვეთილების გახსენებაზე თვალი სინანულის ცრემლით ევსებოდათ. ამ დროს ლავრენტის და უშოს, გახურებული რკინა-ბენზინის და კიდევ ძილიდან ვერ



ლიანო. მხატვარი ვანო გოცირიძე

გამორკვეულ დიასახლისებს მოყოლილი სუნამოს სურნელი, რაღაც უჩვეულოს ჰპირდებოდათ და აკი მალე მოლოდინმა ხორცი შეისხა – ბრიგადას კიდევ ერთი წევრი – ლიანო შეემატა.

### 3

ლიანოს მამა დაბალი იყო და საქმეც კარგად მისდიოდა – უკანა ეზოს ღობე ზუზუმბოს ტყიან ფერდს ებჯინებოდა და ტყავ-ბენვეულის მოსაპოვებლად შორს წასვლა არ საჭიროდებოდა. მამასთან ერთად მოსიარულე გოგომ ხაფანგის დაგება – ნადირის გაბმა ადრევე ისწავლა, მაგრამ დატყვევებული ციყვების თუ კვერნა-მელების დანახვისას, ტირილი ერეოდა და მათ გაშვებას ითხოვდა. ამ მიზეზით ლიანოს მამისგან არაერთხელ მოხვდა წკიპურტი, მაგრამ სავსებით ნათელი იყო, რომ ამ დავაში გოგო უკან დახევას არ აპირებდა და ბრძოლასაც დასასრული არ უჩინდა.

მაგრამ ერთმა გარემოებამ მამა-შვილის ბედი ერთბაშად შეცვალა. ბელადს მრგვალი თარილი უსრულდებოდა და სვეტებიანი სახლიდან, დაბალს ციყვის კუდებისგან, საიუბილეო ციფრების მოხაზვა დაევალა. თანაც გააფრთხილეს – ან მოხაზავ, ან მოგეხაზებაო. ამას წინ რომ არაფერი ედგა, კაცმა თავადაც კარგად იცოდა და რაც უბანში ხაფანგები იყო, ტყეში გაზიდა,





ლიანოც მიიხმარა და ნადავლის მოლოდინში სმას მიეძალა – დავალების კარგად შესრულება-შეფასებას წინ არაფერი ედგა და იქნებ რამე ჯილდოსთვისაც გამოეკრა ხელი. როცა დრო მოვიდა, ტყეს მიაკითხა და სასონარკვეთილმა მუხას თავი იმდენი ურტყა, რომ იქაურობა რკოთი მოიფინა – დაბაღს ყველა ხაფანგი აშვებულნი დახვდა. ვისი ნახელავი იყო ყოველივე, ამას დიდი კვლევა-ძიება არა სჭირდებოდა და კაციც გამეხებულნი დაეშვა ქალაქისკენ.

იქ სხვა ელდა ელოდა – მთელი უბანი შეაჯვრა, მაგრამ დასჯას გარიდებული შვილის კვალს ვერ მიაგნო. ბოლოს, სახლიდან სახლში და ეზოდან ეზოში გადასული, გაიძახოდა – გამორჩენილი შვილო, მამამ ნადიკვარზე უნდა წაგიყვანოს, კარუსელზე დაგსვას და მამალო გიყიდოსო, მაგრამ არც ამან გამოილო შედეგი. ამასობაში პირობაც აუსრულეს – ციმბირისაკენ უქნეს პირი. მალევე ცოლიც დაკარგული შვილის და გადასახლებული ქმრის დარდს გადაჰყვა და სახლში ლიანოს ღვინო-არაყზე მკითხავი ბები-ალა დარჩა. მოხუცი ცხვირში ბურნუთის შეყრით, აცემინებდა, თან არყით და ღვინით სავსე ჯამში ჩახედვით, დაბეჯითებით იმეორებდა – გოგო ცოცხალია და დაბრუნდებაო და ყოველ-შემთხვევისთვის ხმამაღლა, გამვლელ-გამოვლელთა გასაგონად გაიძახოდა – დიდება დიდ სტალინსო.

ერთხელაც, სოკოზე წასულმა ბიჭებმა, შიმელ ნიფელზე, ტოტიდან ტოტზე მხტომ, წითელ მხეცუნას მოჰკრეს თვალი. თუთასავით დარხეულ ხიდან ჩამოვარდნილ არსებაში ლიანო ამოიციხეს. მეტყველებას გადაჩვეული ბავშვი, რაკილა იღრინებოდა და იკბინებოდა, იძულებულნი გახდნენ ტომარაში ჩაესვათ და ისე მიეგვარათ ბებიისათვის. გახარებულმა მოხუცმა მაგიდის ფეხს გამოაბა შვილიშვილი და მის გონზე მოყვანას შეუდგა. საამისოდ „იავნანამ რა ჰქმნას“ მიბაძვით, პიონერულ სიმღერებს უმღეროდა, რადგან დაკარგვამდე ლიანო, კედლის რადიოზე ყურისმიდებით ხალისით უსმენდა „პიონერთა დაფიონს“. ხერხმა გაჭრა და მალე გოგო თავ-ადაც ჰყვებოდა სიმღერაში ბებოს. მაგრამ ეს იყო და ეს. სკოლაში ლიანო ციყვივით მერხი-დან მერხზე ხტოდა, კარადის თავზე ექცეოდა და საბურთეში მალავდა რაც ხელში ხვდებოდა, საშლელი იყო თუ კალმისტარი.

ლიანოს პირველი თანაკლასელები ლამის სკოლას ამთავრებდნენ, ცელქი ბავშვი კი კვლავ დაწყებით კლასებში ბუდარაობდა. როცა საყოველთაოდ ცნობილმა და არაერთი თაობის აღმზრდელმა ელენე მასწავლებელმა, ბებია სკოლაში დაიბარა. საყვედურის საპასუხოვ, დედაბერი, მართალი კაცის თუ ქალის იერით ლიანოს მიუბრუნდა – რატო არა სწავლობ, შვილო, დილით არაყი არ გაკლია და საღამოთი ღვინოო. ამ

სიტყვების შემდეგ ორივე მხარე მიხვდა, რომ ცვილისებრ სიმწიფეში შესული გოგო სკოლას უნდა დამშვიდობებოდა.

ეგ იყო, ლიანოს გული შინ არ უდგებოდა და უფრო უბანში ტრიალებდა – მოხუცებს და დაჩემხილებს პურს უზიდავდა, ხელოსნებს წყალზე ეგზავნიებოდა, მცირე გასამრჯელოდ ეზოს და ქუჩას გვიდა, ფეხსადგილსაც არ ეკრძალებოდა და როცა მანანწარაზე ტარზანა-უშო გამოჩნდნენ, ჩოფურა „გაზ-51“-ით, მიუხედავად ბებიის წინააღმდეგობისა – რა ესაქმება ლამის გასათხოვარ გოგოს მანქანასა და ორ ზრდასრულ მამაკაცთანო, ლიანო თვითმცლელს შეახტა და უბნის ქალების გულის გასახეთქად მინაჩამოშვებულ „კაბინკიდან“ გაბუებულნი თავის გადმოყოფით შესძახა – გაუმარჯოთ იმ პირებს ვინც სიყვარულს გვიპირებსო!

## 4

ლიანოს ბრიგადაში მისვლით, უშოს და ლავრენტის ცხოვრება თვალშისაცემად შეიცვალა. ერთი რომ ბიჭებმა თავებს მიხედეს. განა სიგარეტს ან სმას დაანებეს თავი, უფრო პირიქით, მაგრამ სამსახურში წვერგაპარსულ-პირდაბანილები ცხადდებოდნენ. ნაგვის გამოტანისას, იერშეცვლილი ჭაბუკების დანახვაზე, ნამძინარევი დიასახლისებიც მეყსეულად, გულისპირს და თმას ისწორებდნენ. ზედაც ლიანოს ქოქოლას აყრიდნენ – უყურე შენ ამ ცხვირმოუხოცავს, ქოჩორზე არ ატრიალებს ამხელა ვაჟკაცებსო. ბრიგადა ამოუსუნთქავად შრომობდა, ან სხვა რა გზა ჰქონდა როცა ქალაქს ერთი თვითმცლელი ემსახურებოდა. ლიანომ იმდენი წმინდა და ხეხა „რკინის რაში“, რომ ბადრ მთვარეს დაამსგავსა და მალე გაკრიალებულ მანქანას პატივისცემით აყოლებდა თვალს ქუჩაში გამოსული პარიკმახერი თუ თერძი. ეგ კი არადა, მალე ჭირის-უფალნიც არ ერიდებოდნენ ლურჯას ქირაობას – საქელეხე ჭურჭელ-მაგიდების მიტან-მოტანა იყო თუ თავად გარდაცვლილის უკანასკნელ გზაზე გაცილება.

ქუჩაში ტაატით მიმავალი, საქარე მინაზე გარდაცვლილის გადიდებულ სურათიანი მანქანა აღარავის უკვირდა. ტარზანა დაბალი გაზით მიუყვებოდა სასაფლაოს აღმართებს, უშო კი ვინსენტ ვან გოგის „მთესველივით“ ყვავილებს უფენდა უკანასკნელ გზაზე შემდგარ ქალაქელს. ამ დროს არც სევდიანი ლიანო იყო უსაქმოდ – ძარიდან უშოს ყვავილებს აწევდა. პატივისცემის ნიშნად, ქელეხში მობრუნებულ ბრიგადას ცალკე უშლიდნენ სუფრას და როგორც სუსტი სქესის წარმომადგენელს, ლიანოს „ჯავახიშვილსაც“ უცურებდნენ ჯიბეში. თუმცა ბრიგადის უპირველეს საქმედ, რა თქმა უნდა, მაინც ქალაქის



დასუფთავება რჩებოდა.

დადგენილი წესით, დღის ბოლოს, მზესუმზირის ჩენჩოს თუ კანფეტ-ნაყინის ქალაქის გასატანად, კინოს აკითხავდნენ. ადრე, ფილმის დასრულების მოლოდინში, ტარზანა და უშო ყალთაბანდობით ცნობილ კინოსუბნელებთან ერთად ტროტუარზე ჩამომსხდრები კარტით ან კოჭაობით ირთობდნენ თავს და რა დასამალია, სხვებთან ერთად ბილნსიტყვაობდნენ კიდეც. ლიანომ არც ერთი თამაში იცოდა და არც მეორე და გინების გაგონებაზე ხომ უკმაყოფილებისგან მთლად ცხვირი ეჭმუჭნებოდა და ბიჭებს დღენიდაც დარბაზისკენ უბიძგებდა.


თავიდან მაგრად დადგენ უშო-ტარზანა, კინო რა ვაჟკაცების საქმეაო, მაგრამ გოგოს ტირილ-ზუზუნს ვერაფერი მოუხერხეს და მალე ჩაბნელებულ, კინოდანადგარის სხივებით აჭრილ-მოზუზუნე დარბაზში უკვე სამივენი ისხდნენ ხელიხელჩაკიდებულნი – ლიანო შუაში აქეთიქიდან კი უშო და ლავრენტი.

კინო ბევრნაირი იყო – ზოგი გასაგები, ზოგიც გაუგებარი, მაგრამ ერთი რაც ეჭვს არ იწვევდა – ხელოვნება აკეთილშობილებდა ადამიანს. ყოველ შემთხვევაში ასე ეწერა ფოიეში გაკრულ გახუნებულ პლაკატზე და თითქოს ამის დასტურად ბრიგადა ჩაფიქრებული და თითქოს შეცვლილი (უკეთესობისკენ!) გამოდიოდა კარში.

ძარას კინოს ნაგავს რომ შეაყრიდნენ, ძველ ბაღს აკითხავდნენ და დახუჭობანას თამაშობდნენ. უფრო ხშირად ლიანო იხუჭებოდა და რაკილა თვლა არ იცოდა, სანამ ბიჭები დაიმალებოდნენ, სულ ერთი, ერთს გაიძახოდა. ამასობაში ლავრენტი სულაც მოედნის მეორე მხარეს გადადიოდა, სადაც ბირჟაზე მდგომ ძმაკაცებთან ერთად გეგეს იაფფასიან სასადილოში რამდენიმე მანეთად ყველ-პურს და ერბოკვერცხს შეექცეოდა, თავისთავად ცხადია, რვა ნომრის თანხლებით.

მარტო დარჩენილ უშო-ლიანოს მორიგეობით უწევდათ დახუჭვა. ანონილი უშო ნაბელ უთხოვარში იმალებოდა, ლიანო კი ციხე-გალავნის გასწვრივ დარგულ ტუიის ბუჩქებში. ლიანო შორიდანვე ამჩნევდა ნადიკურის ნიაგით აღელვებულ ტოტებში უშოს დაძენილ თუშურ ქუდს, მხარბეჭზე გრძელკალთება პალტოს და სულ ბოლოს ლანჩადაძრულ, დრო-უამინდობით დატალღულ ფეხსაცმელს. ხო წინდანინ იცოდა გოგომ სად იმალებოდა უშო, მაგრამ ყოველ მის პოვნაზე გახარებული გაჰყვიროდა – დაგინახე, დაგინახე, გამოდიო.

დახუჭული უშოც იოლად პოულობდა, ბე-



## ზურაბ არსენიშვილი

ბიისგან სახადსა და ბოროტი თვალისგან დასაცავად მუდამ წითლებში გამოწყობილ გოგოს და ორივეს ერთურთის დანახვის სიხარული უვლიდა. ამგვარი თამაში, შეზარხოშებულ ტარზანას დაბრუნებამდე გრძელდებოდა და ბოლოს სამივენი, „კაბინკაში“ ჭედვით მსხდომნი შინისკენ მიმავალ უკაცრიელ ქუჩებს მიუყვებოდნენ.

ბრიგადა დროდადრო ერთად ქეიფსაც ახერხებდა. ქოხივით უთხოვარის ბუჩქიდან დიდხანს ისმოდა დაულაგებელი ლაპარაკი და შიგადაშიგ სიც依ლი. უფრო ტარზანა იცინოდა, რადგან უშო ლიანოსთვის ამკარად სიყვარულის ახსნას ცდილობდა და საქებრად გოგოს, ორივე ხელის მოძრაობით, მკერდ-თემოს მომრგვალებაზე მიანიშნებდა. ლიანო თავისმხრივ ცდილობდა უშოსთვის ესამოვნებინა და ბოლო დროს თავ-კისრის დაჭერას უწონებდა. ზოგი შურიანი ყოველივეს ჰუმანიტარულ დახმარებას აბრალებდა, თუმცა სახეცვლილ წყვილის შემყურე ხალხი პირფარას იწერდა და გაკვირვებული ხმამაღლა აყოლებდა – სიყვარულო ძალსა შენსაო.

წელიწადის დროთა მიხედვით სუფრად გაშლილ გაზეთზე, ხან კიტრ-პამიდორი ელაგა, ხანაც ჭიჭყინა და ხახვი. ყველაფრის გვირგვინი, რა თქმა უნდა, ჭაჭა იყო. უფრო ერთ ნახევარლიტრიანს სჯერდებოდნენ. შეჭიკჭიკებულები სახლში წასვლას არ ჩქარობდნენ და ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვებით საუბრის აწყობას ცდილობდნენ. ლიანო სუფრად გამოყენებულ „ალაზნის განთიადის“ თვალღებრებასაც ასწრებდა.

ერთ საღამოს, პამიდურის წვენივით წითლად შეღებულ ბოლო გვერდზე უცნაური რამ შეეფეთა – აღელვებული ზღვის ტალღებს გემი მიაპობდა, კიჩოზე კი ფრთებივით მკლავგაშლილი, ერთმანეთს აკრული ქალ-ვაჟი იდგა. ლიანომ კარგა ხანს თვალი ვერ მოსწყვიტა სურათს და ბოლოს კი ჩაფიქრებით თქვა – სიყვარული მეც მინდაო. გინდა და ხვალ კინოში გაჩვენებთო, დაამშვიდა გოგო ლავრენტიმ.

5

მეორე დღეს, ქალაქის შემოვლის შემდეგ, ბრიგადა კინოს მიადგა. ეგ იყო ლიანო საკუთარ თავს არ ჰგავდა – თმები ხომ საგანგებოდ დაეზან-დაევატრცხნა და არც ბებიისგან მოპარული პუდრ-პომადა დაეკლო პუტკუნა ლოყებისათვის. შედეგად, ძალიან შორეულად, მაგრამ მაინც ორ ლიას – კინომსახიობს და ტელედიქტორს





ნააგავდა. აკი ტარზანამ იხუმრა კიდეც – შენ დანახვაზე დიკაპრიო ეკრანიდან დარბაზში არ ჩამოხტესო. რა თქმა უნდა, გოგოს ამ ნათქვამის არ სჯეროდა, თუმცა მაინც დაიმორცხვა და ბოლოკაბა მუხლებზე ჩამოიჭიმა. ფილმის მოლოდინში ლიანოს საკნატუნო მზესუმზირის ამოღებაც კი დაავიწყდა და კარგა ხანს ტუჩებს უსამიზნოდ აცმაცუნებდა. უშოც უჩვეულოდ გამოიყურებოდა – წვერი ხომ გაეპარსა და ქოჩორიც გაზეთში გამოხატული ბიჭივით შუაზე გაეყო. აკი ტარზანამ წვერს ქორნილიც უხსენა და თან დააყოლა – ყველაფერი ნათელია, კინო რალად გინდათო. ვინ იცის კიდეც რამდენჯერ გაანთლებდა ტარზანა ბრიგადის წევრებს სენსი რომ არ დაწყებულყო. თეთრ ზენარზე ქალაქივით გემი გამოცურდა. ლამის თელავივით (ვინმეს თელავივით არ შეეშალოს!) ვრცელი და ნათურებით გაჩახჩახებული (ამაში კი თელავი ნამდვილად ჩამოუვარდებოდა გემს, რადგანაც აქაურ, ისედაც მზუფტავ ნათურებს, ონავრები წარამარა შურდულით ამსხვრევდნენ) მაგრამ მთავარი მაინც სისუფთავე იყო. გემბანებსა თუ რესტორნებში იატაკი ყინულივით ელვარებდა. აკი ლავრენტიმ კიდეცაა გადაულაპარაკა უშოს – არა, ჩვენ ბრიგადას აქ არაფერი ესაქმებაო.

გემი ხომ ბზინვარებდა და ბზინვარებდა, მაგრამ არც ხალხი იყო ნაკლები – ნატიფი, თითქმის გამჭვირვალე ტანსაცმელში გამოწყობილი. ეკრანზე ქალების ახლოს მოტანისას ტარზანამ ჩვეულებისამებრ მაყურებლის გაცინება სცადა და ხმამაღლა შესძახა – იქნებ ქმრებისთვისაც შეგენახათ რამეო, მაგრამ დარბაზი დაძაბული დუმილით შეხვდა უადგილო ხუმრობას. ან რას დაგიდევდნენ მოგზაურნი თავის თუ სხვის სიშიშვლეს, როცა ბროლ-ბადახშით მობრჭყვიალენი, ყველაფრით ბედნიერ-კმაყოფილნი, ძვირფასად განყოფილ მაგიდებს უსხდნენ – ჭამდნენ, სვამდნენ და ბანქოს თამაშობდნენ. და რაც მთავარია ბედს ეძიებდნენ. ერთი დედაშვილი განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქცევა-შეხედულებით. მალევე გაირკვა რომ ქალბატონი მდიდარ საქმროს ეძებდა შვილისთვის და აკი დაადგა კიდეც თვალი ერთ ჭაბუკს. მაგრამ ლიანო ატყდა სამგლე გოჭივით – არ უყვართ ამ გოგო-ბიჭს ერთმანეთიო და მართლაც მისი გუმანი გამართლდა – მალე მესამე გმირიც გამოჩნდა, გემის ქვემო, უსარკმლო სართულში მაცხოვრებელი ღარიბი ირლანდიელი მხატვარი.

შუაზე გაყოფილი ქორით უშოს მიმსგავსებულმა ახალგაზრდამ, არც აცია, არც აცხელა და საცეკვაოდ გაიწვია საპატარძლო. ახლა ამაზე ატყდა ლიანო – აი, ესენი არიან ფანდებიო. მართლაც საქმე ისე დატრიალდა, რომ მხატვარმა გოგო თავის კაიუტაში მიიწვია და შოშვლადაც დახატა. მერე კი მთელი დარბაზის გასახარად ჩაენუნენ კიდეც ერთმანეთს. როგორც მკითხა-

ვი ბებო არიგებდა, ლიანომ ამ დროს თვალზე ხელი აიფარა. თუმცა გვერდზე მჯდომთათვის აშკარა იყო – გოგო თითებს ფარჩხავდა და ეკრანს ზედმინევით აკვირდებოდა. ეგ კი არადა, ერთი-ორჯერ ლიანომ ხმაურით ნერწყვიც კი ჩაყლაპა. ამის გამგონე-დამნახავმა, კარგ მონადირესავით მუდამ ჩასაფრებულმა ტარზანამ გოგოს ხელი ხელში მოიგდო, მაგრამ ლიანომ მაჯის დატრიალებით თავი გაითავისუფლა და მოძალადეს ბარძაყზე მწარედ უჩქმიტა, თანაც უშოსკენ გადაიხარა და მის გვერდზე გადმოვარდნილ თავს თავი მიაღო.

მოპარული ბედნიერება დიდხანს რომ ვერ გაგრძელდებოდა, ეს თავიდანვე ნათელი იყო და ლიანოც ბავშვური უშუალობით ხელს ხელზე უჭერდა უშოს, თანაც ეკითხებოდა – ნაგავს თუ არ გაიტანენ გემი ხომ ჩაიძირებაო. უშოც როგორც შეეძლო ისე ამშვიდებდა, განა რასაც ვუყურებთ მართალია, გვატყუებენო.

აი უშოს ძილისმომგვრელი სითბო კი ეჭვს არ იწვევდა და მთელი დღის ნაშრომ ლიანოს თვლენა მოეძალა, მაგრამ ეკრანზე მალე ისეთი ამბები დატრიალდა, რომ მთელი დარბაზი ლამის ფეხზე წამოხტა – გაჩირაღდებული გემი რაიკომის შენობასავით დიდ და თეთრ ყინულს დაეჯახა და „ტიტანიკი“ ნამში ნაფოტებად იქცა. კიჩოზე ხელებგაშლით მდგომი ჯეკი და როუზი (ლეონარდო დიკაპრიო და კეიტ უინსლეტი!) სიბნელემ ჩაყლაპა და ამ დროს დარბაზშიც შუქი ჩაქრა. ასეთი რამ ხშირად ხდებოდა და მოვლენათა თანხვედრით შეშინებული ხალხიც სანთელ-ასანთის მოლაციცე შუქზე დარბაზიდან სწრაფად გაიკრიფა.

ტარზანამ მანქანა დაქოქა და გარაჟისკენ დაეშვა. უშომ და ლიანომ კი მანანწრისკენ გაქუსლეს. ეს გზა ორივეს უთვალავჯერ ჰქონდათ გავლილი – ჯერ ერეკლეს გამზირი, მერე ხიდზე გადავლით ჩოლოყაშვილის ქუჩა და ბოლოს დაბახნები. მაგრამ ის საღამო არცერთს არა გავდა. სიტყვების შერჩევა-წვალებით და შუბლის ჭმუხვებით, ლიანომ უჩვეულოდ მხიარული ხმით უშოს ჰკითხა – ტარზანა მთვრალი რომ იყოს და მანქანა ზღვაში ყინულს დააჯახოს, ჩვენც ხომ იმ გოგო-ბიჭივით დავიხოცებითო. უშომ ლიანოს მხარზე ხელი გადაჰხვია და ჩამქრალი ხმით დაუდასტურა – მარაო. ჰოდა, ჩვენც სულ ერთად ვიქნებით საიქიოშიო, ტაში შემოჰკრა ლიანომ და ცარიელ ქუჩაში დატრიალებული ექო კარგა ხანს აწყდებოდა ჩაბნელებულ თელავს. არამკითხე მოთვალთვალეებს რა გამოლევს და ზოგის მტკიცებით ამ დროს უშომ გოგოს აკოცა კიდეც და ამაში არაფერია გასაკვირი – ანონილი ჭაბუკის გვერდზე გადავარდნილი თავი ძლიერ აახლოვებდა გოგო-ბიჭის ტუჩებს.

შესაძლოა ეს ფერება-ალერსი კიდეცაა გაგრძელებულიყო, მაგრამ მეორე დღეს უეცრად



გარდაცვლილ ელენე მასწავლებელს კრძალავდა ქალაქი. და წყვილმაც ფეხს აუჩქარა.

6

რევოლუციის თანატოლი ელენე მასწავლებელი ბევრ რამეს მოესწრო – კოლექტივიზაცია იყო, ოცდაჩვიდმეტი წელი თუ მეორე მსოფლიო ომი. პირქუმ ცხოვრებას ზამთრის მზესავით, აქა-იქ ბედნიერებაც ახალისებდა – უპირველეს ყოვლისა, სწავლა-განათლების, სიყვარული-გათხოვების თუ დედობის სახით, მაგრამ გაჭირვება-ჩაგვრა მაინც წონიდა სიხარულს. ერთი შემამსუბუქებელი ის იყო, რომ ირგვლივ ყველა ერთ ტაფაში იხრაკებოდა. თუმცა, ელენე, იმთავითვე, განსაკუთრებული ხასიათის გამო, საყოველთაობიდან განცალკევებით იდგა.

მშობლებმა შვილს ადრევე შეამჩნიეს უცნაურობა – გოგონა დანაყრებულზე უფრო ტიროდა ვიდრე მოშიებულზე. თანაც საკუთარი თავის მესამე პირში მოხსენიებით – ელენეს შიამ – თვალების სრესვით იწყებდა ზღუქუნს. დედა დამატებით ულუფას უსხამდა, მაგრამ გოგო პირს არ აკარებდა საჭმელს და კვლავ ჯიუტად გაიძახოდა – ელენეს შიამ. ისევ მამა მიხვდა ბავშვის ნუხილის მიზეზს. ერთხელაც სადილი გვერდზე ოთახში თითქოს ვინმე ელენეს გაუტანა და ბავშვიც დამშვიდდა. გარდა საჭმლისა, გოგო ტანსაცმლის ჩუქებასაც ითხოვდა უხილავი მოსახელისათვის და მშობლებსაც მორჩილად გაჰქონდათ ზედა-ქვედა ჩასაცმელი გვერდზე ოთახში, თუნდაც იმიტომ რომ ბავშვის ახირებული ხასიათი ქალაქში არ გახმაურებულყო.

მხოლოდ მოგვიანებით შეძლო ელენემ მშობლებისთვის ამ უცნაური ქცევის ახსნა – თავის შეცნობის პირველივე დღეებიდანვე მიხვედრილიყო ბავშვი, რომ ის სხვაგანაც, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქითაც ცხოვრობდა. ამის გამგონე დედ-მამას ლამის გული წაუვიდათ, მუდამ გლობუსთან მოტრიალე გეოგრაფიის მასწავლებელი ნიკო პაპა კი მშვიდად შეხვდა ყოველივეს. უფრო მეტიც, სახეზე სიხარული გამოესახა და კმაყოფილმა დააყოლა – ჩვენი ერისთვის დამახასიათებელი ორი სამშობლოს სინდრომი ჰქვია ყოველივესო და აპიანე ალექსანდრიელის და სტრაბონის მოხმობით, ორი იბერიის ამბავს მოყვა. მეფის ბაზიერთუხუცესების შთამომავალმა, ქალაქში ერთადერთმა ტაქსიდერმისტმა ნიკო პაპამ ის დრო გაიხსენა, როცა ფრთაასხმული წინაპრები ორ ქვეყანას შორის დანავარდობდნენ. მერე პიანინოზე შემოდგმულ არწივის ფიტულს გახედა ცერად და ხელის ჩაქნევით ჩაილაპარაკა – ეხლა კი ამ მტვრის ბუდეს უნდა დავეჯერდეთო.

პატარა ელენეს, ერთხელაც, სამიანის მილე-

ბისას კლასში წამოსცდენოდა – არაუშავსრა, ბასკეთში ოთხი მივიღეო. თანაც პაპის მონათხრობიც მოეყოლებინა ბასკთა და ქართველთა ძმობაზე. იქვე დაექადა, როგორც კი გავიზრდები ესპანეთში გავფრინდებიო. რადგან დრო იყო ასეთი, როგორც ბებერ წიფელს მაჩალო, კედლებსაც ესხათ ყურები, ზაფრანისფერ შენობამდე მიაღწია ბავშვის ნათქვამმა. ელენე მხოლოდ კუთხეში დააყენეს უცნაური საუბრების გამო, აგენტად შერაცხული პაპა კი გიგოს გორის გზას გაუყენეს.

კარგა ხანს დამწუხრებულ-შეშინებული ელენე აღარ ახსენებდა თავის ორეულს და მეორე სამშობლოს, მაგრამ ფრენისთვის ჯიუტად ემზადებოდა. როგორც კი სრულწლოვანი გახდა „დოსაფის“ საპარაშუტო წრეს მიაკითხა. იქვე გაიცნო მომავალი მეუღლე მონინავე მსტომელი და კომკავშირელი, ალექსანდრე ნიკლაური. თუმცა ველზე, ქალაქის ფერხთით, კურდღელაურის სანახებში ორი, სამხედრო და სამოქალაქო აეროდრომი იყო (რითაც სრულიად სამართლიანად დღესაც თავს იწონებენ კურდღელაურელები!) ადგილობრივ ახალგაზრდებს, ჩრდილოელნი ახლოს არ აკარებდნენ თვითმფრინავებს – აქაოდა თავისუფლებისკენ გასწევთ გულიო და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ესპანეთში სამოქალაქო ომი ატყდა სტალინმა ვითომდა შორეული დის დოლორეს იბარურის დასახმარებლად, სინამდვილეში კი ევროპაში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის წინ გიტლერისთვის მაჯის მოსასინჯად, ინკოგნიტოდ მფრინავები გაგზავნა. ალექსანდრესაც გაეხსნა გზა – რა თქმა უნდა, გარეგნულად მფრინავები ესპანელთა მსგავსნი უნდა ყოფილიყვნენ. როდესაც ჭაბუკი ადრე არაერთხელ მისი დამწუხრებელი კომისიის წინაშე წარსდგა, იგივე ხალხი, მისი აქეთ-იქით შეტრიალებით, აღფრთოვანებას ვერ მალავდა – ტი პოსმოტრი, ტოჩტორ პირინეისკი ორიოლო.

როცა ალექსანდრე, ესპანეთში გასაფრენად ფრთებს ისწორებდა, ელენემ ორი რამ სთხოვა ქმარს – მისი ტყუპისცალი ელენე ენახა და ბავშვობიდან სანატრელი, ფრენის ჟინის ერთგვარად შემამსუბუქებელი, ცაში მოლივლივე ფრანი გამოეყოლებინა. სამწუხაროდ „სავოია“ – „მესერშიტებთან“ მოუქნელი „ილით“ პირველივე შეტაკებაში ალექსანდრე ჩამოაგდეს და რომ არა მედდა სახელად ელენე ალბათ, როგორც ბევრი სხვა ისიც უყურადღებობით დაიღუპებოდა. მედდამ საკუთარ სახლში წაიყვანა საბჭოთა მფრინავი. გზადაგზა, საქართველოდან შორს მყოფი კაცი, გაცეცხული გაყურებდა ბავშვობიდან ნაცნობ, თითქოს ალექსანდრე ორბელიანის კალმით აღწერილ თელავს – ქვითკირით ნაგებ, კრამიტით გადახურულ სახლებს და ჩრდილიან-წყაროიან ბალ-ვენახებს. მერე გოგირდ-ტყავის უსიამო, მაგრამ ნაცნობი სუნიც







მისწვდა და მედლა-დაჭრილი დაბახნების აღმართსაც შეუდგნენ. ქვითკირის სახლის კიბეზე ასვლისას, მისი ტარებით დალილ მედლას, თელავიდან აყოლილი, ელენეს მზით ალანძული თმების სურნელი ავარდა და ალექსანდრემ ერთბაშად თავი შინ მისულად იგრძნო. აკი მერე, როცა საბოლოოდ დადგა ფეხზე, კიდევ მისწერა ელენეს – რა მნიშვნელობა აქვს სად ვიქნები შენი ქმარი, მანდ თუ აქო. მერე ჩურჩულზე გადასული მწუხარებით აუწყებდა – ფრანკოსთან ბრძოლას შეენირა ჩემი სანაშენეო. მას შემდეგ ელენეს და ალექსანდრეს შორის კავშირი განწყდა, რადგან ესპანეთში დიქტატურა დამყარდა, არანაკლებ სუსხიანი ვიდრე საბჭოთა კავშირში და ორი მომავალი გენერალისიმიუსი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა. თელავში მარტოდ დარჩენილი ელენე კი დოლორესის და მოსწავლეთა აღზრდით იქარვებდა დარდს.

როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა და საზღვრებიც გაიხსნა, ელენემ დოლორესს შესთხოვა – იქნებ ესპანეთს გაემგზავრო, მამაშენი მოძებნო და რაც მთავარია ერთი ფრანიც (მფრენი!) გამოაყოლო. ფრენის ახალგაზრდული ჟინი ასაკმაც ვერ გაუწელა ქალბატონს – რაც კი მოძრაობდა ცაში - ჩიტი, ბუშტი თუ თვითმფრინავი, ყველაფერს სურვილიან მზერას აყოლებდა დამსახურებული ქალბატონი. თავადაც ცდილობდა ქალაქის ჩიტების გაშვებას, მაგრამ მათი ფარფატის დრო და მანძილი ერთობ მოკლე იყო. ეგეც რომ არა, ერიდებოდა თანაქალაქელების, რადგან გარდა ლიანო-უშოსი ყველა აღმაცერად უყურებდა დამსახურებული პედაგოგის ამ გატაცებას.

დოლორესი უცხო ქვეყანაში ჩასვლისთანავე მამის კვალს დაადგა და თავის გასაკვირად სრულიად სალსალამათ კაცს მიაგნო. ალექსანდრეს როგორც სკას ფუტკარი, დიდ-პატარა შვილები ეხვივნენ ირგვლივ. თითქოს დანაშაულზე წასწრებულმა კაცმა თავი იმართლა – აქ მაინც ამოუვდგე ერეკლეს გვერდში და ერი გავამრავლო. შვილმა დაუყოვნებლივ, ტელეფონით აცნობა დედას სასიხარულო ამბავი და ზოგის თქმით ელენე ამ ამბავსვე შეენირა. უცნაური რამ დამართვოდა გამოცდილ ქალბატონს – კრამიტების გასწორებისას სახურავიდან გადმოვარდნილიყო. ბევრი რამ იყო ამ სამწუხარო ამბავში საჭოჭმანო – ერთი რომ კრამიტის დაცურებისას, ელენე უშო-ლიანოს უხმობდა და ყოფილი მოსწავლეები სიხარულით ადიოდნენ სახურავზე, საიდანაც ნახევარი ქალაქი, ალაზნის ველი და კავკასიონი მოჩანდა. და რაც მთავარია, როცა ხმაურზე მეზობლები გამოვიდნენ, ქვაფენილზე უსულოდ მწოლარე ელენეს გვერდით, სახსრებში ამობრუნებულ, გაშლილ ქოლგას აწვალებდა ნიავი. ვილაცას ვითარების ამხსნელი სიტყვაც ეთქვა – მაინც აისრულა სურვილი

ქალბატონმა და თუმც ხანმოკლედ მაგრამ მაინც ფრენის ნეტარებას ეზიარაო.

დოლორესმა, გადაჯდომი-გადმოჯდომით ორ დღეში მოაღწია თელავამდე. დანარჩენი ჩვეულებრივი გზით წარიმართა – ლიანა-უშომ ტყიდან ნაყარი და ამიტომ იოლად ასანთები შეშა მოიტანეს, ლავრენტიმ გაქირავებიდან სკამ-მაგიდები და ჭურჭელი გადმოზიდა, მზარეულად კი გამოცდილი პატიკო მოინვიეს და შემოგარენში მალე ბოლს აყოლილმა ხაშლამის სუნმა იმძლავრა. ერთადერთი რაც საჭოჭმანო გახდა – არეულ წლებისთვის ჩვეულმა ღვინის ნაკლებობა-ხარისხმა იჩინა თავი. კასრში, არაერთხელ გამოყენებისგან გამოქაჯულ-გამომშრალი ჭაჭის ამოსარევად ბარ-ნიჩაბი გახდა საჭირო. თუმცა, პატიკომ მალევე დაამშვიდა მატრიალებლები – არხეინად იყავით, ისეთ ღვინოს დაგაღვივინებთ თავი ცაში გეგონოთო.

## 7

როგორც იტყვიან, დაკრძალვის დღეს ავს არაფერი მოასწავებდა. ხალხი ბევრი იყო, ელენე მასწავლებლის ნამოსწავლარი და პატივისმცემელი, ასევე ნათესავები დედაქალაქიდან თუ სოფლიდან. უშო-ლიანოც საგანგებოდ იყვნენ გამოწყობილები. რამდენიმე დღით ადრე, ქალაქში ინგლისიდან ჰუმანიტარული დახმარება შემოვიდა. უშოს რბილი, ფეტრის ცილინდრი, წელში გამოყვანილი ფრაკი და წვერაპრეხილი, შავი მოკასინები ერგო. ამის გამო, მამის საყვედური დაიმსახურა – არტისტობას ხომ არ აპირებ, ზამთარი კარზეა მომდგარი – ყურებიანი ქუდის, დაბამბული პალტოსა და რეზინის ჩექმისთვის გებრძოლაო.

დაახლოებით იგივე საყვედური უთხრა ბებია მამის ლიანოს, რომელსაც ფუთიდან საქორწინო, თეთრი, კოჭებამდე კაბა, ასეთივე ფერის მალაქქუსლიანი ფეხსაცმელი და ბუმბულებიან-ფარფლებიანი ქუდი ამოაერჩია – გოგო, შე არდასარჩენო, საცაა აცივდება, დაბამბული ტელეგრეიკა და თბილი საცვლები მოგეთხოვაო. მერე მცირე ჩაფიქრების შემდეგ დააყოლა – მეც ვამბობ რაა, ბიჭებთან მოტრიალე ახალგაზრდა გოგო საქორწინო კაბას შეარჩევდა, მკითხავობა უნდა მაგასო.

მიუხედავად უფროსთა უკმაყოფილებისა, წყვილი მართლაც უცხოვად გამოიყურებოდა და დამსწრეთა დაუფარავ ყურადღებას იქცევდა. ზოგიერთმა თბილისელმა, ქალ-ვაჟი, ადგილობრივი თეატრის, დაკრძალვისთვის საგანგებოდ გამოწყობილ მსახიობებათაც კი მიიჩნია. მით უმეტეს, რომ მათ თავს ზემოთ, მანქანაზე გამომბული, ესპანეთიდან დედისთვის ჩამოტანილი შავი ფრანი ლივლივებდა.



ბრიგადის ოსტატობა პირველივე ნაბიჯებიდან გახდა საცნაური – უშო საქმის ცოდნით, ვან გოგის მთესველივით, მარაოსამებრ აბნევდა ყვავილებს მანქანის წინ. მაღალ ქუსლებზე პირველად შემდგარ ლიანოს, თუმც ნარამარა ფეხი უბრუნდებოდა, მაინც დროულად აწვდიდა უშოს ძარიდან ვარდ-ყვავილებს და ელენე მასწავლებლის პატივისცემად გამოსული ნოქრები, ხაბაზები თუ დალაქები გაოცებას ვერ მალავდნენ უცნაურად გამოწყობილ, თანაქალაქელთა დანახვისას. ქალ-ვაჟი დიდს და პატარას ვილაცას ახსენებდათ, მაგრამ კერძოდ ვის, ამას ვერავინ ხვდებოდა, მანამდე, სანამ პროცესია ყოვლისმცოდნე რაიონული გაზეთის რედაქციას არ მიუახლოვდა.

ელენე მასწავლებლის პატივისცემად მთელი შემოქმედებითი კოლექტივი გამოშლილიყო. ფოტორეპორტიორი საშა ბროდსკი კი სახის ცვალებადი მიმიკით გამალებით აჩხაკუნებდა აპარატს. რეპრესიების ტალღით თელავში ვინ იცის საიდან გადმოგდებულმა ფოტორეპორტიორმა, რომელიც წვერის გაპარსვისას, „სამმაგ“ ოდეკოლონს ხახაში უფრო მეტს ისხამდა, ვიდრე სახეზე, ერთბაშად ამოიძახა: სამ ანგლისკი პრინც ჩარლზ ი ეო სუპრუგა დაიანა პოჩტილი პამიატ უსოპშიო!

რა თქმა უნდა, ინგლისის პრინც ჩარლზის და პრინცესა დაიანას ძლივს გაყრის შემდეგ, მეფის კარის წეს-კანონების პროტესტის ნიშნად, ორივეს, საქორწინო ტანსაცმლის ყველაზე ძნელად განვითარებად ქვეყანაში, ესეიგი საქართველოში გამოეგზავნათ – იქნებ იქ მაინც აღირსოს უიღბლო სამოსმა ვინმეს ბედნიერებაო.

პროცესია მშვიდობიანად დასრულდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ტარზანას მანქანამ გაქირის გარეშე მიაღწია სასაფლაომდე – გზადაგზა არც გაცვეთილი საბურავი დაეშვა და არც სანვავი გაუთავდა. მერეც, ოჯახში მობრუნებისას, ყველაფერი დადგენილი წესით წარიმართა – ქალები ოთახებში გაშლილ სუფრას მიუხსდნენ, კაცები, მათ შორის ლავრენტიც აივანზე დასვეს. თავად უშო-ლიანო, როგორც ყოველთვის, ზედადგარ-ცეცხლთან სიახლოვეს, იქ სადაც პატივო ტრიალებდა, სკამ-მაგიდად ამობრუნებული ხის ყუთებზე გაუშალეს სუფრა. წყვილი მოკრძალებით იქცეოდა არც უშო ითხოვდა ბოზბაშის გამეორებას და არც ლიანო სიგარეტს. შესაძლოა ყოველივე, ინგლისის სამეფო კარის სამოსის გავლენა იყო ან თუნდაც თავად ელენე მასწავლებლისადმი პატივისცემისა.

სუფრას მხოლოდ ღვინო აფერმკრთალებდა. ოთხმოცდაათიანი წლების არეულობამ თვით შაჰ აბას გადარჩენილი ვენახები გაამეჩხერა და ამოგდების პირზე მიიყვანა. ერთმანეთს ქონებაზე დარეულმა პოლიტიკოსებმა თუ სამშობებმა შაბიამანიც გააქრეს და ვაზიც. არადა ქართველი



*მხატვარი სოფიო ქელიძე*

უღვინოდ იგივეა რაც ბოშა უცხენოდ. ხალხმაც გამონახა თრობის საშუალება – ადრე რიყეში გადასაყრელად გასამეტებელი გამოქაჯული ჭაჭა და წყალში გახსნილი დიმედროლი, კარგად არევისას, ღვინოს ნააგავად. ეგ იყო წამლის დოზირება უნდა ყოფილიყო ზუსტი. რასაც მხოლოდ მეღვინის კი არა ექიმის ცოდნაც სჭირდებოდა. არადა ერთიც და მეორეც იშვიათობა იყო ადრე, არეულ წლებში კი მითუმეტეს.

ტანსაცმლით შებოჭილი წყვილი ღვინოს უხალისოდ სვამდა. უფრო კი ცაში იყურებოდა, თითქოს იქ კინოში ნანახი გოგო-ბიჭი უნდა გამოჩენილიყო. პრინცმა და პრინცესამ ბოზბაშზეც კი უარი თქვეს და ეს თავისებურად აუხსნა პატივომ თავის ბიჭს – ტანსაცმელს უფრთხილდებიან, ეტყობა საქორწინლოდ ემზადებიანო.

ლავრენტიც უმადოდ იცმუცნებოდა, მაგრამ სულ სხვა მიზეზით – მფრინავთა პოლკმა კარგა ხანია თელავი დატოვა და აღარც „ტანცები“ იყო და არც სამხედრო ქალაქის ფანჯრებიდან რიჟრაჟზე დანახული ამომავალი მზით განათებული კავკასიონის მწვერვალები. თავის გასაკვირრადაც, სულ უფრო ხშირად გაურბოდა თვალი სპორტულ ტანსაცმელში გამოკრულ ლიანოს ნახევარსფეროებისაკენ. ამ დროს შინაგანი სინითლე უვლიდა ტარზანას, სხვა თუ არაფერი ნათელმირონობა აკავშირებდა უშოსთან. უადგილო ვენების გასაფანტად ტარზანაც ცაში იყურებო-





და, სადაც კინოკადრებით გადადიოდა საცეკვაო მოედანზე გაცნობილი გოგონების დროით გაცრეცილი სახეები და სახელები. მაგიერში თანდათან დოლორესის სახე იკვეთებოდა მკვეთრად. ან სხვანაირად როგორ იქნებოდა, როცა კლასელი მუდამ გვერდში ედგა – მოსაწყენი ამოცანის ამოხსნა იყო თუ არანაკლებ მოსაწყენი ნახაზის დახაზვა. ეგეც რომ არა დოლორესს სასკოლო ჩანთაში მუდამ ედო ლავრენტისთვის სასუსნავი – ჩურჩხელა იყო თუ ბალიშა კამფეტი. აი, თვითონ კი ათასში ერთხელ, კაკლაობაში მოგებულ ჯილას თუ გაუნვდიდა ანდა მოპარულ თხილს. უფრო სამწუხარო ის იყო, რომ საკუთარი თავისთვის მოკლებული დოლორესის ტკბილეული ხშირად მფრინავის ცოლების საკბილო ხდებოდა. ეგ კი არადა, ცხრა მთას იქით სხვათა მიწების დასაპყრობად გადაკარგული ქმრების დაბრუნების მოლოდინით ცაში ყურებით დაღლილი ქალები, თვალის ჩაკვრით აგულიანებდნენ ლავრენტის – ანუ, დოსტან იზ შარვარ ტვოიუ სლადკოი ჩურჩხელუო. ბიჭიც ხალისით ასრულებდა ოფიცრის ცოლების თხოვნას. მაგრამ კარგა ხანია დამოუკიდებელ საქართველოს ციდან შვეულმფრენების პროპელერების ჭრიჭინიც გაქრა და მათთან ერთად წყვილად შესრულებული „პოდტელავსკიე ვერეაც“ და ირგვლივ ერთბაშად ფიქრის ამშლელმა სიჩუმე-მდუმარებამ დაისადგურა.

ქელეხისთვის ნერტილის დამსვამ შილაფლავსაც აღარ მოუცადა ბრიგადამ და დროზე ადრე აახვია ლარები. აკუმლატორი კვლავ დამჯდარიყო და ტარზანამ დასაქოქად დაბახნების შვეულ დაღმართზე მიუშვა მანქანა და რადიოს ანტენაზე გამობმული ფრანიც ნელ-ნელა ცისკენ აინია.

აივანზე მჯდომმა ხალხმა შიშნარევი მზერა გააყოლა თვითმცლელს და მის ძარაზე მდგომ უშო-ლიანოს, რომლებიც „ტიტანიკის“ წყვილივით ხელების გამლას ცდილობდნენ, მაგრამ ქვებზე მალლა-მალლა მოხტუნავე თვითმცლელი ამის საშუალებას არ აძლევდათ. ლავრენტიმ ბოლოს, თვალდახუჭვით, ქარაფით გადასახტომისკენ მიუშვა მანქანა. იღბალმა თუ მექანიკა-აეროდინამიკის ძალამ ანდა მალლა ალივლივებულმა ფრანმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ბედი შეყვარებულებს სწყალობთ – ერთბაშად დაქოქილი და მიწას მომწყდარი თვითმცლელი, ნელ-ნელა ჩიტის საფრენზე აინია და ლიანო-უშომაც ლალად გაშალეს მკლავები და თავისთვისაც მოულოდნელად შესძახეს – ძირს სიძულვილი, დიდება სიყვარულსო.

ფრენის სიმაღლეზე დღემდე კამათობენ უცნაური სანახაობის მომსწრენი, რადგან ჩიტიც არის და ჩიტიც. ბელურა თავიდანვე გამოირიცხა, როგორც მიწაზე სკუპ-სკუპით მხტომი. ვილაცამ ქორი ახსენა, მაგრამ მალე ესეც უარყვეს,

რადგან შორსმხედველი მტაცებელი, იძულებულია ძლიერ მალლა იფრინოს, მიწაზე წინილის ან სხვა რამ საკლანჭო-სანისკარტოს გამოსარჩევად. ბოლოს, რიყის გაღმა ღვთისმშობლის დიდი ეკლესიის გუმბათის ირგვლივ მოტრიალე ნამგალაზე შეთანხმდნენ.

## 8

ლავრენტი, ცაში აჭრილი მანქანის საჭის და მას აყოლილ წინა ბორბლების ტრიალით, ქალაქის თავზე მოქცევას ცდილობდა. ლიანოც მოლივლივე შავი ფრანის თოკით ხელში ახლებდა – სულ ჩვენ რომ არ დაგვცქეროდნენ ზემოდან ქვემოთ, ერთხელ ჩვენც დავხედოთ ზემოდან ქუჩა-მოედნებსო. ამ წინადადების სიგრძე-გამართულობამ, ცოტა არ იყოს გააკვირვა ლავრენტი, თუმცა იმასაც ხვდებოდა, რომ სიყვარული სულ უფრო კეთილისმყოფელ კვალს ატყობდა გოგოს. უშო დუმდა და ეს დუმილი ფრიად განსხვავდებოდა ადრინდელისაგან. მას შემდეგ რაც ლავრენტიმ უშოს პირველი სკოლის ეზოდან მოსკოვი დაანახვა, კარგა დრო იყო გასული და ჭაბუკი ახლა უკვე ცნობისწადილიან მზერას ავლებდა კრამიტის სახურავებიან ქალაქს, ვენახებით დახაზულ-დაგვირისტებულ ველს და ზემოდან ჯილად მდგომ კავკასიონს. მალალი მთების შუქჩრდილი ჩაფიქრებით მყოფ უშოს მოგრძო სახეზე ირეკლებოდა და ძლიერ ამსგავსებდა მას ავთო ვარაზის მიერ გიორგი შენგელაიას ფილმში განსახიერებულ ფიროსმანს. ამალღებამ თავად ლავრენტიც ააღელვა. ზემოდან ნათლად მოჩანდა, რომივით შვიდ ბორცვზე გაშენებული თელავი, რომელიც თავის მხრივ ელენე მასწავლებლის თქმით სამ ვეშაპზე იდგა – სწავლა-განათლებაზე, ხელოვნებასა და მხედრულ წარსულზე.

განათლების მაღლი და ძალა, მიუხედავად ავბედობისა მუდამ თან ახლდა ქართულ სახელმწიფოს და ერს. აკი მეთვრამეტე საუკუნეშიც, როცა მტერი ყოველი მხრიდან უტევდა ქართლ-კახეთს, ევროპამოვლილი ერეკლე (ქართველი უფლისწული ინგლისში, ვულვიჯის არტილერიის სასწავლებელში რომ სწავლობდა დღეს არავისში აღარ ინვევს ეჭვს!) ბატონის ციხეში სასულიერო თუ საერო სასწავლებლებს აფუძნებდა და თავადვე ესწრებოდა ფილოსოფიის თუ ღვთისმეტყველების ლექციებს. ასე 1758 წელს ერეკლე II-სა და ანტონ I-ის თაოსნობით გაიხსნა თელავის სასულიერო სასწავლებელი, რომელიც 1782 წელს ფილოსოფიურ სემინარიად გადაკეთდა. მას შემდეგ ბატონის ციხის კედლებს მიღმა მუდამ ენთო განათლების ლამპარი და სწორედ აქ, უკვე მეოცე საუკუნეში დაფუძნდა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი. რომელ-



მაც თანდათან ფრთები გაშალა, გაიზარდა და ბოლოს ქალაქის თავში, ხუთსართულიან შენობაში გადაინაცვლა.

აქ ყოველდღიურად უწევდა ბრიგადას ასვლა. სტუდენტები ახალგაზრდული დაუდევრობით და ქვეყანაში საარჩევნო არეულობით ნახალისებულნი სადაც მოეპრიანებოდათ იქ ყრიდნენ ქალაქებს და ენერგეტიკული სასმელების ცარიელ-დაპრანჭულ ქილებს.

კაცმა რომ თქვას, სისუფთავის დაცვაში პროფესორ-მასწავლებლებიც ცოდავდნენ და მცირე, მაგრამ მაინც დანაშაულის ერთმანეთისთვის გადაბრალებას ცდილობდნენ, რასაც უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე დავა-კამათი მოჰყვებოდა – იყო ეს საათების თუ თანამდებობების განაწილება. არადა წაკიდებულებს შორის ზოგჯერ ხანჯალიც ელავდა. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა სწავლა-განათლების საქმე წინ მიდიოდა.

ეროვნულმა გამოცდებმა ბევრი რამ შეცვალა. იქაც უცხოური პროექტები წამოენია ახალგაზრდობას და „ერაზმუსი“ იყო თუ „ერაზმუს-მუნდუსი“, ქართველი სტუდენტობა ევროპას უძველეს მაგრამ ახალი მიღწევებით გამორჩეულ უნივერსიტეტებს მოედო. ჩანყობამაც, თავისთავად ცხადია, უკან დაიხია, მაგრამ სასემესტრო ჩათვლა-გამოცდებისას, კანტიკუნტად, მაგრამ მაინც, ინსტიტუტის კიბეებზე კაცი ჯერაც მოჰკრავდა თვალს ილიაში ქათამამოდებულ სტუდენტს, მაგრამ მალე ამასაც დაესვა წერტილი.

ერთხელაც, ინსტიტუტში უბატონო ქვეყნიდან მოსულმა ქალბატონმა, რომელსაც თელავში დამკვიდრებული წესით, გვარსახელის პირველი ასოების მიხედვით ლე-შა-დაც მოიხსენიებდნენ, თავად აათავა კიბეები წითელი მამლით ხელში. ამ უცნაური სანახაობის მოწმე დიდი თუ პატარა გარეთ გამოიშალა და ინსტიტუტის ერთ დროს, სამიტინგო კიბეებზე მიქუჩდა. ქალბატონი უბრალო სიტყვებით და გასაგებად საუბრობდა. მისი თქმით თუ სტუდენტები ბეჯითად ისწავლიდნენ აღარ მოუწევდათ ლექტორებისთვის, როგორც შუა საუკუნეებში, ქვეშევრდომს ვასალისთვის, კვერცხის (ქათმის) მირთმევა. თავის მხრივ დანაკლისი ლექტორებს აძულებდათ მეტი დრო დაეთმოთ ძიება-კვლევისთვის, რაც თავად მეცნიერ-პედაგოგებს და ქვეყანასაც წინ წაიყვანდა.

– რაც შეეხება ამ ღამის გამთენებელ მამალს, – თვალი მოავლო ლე-შამ შეკრებილებს, – ინსტიტუტს ვწირავ, რათა ყოველ ცისმარე დილას პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს, ასევე ქალაქის სხვა მაცხოვრებელთ, ყოვილით ერეკლეს ღვანლი შეახსენოს. დღეს უფრო ერეკლეს ხმალი ელავს და არა მისი კალამი. არადა თელავის განათლების კერებს ერეკლემ ჩაუყარა

საფუძველი. მისი შემწეობით 1758 წელს ჯერ სასულიერო სასწავლებელი გაიხსნა, 1782 წელს კი თელავის ფილოსოფიურ სემინარიად გადაკეთდა და ჩვენი ინსტიტუტის ნათელი შენობა პატარა კახის ღვანლზე დგას.

ამ სიტყვების შემდეგ ისეთი მედგარი ტაში გაისმა, რომელმაც ყველას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიტინგები და მზეზე მოელვარე ნოდარ ნათაძის თავი გაახსენა და აკი მეყსეულად „შავლეგოც“ აფუგუნდა. წინა დღეს დაპირისპირებული ხალხი ერთმანეთს ეფერებოდა, კოცნიდა და ბოდის უხდიდა ნებისთუ უნებლიეთ მიყენებულ წყენისათვის. ურთიერთპატივისცემა და სიყვარული მთელ სემესტრს გაყვა, მაგრამ ბევრი უხერხულობაც შეიქმნა. დილით მთავარ კართან მიქუჩებული ხალხი ერთმანეთს გზას უთმობდა – არა თქვენ მიბრძანდით, არა თქვენო. ამ პატიჟში ლექტორ-სტუდენტებს ხშირად ლექციებზე აგვიანდებოდათ და შენობაში შესულნი მუჯლუგუნებით და ხელისკვრით აუდიტორიებისკენ თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ.

რაც შეეხება თავად მამალს. ინსტიტუტის მეხუთე სართულის სამტრედიდან კარგა ხანს გაისმოდა, სხვათათვის დამაფიქრებელი ყიყლიყო და პროფესორ-მასწავლებლები თუ სტუდენტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მისთვის საკენკის მოტანა-დაყრაში. ეგ კი არადა, ზოგი თავის გამორჩენის მოყვარული, ინსტიტუტის შემოგარენში კალიებს და პეპლებს დასდევდა – მამალს პროტინით გამდიდრებული საკვები სჭირდებო. მაგრამ ყოველივე ერთბაშად შეიცვალა, როცა ქალაქში სახლთანგელოზობის დღე მოახლოვდა. ამ ვინ იცის საიდან შემოსული დღესასწაული ყოველ ოჯახში დედლის დაკვლას ითხოვს და ამ დროს ქათმის მირთმევა გინდ ეკლესიურ და გინდ სამოქალაქო ცოდვად არ ითვლება. მაგრამ აწყობილი საქმე მაინც დაირღვა. მეხუთე სართულზე ჯდომით დედალმონატრებული მამალი კიბეებზე გინდ ამოყვანილ და გინდ ჩაყვანილ დედლის დაპეპვლას ცდილობდა და იმისდა მიხედვით ვის და როგორ ეჭირა ქათამი ხელში, ზოგს წინიდან ახტებოდა და ზოგს უკანიდან. განსაკუთრებით შინაბერები ცხარობდნენ – განა იმიტომ შეგვიანახია თავი, რომ ლე-შას მამალმა დაუკითხავად დაგვპეპლოსო.

როგორც კი დღესასწაული ჩათავდა, ინსტიტუტის უკან ლიანოს წითელი ბუმბულის გროვა დახვდა. ზოგის თქმით ეს მზაკვრობა მომრავლებული მელა-ტურის ნამოქმედარი იყო, ზოგიც მისთვის არასასურველ პიროვნებას აბრალებდა ყოველივეს. მანქანის შემკეთებლებიც ახსენეს. ლე-შამ თავის დროზე სათამაშო მანქანა იყიდა, დაშალა და პროფილაქტიკაში მისული ქართულში ამეცადინებდა საპოხ-საცხებით გაშავებულ ხელოსნებს – ეს „პაკრიშკა“ კი საბურავიო,





„პაჩემნიკი“ კი არა საკისარია, „კალოტკა“ კი არა ხუნდიაო და ა.შ. ხელოსნები კი ღიმილით უსმენდნენ მოხალისე პედაგოგს, მაგრამ წარამარა საათზე იყურებოდნენ, აქაოდა კლიენტი გამირბისო.

მამლით უკმაყოფილება კაბინეტ-ლაბორატორიებსაც მოედო – ხალხი ველარ აბრალებდა დაგვიანებას ჩამორჩენილ საათს, რადგან მამალი ყველასთვის ერთნაირად ყოფდა და მტყუან-მართლის დადგენის ამო მცდელობით უგრძელესი კრებები იმართებოდა. თავად ლე-შა კი ისე გაქრა, როგორც გამოჩნდა. ზოგის თქმით ქვეყანაზე და ქართულ ენაზე შეყვარებული ქალბატონი ბოდბეში მონოზენად აღიკვეცა. ბევრს ესეც შემურდა – ჰქონდა საშუალება და აღიკვეცაო, ჩვენ ცოდვილებს რომელი მონასტერი გაგვიხსნის კარსო.

ეგ იყო, თითქოსდა მელა-ტურასგან შექმნილი მამალი კვლავ გამოჩნდა ქალაქში. ფრინველს მხოლოდ ბუმბული შეეცვალა და ეხლა თოვლივით ქათქათა იმ შენობათა სახურავებზე იდებდა ბინას სადაც საქმე წაღმა-უკუღმა მიდიოდა და მამლის ყვირილი თანდათან სწორ გზაზე აყენებდა ადამიანებს.

ამ მოგონებით გულაჩუყებულმა ბრიგადამ ცით ახლა თეატრისკენ გადაინაცვლა. ქართული თეატრიც ერეკლემ დააფუძნა. მეფე თავიდანვე მიხვდა, რომ ხალხს თუნდაც სინამდვილეს აცდენილი სანახაობა სჭირდებოდა, რომელიც სიძულვილ-ღალატზე სიყვარულ-ერთგულების უპირატესობას დაამტკიცებდა. ამას კარგად ახერხებდა მაჩაბელას და გაბრიელ მაიორის მომღერალ-მოცეკვავე დასები.

ლიანომ ბავშვივით გაიხარა, როცა ნამგალას საფრენიდან გრძელი სვეტებიანი შენობა, მის წინ მოედანი და ბატონის ციხის მიმდებარე ძველი ბაღი დაინახა. ნაბელი უთხოვარის გამოჩენაზე ტაში შემოკრა და უშოს მიუბრუნდა – მინაზე რო დავბრუნდებით ვიქეიფოთო. უშომაც პრინც ჰარის ნაქონი ცილინდრის მოხდით და გულზე ხელის მიდებით უპასუხა – როგორც გენებოთ ბატონოო.

ლიანომ თეატრისთვის შემოვლა სთხოვა მძლოლს. ეგ იყო ცოტა შეეშალა და სერის ნაცვლად სირი უწოდა ტარზანას, მაგრამ ცაში ყოფნით ნასიამოვნებ მძლოლს, სადაც არც ორმოები იყო და არც საბურავის მტერი ლურსმანი, ლიანოს მიმართვაზე მხოლოდ გაელიმა და ურჩია – ქალაქის ბიბლიოთეკაში „იუსაიდის“ ინგლისური კურსებია გახსნილი, იქნებ იქ ჩაენეროო. მაგრამ გოგოს ტარზანასთვის აღარ ეცალა და ზემოდან დაკვირვებით ათვალეირებდა თეატრის შემოგარენს.

ფასადის წინ, სადაც დამსახურებულ მსახიობთა ვარსკვლავები ელვარებდა, ყველაფერს ნკრიალი გაუდიოდა. აი, შენობის უკან კი, ერთ-

მანეთში ტალახი და ნაგავი იზილებოდა. განა მრავალრიცხოვანი კოლექტივი შაბათობაზე რომ გამოსულიყო ვერ დაძლედა საქმეს, მაგრამ საეჭვო ნაზავი დროდადრო ერთობ საჭირო ხდებოდა – აკი შემოქმედთა მიერ ერთმანეთისთვის ტალახის სროლა ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთიდან მოდიოდა და სარაინთაშორისო თეატრი რალა ნითელი კოჭი იყო. ერეკლეს სურვილით და ძალისხმევით დაფუძნებულ თეატრს დროდადრო ემშაკები ეპატრონებოდნენ და სად სცენა იყო და სად ყოველდღიური ცხოვრება ზღვარის გავლება ჭირდა. კრწანისის ომში დაცემული მაჩაბელას დასის მემკვიდრე და მისი საქმის გამგრძელებელ თეატრს, ცხოვრებაშიც და სცენაზეც, საქმის და სამშობლოს ერთგულება უნდა ემტკიცებინა – რეპეტიცია იყო თუ თავად პრემიერა. მაგრამ დასი როლების განაწილების თუ ანაზღაურების გამო ორად, სამად და ზოგჯერ ოთხადაც იყოფოდა და მცირე კრწანისიც, თავის ღალატთან ერთად ყოველდღიურად თამაშდებოდა სცენაზე თუ კულისებში.

ბრიგადის ცაში აჭრის საღამოს, მოწვეული ახალგაზრდა რეჟისორის მიერ დადგმული სპექტაკლის პრემიერა იყო დანიშნული. საამისოდ ყველაფერი მზად იყო, სცენაც, დეკორაციებიც და თვით მსახიობთათვის მისართმევი ვარდ-ყვავილები. თუმცა ლიტნანლის გამგეს, რომელსაც თეატრში დროის ეკონომიის მიზნით გვარ-სახელის ინიციალებით ცი-ეს-ად მოიხსენიებდნენ, გუმანი და გამოცდილება ცუდ ფინალს კარნახობდა. მთავარი რეჟისორი რას არ იზამდა რომ საუკუნეებგამოვლილი თეატრის სახელი სხვისთვის არ გაეყო. აკი ყოველი ახალი სპექტაკლის აფიშაზე, რეჟისორი მხატვრობა-კომპოზიტორობას და ზოგჯერ ქორეოგრაფობასაც იჩემებდა. ალბათ პიესის ავტორობაზეც არ იტყოდა უარს, სულაც „ოტელოზე“ რომ ყოფილიყო ლაპარაკი, მაგრამ ლიტნანლის ერიდებოდა. უფრო კი ეშინოდა მისი მართალი სიტყვის და ნაზი ქალისთვის უჩვეულო ჯან-ლონის. თუ სადმე უწესობას შეამჩნევდა ცი-ესი იქვე პირველი ჩნდებოდა და მიუხედავად დასში მამაკაცთა სიმრავლისა, მუდამ ფხიზლად მყოფი ქალბატონი უტიფართ ხელებს უგრეხავდა.

სპექტაკლი თავიდან ერთაქტიანი უნდა ყოფილიყო, რადგან ათასი საზრუნავით დატვირთული მაყურებელი, ყოველთვის შინ წასვლას ჩქარობდა, მაგრამ მთავარმა რეჟისორმა მოწვეულს წარმოდგენის ანტრაქტით გამართვა შესთავაზა. ამით თითქოს მასპინძელმა სტუმრისადმი პატივისცემა გამოხატა, მაგრამ მზაკვრობა კარგად შეფუთული და შორსგათვლილი აღმოჩნდა. სპექტაკლის დაწყებამდე, მთავრეჟი სტაჟიორთა ხელით, უნიტაზებს ჩვრებით ამოგმანავდა და როდესაც ანტრაქტზე გამოსული ხალხი ტუალეტს მიანყდებოდა, ახალგაზრდა რეჟისორის



გინებას წინ არაფერი ედგა. სპექტაკლიც, მიუხედავად მსახიობთა, მხატვართა, ქორეოგრაფთა და სხვათა და სხვათა ძალისხმევა-თავგანწირვისა ჩაფლავდებოდა. ამით კიდევ ერთხელ დამტკიცდებოდა მთავრეჟისთვის მომგებიანი ტექნიკური მარტივება, რომ ადგილის კურდღელს ადგილის მწვეარი სჭირდება.

ცი-ესი სპექტაკლის წინ ვრცელ ფოიეში გადი-გამოდოდა. ამ დროს გარედან თეატრს არაერთი საშიშროება ელოდა – ერთი მთვრალის შემოსვლაც სპექტაკლს ჩაშლის პირზე აყენებდა. დარბაზში წესრიგის დაცვა „ლიტნანის“ არ ევალდებოდა, მაგრამ პასუხისმგებლობა და სინდისი ამ მოშიშვლებული ფრონტის დაცვას ავალდებულებდა. მით უმეტეს რომ სპექტაკლს „კრნანის“ ერქვა და ქალაქში კი არაერთი ხევსური სწავლობდა. ქეიფის, უფრო კი არყის დაღვევის შემდეგ, დაგვიანებული ხევსურები, თეატრს მოაკითხავდნენ, რაც შესაძლოა დავიდარაბით დასრულდებოდა.

მართლაც ბოლო ზარი გაისმა თუ არა რამდენიმე მთვრალი ჭაბუკი კარს მოაწყდა, კონტროლიორ ქალთა წინააღმდეგობა იოლად გადალახეს და ცი-ესი-სკენ აიღეს გეზი. ლიტნანის უყვარდა ეს ალალი ბიჭები – მათთვის დრო თითქოს გაჩერებულიყო – ფხიზლები და ნასვამები განსაკუთრებით, მზად იყვნენ მტერს ჰკვეთოდნენ. ეგ იყო მტერი აღარ ჩანდა. განა გამქრალიყო, უბრალოდ დროის ბურუსს და ათას გარემოებას უხილავად ექცია ისინი. სანამ ცი-ესი ხევსურებს თეატრში ქცევის წესებს ახსენებდა და მათ დაშოშმინებას ცდილობდა, ტუალეტებიდან მთავარი რეჟისორის დავალების ხარისხიანი შესრულებით კმაყოფილი, ყიზილბაშთა ტანსაცმელში გამოწყობილი, ახალგაზრდა მსახიობთა ჯგუფი ხმაურით ამოლაგდა. „ყიზილბაშთა“ დანახვაზე ხევსურები ერთბაშად აიჯაგრნენ და მალე სიტყვიერი შეხლა-შემოხლა ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა.

მუდამ დავიდარაბის შუაგულში მოტრიალულ ცი-ესი გვერდზე გადასა – შეტაკების შეჩერება ამჯერად არ მოხერხდებოდა – ჭარბი მტერი თუნდაც ერთ საღამოს უნდა დამარცხებულიყო. დარბაზი წამში დაიცალა და ფოიეში გამოსული მაყურებელი ტაშისცემით შეხვდა უშეღავათო ბრძოლას. ვერავინ იფიქრებდა, რომ ეს დადგმული სცენა არ იყო. ბოლოს როცა ორივე მხარემ კარგად დაუყუა ერთმანეთი, ცი-ესმა საგანგებოდ გადამალული მანდილი ააფრიალა. ყველა მიხვდა, დიდიც და პატარაც, შემოქმედიც და უბრალო მაყურებელიც, რომ სპექტაკლი კიდევაც დაიწყო და კიდევაც დასრულდა. თბილისიდან ჩამოსულმა კრიტიკოსებმა კი იქვე ფოიეში, „კრნანის“ წლის საუკეთესო სპექტაკლად გამოაცხადეს. ვილაცამ ფოიეში ერეკლეს სურათიც გამოასვენა და მეფის თავყანისცემის ნიშნად დიდმა და პა-

ტარამ მის წინ მუხლი მოიყარა.

თეატრის შემოფრენის შემდეგ, მანქანა ბატონის ციხის თავზე დაეკიდა რომლის კედლებს მიღმა ერთ დროს საქართველოს ბედი იჭედებოდა. ახლაც, მეოცე საუკუნეშიც თუ რაიმეთი თავს იწონებდა თელავი, მეფე-ერეკლესგან იღებდა სათავეს. მათ შორის, რა თქმა უნდა, მუზეუმიც იყო. ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეფე, ევროპელთა დარად, გამორჩეულ ნივთთა შეგროვება-თავმოყრას შეუდგა და ზოგის თქმით სწორედ ამ მიზნით გამოართვა ხევსურეთში ნაჭედი ხმალი ძალლიკა ხიმიკაურს და თუშ დილოიძეს გადასცა. ხევსურები მუდამ უცხო თვალს აფარებდნენ იარაღს, დილოიძე კი უარს ვერ იტყოდა მეფისგან ნაბოძებ ხმლის სახალხოდ გამოფენაზე.

ზეცაში დანერილი წესია, ყოველივე რაც ბაგრატოვნებს, ერეკლეს და მის ცხოვრებას უკავშირდება, მუდამ მოძრაობა-განახლებაშია და ხშირად სადაო-საკამათოც ხდება. პირველად ხმალი ექსპოზიციიდან მუზეუმის ახალგაზრდა ფონდისმცველის (რომელსაც ქალაქში დამკვიდრებულ წესით გვარ-სახელის პირველი ასოებით „თა-მა“-დ მოიხსენიებდნენ) დროს გაქრა.

ნიშანდობლივია, რომ ხმალი მაინცადა-მაინც 1937 წელს დაიდო თელავის მუზეუმის ექსპოზიციიში. ვისი მცდელობა-დავალებით ამას დიდი მარჩიელობა არ სჭირდება (სხვათა შორის, ამ წელს იყო დაბადებული ტარზანაც და აკი პასპორტშიც ამიტომ ჩაუნერეს სახელად ლავრენტი). ხმალი დროდადრო ხან იკარგებოდა და ხან ჩნდებოდა და თუ წლებს და თარიღებს დავაკვირდებით ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ იგი მეოცე საუკუნეში, მსოფლიოს ერთ მეექვსედზე გადაჭიმულ, სტალინ-ბერიას და მათ მიერ აშენებულ თუ დანგრეულ ქვეყანას ემსახურებოდა. იყო ეს მოსკოვთან ფაშისტთა პირველი დამარცხება, სტალინგრადის ბრძოლა თუ თავად გამარჯვების პარადი. ერთხელ კი ხმალმა, თეირანის კონფერენციის დროს, საბჭოთა კავშირიც კი დატოვა, როცა რუზველტი, ჩერჩილი და სტალინი „ოვერლორდის“ ოპერაციებზე ანუ მეორე ფრონტის გახსნაზე მსჯელობდნენ. ეგ იყო სხვათა ხელით ნარის გლეჯას მიჩვეული ანგლო-საქსები ფეხს ითრევდნენ და ამით გაბრაზებულმა სტალინმა, მოლაპარაკების მაგიდიდან წამოდგომით ვოროშილოვს უთხრა – კლიმენტი, ჩვენ წყლის ნაყის დრო არა გვაქვსო და წელზე შემორტყმული ხიმიკაურის ხმალი გამოაჩინა. უცნაური რამ მოხდა ერთბაშად – თითქოს ქართული ფოლადის ელვარებამ მოაჯადოვაო, რუზველტი და ჩერჩილი ერთბაშად დათანხმდნენ ყველაფერს, რაც რამდენიმე წუთის წინ შეუძლებლად მიაჩნდათ.

თეირანში მეორე სასწაული ხმალმა ირანის





შაჰის სასახლის კიბეებზე მოახდინა. როცა მუჰამედ რეზა ფეჰლევიმ საპატიო სტუმრის კიბეებზე ასვლისას, შინელის კალთის ქვეშ ნახევარმთვარის მოყვანილობის ხმაღს მოჰკრა თვალი, მუხლი მოიყარა და თავი მდაბლად დახარა. სამარისებურ სიჩუმეში სტალინის სიტყვები გაისმა – ლავრენტი, ნეტა ეხლა ერეკლე წამოახედაო და თითქმის ძალით წამოაყენა ფეხზე შაჰი. ხმალი კი გამარჯვების პარადის შემდეგლა დაუბრუნდა მუზეუმს.

ბოლოს ხმალი ექსპოზიციიდან გასული საუკუნის ოთხმოცდათიან წლებში გაქრა. მერე კვლავ გამოჩნდა და 2008 წელს კვლავ გაუჩინარდა. სად იყო და რას ემსახურებოდა ამის გამომცნობა ქვეყნის ახალი ისტორიის მცოდნეს, რა თქმა უნდა, არ გაუჭირდება. ხმლის ირგვლივ დატრიალებულმა მოგონილმა თუ ნამდვილმა ამბებმა თამას „დამსახურებულ დასვენებაზე“ გასვლა დააჩქარა და ფონდის მცველად დანიშვნას მისივე შუამდგომლობით დოლორესს უპირებდნენ. ელენეს დაკრძალვისას, თამამ ცალკე გაიხმო ლავრენტი და თვალეებში ჩახედვით დაბეჯითებით უთხრა სათქმელი – თუ ცოლის მოყვანას არ აპირებ, ეგ შენი საქმეა, მაგრამ ფონდის დაცვაში დოლორესს რომ უნდა ამოუდგე მხარში, ამას თვით ერეკლეს სული და საქართველოს მომავალი გვკარნახობსო. მით უმეტეს რომ უძლები შვილნი მეფეს თვით შვილთა სიმრავლესაც კი აყვედრიანო.

ბრიგადა ბოლოს ერეკლე II-ის ცხენიან ძეგლის თავზე დაეკიდა. მოქანდაკეს ხერხი ეხმარა – მნახველს თავად უნდა გადაეწყვიტა, მეფე-სარდალი ხმაღს ქარქაშში აგებდა თუ პირიქით, საბრძოლველად ეზიდებოდა. ამ ფიქრებში გართული ლავრენტი ერთბაშად მიხვდა, რომ ერეკლეს საკეთებელი საქმე არსად წასულიყო და ძალღიკა ხიმიკაურის ხმალი კვლავაც მისახედ-გამოსაყენებელი რჩებოდა. თითქოს ამის დასტურად საზარბაზნე ბურჯის მხრიდან თამამ და დოლორესმა შემოუხვიეს. დედაზე მგლოვიარე შვილი ნათელ ტანსაცმელში არც არავის ენახა, მაგრამ შავებში ჩაცმული დოლორესის დანახვაზე ლავრენტის გული შეეკუმშა. თუმცა თავისდაუნებურად ერთბაშად თვალში ეცა კობტად მოყვანილი თეძო-მკერდი და ადრე განუცდელმა სითბომ დაუარა. რა თქმა უნდა ახალგაზრდებს ბევრი შვილი უნდა ყოლოდათ. ერეკლეს დროისა არ იყოს სიმრავლე ფრიად სჭირდებოდა ახალ ასპარეზზე გამოსულ საზღვრებმორღვეულ ქვეყანას. ამ ფიქრს თითქოს ძარაზე გაყურებული ლიანო-უშოც აძლიერებდა. წყვილი აშკარად ტიტანიკის წყვილს ან სულაც პრინც ჩარლზს და დიანას ბაძავდა და ერთმანეთისთვის კოცნას ცდილობდა, მაგრამ უშოს წარამარა თავი გვერდზე უვარდებოდა და განზილებული ლიანო ხმამალა ტიროდა.

ლავრენტის გულმა ერთბაშად გასწია დოლორესისაკენ და თითქოს მანქანამაც იგრძნო ყოველივე და სანვაიც ერთბაშად ჩამოიწვა. ტარზანამ ძარაზე მდგომ ლიანო-უშოს გასძახა – ბრიგადა გამაგრდითო. ამის თქმა იყო და მანქანა ერთბაშად მოსწყდა სიმაღლეს და ასფალტზე დაცემული ტენისის ბურთივით რამდენიმეჯერ შეხტა და ბოლოს ადგილზე გაქვავდა. მომხდართით გახარებულმა ლიანომ ტაში შემოკრა – კიდე ერთხელ შეგვახტუნე ტარზანო. უშომ კი, როგორც ყოველთვის, შინელის საყელოს გასწორებას მიჰყო ხელი.

ერთბაშად ჩამოვარდნილ სიჩუმეში რვაასწლოვანი ჭადრის შრიალს, ბატონის წყლის ჩხრიალს, მამლის ყივილიც აჰყვა და თითქოს ამას ელოდნენო, იქვე ახლოს თეატრის სცენაზე კრწანისის ხმლებიც ანკრიალდა.

მერე ჭიშკარში ჩატანებული საყარაულოდან ტელევიზორის ხმა გაისმა. ყველამ უნებლიედ პირი იბრუნა მოციმციმე ეკრანისკენ. იქ დაბალ სავარძელში, ფეხიფეხზე გადადებით, ყველაფრით კმაყოფილი კაცი იჯდა და ერეკლე მეფეს ახსენებდა. ადგილ-გარემოების გათვალისწინებით ყველამ ყურადღება დაძაბა. კარგა ხანს თვალს და ყურს არ უჯერებდნენ, ბატონის ციხის კედლებთან, ცხენზე ამხედრებულ ერეკლეს ძეგლის სიახლოვეს მდგომი, ეს-ეს არის ციდან ჩამოქვეითებული დასუფთავების მუშაკნი – კაცი ერეკლეს გასამართლებას და ალბათ ციხეში ჩასმასაც ითხოვდა. ცხენით თუ უცხენოთო – გალიმებულმა წარმოსთქვა ლავრენტიმ.

როცა, როგორც ან გარდაცვლილი ისტორიკოსი, თელავსა და ერეკლე მეორეზე სქელი მონოგრაფიის ავტორი ვალერიან ელანიძე იტყოდა, ცუნდრუკმა მეცნიერმა კიდეც ერთხელ დაბეჯითებით მოითხოვა ერეკლეს საქვეყნოდ გასამართლება და იქნებ გაროზგვაც. „პრინც-ესამ“ წამში გაიძრო მალალქუსლიანი ფეხსაცემელი და ცოცხ-აქანდაზით ნავარჯიშევ ხელის მძლავრი მოქნევით ტელევიზორისკენ გაუშვა, თანაც ისეთი სიზუსტით და სიძლიერით ჯეკი ჩანი რომ ესვრის სიურეკენს მტერს კინოსა თუ სინამდვილეში. სავარძელში მჯდომმა კაცმა მოთლილ ყურზე ხელის ტაცებალა მოასწრო და ეკრანიც მცირე ნამსხვრევებად ჩამოიშალა. ნასვამმა ყარაულმა ჩაბნელებული ტელევიზორის ყურება უდრტვინველად განაგრძო, ბრიგადის წევრნი კი ყოველ შემთხვევისთვის მიმოიფანტნენ. უშო-ლიანომ შავი ფრანის ფრიალით, ძველი ბალისკენ გასწიეს სალამოს დახუჭობანას სათამაშოდ, ლავრენტი კი ბატონის ციხეში შევიდა და ერთდროულად აღმოსავლეთის მაღალი კარიბჭის პატარა ოთახიდან, რომელშიც დაიბადა და გარდაიცვალა ერეკლე, თამა და დოლორესი გამოვიდნენ. ლავრენტის ერთბაშად უცნაურმა, მანამდე განუცდელმა სითბომ დაუარა და შავებში



ჩაცმულ დოლორესს გადაეხვია. გაღიმებულმა თამამ კი მხიარულად წარმოსთქვა – დოლორეს მეფის მხევლობა აღარ გამოუვა, მაგრამ ოჯახურად კი უფრო მეტ სამსახურს გაუწევთ ტახტს და სამშობლოსო. მერე სამივე ანთებული კელაპტრებით კარის ეკლესიისკენ გაემართნენ.

ირგვლივ გაზაფხულის პირველი სითბო და სურნელი ტრიალებდა. ლავრენტის მოეჩვენა, რომ დიდხანს მიდიოდნენ ეკლესიისაკენ, ან იქნებ ასეც იყო. როცა საკმევლის სურნელით გაჯერებულ თაღებქვეშ შეჩერდნენ, თამამ ხელიხელჩაკიდებულ წყვილს, ლოცვის ნაცვლად თუმ-ფშავ-ხევსურთა მიერ ერეკლე II დატირებიდან მცირე მონაკვეთი წააკითხა:

გაშალე დრომა მძლეველი, წვერ მახი  
მტერთა ზარია,  
მოყმენი ნახონ ფრიალნი, მუნ მოსქედეს  
მთა და ბარია,  
ქუხდეს მაჟარი, შაშხანა, ვით ზეცის  
მეხის გვარია,  
გავფანტოთ მტერნი ჩვეულად, ვასვათ  
სასმელნი მწარია.

დატირების წაკითხვის შემდეგ თამამ ფონდსაცავის გასაღები გადასცა დოლორესს და სწრაფად გაუჩინარდა. წყვილმა ეზოს შემოუარა, ყველა დარბაზის კარი ჩარაზა, გარეთ გავიდა და ბატონის ციხის მზედაბუდეებულ კედელს შეხედა, მის ნისკარტა სათოფურში მოხუცი მეფის ცრემლიანი თვალი კრთოდა და ლავრენტი-დოლორესმა ერთმანეთს ხელი მჭიდროდ ჩაჭიდეს.

მეორე დღეს რაკილა საქმე არ ითმენდა, ქალაქის დასუფთავება ახალ ბრიგადას ჩააბარეს. იქვე პირობა ჩამოართვეს, რომ არც ცხადში და არც წარმოსახვაში ფრენას ახლო არ გეკარებოდნენ.

მოხუცი მამის ანაბარა დარჩენილი, უმუშევარი უშო, თბილისელმა ნათესავებმა თავისთან წაიყვანეს – მოსკოვნანახს რა დაეფიცება, ემანდ კიდეც არ გაფრინდეს და რამე ხიფათს არ გადაეყაროსო. იქაც, კუკიაზე, უშო ყვავილებს უფენდა მიცვალებულებს, ქელეხშიც ეპატიჟებოდნენ, მაგრამ კრიჭაშეკრული მარტო სიგარეტს აბოლებდა. თელავის სასაფლაოებიდან აგურიან-კრამიტიათი სახლები მოჩანდა, კუკიიდან კი ციხე-აკლდამასავით უსულო კორპუსები. თანაც სიახლოვეს აღარც წითლებში გამოწყობილი ლიანო იყო და არც ყველაფრის შემძლე ლავრენტი. ეგ კი არადა, შავად მოლაპლაპე ჯვრიათი „მერსედესების“ თუ „ვოლგოების“ შემყურეს, კვლავ

ბენზინის სუნავარდნილი მწვანე თვითმცლელი ეზმანებოდა. აკი მალე უშო წარსულ დღეებზე დარდს გადაჰყვა კიდეც და თითქოს თბილისმაც უგანაო, სართიჭალაში დაასაფლავეს. უფრო სანყენი ის იყო, რომ დაკრძალვის მთელ გზაზე, ველის ერთი გვირილაც არ დაეცა ასფალტზე. ამაზე ჭირისუფალნი თავს იმართლებდნენ – გზისპირები ისეც სავსე იყო გაზაფხულის ყვავილებითო.

თელაველმა კეთილმა ბიჭებმა დაკრძალვიდან სულ მალე, უშოს საფლავსაც მიაგნეს, ქვაც დაადეს, აკურთხეს კიდეც და იქვე დუღუკებზე ქელეხიც გადაუხადეს. ზოგმა გულაჩუყებულმა უშოს თელავში გადასვენებაზეც ჩამოაგდო სიტყვა, მაგრამ მღვდელმა თავისი თქვა – სადაც თელაველი მარხია თელავიც იქ არისო.

როცა ლიანომ უშოს სიკვდილისა და დასაფლავების ამბავი გაიგო იმავე საღამოს ძველ ბაღს მიაკითხა. უთხოვარის ქარისგან მოქანავე ტოტებში თითქოს დაძინილი თუშური ქუდი, საყელოანული კოჭებამდე პალტო და დრო-ავდრისგან დატალღული ფეხსაცმელი გამოჩნდა და გახარებულმა ლიანომაც შესძახა – უშო გამოდი, დაგინახეო. მაგრამ ხმაზე ლანდი გაქრა და მცირე ხნით შეჩერებულმა ლიანომ ღრმა ნაფაზის დარტყმით, ხელის ჩაქნევით, მანანრისკენ აიღო გეზი. თვითმხილველთა თქმით დახუჭობანა ძველ ბაღში დღემდე გრძელდება.

P.S.

ცხოვრება ცხოვრებაა და ელენე მასწავლებლის დაკრძალვა, დროის სვლამ, თანდათან დავინყებას მისცა. ერთხელაც, უკვე წამოზრდილი ბიჭი შეეკითხა პატიკოს – მაინც რა მოხდა მამი, ელენე მასწავლებლის დაკრძალვაზეო. შვილის სრულწლოვანებით წახალისებულმა კაცმა, მხრების შეთამაშებით, თითქოს ერთბაშად დიდი ტვირთი მოიხსნაო, ამოიხვნეშა – მეორე მუჭა დიმედროლი არ უნდა ჩამეყარა კასრშიო.

ბიჭმა ხმამაღლა არაფერი თქვა, მაგრამ თავისთვის კი გაიფიქრა – კარგი, ქალაქის თავზე ბრიგადის თვითმცლელით ფრენა, გაკეთებული ღვინით შემთვრალ დიდს და პატარას, ქალს და კაცს მოეჩვენა, მაგრამ საქართველო, რომ მკვიდრ მოსახლეობისგან იცლებს, შობადობა კლებულობს და აშენებულ-დანატოვარის ნგრევა კი გრძელდება, ესეც დიმედროლის ბრალი ხომ ვერ იქნებაო და თითქოს პასუხის მოლოდინში, სამშობლოს მოწმენდილ, უღრუბლო ცას ახედა.





ლიკა  
კორძია

მე ჯერ დედა ვარ და შემდეგ – ქალი!  
რომელიც მებრძოლ, ძუ ლომს წააგავს,  
პატარა ბოკვერს კბილით დაათრევს  
და გასაჭირში, თავის თავს არ ჰგავს!  
მე ჯერ დედა ვარ და შემდეგ – ქალი!  
რომელიც გრიგალს და ქარიშხალს ჰგავს,  
დაღონს, დაამტვრევს ირგვლივ ყველაფერს,  
თუ გვერდით მისი შვილი არა ჰყავს!  
გავჯერავ ლეღვით, აღრენილ ტალღებს,  
და ცხრა მთას იქით ფეხითაც წავალ!  
მივალ! გავჩნდები! არ დავნებდები,  
მეცოდინება, რომ ჩემს შვილს ვნახავ...

ლ. კორძია

ქ ა ლ ი ა



მეორედ მოსვლა

როდესაც ქრისტე ამ ქვეყნად მოვა,  
სისხლის დუღილი ამიმღვრევს სხეულს,  
გადააწყდება ცრემლები ნაპირს,  
კალთებს დაიგლეჯს სასომილეულს.  
შემოეხვევა მზე ყელზე ჩემს ხალხს,  
მთვარე მახვილით მოგვდგება თავზე,  
ვარსკვლავთ სიმნავავს შევიგრძნობთ ცხადად,  
გავირიყებით უმწეოდ ნავზე.  
ტალღის გვირგვინი ჩაგვიხშობს კივილს,  
ტალღა შელენავს მორყეულ ჯვებისს,  
წვეთები, უცებ, იქცევა სისხლად,  
ავგიბობოქრებს სხეულში დევნილს.  
აღრიალდება სულის ჭინკები,  
გველიც წამებში გაიხდის სხეულს,  
ჩვენც მას ჩავიცვამთ, მივიკრავთ ტანზე,  
მივეფერებით უგულოდ წყეულს.  
შევევედრებით შეელას განთიადს,  
მზის სხივი ურჩად დაგვიჭრის სხეულს,  
დაგვინანევრებს, აკუნავს შუბით,  
სადღაც მიაგდებს, ბოროტად, ეულს.  
ვერც განთიადი უშველის ტკივილს,  
მდორედ და ზანტად მოგვიღებს ბოლოს,  
ათრთოლებული გულის მწვერვალთან  
ლამის სიჩუმე ჩაგვწვდება  
ხოლო...  
თვით იესოსაც აეტირება...  
ჩვენი მდაბიო სულის წიოკით,  
აკივლებული დემონთა ძრწოლა  
და სატანების ზარის სიცილი...  
როს დაგვაპურებს ქრისტე თვის ხორციით,  
და ღვინის ნაცვლად სისხლს რომ მოგვანვდის,  
შენწყდება ყალბი ცრემლების დენა,  
ძონძსაც გავიხდით, სუნი რომ ასდის.  
და გავშიშვლდებით უფლის წინაშე,  
ჩვენი ფიქრები გარეთ გამოვა,  
აქ დაგროვილი მძიმე ცოდვები,  
სულს დაგვიხუთავს, ღმერთთან ამოვა.  
და განთიადიც ველარ გვიშველის,  
თვით, ყოვლისშემძლე უფლის ცრემლებიც,



ლიკა კორძია

ჩვენ, უბადრუკნი, მივალთ კარებთან,  
ხან ჯოჯოხეთის... ხანაც სამოთხის!...  
განვინმინდებით, ან დავმძიმდებით,  
ისე, როგორაც ჩაგვეთვლიან ღირსად,  
ბოლოს და ბოლოს, მიწისგანა ვართ  
აღრე თუ გვიან, ვიქცევით მიწად!..

\* \* \*

მე ჯერ დედა ვარ და შემდეგ – ქალი!  
რომელიც მებრძოლ, ძუ ლომს წააგავს,  
პატარა ბოკვერს კბილით დაათრევს  
და გასაჭირში, თავის თავს არ ჰგავს!  
მე ჯერ დედა ვარ და შემდეგ – ქალი!  
რომელიც გრიგალს და ქარიშხალს ჰგავს,  
დაღონს, დაამტვრევს ირგვლივ ყველაფერს,  
თუ გვერდით მისი შვილი არა ჰყავს!  
გავჯერავ ლეღვით, აღრენილ ტალღებს,  
და ცხრა მთას იქით ფეხითაც წავალ!  
მივალ! გავჩნდები! არ დავნებდები,  
მეცოდინება, რომ ჩემს შვილს ვნახავ...  
ვერას დამაკლებს მე მიწიერი,  
კლდეებს შიშველი ხელით გავხეთქავ,  
სულ ნაცარტუტად ვაქცევ სამყაროს,  
შემდეგ, ზემოდან ზიზლით დავხედავ!



არ ვაპატიებ ქვეყნად არავის,  
მე ჩემი შვილის ცრემლის ერთ წვეთსაც,  
ის ერთი ცრემლიც საკმარისია,  
რომ ვიქცე ვინმეს სულის მტანჯველად!  
ჭკუა შეშლილი, გაგიჟებული,  
ნამში გავაპობ ატეხილ ჰაერს,  
თუ საჭიროა, ფრთებს გამოვისხამ,  
დავემსგავსები არწივისნაერს.  
არ გაგიჭირვებ, ქვეყნად არასდროს,  
შვილო! პატარავ, ნუ შეშინდები!  
შენი გულისთვის, ჩემო იმედო,  
ერთხელ კი არა – ასჯერ მოვკვდები!  
ვერ შემაჩერებს დედაბუნება,  
სეტყვა, ქარბუქი თუ მენყვრები,  
იცოდე შენსკენ გამოწვედილი მაქვს,  
მებრძოლი, თუმცა, თბილი ხელები!  
სანამ ვისუნთქებ, მე ცოცხალი ვარ,  
დაიმახსოვრე, ნუ შეშინდები!  
ვიქცევი მე შენს ღამის დამქაშად,  
სანამ ფეხზე ვარ, არ დავენებები!  
მერე... თუნდ მოვკვდე... არ მეშინია!  
შენ არ გექნება არავის ვალი!  
ნუ დაივინყებ გვერდით ვინ გედგა,  
ჯერ დედა ვიყავ! და შემდეგ – ქალი!

## მომაკვდავი ანგელოზი

ვიდექი გარეთ და შევნატროდი  
სვეტიცხოველის მიწას და ზეცას,  
ვიდექი გარეთ და ცივი თოვლი  
ველარ უძლებდა ქარბუქის ცეკვას.  
მტკიოდა გული და ვერ ვბედავდი,

\* \* \*

მე სურვილი მწვავს, როგორც მონა, კვლავ გემსახურო,  
შენი მზისათვის, ჩემმა სისხლმა მიწას აწვიმოს,  
ნუ გამინყრები, თუ ნადიმის არა მაქვს გეში,  
ფეხთ გაგეგები, ვით უსულო ნადირის ლეში!  
გარს მოგეხვევი, როგორც მყარი კედელი რვალის,  
ჩემებრ კაცისგან, ნუ გექნება შიში – ზარალის,  
ჩემი ვალია, შენი საამოდ ტკბილად გალობა,  
შენ წინ გაშლილი ფიანდაზის ცრემლით დალობა.  
სიკვდილის მჯობნი, არ მინახავს მე დასტაქარი,  
ვინ იცის, იქნებ, ხვალ შევალ სამარის კარი,  
ის დღეც დადგება, რომ დაჰბერავს სიკვდილის ქარი,  
ველარ მიშველის, ვერც ნიჭი და ვერც მონაგარი.  
დაიკარგება ჩემი ლექსი, როგორც ხმა ქარში,  
და შთაინთქმება, როგორც იწვის ხე ცეცხლის ალში,  
ჩემს ლექსს ვფიცავ, რომ აღარავის გემსახოვრებათ,  
როგორ მოთოვა ამ სტრიქონმა ავგაროზებად...  
უიღბლო მწერალს, თუ წერისას დამგესლავს გველი,  
არ წამადგება მაშინ წამლად მდულარე ცრემლი,

რომ შევხებოდი ღვთის კარებს – წმინდას,  
მე უბადრუკმა, სულ ცოტა ხნის წინ  
ცოდვა ვაჩუქე ამ სპეტაკ მიწას...  
გული გაჩერდა, ნამიც ამღერდა,  
სული აღზევდა, ფიქრი აცეტდა  
და ანგელოზიც, ჰო, იქვე მდგარი,  
თითქოს მალულად, კრძალვით ავსებდა,  
ავსებდა თოვლის მომაკვდავ ფიფქებს,  
რომლებიც კენესით ძალას მატებდა  
და ანგელოზის არამინიერ,  
ცისფერ ფრთას ღელვით, ბრაზით არხევდა...  
დადლილ ანგელოზს, ქარი ორპირი  
ზურგს უკორტნიდა, როგორც არწივი,  
დადლილ ანგელოზს სეტყვა ორგული  
სახეს უჭრიდა, როგორც ნადირი...  
და მეც ვიდექი ამ საოცრებით  
სახენაშლილი და ამღვრეული,  
სველ ხეთა რიგში მიმქრალ ანგელოზს  
ტყვია ეხვია გადარეული...  
და მის თვალებში ირეკლებოდა  
მთელი სიბრაზე კაცობრიობის  
და წყენა მათზე ვინც მიუსაჯა,  
ტვირთი ეზიდა წმინდა იობის...  
და მოთმინების ყველას წინაშე  
და სისპეტაკე ზეცის წინაშე,  
რწმენა! სიმტკიცე ღმერთის წინაშე და...  
მიტევება ჩემსა წინაშე!  
ახლალა მივხვდი, ეს იყო იგი,  
ვინც მმფარველობდა, მიცავდა რწმენით,  
ვისი სახელიც მერქვა, თუმც მტკიცედ  
ვერ მივყვებოდი მის სუფთა ბილიკს!  
ახლალა მივხვდი, თურმე მოვმკვდარვარ,  
ადამიანის ცოდვით მოცული  
და ანგელოზიც უსულოდ იწვა,  
ნამქერში, ცრემლით გარემოცული.





რადგან მაქებარს, მირჩევნია მძვინვარე მტერი,  
 ბრიყვი მოყვარე ურგებია, ვით ფეხის მტვერი!  
 ამ ლექსს ჩავეკარ, თითქოს იყოს წნელი ტირიფის,  
 თქვენ ფიქრი არ გაქვთ, კარებს შეხედეთ?! იქ დარდი ტირის...  
 მე ამ სიტყვებით შემოგაყარეთ, ჩემი უიღბლო სულის ფიფქები,  
 ისეთი ცივი, ვით მწუხრის ჟამსა, მომგლოვიარე დედის ფიქრები,  
 ჰეე! გიხაროდეს, რადგან ამ ლექსის, შენ დასასრულის მომსწრე იქნები,  
 მაგრამ როდესაც მის აზრს ჩასწვდები, მე ქვეყანაზე აღარ ვიქნები...

\* \* \*

გული რომ გაგიხსენი,  
 და სიყვარულის დაგიდე ფიცი,  
 ამ ბავშვურ გულში, მე გამიკრთა ნატვრა თუ ფიქრი...  
 შენთან, ხელმკლავით, მოვივლიდი მთელ ქალაქს ფეხით,  
 შენს გულისძგერას შევიგრძნობდი პატარა ხელით,  
 მერე წვიმამი, ბევრს ვირბენდით ფეხშიშველები,  
 შხაპუნა წვეთებს შევიგრძნობდით თბილი ხელებით,  
 თითის წვერებზე აზიდული ფიქრს გაგიმხელდი,  
 შევერცხლილ თმაზე, ხელის მტევანს რომ დაგადებდი...  
 მერე ვივლიდით... თუ შეგვრჩებოდა სულ ცოტა ძალა,  
 გამოჩნდებოდა შენი სოფლის პატარა შარა...  
 პატარა ქოხსაც, ვიგულბდი ხელმწიფის კარად,  
 მე უბადრუკი... შევაბრწყინებდი თავადის ქალად...  
 ბუხრის წინ გაშლილ, დათვის ტყავზე,  
 მე მარგალიტად გაგეგებოდი,  
 მერე შენს გულზე გაშლილ ფიანდაზს,  
 ვარდების კონად დავეგებოდი...  
 მერე ამ ქოხსაც ვაქცევდით სახლად,  
 შევაყვარებდით ჩვენს შვილებს ადათს...  
 გოგოს ვუნოდებთ – მარიამს...  
 ბიჭს – ალექსანდრეს...  
 გულში ჩავიკრავთ პატარა ქალ-ვაჟს,  
 მერე შევქმნიდით პატარა ქალაქს,  
 და ვიქნებოდით მთელი სამყარო,  
 ცხოვრებას გადავუხვევდით და...  
 გამოგვივიდოდა დიდი შატალო...  
 რად ვიცოცხლებდით?  
 მოვხნავდით მიწას,  
 ვაზის ნალკოტში დავყრიდით ქვიშას,  
 ახლაფეხადგმულ ჩვენს ორ პანანას,  
 რომ არ ჰქონოდათ რამე ნაკანრად.  
 მერე მოვხდიდით მამა-პაპურ ქვევრს,  
 გავასინჯებდით ყველა გამომვლელს,  
 სიცხით გათანგულ, გადალლილ მგზავრებს,  
 დიდს თუ პატარას, კარში შემომსვლელს...  
 ჩვენს ორ ანგელოზს ვუბოძებთ მაჭარს,  
 ძონისფერ ღვინოს ჩვენ შევსვამთ ლალად,  
 ვადიდებთ უფალს, დაგვიცვას მარად,  
 მადლობას ვეტყვი, რომ შემქმნა ქალად!...  
 ჩემი ოცნება? უკვე გაგანდეთ,  
 ქვეყნად ვართ ოთხნი:  
 მე, შენ, მარიამი  
 და ალექსანდრე...



ლანა მანველი

მ  
ლ  
ა  
ნ  
ა  
მ  
ან  
ვე  
ლი

იმ საღამოს, ზაფხულის სანახავად, ნათესავები უნდა მოსულიყვნენ. მამიდა ჰანდანიერ აპირებდა ანკარიდან ჩამოსვლას. მელანის ვახშამი ჰქონდა გასაძინებელი. ემირის და მურადის ნახვლის შემდეგ, პატარა ანეტი საწოლზე დაწვინა და ოთახიდან ჩუმად გავიდა. გარეთ იანვრის მზემ გამოანათა. უცნაური სიბნო მოეფინა გარემოს. დიდ-თოვლობის შემდეგ, აივანზე პირველად გასული მელანი ირგვლივ მდგარ ქენობებს დააკვირდა. ფანჯრებს, აივნებს, იქიდან გამოსულ ხმებს. ძალიან უნდოდა, ჩუმად მოველო ყველა შინა და ყველგან მხოლოდ ზედნიერება და სიხარული ეპოვა. სიხარული და სიმშვიდე ეპოვა საკუთარ ზუღეშიერ.

ლ. მანველი



Il est où le bonheur

სად არის ბედნიერება

(რომანი)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ოლე“ №4, 5, 2021 წელი; „ოლე“ №1, 2, 3, 4, 5, 6, 2022 წელი; „ოლე“ №1, №2, 2023 წელი.

მოლოდინი

იმ ზამთარს, სტამბოლში უჩვეულოდ ბევრი თოვლი მოვიდა. თეთრ საფარში გამომწყვდეული უზარმაზარი მეგაპოლისი თითქოს დაპატარავდა და ჩაჩუმდა. დიდთოვლობის გამო სკოლებში სასწავლო პროცესი შეჩერდა. გადაიღო ყველა საჭაერო რეისი. თოვლის საფარმა ნახევარ მეტრს გადააჭარბა. უსაფრთხოების დასაცავად და საგზაო შემთხვევების თავიდან ასარიდებლად, ხელისუფლება ხალხს გადაადგილებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებდა. ჰაერის ტემპერატურა მკვეთრად დაეცა.

შინა დღეებში, ვიდრე ამინდი გაუარესდებოდა ემირმა ლონდონში გაფრენა მოასწრო, მეორე დღეს უკვე ყველა რეისი გაუქმდა.

მურადთან ერთად სახლში მარტოდ დარჩენილი მელანი, ყოველდღე დაუღალავად ხვეტდა აივნებიდან თოვლს. ჯერ თეთრი მარმარილოს მოაჯირის ზედაპირს მოასუფთავებდა, მერე მიჰყებოდა და ყველა ფილას საგულდაგულოდ წმენდდა. ვიდრე ბოლოში გავიდოდა, შავი გრანიტი ციდან მოფარვატე დიდრონი, თეთრი ფიფქებით თავიდან იფარებოდა. სიცივე ძვალ-რბილში ატანდა, ის კი, ჯიუტად ცდილობდა საქმის დასრულებას. ისევე, როგორც ბავშვობაში, დედის კუთვნილი ცხვირსახოცების გარეცხვას რომ ცდილობდა, მის სახლიდან გასვლამდე, რათა მას ფეხბედნიერს ევლო, ახლაც იგივე სიჯიუტით სწამდა, რომ ასე, ქმარს სახლში დასაბრუნებელ გზას უკვალავდა.

როგორც იქნა, სახლში შებრუნებულმა მელანიმ

გათომილი ხელები წყალს შეუშვირა. ცხელმა წყალმა თითები აუნვა და თვალებიდან ცრემლები გამოსცვივდა. გაბუჟებული ხელები ჯერ ისევ ცივ ლოყებზე მიიღო და მერე ნელ-ნელა მუცლისკენ ჩააცურა. ნატრობდა, რომ ემირის ჩამოსვლამდე არ დაწყებოდა მშობიარობა. არადა, დღე-დღეზე უნდა ემშობიარა. შიშით და ცნობისმოყვარეობით ელოდა ყოველ გათენებას. ემირი ხშირად რეკავდა და ეკითხებოდა: ხომ კარგად ხარო?

– კარგად ვარო! – პასუხობდა. ემირიც იჯერებდა. ალბათ, იმიტომ რომ მელანის თვალებს ვერ ხედავდა. ჩამქრალს და სევდით დაბინდულებს.

სამზარეულოში შევიდა და მცირე ხნით სკამზე ჩამოჯდა. შობის ნამცხვრის „Bûche de Noël“-ის გამოსაცხობი მასალა დილიდანვე მაგიდაზე დაეწყო. უეცრად სასტუმრო ოთახიდან ხმაური მოისმა. მძიმედ წამოგა. მურადს პატარა წითელი ვაშლებით და კანფეტებით მორთული ნაძვის ტოტი გადმოეყირავებინა და იცინოდა. მელანის ბრაზისგან ყელი გაუშრა და ხმა ველარ ამოიღო.

– ისედაც რა საჭიროა ასეთი რამეები, – მურადი ნაძალადევი სიცილს აგრძელებდა. მელანიმ ნაძვის ტოტის ძველებურად დამაგრება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. მურადმა გადახრილ ტოტს რამდენიმე კანფეტი მოაგლიჯა და შექამა.

მუხლებზე ჩამჯდარი მელანი წყენის გაქარვებას ცდილობდა. ძალიან უჭირდა პატარა მაზლის გაძლება. სულ ცდილობდა, რომ რალაცნაირად საერთო ენა გამოენახა მასთან, მაგრამ ყოველდღე რწმუნდებოდა, ეს შეუძლებელი იყო. ხან მის დედად წარმოიდგენდა თავს, ხან დად. მაინც არაფერი გამოსდიოდა. მურადი მუდამ აგრესიული ირონიით პასუხობდა. არ იბანდა ხელებს, ყველაფერს განზრახ რევედა, არ სწავლობდა, მელანის გაკეთებული საქმელი არ მოსწონდა... ემირს შესჩიოდა, რომ მთელი





დღის მშვიერი იყო და ისიც მელანის საყვედურობდა. ემოციურად გადაღლილი მელანი ხვდებოდა, რომ აქ, მათ გვერდით მისი ადგილი არ იყო.

ელიასი მოაგონდა, რამაც კიდევ უფრო დაასევდიანა. მურადს ტელევიზორი მაღალ ხმაზე ჩაერთო და შიგადაშიგ იცინოდა. მკლავით სავარძლის კიდეს დაყრდნობილმა, დამძიმებული სხეული წვალეებით წამოსწია. წამოდგა. შესიებულ ტერფებს ძლივს ადგამდა. საძინებელ ოთახში შევიდა, კარი მჭიდროდ მიხურა და კარადაში გადამალული, ქრისტეს შობის სცენის ამსახველი პატარა ბარათი მოძებნა. ეს იყო ერთადერთი სამახსოვრო რამ, რაც ელიასისგან შემორჩა. მაშინ, როდესაც ლუის დაცინვით გულნატკენმა ელიასის გამოგზავნილი ყველა წერილი დახია, ეს ბარათი გადასადგებად ვერ გაიმეტა, ბლოკნოტში შეინახა და საფრანგეთიდან წამოსვლისას თან წამოიღო.

მელანიმ სამახსოვრო გულზე მიიღო და დაიჩურჩულა: სადა ხარ ელიას, სად?..

## ლონდონი

მომაკვდავი მამის ნახვის უფლება, ემირს მხოლოდ ხუთი წუთით დართეს. მიუხედავად იმისა, რომ აეროპორტიდან პირდაპირ ონკოლოგიურ ცენტრში მივიდა, მაინც დაუგვიანდა. მიღების საათები უკვე დასრულებულიყო. მისაღებში ბევრი ეცადა ექთნისთვის აეხსნა, რომ ხვალ შეიძლებოდა მამა-



მხატვარი სოფიო ქელიძე

მისი ცოცხალი ველარც ენახა, მაგრამ ამოდ. ბოლოს მორიგე ექიმთან შეხვედრა მოითხოვა. ცოტა ხანში, ექიმის და ორი მედლის თანდასწრებით, ნახევრად უგონოდ მყოფი მეჰმედის უზომოდ გამხდარი და დაღუული მავა, აკანკალებული თითებით ეჭირა და სწრაფად ლოცულობდა. გარეთ გამოსულს, იქვე მამამისის ორი თურქი მეგობარი დახვდა. ერთმანეთს ჯერ ხელი ჩამოართვეს, მერე თავები ორჯერ მიადეს, ჯერ მარჯვნივ, მერე მარცხნივ. მერე ყველანი ერთად შტოკე Newington-ში მდებარე აზიზიეს მეჩეთში წავიდნენ და ილოცეს. სალამოს ემირი სუნიტი მუსლიმი სწავლულის, საიდ ნურსის მიმდევართა შეკრებაზე მიიწვიეს, სადაც პირველად იქ მოისმინა საუბარი შემწყნარებლურ ისლამზე, თურქეთის სახელმწიფოს მომავალზე, განათლების აუცილებლობაზე, სხვადასხვა რელიგიის მქონე ხალხთა შორის დიალოგის შესაძლებლობებზე.

ასე დაუკავშირდა ემირი საერთაშორისო ისლამურ სამოქალაქო საზოგადოებრივ მოძრაობას „ჰიზმეთის“ (ალტრუსიტული სერვისი „საერთო ღმერთისთვის“), რომელიც შემდეგ აღარასოდეს მიუტოვებია.

მეჰმედი გამთენიისას მიიცვალა. ღმერთის ნებას მინდობილ ემირს არ უტირია. გამუდმებით ლოცულობდა და უფალს მამის სულს ავედრებდა.

ვიდრე ის, ჰიზმეთის ძმებთან და მამიდა ჰანდანთან ერთად მამის ნეშტის ინგლისიდან თურქეთში გადმოსვენების საქმის მოგვარებას ცდილობდა, თურქეთში თოვა შეწყდა და მელანის მშობიარობა დაეწყო.

## ჩალლა

ემირმა ერთი კვირის ახალშობილი, ხელში ფრთხილად აიყვანა და პანია, ვარდისფერ ყურთან სამჯერ გაუმეორა:

- შენი სახელია ჩალლა - ანეტი!
- შენი სახელია ჩალლა - ანეტი!
- შენი სახელია ჩალლა - ანეტი!

პატარამ ლულუნის მავგარი ხმა გამოსცა და გაიღიმა.

- Gördün mü, kızım kendi adını çok sevdi, - ემირმა ჩვილი მელანის გაუნოდა და წასასვლელად მოემზადა.

- ანგელოზებს გაუღიმა, ჩემმა ანეტმა, - მელანიმ ისე ჩაიხუტა შვილი, თითქოს მის გარდა ამ ქვეყნად, სხვა ახლობელი არავინ ჰყავდა. ფრთხილად დაუკოცნა შუბლი, ხორბლისფერი ლოყები. მუშტად შეკრული პანია თითები სათითაოდ გაუშალა და უტკბილესი სურნელი შეისუნთქა. მის ყოველ ამოსუნთქვას, მოძრაობას, ხასიათის ცვლილებას მძაფრი სისათუთით შეიგრძნობდა.

- შენ ჩემი ანეტი ხარ, ა ნ ე ტ ი! - მანაც ემირივით სამჯერ ჩასჩურჩულა ყურში და პირში ძუძუ ჩაუღო. პატარამ ნოვა დაიწყო. ტკივილი და სიამე ერთდროულად შეიგრძნო. წარმოიდგინა, რო-



გორ გაუხარდებოდა ბებიაშის პატარა ანეტს რომ მოსწრებოდა. თვალები დახუჭა და გონებით მის სულთან მიახლოებას შეეცადა.

ოთახში სკოლისთვის გამზადებულმა მურადმა შემოყო თავი და ჩაღვას დაემშვიდობა. მელანიმ გაუღიმა და კარგი სწავლა უსურვა.

იმ საღამოს, ბავშვის სანახავად, ნათესავები უნდა მოსულიყვნენ. მამიდა ჰანდანიც აპირებდა ანკარიდან ჩამოსვლას. მელანის ვახშამი ჰქონდა გასამზადებელი. ემირის და მურადის წასვლის შემდეგ, პატარა ანეტი სანოლზე დააწვინა და ოთახიდან ჩუმად გავიდა. გარეთ იანვრის მზემ გამოანათა. უცნაური სითბო მოეფინა გარემოს. დიდთოვლობის შემდეგ, აივანზე პირველად გასული მელანი ირგვლივ მდგარ შენობებს დააკვირდა. ფანჯრებს, აივნებს, იქიდან გამოსულ ხმებს. ძალიან უნდოდა, ჩუმად მოველო ყველა ბინა და ყველგან მხოლოდ ბედნიერება და სიხარული ეპოვა. სიხარული და სიმშვიდე ეპოვა საკუთარ ბუდეშიც. გულისტკენების ძალიან ეშინოდა. თავისი სიცოცხლის მანძილზე, რამდენჯერაც თავი კარგად იგრძნო, დაიჯერა, რომ ცხოვრება მართლაცაა მშვენიერია, იმდენჯერ გაუცრუვდა იმედები. იმდენჯერ აერია სავალი გზა და დაწყობილი ფიქრები.

ჩაღვამ უცნაური სიტყბო შემოიტანა მის ცხოვრებაში. დედობრივი გრძნობით გამთბარი მელანი, თავს ბედნიერად გრძნობდა.

\* \* \*

ჰანდანმა, პირველი რაც სახლში შემოსვლის და თავის მონესრიგების შემდეგ გააკეთა, ის იყო, რომ სამზარეულოში შევიდა და მელანის გამზადებული საჭმელი შეუმოწმა. ოსპის წვნიანს სისქე დაუნუნა და სასხვათაშორისოდ აღნიშნა, რომ ნამცხვარ „რევანს“ შარბათი აკლდა. გადაღლილი მელანი, სტუმრებისთვის გამოსაყენებელ სადილის სერვისს წყალს ავლებდა და თან ჰანდანთან გამკლავებას ცდილობდა. ჩაღვას ეძინა. სამზარეულოს შემდეგ, ჰანდანი, ახლა მურადის ოთახში შევიდა და ყველაფერი კიდით კიდემდე გადაჩხრიკა. მერე ემირი მიიხმო და უთხრა, რომ მურადს ახალი ტანსაცმელი სჭირდებოდა, განსაკუთრებით კი ყელიანი სვიტრები. თან დაამატა: „ღმერთმა სამოთხეში დაუმკვიდროს სასუფეველი ჩემს ძმას და რძალს!..“

ყველა მისი სიტყვა, ზედ გულზე ხვდებოდა მელანის.

სტუმრების მოსვლის საათიც დადგა. მელანი ღელავდა. ერთხელ კიდევ შეამოწმა ყველაფერი და თურქული ტრადიციის მიხედვით, შემოსასვლელში სტუმრების ხელებზე დასასხმელად სურნელოვანი სპირტიანი სითხე და ყუთით შოკოლადი გაამზადა.

ჯერ ემირის ბიძაშვილი ემინე და მისი ქმარი, – იბრაჰიმი მოვიდნენ. ჩაღვას მუქი მვნანე ფერის თბილი შარვალი და შემოსაცმელი აჩუქეს. მელანიმ მადლობა გადაუხადა და საჩუქრები საძინებელში

შეიტანა. ემინეც და იბრაჰიმიც უყვარდა. სწორედ ისინი დაეხმარნენ მელანის, როდესაც სამშობიარო ტკივილები დაეწყო.

ცოტა ხანში, მეორე ბიძაშვილი თევილიც გამოჩნდა, თავისი ცოლ-შვილით. მელანის კარგი ურთიერთობა ჰქონდა თითქმის თავის თანატოლ, მხიარულ და კეთილ დებთან, – თამამ სარასთან და მორცხვ ჰავასთან. სარას უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება უნდოდა, მაგრამ ოჯახი მას გასათხოვრად ამზადებდა, ჰავას კი პირიქით, სწავლა არ სურდა და მთელ დროს მაქმანების ქარგვას ანდომებდა.

მათ ოქროს პატარა მონეტა აჩუქეს ახალშობილს და ქინძისთავით გულზე ფრთხილად დაუმაგრეს.

ამასობაში მურადს ტანსაცმელი გამოეცვალა და რატომღაც, სკოლის ფორმა ჩაცვია. ჰანდანმა კიდევ ერთი მრავლისმთქმელი მზერა ესროლა ემირს.

ვახშმის შემდეგ, ვიდრე დები პატარა ჩაღვას ეფერებოდნენ, მელანი კი ჩაის ამზადებდა, სტუმრებმა ილოცეს და სასაუბროდ პატარა მაგიდებს შემოუსხდნენ. თევილის ცოლმა ნადიმემ, მეჭმედზე ნამოიწყო საუბარი, გაიხსენა მის მიერ გაკეთებული სიკეთეები და ალაჰს მისი შენდობა სთხოვა. დანარჩენებმაც ხელები და მზერა ზევით ალაჰს მიმართეს, მერე ხელისგულები სახეზე მოისვეს და ერთხმად წართქვეს – ამინ!!!

## მურადი

მურადი, სასწავლო წლის ბოლოს, ცუდი ნიშნების გამო, შემდეგ კლასში ვეღარ გადავიდა. ემირი იძულებული გახდა სწავლის გასაგრძელებლად სტამბოლიდან დენიზლიში, კერძო კოლეჯში გაეგზავნა. ამიერიდან მას საერთო საცხოვრებელში ცხოვრება და მკაცრი შინაგანაწესისთვის ფეხის აწყობა მოუწევდა. რა თქმა უნდა, მოუსვენარ და თავნება ხასიათის მქონე მურადს იქ წასვლა არ უნდოდა. საშველად ანკარაში, მამიდას დაურეკა, მაგრამ ჰანდანმა დაარიგა და ურჩია: – სჯობს, ისე მოიქცე, როგორც შენი ძმა გადანყვეტსო. მურადს ეწყინა. გაბრაზებულმა სამეცადინო მაგიდიდან ნიგნები გადმოყარა და გარეთ გავარდა. გარეთ გასულს, კარის მეზობელი შეხვდა, რომელმაც შეაჩერა, თავზე ხელი გადაუსვა და თბილად უთხრა: „როგორ გავხარ საცოდავ დედაშენსო“.

დედა ბუნდოვნად ახსოვდა. ხანდახან სიზმარში ქალის თეთრ, გამჭვირვალე სხეულს ხედავდა, რომელიც უახლოვდებოდა და მასთან მისვლამდე ქრებოდა. მამიდასგან იცოდა, რომ დედა მასზე მშობიარობის შემდეგ გახდა ავადა. ტანზე უცნაური ლაქები გაუჩნდა, თუმცა მალევე გაუქრა. ექიმებს მისი სახლში განერა ჯერ არ უნდოდათ. გამოკვლევების ჩატარებას უპირებდნენ. თავიდან, რამდენიმე დღე ახალშობილს ბებია, დედის დედა უვლიდა, მაგრამ





პატარა ძალიან ჭირვეულობდა, სულ ტიროდა. ამის გამო, მეჰმედმა ექიმების დაუკითხავად, ცოლი საავადმყოფოდან ჩუმიად გაიყვანა და ხელში ბავშვი დააჭერინა. მურადი დედის წინაშე თავს დამნაშავედ გრძობდა. მამაზეც ძალიან ბრაზობდა, დედას თავის დროზე წესიერად რომ არ მიხედა. თუმცა ეს მისთვის არასოდეს უთქვამს. ყოველთვის გულში იტრიალებდა დარდს და სიბრაზეს. დიდად არც ყოვლისმცოდნე მამიდა ჰანდანთან მოსწონდა ყოფნა. საფრანგეთში, ემირთან და მამამისთან ერთად ერჩივნა ცხოვრება, მაგრამ მეჰმედს უნდოდა, რომ მის მეორე შვილს განათლება თურქულ სკოლაში მიეღო.

ძმა უყვარდა და ვერაფრით ეგუებოდა მის ფრანგ ცოლს, – მგრძობიარე და მუდამ სევდიან მელანის. მამის გარდაცვალების შემდეგ, კიდე უფრო მეტად მიეკედლა ემირს. ახლა კი ისიც თავიდან იშორებდა. მურადს ძალიან უნდოდა დედა ცოცხალი ჰყოლოდა.

სახლში დაბრუნებულმა, დედის გაცრეცილი, კიდეებმოქარგული მოსახვევი მოძებნა და ბალიშის ქვეშ დაიდო.

### ჰანდანი

შეგებულებაში მყოფ ჰანდანს გვიან გაეღვიძა. ფარდები გადასწია, ფანჯრები გამოალო და სახე მზეს მიუშვია. თავის მოწესრიგების შემდეგ, თეფშზე ორი ნაჭერი პური დადო, ყველაზე დიდი დანის წვერით, რომელიც კი სახლში ჰქონდა ზედ კარაქი საგულდაგულოდ გადაუსვა და ერზრუმული ყველის გაძენილი ნაჭრები დააფინა. მაცივრიდან გამოღებული პომიდორი ჭურჭლის გელით გარეცხა, გაამშრალა, დიდ ნაჭრებზე დაჭრა, მარილიანი ხმელი ოხრახუში მოაყარა და ნივრის და ხახვის არომატიანი ზეთუნის ზეთი მოასხა. ეს ყველაფერი ჩაისთან ერთად აივანზე გაიტანა, ძირს დაფენილ ხალიჩაზე ჩამოჯდა, ისე რომ მეზობლებს არ დაენახათ და ჭამა დაიწყო.

ჰანდანი ფიქრობდა, რომ ეს ცხოვრება მას უსამართლოდ მოექცა. ენერგიულმა და ცნობისმოყვარე ქალმა თავისი ცხოვრების 41 წელი მარტომ გალია. მშობლების სურვილით, რელიგიური საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, გოგონებისთვის ყურანის სწავლება დაიწყო. თუმცა, მასაც მეჰმედით უნივერსიტეტში სურდა სწავლის გაგრძელება. მშობლების წინააღმდეგ წასვლა ვერ გაბედა. მალევე დანიშნეს, თუმცა საქმრომ შორეული ნაოსნობის გემზე დაიწყო მუშაობა და ერთ-ერთი რეისიდან თურქეთში აღარ დაბრუნდა.

დადარდაინებულმა ჰანდანმა რელიგიის საკითხ-



ლანა მანველი

თა საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში დაიწყო მუშაობა. მშობლების გარდაცვალების შემდეგ, ძმის ნებართვით, მშობლიურ სახლში დარჩა. მეჰმედს, დაქვრივების შემდეგ ბიჭების მისახედად მისი სტამბოლში წაყვანა სურდა. ცოტა ხნით წავიდა კიდეც, მაგრამ იქ ცხოვრება ვერ შეძლო და მურადთან ერთად უკან, ანკარაში დაბრუნდა.

მურადის სტამბოლში დაბრუნების შემდეგ, კიდე გამოუჩნდა რამდენიმე მთხოვნელი. ზოგს ნათესავეები, ზოგსაც თანამშრომლები ურიგებდნენ, მაგრამ ზოგი მას არ მოსწონდა, ხოლო ვისითაც ის დაინტერესდა, მათ აღარ მოინდომეს მასთან ურთიერთობის გაგრძელება.

...ფიქრებში წასულს ჩაი გასციებოდა. საათს შეხედა. შუადღის ლოცვა ახლოვდებოდა.

ჭამა სწრაფად დაასრულა, ჭურჭელი გარეცხა და სალოცავად გასუფთავდა.

### ოჯახური იდილი

წყნარ და მორიდებულ ჩაღლას ბაღში არ უვლია. მთელ დროს დედასთან ერთად ატარებდა. მელანიმ როგორც იქნა ოჯახური სიმშვიდე მოიპოვა. დილით ადრინადად დგებოდა. ქმარ-შვილს საუზმეს უმზადებდა. ემირის სამსახურში წასვლის შემდეგ, ბავშვი ჰაერზე გაჰყავდა, სახლს ალაგებდა, სადილს ამზადებდა, ქარგავდა. ქარგვა თურქი ქალების მიბაძვით დაიწყო. ისინი ხომ არასოდეს რჩებოდნენ ხელსაქმის გარეშე: ქარგავდნენ, ქსოვდნენ, ყანისნალის წვერით მოსახვევის ნაპირებს ფერად-ფერადი ძაფებით აგვირისტებდნენ. მელანიმ ჯერ ჩაღლას ოთახისთვის ნითელ ქოლგას შეფარებული ყვითელი, საყვარელი წინილა მოქარგა. მერე სასტუმრო ოთახისთვის ნაირ-ნაირი ყვავილები. ნიმუშებს მათი ოჯახისთვის გამოგზავნილ საქორწინო მოსაწვევებიდან იღებდა. მოსაწვევები ყოველთვის ღია კონვერტში იდო და ზედ „Emir Ertürk ve ailesi“\* ეწერა. მელანის უყვარდა ასეთი მოსაწვევების მიღება. თანდათან ახალ ადამიანებს ეცნობოდა და გარემოს ეგუებოდა. ელიასზე აღარ ფიქრობდა.

ყოველდღე, ვიდრე ემირი დაბრუნდებოდა, ტელევიზორში მუსიკალურ არხს – Kral TV-ის რთავდა პატარა ჩაღლასთან ერთად მღეროდა და ცეკვავდა. ჩაღლას ასეთი გართობა ძალიან მოსწონდა. კვირის ბოლოს ყველანი ერთად მიდიოდნენ ბოსფორის სრუტის სანაპიროზე სასეირნოდ, ატრაქციონებზე, მალაზიებში, სტუმრობდნენ ნათესავებს.

### ემირის გზა

ემირმა მალაზიის კარი დილის 8 საათზე გააღო, სიგნალიზაცია გამოართო და ვიდრე კონსულტან-

\* ემირ ერთურქი და ოჯახი (თარგმანი თურქულიდან).



ტები მოვიდოდნენ შემოსავალ-გასავლის ანგარიში შეამონმა. მერე სათითაოდ დაათვალიერა თაროები, რომლებზეც სხვადასხვა სახის კოტონის და სატინის თეთრეული, პირსახოცები, სუფრები, ხალათები იყო განთავსებული. შემოსატანი საქონლის სია ჩამოწერა და დენიზლიში, მურადის საერთო საცხოვრებლის დირექტორს დაურეკა.

ჯანერ ბეიმ, გულისტკივილი გამოთქვა იმის გამო, რომ მიუხედავად მისი თანადგომისა, მურადი მაინც ხშირად არღვევდა საცხოვრებლის შიდა განაწესს: კოლეჯიდან დროულად არ ბრუნდებოდა, დარღვეული ჰქონდა გაღვიძების და დაძინების საათებიც. ყველაფერთან ერთად სწავლასაც ვერ უდებდა გულს და ამხანაგებთან ხშირად ჩხუბობდა. ემირმა ბოდიში მოიხადა და დაჰპირდა, რომ მისი ძმა თავის საქციელს აუცილებლად გამოასწორებდა. ჯანერ ბეისთან საუბრის დასრულების შემდეგ, მურადის კლასის დამრიგებელს ხმოვანი შეტყობინება დაუტოვა, რათა მისთვის თავისუფალ დროს ემირს მასთან საუბრის საშუალება მისცემოდა.

კიდევ რამდენიმე ადგილას დარეკა. ცდილობდა შეკრებისთვის, რომელიც იმ საღამოს მათ სახლში უნდა მოწყობილიყო, რამდენიმე ახალი ადამიანი კიდევ მიენწვია, რათა ისინიც ჩართულიყვნენ მოძრაობა „ჰიზმეთის“ რელიგიურ და საქველმოქმედო საქმიანობაში. ემირი სრულად იზიარებდა საიდნურსის\* იდეებს. ისიც რელიგიისა და მეცნიერების ჰარმონიული თანაარსებობის მომხრე იყო და სჯე-

როდა, რომ „ლოგიკა და თანამედროვე მეცნიერება“ იყო ქვეყნის განვითარების გზა. მისი აზრით, სეკულარულ სკოლებში რელიგია უნდა ესწავლებინათ, რელიგიურ სკოლებში კი – თანამედროვე მეცნიერება. საჭირო იყო მუსლიმური საზოგადოებების მოდერნიზება. სწორედ ამ მიზანს ისახავდა მოძრაობის მიერ, სხვადასხვა ქვეყნებში გახსნილი სკოლები. სადაც მოსწავლეებს აწვდიდნენ სეკულარულ, თუმცა, ამავე დროს, კონსერვატიულ განათლებას.

ემირი „უურნალისტებისა და მწერლების ფონდის“ წევრიც იყო. მისი თაოსნობით ხდებოდა, ნიგნების თარგმნა და სხვადასხვა ეროვნების მკითხველისთვის მინოდება.

მოძრაობის წევრებს დადებითი დამოკიდებულება ჰქონდათ ქრისტიანებისა და იუდეველების მიმართ. გმობდნენ ანტისემიტიზმს. მომხრენი იყვნენ „ზომიერი ისლამის“ და რელიგიათა შორის დიალოგის. მათი ლიდერი, სხვადასხვა დროს პერსონალურად შეხვდა რომის პაპ იოანე-პავლე II-ს, კონსტანტინეპოლის (მსოფლიო) მართლმადიდებელ პატრიარქ ბართლომეს და ისრაელის რაბინ ელიაჰუ ბაქში-დორონს.

...მაღაზიაში მოსულ კონსულტანტებს, ემირმა ვიტრინებში გამოფენილი საქონლის შეცვლა დაავალა და თვითონ, მელანის მიერ დილით გადაცემული პროდუქტის სიით ხელში, სავაჭროდ, მოძრაობა „ჰიზმეთის“ ერთ-ერთი აქტივისტის მარკეტში წავიდა.

\*საიდნურსი (1877 — 1960) ეთნიკურად ქურთი თეოლოგი, რომელიც სუნიტურ ისლამს ქადაგებდა.



მხატვარი უშანგი ხუმარაშვილი





ტევრში – ვაზი, ზღაში – ვარდი, წაში – სხივი წიაღემს,  
იქარგება დედამინა, ღობენით ლაღად ტრიაღემს,  
რა გაუძლებს ამ სასწაულოს – ენძელიანს, იანემს,  
მოზღვავებულ სიყვარულოს და... ფერებს მზიან-მზიანებს...  
ფერთა გამის შუტიზი აქვთ – ატემესა და ალუჩემს,  
რჩეულთ, – სხივთა მაცრიონი, კოწიით ალეოსს აჩუქემს,  
რა, საამო, სურნელი დგას, – ერწყმის სხივთა აულოებს,  
გაზაფხულის ზრწყინვადეზას, სხივ-ხოტბას რა დაულოებს?!..

თ. თელაველი

**თინათინ  
თელაველი  
(მრეაზვილი)**

ქ  
ე  
ლ  
ა  
კ  
ე  
ლი



რომ... გავამთლიანოთ –

**საქართველო**

ივერთ მზეს სასრული ემუქრება,  
ზოგი ქართველი, რომ არ ქართველობს,  
უნდა ვისახავდეთ: ერთგულ ნებას,  
რომ გავამთლიანოთ – საქართველო!..



**თინათინ  
თელაველი  
(მრეაზვილი)**

**სურათი**

ქუფრობდა, შემდეგ კი – გადიკარა,  
ბურუსში, მზემ სხივით – გაიკვალა,  
თუმც, ფრთებით იძალა არწივ-ქარმა,  
ცამ ღრუბლის პირბადად აიფარა...

ფიქრი მაძლევეს იმედს!..

ფიქრი მალაღებს და... ფიქრი მაძლებინებს,  
ფიქრი არ მასვენებს, ფიქრი მაძლევეს იმედს,  
ფიქრი, სიკეთის მზით, შამბნარს მათელინებს,  
ფიქრი, - მომავლის მზით, მანერ – მალექსინებს...

**გამიგონია**

გამიგონია, მუზა არის – წვევა, – ბევრისთვის,  
მე, კი, ვთვლი, რომ, – თვით, ფიქრი არის – მუზა მწერლისთვის,  
თუ, ფიქრს გახედნი, მაშინ, მუზა თავად გენვევა,  
თუ, გყოფნის გონი, გონი, წერის, – მიზანს ეწვევა...



## ეტრფის, ელამუნება...

მზე სხივით რთავს აპრილის ცას, – ეტრფის, ელამუნება,  
ეს, რა ხიბლი მოგვმადლა, ირგვლივ დედა-ბუნებამ, –  
ზეგარდმო არსთ, სიყვარული სიცოცხლისა უნება,  
სილამაზით – სიხარული, რომ შეიგრძნონ, – თუ, ნებავეთ..  
ტევრში – ვაზი, ბაღში – ვარდი, ცაში – სხივი ციალებს,  
იქარგება დედამინა, ლხენით ლალად ტრიალებს,  
რა გაუძლებს ამ სასნაულს – ენძელიანს, იანებს,  
მოზღვავებულ სიყვარულს და... ფერებს მზიან-მზიანებს...  
ფერთა გამის შეჯიბრი აქვთ – ატმებსა და ალუჩებს,  
რჩეულთ, – სხივთა მაყრიონი, კოცნით ალერსს აჩუქებს,  
რა, საამო, სურნელი დგას, – ერწყმის სხივთა აულებს,  
გაზაფხულის ბრწყინვალებას, სხივ-ხოტბას რა დაუღევს?!..

## თუ...

თუ, გიყვარს ნიგნი, თუ, შესწვდი მის – სხივთა მარათონს,  
თუ, ელტვი ცოდნის ლამპარს, ცოდნა, მუდამ მარადობს,  
და... სიბრძნეს, ცოდნის იალაღზე გაშლი – ფარად, როს,  
მამულის ვალში, არ დარჩები, გნამდეს, არასდროს...

## ვაგლახ, გული მატკინე

ვაგლახ, გული მატკინე, თვალსაც ველარ მისწორებ,  
და.. რაც, ადრე, მოგწონდა, ახლა, აღარ იწონებ,  
ანმყოფ ვჭვრეტ და... ვამზევებ, ფერი, რით, რამ იცვალა?!..  
ვჭვრეტდი, ვჭვრეტდი, ვჭვრეტდი და... ფიქრმაც ვერა მითხრა რა...

## რარიგ შვენის...

რარიგ შვენის ზურმუხტ ველებს ყაყაჩოთა ელვარება,  
ნითელკაბა მაყრიონი ცეკვით მაღავს მღელვარებას...  
ბავშობიდან მაოცებდა, ახლაც, არ ვუჯერებ თვალებს,  
რარიგ, იხდენს ნითელ კაბას, ამ კაბაზე – შავ-შავ ხალებს...  
სიო, რომ ჩამოიქროლებს გრძნობას, განცდას და ფიქრს ალევს,  
ლამაზ კაბას აელვარებს, ლაღობს, ელტვის სიოს ალერსს...

## სურათი

შემოდგომაა... დღისით ცხელოდა, თუმც, საღამოსკენ ცა  
დაღრუბლულა,  
ვუმზერ: მთებს მიღმა, შორს... მზისგან ნაფერ, ღრუბელთა  
ფთილებს, თეთრს და ფუმფულას,  
ჩრდილისფერ ნისლებს ელამუნება მწუხრნამოსხმული კავკასიონი  
აქ, სხვა სურნელი იგრძნობა, ირგვლივ, სივრცეს ალაღებს –  
მთათა სიონი...





## რა ძალიან, მომენატრე!!!..

აისის მზე უაღერსებს, წვრილ-წვრილ ვარსკვლავთ, შორსმჭვრეტ ცა-მთებს,  
 ალუბლებიც გაპენტილა, სიყვარულით რტოებს ანთებს,  
 გულის კარს ვხსნი, – სიყვარულის – ვუხმობ, მუდამ, მთოველ ნატვრებს,  
 მომენატრე!.. მომენატრე!.. რა ძალიან მომენატრე!!!..

## ოცნებით ვახელებ!..

ხვალის მზეს ოცნებით ვახელებ,  
 ფიქრად ხარ, ფიქრად ხარ, ფიქრად ხარ!..  
 მწუხრს, შენზე ფიქრებით, ვათენებ,  
 მიყვარხარ!.. მიყვარხარ!.. მიყვარხარ!!!

## ვიჩქაროთ!!!

ჩვენი სიყვარული გაფურჩქნილ ვარსკვლავს გავს,  
 ვიჩქაროთ, ვიდრე ის დროით დაფერფლილა,  
 გვირილის თეთრ კაბას მზე საქორწილოდ რთავს,  
 ცისკარს შევაგებოთ რწმენით სავსე დილა.

## ყუნეჭარეს ბაღნარად

მერცხალი სარკმელს მოანყდა და... გაზაფხული მახარა,  
 გულს სითბო ჩამომესხივა, რა მაიმედებს?!.. ახლა, რა?!  
 რომ... გაზაფხული სიცოცხლით მომალხენს, დღესაც და ხვალაც,  
 რომ, ამ სიყვარულს ის მიქცევს – უუნეჭარეს ბაღნარად..

## იმედს, მაინც ველტვი!..

შენს ტრფობავს ველტვოდი, ხოტბას არ გაკლებდი,  
 არც, არას ამბობდი, არც იმედს მადღევედი...  
 მაგრამ... დრო გავიდა... ჩემს თავს სხვა არჩიე,  
 ეს გული - დასერე და ფერფლად აქციე...  
 ცა ჩამომექუფრა.. და... ცეცხლი მომედო,  
 ის, სხივიც ჩანაცრდა, იმედად რომ მენთო...  
 თუმც, ცეცხლი, კვლავ, ღვივის, ალივით ბრიალებს,  
 იმედს, მაინც ველტვი, სვეს გამიმზიანებს...

## მნამს, სიყვარული უსაზღვრო..

ამინდი, თუმცა, ცივია, – ვიცი, გამათბობს შენი მზე,  
 მნამს, – სიყვარული – უსაზღვრო, შენი გულის მზით შევიცნე,  
 შენ, ყველა ფიქრს, რომ წინ უსწრებ, სხივდები ჩემს მზედ,  
 ხატებად,  
 ეს სიყვარული, – მარადი, გულს – მუდამ, სვედ მეხატება...



**ბაია  
კაკაურძე**

**მ  
ს  
ტ  
ქ  
რ  
თ  
ე  
ს  
ი  
მ  
ე  
რ  
ა  
დ  
მ  
ოს  
კ  
ლი  
ს  
ჟ  
ამ  
ს**

მორიდებით გადააზრდა ნოემ ტაძრის ზღვრულს და საორწარი განწყობა დაეყვალა. თაფლის სანთლების არო-მატმა თავზრუ დაახვია და ოღნავ შეცოვრტმანდა. ტაძრის სიღმეში, მგალონელთა სიახლოვეს, ნაწინო სილუეტს მოჭკრა თვალი, უყურად, წამიერად. საკუთარი გულისხრემა იგრძნო ნოემ, სახეზე ალომურმა გადაჭკრა. კიდეც გაიხედა იმ ადგილისკენ და სილუეტი თითქოს და არე ყოფილოო. სიწარიელე შეიგრძნო, ირგვლივ მიმოიხედა, მაგრამ უშედეგოდ. არსად არ ჩანდა მატასი, წამიერად ხილოული.

მ. კაკაურძე



**მეორედ მოსვლის ჟამს**

დასასრული. დასაწყისი იხ. №1, 2023 წელი

**ნოე**

– არა რა, გამაგიჟებს ეს გოგო საბოლოოდ, – გამეტებით მოისროლა ტელეფონი სავარძელზე და სამუშაო მაგიდას მიუჯდა. კვირის ანგარიშის დოკუმენტები ჰქონდა სამინისტროში გადასაგზავნი. მთელი კვირის მანძილზე ვერაფერი გააკეთა და ქვეყნის სახლფორტო დაუგროვდა. თავს ძალა როგორ არ ატანა, როგორმე გონება მოეკრიბა და საქმე დაესრულებინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

ცოტა ხანს კიდევ იწრიალა სავარძელზე. სოციალურ ქსელეებში არსად ჩანდა ეს დღეები მატასი და უფრო ანერვიულდა, „სადაა, რა დაემართა“ – უკვე მერამდენედ გაიმეორა ხმამაღლა..

– ღმერთო, მგონი ვგიჟდები და იქნებ მიშველო რამე, – გაიფიქრა გონებაში და ტელეფონს ხელი სტაცა. ისეთი გამომეტყველებით გავიდა სამუშაო ოთახიდან, ვერავინ ჰკითხა, რა მოხდაო. მალე დავბრუნდებიო, დაიბარა და შენობა დატოვა.

მატასის სახლის გარშემო კარგა ხანს უაზროდ იტრიალა, მაგრამ ასვლა ვერ გაბედა. ვერც ის გაარკვია, სახლში იყო თუ არა მატასი. თავისდაუნებურად, სანაპიროსკენ დაუყვა გზას და რატომღაც, დედა მართას ნახვა მოუნდა.

„ღმერთო, მე ვერაფერი გამიგია და იქნებ დედა მართამ მითხრას, რა მჭირს“, – სანაპიროდან მონაბერი ნიავი სახეზე სცემდა და ცოტა გამოაფხიზლა ფიქრებისგან დაზაფრული ნოე.

– მატასი, რატომ ამეკვიატე, – ნაიბუტბუტა გულმოსულმა. – არა, თვითონ არ ამეკვიატა, მე თვითონ ავიკვიატე, ამოვიჩემე და ფიქრებიდან აღარ გაუშვი. ჩემი ბრალია. რა მინდოდა საერთოდ, სად ვეკვებებოდი. ნეტავ საერთოდ არ შევსულიყავი იმ დღეს იმ ცხარე პოლემიკაში. რა მინდოდა,

რას ვეძებდი. ვიყავი წყნარად, სახლი, სამსახური, მეგობრები და რა არის ახლა? აღარც სახლისთვის ვვარგივარ, სამსახურში ველარაფერს ვახერხებ და მეგობრებისთვის საერთოდ ველარ ვიცილი. იმ გაცხარებული კამათის ფონზე რალა მაინცდამაინც მატასის მინაწერებს ჩავუღრმავდი. განა რა თვალთ შევხედე ამ მინაწერებს, რომ მას შემდეგ ველარ მოვიცილე გონებიდან. ნუთუ სხვა ასე პირდაპირ, ალალად და ნათლად ნათქვამი მანამდე არაფერი წამიკითხავს? რატომ გადამიტრიალა გონებაც და ცნობიერებაც იმ ერთმა აბზაცმა. ღმერთო, რა მინდოდა, საერთოდ რას ვეძებდი იქ. დავიკარგე ამ ლაბირინთში და გზას ველარ ვიგნებ.

ნოე ჩაფიქრებული მიჰყვებოდა გზას.

დედა მართა სამი წლის წინ გაიცნო. სამინისტროს და საპატრიარქოს ერთობლივი ღონისძიება ჰქონდა დაგეგმილი და დედა მართა, როგორც ღონისძიების ორგანიზატორი, სამუშაო შეხვედრაზე ნახა პირველად. სასწაულია დედა მართა, მოკრძალებული, მშვიდი. საკმარისია მის გვერდით გაიარო და ისეთი სიმშვიდე გეუფლება, რომ ამ მდგომარეობის გადმოცემა გიჭირს. გონება გეხსნება, ხასიათი გეცვლება, ღმერთის სიახლოვეს გრძნობ. ქალი სათნოება და ქალი სიკეთე, ესაა დედა მართა.

– არა, არაფერს არ დავმაღავ, ყველაფერს ვეტყვი, – გაიფიქრა და სარკეში საკუთარ თავს გახედა. საფეთქლებთან ისედაც ჭალარაშერეულ თმას სითეთრე მოსძალებოდა. – არადა, ქეთი მატყობს ამ ფორიაქს. ამასწინ დაჟინებით მაკვირდებოდა და როდესაც მისი მზერა დავიჭირე, პირდაპირ მკითხა, რა ხდება, რამ გადაგათეთრა ესე, რა ხდება ჩვენს თავსო. ღმერთო, როგორ ვუთხრა, ამდენწლიანი სიყვარულის შემდეგ, შენც მიყვარხარ და სხვაც შემიყვარდა მეთქი? იქნებ არ მიყვარდა ქეთი და ვერ ვგრძნობდი ამას? მატასის გამოჩენამ ყველაფერს ნათელი მოჰფინა და სინამდვილე დამანახა? ხანდისხან ისიც მგონია, მთელი ცხოვრება ვიცნობდი





ამ რალაცნაირ გოგოს, სულ ვიცნობდი და როდესაც აღმოვაჩინე, მივხვდი, ის იყო. ხო, რალაცნაირია, არავის არ გავს და ვიდრე დაიბადებოდა, მანამდეც ვიცნობდი, ძალიან შორეულ წარსულიდან. ქვეცნობიერი მეუბნება და მკარნახობს, რომ წინა ცხოვრებაშიც ვიცნობდი და ძალიან ახლოს.

– მატასი, მატასი, შემშალე ჭკუიდან, – ხმამალა გაიფიქრა ნოემ.

სიმწვანით გარემოცული მონასტერი, როგორც იქნა, გამოჩნდა. ფიქრებში გაიწვლა დრო, თორემ ნახევარი საათიც არ სჭირდებოდა მონასტრამდე სავალ გზას.

ის იყო, სალამოს ლოცვა იწყებოდა. გადმოვიდა თუ არა მანქანიდან ნოე, დედა მართა შენიშნა, დედა მართამაც შენიშნა ნოე და შეჩერდა.

– დამლოცე დედაო, მშვიდობა, – ნაიბურტყუნა ნოემ და დედაოს წინ თავი დახარა.

– მშვიდობა მოგცეს ღმერთმა, შვილო ჩემო, – დაილოცა დედა მართა და ნოეს მიაჩერდა, გისმენო.

– დედაო, საუბარი მინდა, – დაინყო პატარა პაუზის შემდეგ ნოემ; ძალიან მნიშვნელოვანია და თქვენგან მინდა მოვისმინო ჩემს ყველა კითხვაზე პასუხი.

ცოტა ხანს მდუმარედ უცქერდა დედა მართა მის წინ აღმართულ ახმახს. ნუთუ შეუძლია ასეთი აღნაგობის და ფიზიკური ძალის მქონე კაცს ემოცია და განცდა ესე გამოხატოსო, ფიქრობდა დედა



მხატვარი სოფიო ქელიძე

მართა, როდესაც ნოეს ათვალეერებდა და საოცარ ტკივილს განიცდიდა გულში, თითქოსდა ნოეს გულის ტკივილი გადმოსულიყოს მის გულსა და ცნობიერებაში. ეს არ იყო ის ნოე წინამძღვრიშვილი, რომელიც თვეების წინ გაიცნო. მკაცრი, განონასწორებული, შემდგარი ადამიანი. მაშინ, პირველი შეხვედრისას, ისიც კი გაიფიქრა დედა მართამ, შვილი რომ მყოლოდა, ალბათ ასეთი იქნებოდაო და სიტბო ჩაეღვარა გულში. ხოდა, უცქერდა ნოეს და გული უთბებოდა. სიყვარულით სავსე თვალებით უცქერდა ნოეს, როგორც თავის ერთ-ერთ შვილს, რომელსაც რალაც განსაცდელი მოვლენოდა უფლისგან და სამყაროსგან.

– შვილო ჩემო, არ მიკვირს, ვხედავ სულში შვოთვა გაქვს და შენი გონებაც ველარ ერევა ამ განსაცდელს. მეორედ მოსვლის ჟამს ეს ბუნებრივია. მზად ვარ, მოვისმინო, ოღონდ ახლა არა. ხვალ, წირვის შემდეგ დაგელოდები. ახლა ლოცვა იწყება. დაესწარი სალამოს ლოცვას, მოისმინე დილის წირვა და შემდეგ მოვისმენ.

დედა მართას სიტყვები შორიდან ესმოდა ნოეს. იდგა გათიშული და დიდხანს უყურებდა ტაძრისკენ მიმავალ დედაოს, ვიდრე მონასტრის კარში არ გაუჩინარდა.

...

მონასტრის ზარების რეკვამ საბოლოოდ დააბრუნა რეალობაში. სამსახურში დარეკა, დღეს აღარ დავბრუნდებო და მობილური გათიშა.

მონასტრის ეზოში წყნარად მორაკრავე წყაროს მიუშვირა სახე და კამკამა წყალმა ცოტათი მოასულიერა. სალამოს ლოცვა იწყებოდა. მრეველი დიდი ხნის წინ ამორჩეულ ადგილებზე იდგა. პირველად რომ შედიხარ ტაძარში, ის შენი, საკუთარი ადგილი ჩუმად გეძახის და შემდეგ ისე გითავისებს, სხვა ადგილს ველარ ეგუები, ვერ ჩერდები. რა ჰქვია ამ განცდას და შეგრძნებას? ადგილის ანგელოზი გეძახის თითქოს. ჰო, ესეა, ტაძარში მლოცველს საკუთარ ადგილს უჩენს მამაზეციერი და იმ ადგილს ჩუქნის მადლის, ბედნიერების და წყალობის მისაღებად.

მორიდებით გადააბიჯა ნოემ ტაძრის ზღურბლს და საოცარი განწყობა დაეუფლა. თავლის სანთლების არომატმა თავბრუ დაახვია და ოდნავ შეტორტმანდა. ტაძრის სიღმეში, მგალობელთა სი-ახლოვეს, ნაცნობ სილუეტს მოჰკრა თვალი, უეცრად, წამიერად. საკუთარი გულისცემა იგრძნო ნოემ, სახეზე აღმურმა გადაჰკრა. კიდევ გაიხედა იმ ადგილისკენ და სილუეტი თითქოს და არც ყოფილაო. სიცარიელე შეიგრძნო, ირგვლივ მიმოიხედა, მაგრამ უშედეგოდ, არსად არ ჩანდა მატასი, წამიერად ხილული.

ლოცვის დასრულებამდე ფეხი არ უცვლია, იდგა ესე გახევებული და პერიოდულად, პირველად ისინდა.

ლოცვის დასრულებისთანავე, მკლავზე მსუბუქი შეხება იგრძნო; ვერ შენიშნა, თუ როდის მიუახ-



ლოვდა დედა მართა.

– გამომყევი, ნოე – გაუძღვა დედაო და ისიც მორჩილად გაჰყვა. სტუმრებისთვის განკუთვნილ რეზიდენციაში შეუძღვა ნოეს დედა მართა. ოთახის კუთხეში ხის გრძელი სკამი იდგა, საითკენაც დედაომ ანიშნა, დაჯექიო.

– უფლის სახლში ხარ ნოე, ჩემო შვილო, გვარავდეს უფალი, – დედა მართა დედობრივი სიტბოთი უცქერდა ნოეს.

– აღსარებისთვის მოემზადე, ნოე, აქვეა ლოცვანი, კალამი, ფურცლები. ვხედავ, გიჭირს საუბარი და აჯობებს, ჯერ აღსარება თქვა, მე მხოლოდ ამის შემდეგ მოგიმენ.

მონასტრის ეზოში ისეთი სიმშვიდე იდგა, ნოემ დარჩენა გადაწყვიტა. სახლში დარეკა, მონასტერში ვრჩებიო. ქეთის აღარაფერი უკითხავს, მშვიდად მოისმინა ნოეს შეტყობინება.

წყაროსთან გამართულ მაგიდას მიუჯდა, სანერ-კალამი მოიმარჯვა, მაგრამ ფურცელზე ვერაფერი გადაიტანა. მონასტრის ეზოს სიმშვიდემ გააბრუნა. ყვავილების და ვარდების სიმრავლე ასე უხვად, დიდი ხანია, აღარსად ენახა. როგორც იქნა, გონება მოიკრიბა და დაიწყო:

„უფალო, დავიკარგე, საკუთარი თავის ძიებაში დავიკარგე და შენდობას ვითხოვ. მომიტევე, რადგან ყოველთვის საკუთარი კეთილდღეობის მოპოვებაზე ვზრუნავდი, თუმცა უფალი არასოდეს დამიწყებია. როდესაც რამეს ვაკეთებდი, ყოველთვის ვფიქრობდი, შენ როგორ დაინახავდი ამ ყველაფერს, შენ რას მეტყვოდი. ხშირად ვცოდავდი, მაგრამ სულ ვიცოდი, მაინც გიყვარდი, ისეთი გიყვარდი, როგორც ვიყავი. მაინც ფეხდაფეხ დამყვებოდი, პირჯვარს მსახავდი და არ მტოვებდი.

ბევრჯერ მილაღატეს, გამყიდეს, მაიძულეს გადამეხვია შენსკენ სავალი გზიდან, მაგრამ შენივე წყალობით, სიბოროტე არ შემომიშვია გულში. პირსისხლიანებისგან მხოლოდ ის გავითავისე, რომ ასეთებთან მათივე ენით უნდა ილაპარაკო. მათგან მოყენებული ყველა ქრილობა მოშუშდა, მაგრამ ეს ყველაფერი უშნო შრამებად დააჩნდა გულს და მხოლოდ შენ იყავი ამ დროს ჩემი ყველა ტკივილის ნამალი და მალამო.

მადლობა, უფალო, რომ ფეხდაფეხ მომყვები და გზას მიჩვენებ. მადლობა ყველაფრისთვის. მადლობა, რომ იმ ადამიანამდე მიმიყვანე, რომელიც კაშკაშა მზესავით ამოვიდა ჩემს გულში და ყველა შრამი თუ ტკივილი გააუფერულა.

მომიტევე, უფალო და მომეცი ძალა, ამ ადამიანის გულით ტარება და სიყვარული შევძლო, უფლება მომეცი ამ სიყვარულის.

„უფალო შემინყალე“.



**მარია კაკაშვილი**

ნოე წინამძღვრიშვილი

დედა მართასთვის წერილის დანერა გაუჭირდა ნოეს. სათქმელს თავი ვერაფრით მოუყარა. ბოლოს იმითლა დაიმშვიდა თავი, პირისპირ შევხვდები და ყველაფერს მოუყვებო.

სუფთა ჰაერი, ხეების და ვარდების სურნელი ენით აუნერელ სიამოვნებას ანიჭებდა ნოეს. თითოეულ ხეს და ბუჩქს მონაზვნების ხელი და ზრუნვა ეტყობოდა. ცივი, კამკამა წყარო მალამოსავით მოედო ნოეს აფორიაქებული გულს. ტელეფონს ჩახედა. გამოტოვებული ზარების მთელი ნუსხა დახვდა,

ფაქტიურად ყველა ერთდროულად ურეკავდა. ისევ გათიშა ტელეფონი და იქვე, წყაროსთან ჩამოჯდა. ვარსკვლავებით სავსე ცაზე ადვილად იპოვა თავისი ვარსკვლავი, რომელიც ბავშვობიდან ამოიჩემა და მისსაკუთარა. ყოველთვის არ ჩანდა, მხოლოდ მაშინ, როდესაც მთელი გალაქტიკა ხელისგულზე იშლებოდა. ამ დროს მისი ვარსკვლავიც ჩნდებოდა; მომენტალურად ზურმუხტისფერი გადაჰკრავდა. ნოეს ბედნიერებას ანიჭებდა ეს მომენტი, როდესაც ზურმუხტისფერს იჭერდა მოკაშკაშე ვარსკვლავისფერთა პალიტრაში.

– ღმერთო, ცხოვრებაშიც ხომ ასე ყოფილა, რაც შენია, გულისმიერია და სულის მასაზრდოებელი. საგულდაგულოდ გემალება და მხოლოდ განსაკუთრებულ დროს ჩნდება. ელი დღეების მანძილზე, ელი კვირები, თვეები, მაგრამ ამაოდ. ბოლოს როდესაც ამ საოცრებას ხედავ, ძალით და ენერგიით ივსები და ენით აუნერელი განცდა გეუფლება; ისეთი განცდა, როგორც მანამდე არ გქონია.

ნოეს გაელიმა, უნებლიედ.

ფიქრებში წასულს ფეხის ხმა შემოესმა, წყაროსკენ ვილაც მოდიოდა. არც გაუხედავს, თავის ვარსკვლავს მისჩერებოდა. წყალს დაველევ და წავალო, გაიფიქრა და წამოდგა.

წყაროსთან მისვლა სხვამ დაასწრო; დოქით ხელში მის წინ მატასი იდგა. ნოე მოულოდნელობისგან ადგილზე გაქვავდა, თითქოს შორიდან ექოსავით ესმოდა თავისი სახელიც.

– ნოე, აქ საიდან? ნინიმ გითხრა? – როგორც იქნა, გარკვევით გაიგონა მატასის ხმა

– მატასი, რა მითხრა ნინიმ? – გაცუებული დაჰყურებდა ზემოდან მთასავით მამაკაცი ამ მოულოდნელობისაგან ფერდაკარგულ ქალს.

– აქ რომ ვარ, ნოე, – რა უნდა ეთქვა სხვა.

– ესე იგი, ლოცვაზე არ მომეჩვენა და მონასტერში ნამდვილად შენ იყავი, – სახეზე ღიმილი აუთამაშდა ნოეს.

– როგორც ვიცი, ტაძარში არ დადიხარ და აქ რამ მოგიყვანა?

ნოემ გულში კი გაიფიქრა, შენ მომიყვანეო, მატასი, შენ, მაგრამ ხმამალა სხვა რამ უთხრა:





– დედა მართასთან საუბარი მინდოდა, მაგრამ დღეს ვერ დაველაპარაკე და ხვალ ვნახავ, ნირვის შემდეგ.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ისევ მატასიმ მოიფიქრა გამოსავალი, გვიანია, წავალო. ის იყო წასვლა დააპირა, მკლავზე ნოეს უზარმაზარი ხელის მტევანი იგრძნო და სახეზე აღმურმა აჰკრა. შიშველ მკლავს ნოეს ცხელი ხელი შანთივით სწვავდა.

– მატასი, – სათქმელს თავს ვერ უყრიდა ნოე; რატო გამიბრძინარ, ზარს არ პასუხობ. რატომ იმალები?

ანერვიულებული და კოპებშეკრული მატასი ჯოუტად ცდილობდა „ტორებიდან“ მკლავის განთავისუფლებას და ტონი მკაცრი გამოუვიდა:

– ნოე წინამძღვრიშვილო, რადგან განგებამ ასე მოიტანა და უფლის სახლთან ითხოვ ამაზე პასუხს, რადგან ათასჯერ ვერ გაიგე, ის რაც გითხარი, მაშინ ათას მეერთედ მოისმინე კარგად, გულსა და გონებაში გაატარე და დაიხსომე: „ცხოვრების ახლიდან დაწყების შესაძლებლობა რომ გვექონდეს ორივეს, არ დავიძლებოდი, არც მონასტერში ჩავიკეტებოდი, არ გაეჩუმებოდი, ჩაკვიდებდი ხელს და აღარ გაგიშვებდი, მაგრამ ახლა შენ ამის უფლება არა გაქვს, არაფრის უფლება არა გაქვს, ნოე, უბრალოდ შეხების უფლებაც არა გაქვს“.

მატასის ხმაც შეეცვალა და ეზოს მკრთალი განათების ფონზე, ნოემ კარგად დაინახა, თუ როგორ ჩაყლაპა საკუთარი ცრემლები ქალმა. მერე, ნერვიული მოძრაობით გაითავისუფლა მკლავი ნოეს ტორებიდან და სწრაფი ნაბიჯებით თავისი სამყოფელისკენ გაემართა. არც მოუხედაია უკან, ისე დაუბარა ნოეს:

– აღარსად გადამეყარო წინძღვრიშვილო, მიხედე შენს ოჯახს და შენს ცხოვრებას.

დიდხანს უყურა ნოემ თავის ვარსკვლავს, იქამდე უყურა, ვიდრე ნელ-ნელა არ ინათა და მანათობლის სხივებმა სამყაროს ყველა კუთხესა და კუნჭულს ნათელი არ მოჰფინა.

## სამი წლის შემდეგ

უყვარს ოკეანის ეს წყნარი ნაპირი მატასის, ჩამოსვლის დღიდან უყვარს. სანაპირო ხალხმრავალია, ფერადია, სიცოცხლით და ბედნიერებით სავსე; ჰო, ბედნიერებით. ყველა ფერია აქ, რაც ყველაზე მეტად ალაფრთოვანებს მატასის, თვალები აქვს ხალხს მეტყველი; ერთმანეთი უხარიათ ადამიანებს. ეს ყველაფერი თავიდანვე აღმოაჩინა მატასიმ და გონებაში გაატარა ძველი და ახალი შთაბეჭდილებები, ბედნიერებით სავსე ახლანდელი და პირქუში, ზომბირებული ძველი სახეები...

თვალები დახუჭა, მზეს სახე მიუშვირა და სასიამოვნო შეგრძნებებში ჩაფლული, გაინაბა. ყურში ოკეანის ტალღების ჯერ კიდევ შეუცნობელი მუსიკა ჩაესმოდა, ცდილობდა აღექვა, თუ როგორი რიტმით

და ტემპით უკრავდა ოკეანე სამყაროს ჯერ კიდევ უსახელო საკრავს.

ინგლისურსაც ადვილად შეაჩვია ყური. სხვა გზა იყო რომ? ქართველებთან ხშირად გადიოდა შეკრებებზე, მაგრამ ძირითადად, მარტო ყოფნა ერჩია. ხეტიალიც და ბოდილიც მარტოს უყვარდა. ასე უფრო მეტი დრო ჰქონდა ფიქრისთვის და ფიქრობდა ყველაფერზე. უკვე მერამდენედ აანალიზებდა თავის უეცარ გადაწყვეტილებას; გულის სიღრმეში მაინც აღიარებდა, რომ თბილისი არ უნდა დაეტოვებინა. „მიყვარს თბილისი, ირაკლივით მუდამ მშფოთარი, მინდა იქ მოვკვდე, რომ მისი მზე სწვავდეს ჩემს კუბოს“, ლოცვასავით გაიმეორა გულში და მონატრების განცდა დაეუფლა. „თბილისო, მზის და ვარდების მხარეო“, წაილიღინა მატასიმ და როდესაც მიხვდა, საკმაოდ ხმამაღლა მოუვიდა, უკვე გვიანი იყო: „ფერადი“ სანაპირო ცნობისმოყვარე მზერით მისჩერებოდა. თვითონაც ღიმილიანი ყესტით მიესალმა სიფერადეში ჩაფლულ ნაპირს და სათვალე მოირგო.

– ვაახ, ამას ვის ვხედავ, მატასი, შენ ხარ თუ მეჩვენება? – მოესმა საიდანაც; ეტყობა ძილში წავედი და მომეჩვენაო, გაიფიქრა და გაელიმა. იმდენად გაუნებოდა მზეს და სანაპიროს, თვალის გახელა დაეზარა და სავარძელში უფრო კომფორტული პოზა მოირგო. საბოლოოდ მაშინდა გამოფხიზლდა, როდესაც ვიღაც თავხედმა სათვალე მოხსნა და თან მოაყოლა:

– ვაჩნადის ქალო, თბილისი თუ ესე გიყვარდა, რას მარბენინე ევროპიდან ამერიკისკენ. კიდევ გარბინარ სადმე? ახლა საით გაქვს გეზი? – მატასი გაოცებული აჰყურებდა თავზე წამომდგარ გოლიათს და არაფერი ესმოდა, სიბრაზისგან ალესილი ნოე რაზე ბობოქრობდა.

– ვაა, ნოე? – ამოილულულა ბოლოს და სავარძლიდან ადგომა სცადა.

– არც გაბედო ადგომა, იჯექი მანდ და ჯერ მომისმინე! – არ ცხრებოდა ნოე. – რა პატარა ყოფილა სამყარო, არა? ხომ გითხარი, სადაც არ უნდა წახვიდე, მაინც გიპოვი მეთქი. წასასვლელი სადლა გაქვს? ოკეანეში შევარდები და გაცურავ? გეგონა გეხუმრებოდი, არა? ისევე როგორც სხვა დანარჩენი გეგონა ხუმრობა და თამაში.

მატასიმ ერთი კი წამოიკვილა, როდესაც ნოე მხრებში დასწვდა და სავარძლიდან აიტაცა. სანაპიროს „სიფერადე“ ახლა ნოეს და მატასის უცქერდა.

– მიდი, იკივლე, ვაჩნადის ქალო, თუ როგორ ვერ მიტან და როგორ გეზიზღები. მიდი, იქნებ საშველადაც მოვიდეს ვინმე. – ნოემ იქაურობას გადახედა და ისეთი გამომეტყველება მიიღო, მარტო ვინმემ მოხედოსო მოახლოება.

– ნოე, გამიშვი, მეტყინა, – ამოიკნავლა მატასიმ. ნოე გონს მოეგო და ფრთხილად გაუშვა თავისი „მსხვერპლი“.

– მომენატრე, მატასი, გესმის? ჩემი მზის სხივი ხარ, ჩემი ცისკარი, ყველაფერი ხარ და არ გინდა



შენს გონებაში და რეალობაში დაუშვა ეს სიყვარული, იმიტომ არ გინდა, რომ გგონია, არ შეიძლება. და ვინ გითხრა რომ არ შეიძლება? იმდენად ძლიერია ეს შენი რწმენა, რომ არაფერს არ შეუძლია მისი გადაფარვა; არც ჩემს გრძნობებს, არც ჩემს განცდებს.

მატასის სიმწრის ცრემლები გადმოსცივდა, დაბუჩებულ მკლავებზე ხელს ფრთხილად ისვამდა და ცდილობდა ნოესთვის არ შეეხედა.

ცნობისმოყვარე ადამიანები სანაპიროდან ინტერესით უცქერდნენ უცნაურ წყვილს. ბოლოს ვილაცამ გაბედა და იკითხა:

– Help you?

მატასიმ ხელით ანიშნა, ყველაფერი რიგზეაო. ამ დროს გული ამოვარდნაზე ჰქონდა და სულის მოთქმას ცდილობდა.

ნოე ოდნავ მოშორდა თავის „მსხვერპლს“.

– არ მელოდი მატასი? – ნოეს მონაცრისფრო-ზურმუხტისფერ თვალებს დალლა ეტყობოდა.

– არა, არ გელოდი, დათვო. მე შენ არასდროს არ გელოდი და არც არასოდეს დაგელოდები, – ჯიუტად გამოაჯავრა მატასიმ და ზურგი შეაქცია.

– ისე შენ რა გითხარი, – ჩაიბურტყუნა ნოემ, – გოგო, შენ მე რას გამომაპარებ, ნაცნობობის პირველივე დღეებიდან მელი. გაიპარე, თვალს მიეფარე და იფიქრე, ამით მორჩებოდა ყველაფერი? არა, ჩემო მატასი, არა და არა, რაც უფრო მეტად გარბიხარ, უფრო და უფრო ვრწმუნდები, რამხელა სიყვარული შეგძლება, – ნოეს ხმა გაებზარა, – სწორედ ეს მიბიძგებს შენსკენ, მატასი, რაღაც ძალა მენევა შენსკენ, ძალა რომელსაც ვერ ვენინალმდეგები; ძალა, რომელიც მაიძულებს შენსკენ ვიარო და მეც მოგყვები; ჩემი ქვეცნობიერი მკარნახობს და მეც მგონია, რომ წინა ცხოვრებიდან მოგყვები, ჩემო გოგო, იქიდანვე გამიბიხარ; ჰო, წინა ცხოვრებიდან, მატასი.

ნოეს საუბარი უჭირდა, მაგრამ საუბრობდა დინჯად და გარკვევით. მატასი სუნთქვაშეკრული უსმენდა ნოეს და ოკეანის ტალღების ხმაურის ფონზე, თითქოს მათ ირგვლივ ყველაფერი გაქრა და იყვნენ მხოლოდ ნოე, მატასი და დიდებული ოკეანე.

– ვცადე ბევრჯერ, მაგრამ ვერ დაგივინყე მატასი, – რაც უფრო მეტად ვებრძოდი საკუთარ თავს, მით უფრო მეტად მოვიწვედი შენსკენ, თითქოს თოკით მექაჩებოდი. სიგიჟეს გავს ეს ყველაფერი, ჩემო გოგო და შენ წარმოიდგინე, მიყვარს ეს სიგიჟეც, რადგან შენთან მახლოვებს. ყველაფერი მიყვარს რაც შენ გეხება, მატასი, – ნოე გაჩუმდა. წამოდგა სავარძლიდან, მხრებში გაიმართა და მატასის თვალებში ჩახედა. შემდეგ მკლავებში მოიქცია, – ჩემო მატასი, ჩემო ოცნება, რამდენჯერ ვინატრე ეს წუთები და ეს დღეც დადგა.

ნოეს თვალები აუნწყლიანდა. მატასიც გამოფხიზლდა და გონს მოეგო.

– წინამძღვრიშვილების გადარეულო, – დაჰკვივლა ნოეს და თავის განთავისუფლება სცადა, – შენს

ოჯახს ჰგონია, რომ ოკეანის გადმოდმა დიადი საქმეების საკეთებლად ხარ წამოსული და ამ დროს, კაცი, რომელიც ფანტაზიებს აჰყოლილხარ, ზოდად მთელი ეს წლები. მოხვედი და ისევ ზღაპრებს ჰყვები.

მატასის ხმა უკანკალებდა და ცოტადა ეკლდა ტირილამდე.

– რამდენჯერ გითხოვე, გონს მოსულიყავი და ფიქრებშიც არ დაგეშვა ეგ ყველაფერი, რასაც ახლა ზოდად. შენ საერთოდ დაკარგე სინდისი, ნამუსი, კაცობა და ადამიანობა? მათე, დათო, ქეთო მაინც არ გიდგას თვალწინ, როდესაც თავს იმის უფლებას აძლევ, რასაც ახლა სჩადი? დადექი მეთქი ერთ ადგილას, რამდენჯერ გითხარი. რა, გეგონა თავს ვიფასებდი და გეზუმრებოდი? ვინა ხარ ამისთანა, შვილების, ოჯახის გამყიდველი და დანახვა არ მინდა შენი, ნოე წინამძღვრიშვილო.

ჭალარა მოძალებული ნოე უფრო მეტად გადათეთრდა.

– ამ წუთებზე რამდენი წელი ვოცნებობდი მატასი და არ მეგონა, თუ ასე შეგეძლო საუბარი. მეგონა გულში ჩაგიხუტებდი.

– გრცხვენოდეს, ნოე, გრცხვენოდეს, რისკენ მიბიძგებ მთელი ეს წლები, ხვდები მაინც? დანახვაც აღარ მინდა შენი, წინამძღვრიშვილო. თუ კიდევ მომიახლოვდები როდისმე, პოლიციაში განვაცხადებ, რომ ადევნებული ხარ და მითვალთვალებ. მე დავასრულე შენთან საუბარ და დიდი წერტილი ნოე.

– ადგები და ასე გაბრუნდები ჩემგან? ამას სერიოზულად ამბობ მატასი? – ნოე მოულოდნელობისგან ხმას ველარ იღებდა და მხოლოდ სიბრაზე ემატებოდა.

– არც იმას მკითხავ, თუ რა მოხდა მას შემდეგ, ბოლოს რომ გნახე მონასტრის ეზოში? არ მკითხავ, როგორ ვიცხოვრე ეს წლები? კარგი, მე მექცევი ჯალათით, შენს საკუთარ გულს როგორ ექცევი? საკუთარი თავი არ გებრალეხა მატასი? რაც არ უნდა მითხრა, რაც არ უნდა შორს გაიქცე ჩემგან, მე ხომ ვიცი, რომ იმაზე მეტად მიყვარვარ, ვიდრე მე მიყვარხარ და რა გაძლევს ამხელა ძალას, რომ ეს ყველაფერი დაძლიო და დაითმინო. საკუთარ გრძნობებს ეს როგორ ასამარებ, მატასი?

მატასის გაუსაძლისი ტკივილი გამოეხატა სახეზე,

– შეწყვიტე, ნოე, შეწყვიტე და მალლა აიხედე, ხშირად აიხედე, იქნებ შენც დაინახო, როგორი დაგყურებს ღმერთი მაღლიდან, იქნებ ღმერთის თვალებში ჩახედო და საკუთარი თავი დაინახო, ცოდვილი და სახედაკარგული.

– ვცოდავ, მატასი, ვცოდავ, მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია. ხო, ცოდვილი ვარ, ცოდვილი და რა ვუყო. ღმერთს ესეთი ვუყვარვარ და შენ რა ვერ მაპატიე, მატასი, მანამე წლების მანძილზე და ბედნიერი ხარ ამით?

– ღმერთო, შენ მიშველე, რას გადამიკიდე წინამძღვრიშვილების მოდემას, – ნაიბუტბუტა







მატასიმ და მოწყვეტილ ჩაეშვა სავარძელში.

– ვიცოდი, ნოე, ვიცოდი რომ შევხვდებოდი ოდესმე, მაგრამ ესე და ამგვარად არ წარმომედგინა ეს ყველაფერი. მითვალთვალებ? ნოე, თავი მომ-აბეზრე. ვერასოდეს დავუშვებ ამ ურთიერთობას, გაიგე, სულ რომ ბნელა მემართებოდეს გრძნობებისგან. მე არაფერი ვიცი შენი დაფარული ცხოვრების შესახებ. მე ვიცი მხოლოდ ის, რომ გყავს ოჯახი, მეუღლე, შვილები. გელოდი, როდის ახლდი ფარდას შენი იდუმალებით მოცულ ცხოვრებას, როდის აღიარებდი, რომ დამნაშავე იყავი, მაგრამ მაგის ნაცვლად ყველაფერი ჩაიღინე, ყველაფერი. ერთი ცხოვრება უკვე შევნივე ადამიანს, რომელმაც ყველაფერი მანახა ცხოვრებაში, თუ კი რამ ცუდი და აუტანელი არსებობდა ამ სამყაროში: ღალატი, დაცინვა, ირონია, ძალადობის შავბნელი დღეები. მეც ისე შევეგუე საკუთარ უბედურებას, თვალდახუჭული მივყვებოდი ამ გზას და ლამის უფსკრულში ჩავიჩეხე. რა არ გასვენებს, წინამძღვრიშვილო? რა გინდა? ახლა შენს ხელში გინდა სათამაშო თოჯინად ვიქცე? რატომ? თუ ამხელა გრძნობაა შენში, რატომ მიმეტებ მორიგი კომპარისთვის, ნოე? რა ვერ გაიგე?

– მატასი შენი მარწმუნებებიდან არ მიშვებ, შენ მითრევე ჭაობივით, რაც მეტად ვცდილობ თავის დახსნას და განთავისუფლებას, უფრო მეტად ვიძირები შენში და ვიკარგები. შენიდან გასასვლელ გზას ვერ ვპოულობ, გესმის?

– მესმის, ნოე, მესმის, ისიც ვიცოდი, ოდესმე ოკეანის სანაპიროზე შევხვდებოდი, მზის ჩასვლასაც ერთად ვნახავდით. აი, დადგა ეს დღეც, შენ აქ ხარ და ჩემს წინ დგახარ. ჩაკვიდებ ხელს, კარგი და აღარასოდეს გაგიშვებ, მაგრამ მეორედ მოსვლის ჟამს შენ ეს გადაგარჩენს? მიპასუხე, შეძლებ ის ბედნიერება მომიტანო, რომელსაც საკუთარი ოჯახის უბედურებაზე ააგებ? ორად როგორ უნდა გაიხლიჩო, ნოე, გული როგორ უნდა გეყოს ორი ბედნიერებისთვის?

მატასის გაეცინა, უფრო სიმწრისგან და ტკივილისგან.

– რამდენჯერ გთხოვე, სულში ჩასახლებული ეშმაკი განგედევნა. გთხოვე, აღსარებით და ზიარებით გამკლავებოდი ამ ყველაფერს და ჭეშმარიტების გზაზე დამდგარიყავი, მაგრამ შენი ეშმაკი შენს რწმენაზე ძლიერი აღმოჩნდა.

ნოე თავდახრილი ისმენდა მატასის „განაჩენს“.

– შენ სიყვარულის გამო კი არა, საკუთარი ეგოიზმის გამო ხარ აქ. ეგოისტი და ის დათვი ხარ, რაც წლების წინ იყავი.

მატასი გაჩუმდა. ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს ტონა ტვირთი მოხსნესო ზურგიდან და მხრებიდან, თითქოს სული და სხეული ერთდროულად დაუმსუბუქებოდა, შვებით ამოისუნთქა.

– მე შენ ერთხელ გითხარი, გულში მაინც ჩაგიკრავ მეთქი. მე გულში ჩაგიკარი და შენ მაინც ხელი მკარი მატასი. ვალიარებ, გაიმარჯვე, მე ეს

ომი წავაგე გოგო.

– ჩემთან ომის მოგება და წაგება არ არის მთავარი, ნოე. საკუთარ თავთან არ უნდა წააგოს ადამიანმა ომი. შენ რომ საკუთარ თავთან გებრძოლა ამდენი, რაც ჩემთან ბრძოლაში გაატარე, რაღაც სიკეთე მაინც იქნებოდა სადღეისოდ.

– მატასი, შენ ხარ ყველაზე დიდი დანაკარგი ჩემთვის და არ დაივინყო, გაიხსენე ხოლმე ხანდისხან. დარწმუნებული ვარ, მე რომ რამე დამემართოს, შენზე მეტად არავინ დაიტანჯება ამით. არ გემშვიდობები, ჩემო გოგო, მატასი. დროებით ჩემო ოცნებავ და ბედნიერებავ.

ნოემ სწრაფი ნაბიჯებით დატოვა სანაპირო. მზეც ის იყო თვალსაწიერს ეფარებოდა, როდესაც მატასი წამოდგა და თავისი ბინისკენ გაემართა, თან გზადაგზა საკუთარ თავს ელაპარაკებოდა, ღმერთო, ვერ არისო სალად ეს კაცი.

თავისუფალი დღე, როგორც იქნა, მატასისთვისაც დადგა. თავის საყვარელ სანაპიროს მიმართა. ჩამოსული არ იყო, ესევე მოძებნა სამუშაო და მთელი ძალისხმევა აქეთ მიმართა. თითქოს, ფიქრისთვისაც აღარ უნდოდა დრო დაეტოვებინა, არადა როგორ უყვარდა მარტო ყოფნა და ფიქრი; საკუთარ თავთან მარტო რომ რჩები და ფიქრობ არაფერზე და ყველაფერზე, ერთდროულად; ნაფიქრალს შორის ბოლიალობ და უდიდეს სიამოვნებას იღებ. ტკბები სიცოცხლით, სიმშვიდით, ცის სილურჯით. იმ სიმშვიდით, რეალურ სამყაროს რომ ეთიშები, საკუთარი თავის საპოვნელად, თვალუნვდენელ სიმაღლეზე რომ აღიხარ და იქიდან გადმოჰყურებ სამყაროს; სხვაგვარად უცქერ ტყუილ-მართალს და შენეულ ფილტრში ატარებ ყველაფერს. ძალიან ძლიერი უნდა იყო, რომ ეს მდგომარეობა სიღრმისეულად აღიქვა. აქამდე რომ მიხვიდე კიდევ, ბევრი იმედგაცრუება, ღალატი და ორპირობა უნდა გამოსცადო; ბევრჯერ უნდა დაეცე და რამდენჯერაც დაეცემი, ზუსტად იმდენჯერვე უნდა ისწავლო წამოდგომა, წელში გამართვა და სიარულის თავიდან სწავლა, ახალი შემართებით და ახალი ნაბიჯებით. ჯვარზეც მრავალგზის უნდა გაეკრა; შემდეგ თავადვე მოიშუშო ხელისგულებზე და მთელ სხეულზე დამწნეული იარები; ფერფლიდან უნდა აღსდგე და მოკრძალებით ითხოვო შენდობა უფლისგან; მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გააგრძელო გზა უსასრულობისკენ. ეს თუ შეძელი, შემდეგ ყველაფერი ადვილი გეჩვენება. მთავარია საკუთარ თავს და შიშებს აჯობო.

საოცარი ენერგიით ავსებს ოკეანის ხმაური და სანაპიროს სიფერადე მატასის. შორიდან სხვანაირი ჩანდა ამერიკა. დიადი, ზღაპრული. თავიდან ევროპაც ასე ესახებოდა მატასის – განსაკუთრებული. პირველად რომ იფრინა ორი ზღვის ზემოთ, ეგონა, ბედნიერებას ცხადად იხილავდა. აქსიომასავით იმეორებდა, ორი ზღვის თავზე უნდა იფრინო, რომ ბედნიერება აღმოაჩინო, მაგრამ აგერ, ოკეანის თავზე 12 საათიანი ფრენის შემდეგ მიხვდა იმას, რომ ყველაზე დიადი, ყველაზე ზღაპრული და ბედ-



ნიერების მომნიჭებელი ის კუთხე და ადგილია, სადაც დაიბადე, სადაც შენი ადგილის დედაა, სადაც შენი ხატი და სალოცავია.

ნინის შეტყობინებამ ფიქრებს მოსწყვიტა მატასი. არ ელოდა ამ დროს ნინისგან არანაირ შეტყობინებას, რადგან ნინა დღით ისაუბრეს და იცოდა, ნინის არ ეცალა.

ნინისგან გამოგზავნილი ლინკი ვერ გახსნა. განწყვეტილ ფიქრებს დაუბრუნდა ისევ. კლასელებთან ბოლო შეხვედრა დაუდგა თვალწინ. შრომასა და ჯაფაში ჩაბმული გოგო-ბიჭები, ერთმანეთზე უკეთესები და ტკბილები, ბიოლოგიური ასაკით 50 წელს მიღწეულნი.

მარადი ბავშვები. ერთმანეთსაც ხომ ესე მიმართავენ, ბავშვებო, ბავშვებო! როგორ აკლია მატასის ეს ბავშვები ახლა.

ნინის ზარმა ისევ დაურღვია სიმყუდროვე.

– გოგოო, არ ნახე რაც გამოგიგზავნე? – ნინის ხმამალალი ტონი ცოცხალ უცნაურად მოესმა მატასის.

– არ გახსნა ლინკი. ნინ, რა ხდება, ხომ მშვიდობაა? – წყნარად იკითხა მატასიმ.

– გამოდის, არაფერი იცი?

– რა უნდა ვიცოდე, ნინი, რა მოხდა? მითხარი!

– ქართული დანაყოფის შტაბი დაიბომბა უკრაინაში. – ნინი გაჩუმდა.

– ეგ ყოველდღე ხდება ნინი, გასაკვირი რა არი მაგაში. დამალა ამ ომმა, ამ შიშმა, რომ აღარ დასრულდა ეს წარღვნა, ვერავინ შეაჩერა ის კატასტროფა, რაც იქ ხდება.

– მატასი, შენ გეტყობა მართლა არაფერი იცი, – შეაწყვეტინა ნინიმ.

მატასი გაჩუმდა.

– ფოტოები აჩვენებს მეომრების, ვინც იქ იბრძოდნენ.

– მერე? – მატასის ენა დაება.

– ნოე წინამძღვრიშვილის ფოტო ვნახე იქ, მატასი.

სირიუმე ისევ მატასიმ დაარღვია:

– გამორიცხულია ნინი. ალბათ რაღაც შეცდომაა.

– მეც მასე მეგონა, მაგრამ ოჯახის წევრები ლაპარაკობდნენ, ნოეს მშობლებმა დაადასტურეს, რომ ნოე ათი დღის წინ წავიდა უკრაინაში; ტელევიზიებში მთელი დღე ამ თემაზე საუბრობენ. დაბომბილ ტერიტორიაზე ვერ შედიან, მეომრებთან კავშირიც არ არის, ფაქტიურად ეს იმას ნიშნავს, დანაყოფი დაილუბა. მეგონა იცოდი, მატასი.

– ნინი, ნოე ამ ერთი თვის წინ ვნახე.

– რაა? – სად ნახე გოგო.

– აქ, ზუსტად ამ ადგილას, სადაც ახლა ვიმყოფები, ნიუ იორკის ერთ-ერთ სანაპიროზე.

– ნოე ამერიკაში იყო?

– კი, აქ იყო. შემთხვევით ვნახე. უკრაინაში რა-ნაირად აღმოჩნდა?

– მანდ იყო და არ გითხრა, რას აპირებდა?

– ნინი, შენ ხომ კარგად იცი, რომ თავს

ვარიდებდი ყოველთვის ნოესთან შეხვედრას, საუბარს. სამომავლო გეგმებზე როგორ დავლაპარაკებოდი? ვიჯექი ჩემთვის და მოულოდნელად თავზე დამადგა, არ მელოდიო?

– გამაგიჟებ შენ, მატასი. – რა უნდა წინამძღვრიშვილს ამ ცხოვრებისგან, ველარაფერი გამიგია. თუ ამერიკაში ჩამოვიდა, უკან რალატომ დაბრუნდა, უფრო სწორედ, უკრაინაში რანაირად აღმოჩნდა.

– მაინც წავიდა. მე როგორც ვიცი, მიწვევა ჰქონდა იქიდან, მაგრამ უარი თქვა, რამე რომ დამემართოს, ბავშვებს ვერავის იმედზე ვერ დავტოვებო. ახლა ვის იმედზე დატოვა ბავშვები, – მატასიმ ძლივას დაასრულა წინადადება, ცრემლები ბურთივით გაეჩხირა ყელში.

– მატასი, უნდა გავიქცე, სახლიდან მომწერეს, სასწრაფოდ დაბრუნდიო, მოგვიანებით მოგწერ – დაემშვიდობა ნინი.

რამდენ ხანს იჯდა მატასი სამყაროსგან გამოთიშული, ვერ გააცნობიერა. ბოლოს საკუთარ თავზე გაეცინა, როგორ გულმოდგინედ იმალებოდა, კიდევ სადმე არ გადამეყაროსო წინამძღვრიშვილი და ამ დროს, ნოე უკრაინაში ყოფილა.

სახლში შესვლისთანავე, ქართული ინტერნეტ არხები მოძებნა და ყველა არხს გულმოდგინედ მოუსმინა. შეცდომა გამორიცხული იყო, ყველა არხი ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით ავრცელებდა ამ ინფორმაციას.

– ღმერთო მამატიე, თავი ველარ შეიკავა მატასიმ, – მე რომ მომესმინა და ადამიანურად დავლაპარაკებოდი, იქნებ ეს არც მომხდარიყო. შეგნებულად, გააზრებულად ჩაიდინა. ვიცი, ჩემი გამწარება უნდოდა და ამიტომ დაგეგმა ეს ყველაფერი – მოსთქვამდა – მატასი.

დამამშვიდებელი დალია და სავარძელში მოიკუნტა, კანკალი დაეწყო. წლების წინანდელმა შოკურმა სიმპტომებმა ისევ თავი იჩინა. როგორ უმძიმდა ამ წუთების დაძლევა მატასის, მკლავებიდან დანყებული კანკალი მთელს სხეულში უვლიდა და თან მარწუხებივით ისე უჭერდა, გული უჩერდებოდა ტკივილისგან, თითქოს დენი უვლიდა და ძალას აცლიდა.

პირველად როდის დაემართა ეს ყველაფერი, კარგად ახსოვს. ნეტავ საერთოდ არ ყოფილიყო ის დღე, არც კალენდარზე და არც ცხოვრებაში. იმ დღის შემდეგ მრავალი მსგავსი დღე განმეორდა. ცრემლები ველარ შეიკავა მატასიმ. ტკივილი და სპაზმები ერთნაირად უჭერდა მკლავებზე და მთელს სხეულში, ისევ ის, დენის მაგვარი უვლიდა. ქეთიც არ იყო სახლში. ის იყო, დარეკვას აპირებდა, კარი გაიღო და მატასიმ მხოლოდ ქეთის შეშინებული სახის დანახვალა მოახერხა, გონება დაკარგა.

გონზე რომ მოვიდა მატასი, ქეთის შეშინებული თვალები დაინახა ისევ.

– ვაიმე, მატასი, როგორ შემაშინე, – ტიროდა და თან იცინოდა ქეთი. ექიმებმა თქვეს, რომ შოკური მდგომარეობა შესაძლოა კიდევ განმეორდეს და





გეხვენები, ვიცინოთ და ვიმღეროთ ახლა, გთხოვ.

მატასი გაოცებული უყურებდა ჯერ ქეთის, შემდეგ ოთახს და ბოლოს საკუთარ თავსაც დახედა, საავადმყოფოს ტანსაცმელი ეუცხოვა. წამოდგომა სცადა, ძალა არ ეყო.

ტელეფონი ჩართო, გამოტოვებული ზარები და შეტყობინებები დახვდა ნინისგან, ბავშვებისგან, დედისგან.

არ მცალია, ვმუშაობ და როგორც მოვიცილი, დაგირეკავთო, სათითაოდ მისწერა მესენჯერში ყველას.

ქეთი თავს დასტრიალებდა. თვალები დახუჭა და წარმოიდგინა, სახლში იყო, დედის სანოლზე იწვა და დედის სურნელი გაუჯდა ცხვირშიც. გაიტრუნა, უნდოდა დიდხანს გაგრძელებულიყო ეს წამიერი წარმოსახვა. მოეჩვენა თუ ცხადად იგრძნო, ვერ მიხვდა, შუბლზე უწესრიგოდ ჩამოყრილ თმებს როგორ უსწორებდა დედის მსუბუქი და თბილი ხელი. უფრო მეტად დახუჭა თვალები, შემთხვევით არ გამეხილოს და ეს წამიერი ნეტარება არსად გაქრესო.

– ჩვენო გოგოვ, ძლიერი უნდა იყო, რადგან გადანყვიტე ემიგრაციაში ცხოვრება, დარდი, ნერვიულობა, სტრესი, ყველაფერი უნდა დაივიწყო. – მატასის თავზე უცხო ქალი ედგა, ეფერებოდა და ქართულად ელაპარაკებოდა.

მოულოდნელობისგან ფართოდ გახელილი თვალებით მატასიმ ქეთის დაუნყო ძებნა და როდესაც მომღიმარი ქეთი დაინახა, შვებით ამოისუნთქა.

– მეგონა მელანდებოდა, – გაეღიმა და ფერდაკარგულ სახეზე ვარდისფერმა გადაჰკრა.

– არა, ჩემო კარგო, არ გელანდება, როდესაც სასწრაფომ შემოგიყვანა, მე წასვლას ვაპირებდი, ჩემი მორიგეობა უკვე დასრულებული იყო. როდესაც ოკეანის გადმოღმა, ქართველი ექიმი წლობით მონატრებულ ქართველ პაციენტს და თანაც შენისთანა ლამაზ გოგოს შეხვდება ამ მდგომარეობაში, როგორ გგონია, თავს ასე ადვილად დაგანებებდი? მე ნინო ვარ, ნინო თაბაგარი. მატასი რობაქიძის „გველის პერანგის“ სიყვარულით დაგარქვეს? „ლაშის გოგო მატასი, მსურს გაკოცო ათასი“, თუმცა, როგორც ვნახე, ლაშის გოგო არ ხარ.

მატასი ინტერესით და ყურადღებით უსმენდა სასიამოვნო ქალბატონს.

– ღმერთო, ალბათ ოც წელზე მეტი იქნება, რაც ემიგრაციაშია და ნუთუ მეც ასე მომიწევს უცხო მინის შესისხლხორცება? ქართულად რომ არ დაეწყო საუბარი, ვერაფრით მივხვდებოდი, რომ ამერიკელი არ იყო. შესისხლხორცებული აქვს აქაურობა. – გაიფიქრა მატასიმ.

– დაისვენე, არაფერზე იფიქრო, სალამოს ისევ

ვიკეთებთ გამოკვლევას, რალაც ეჭვები მინდა გამოიოცნოსო და განმეორებით პასუხებს ველოდებით. დროებით, მატასი, – დაემშვიდობა ნინო.

– ქეთი, თავი საქართველოში მგონია, – თბილად გაეღიმა მატასის.

ქეთი ტელეფონში რალაცას ათვალეფრებდა.

– რა ხდება ახალი და კარგი, ქეთევან, ყველაფერი მაინტერესებს, – მატასი სახეზე ისე დაჟინებით აკვირდებოდა ქეთის, თითქოს ასე აპირებდა ქეთისგან, სიმართლის გაგებას, უსიტყვოდ და უთქმელად.


– მოდი, დღეს ამაზე არ ვილაპარაკოთ, კარგი? ახალი არაფერია, არაფერი შეცვლილა. უნდა დაისვენო, მატასი. სამი საათით გავდივარ და დავბრუნდები. ეცადე, დაიძინო. წამალი მანდ დევს, ექიმმა, დამამშვიდებელიაო.

ოკეანის ტალღების ხმაური სასიამოვნო მელოდიას აგონებს მატასის. ზომიერად თბილი დილაა. ტრანსპორტის ხმაური ნაკლებად აღწევს ამ ადგილს და თავი სამოთხეში ჰგონია. კარგი ქნა, რომ არ დარჩა საავადმყოფოში. მერამდენე დღეა, სახლშია უკვე და მაინც თავბრუ ეხვევა, საავადმყოფოს და წამლების სუნი ისევ ცხვირში აქვს გამჯდარი. საოცარი ადამიანი აღმოჩნდა ნინო თაბაგარი. ოთხშაბათს ვახშამზე მელოდება, მხოლოდ ოჯახის წევრები და ახლობლები იქნებიანო. როგორ მოენატრა ოჯახური გარემო, ქართული სუფრა, თავისი განუყრელი ქართული სიმღერით და იმ სიყვარულით, რომელიც ამ დროს სუფრაზე მჟღავნდება. სალამოს მალაზიებში გავივლი, გაიფიქრა და თვალები მიილუა.

საოცარი რამაა ცხოვრება. ის რაც წამდვილია, ბედნიერების მომნიჭებელია, ცხვირწინ გაქვს ადამიანს და ვერ ხედავ, ვერ ამჩნევ. მაინცდამაინც ზღვების და ოკეანის თავზე ფრენაა აუცილებელი რომ ჭეშმარიტებას მიაგნო? არ არის ზღვების და ოკეანის მიღმა ბედნიერება, არა. ბედნიერება იქაა, სადაც უყვარხარ, სადაც გელიან და სადაც თვალები გიბრწყინავს.

მზეს ძალა მოემატა და სახლში დაბრუნება ამჯობინა მატასიმ, ცოტას დავიძინებ და სალამოს მალაზიებში გავივლი. სულ მუშაობს. როდესაც თავისუფალია, სანაპიროზე ზის თხელი სარაფანით და სალამოს კაბა ჯერ კიდევ ვერ იყიდა...

არ ეთმობოდა სანაპირო, ეს ენით აუნერგელი სიფერადე. ის იყო, წამოდგომა დააპირა, რომ მზის სიკამკამეში ნაცნობი სილუეტი შეამჩნია, რომელიც ჯიუტად მოიწვედა მისკენ. მზე თვალს ჭრიდა და მატასიმ კარგად ვერ გაარჩია, თუ ვინ იყო ის გოლიათი, რომელიც ნელ-ნელა, აუჩქარებლად უახლოვდებოდა.





გიორგი  
შუბიტაშვილი



სჯობდა...

სჯობდა დიდოელს ესროლა ტყვია, –  
მტრად გამხდომოდა, ვინმე, ფირალი,  
მაგრამ, შენ, ჩემი სიკვდილი გქვია,  
ქალის თვალებით შემომზიარალი.

სჯობდა მოვეკალ რაყიფს, ან, აბრეკს,  
რქმეოდა იმას, თუნდა, რაშიდი,  
მაგრამ შენ მისჯი, სინდისის სასჯელს –  
რომ ქალაქურ მსჯი და... თან, ხარ – რა მშვიდი?!..

ამ, ბნედა-კვდომას სჯობდა – ციხის წინ,  
ხმლით ავეჩხე გენუხის\* აულს,  
შემოგრეოდა ცრემლის ხალისი  
მით გადიხდი ჩემსა საზღაურს.

თუმცა, არ მერგო დუშმანის ტყვია,  
არ გამიმტერდა, ვინმე, ფირალი,  
რადგან, შენ, ჩემი სიკვდილი გქვია,  
ქალის თვალებით შემომზიარალი.

ნეტავი...

ნეტავი, მწყურვალს, ნანატრო ქალო,  
მასმევდე წყაროს ვერცხლის ხელადით,  
შენ, ჩემი დუშმნის ასული იყო,  
მე, შენი მოდგმის მტერთა ბელადი.

ჰგავდე გაზაფხულს კდემით და რიდით,  
გშვენოდეს მთების მკაცრი სურათი,  
მასმევდე თუნგით სიცოცხლის წყაროს,  
ვკვებოდე, როგორც ხატში კურატი.

გდიოდეს ცრემლი – ბროლის ჩქერალი,  
ხელებმა შენი სახე დალადროს,  
მეშველებოდე პირმონუხარი,  
მეშველებოდე, მაგრამ... რაღა დროს?!..

სადაც, ყვავილებს გიკრეფდი ერთ  
დროს...

დილობას ნისლი ჩაუყვა ფერდობს,  
ჩაჰყვა და ხევში ჩაადნა თელებს,  
აქ, შენთვის ვკრეფდი ყვავილებს, – ერთ დროს,  
და.. დღეს კი, ვუძღვნი საყვედურს – ხელებს...

აქ, სადაც ციხე-კოშკები დგანან,  
სადაც ისმოდა ყიჟინა ომის,  
მე შენთვის ვკრეფდი ყვავილებს, – ერთ დროს,  
მაშინ შორს იყო „მზე შემოდგომის“.

და, ახლა, ირგვლივ, ჭინჭარი ყვავის,  
წარუტაცნია მინდორი ენდროს,  
სადაც, – გათავდა ტკბილი ზღაპარი,  
სადაც, – ყვავილებს გიკრეფდი ერთ დროს!..

\* სოფელი დაღესტანში



### **გიორგი ზუბიტაშვილის შემოქმედებითი საღამო**

ახლახან, თელავის ისტორიულ მუზეუმში, ახალგაზრდა პოეტის – გიორგი ზუბიტაშვილის შემოქმედებითი საღამო გაიმართა.

გიორგი გახლავთ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდიდან. იგი სწავლობს იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. გიორგის, გამოცემული აქვს ერთი პოეტური კრებული სახელწოდებით „მზე ხელისგულზე ჩამომედვარა“. ასევე, არის რამოდენიმე ლიტერატურული კრებულის თანაავტორი. მინიჭებული აქვს „მთის პოეტის“ და „ახალი ქართული სიტყვის დიდოსტატის“ ნოდება. მისი შემოქმედება ნათარგმნია ინგლისურ და რუსულ ენებზე.

ახალგაზრდა პოეტი არის ი. ჭავჭავაძის გაზეთ ივერიის პროზა-პოეზიის პრემია „ივერიას“ ლაურეატი და მწერალთა, ხელოვანთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „გულანის“ წევრი.







*მხატვარი სოფიო ქელიძე*

ტარა სავაჭრო სახლები, რომელთა სახურავებს, ზემოდან გადმომდგარი ფიჭვების, ჟანგისფერი წინვები და მარაოსავით გაშლილი გირჩები გროვებდად ყრია. კედლის თავისუფალ ნაწილზე, კლდეს რომ ედახიან, ლიანების და ხვიარა მცენარეების გამხმარი და ნედლი გრძელ-გრძელი ყლორტებია ჩამოკონწიანებული.

ყადორის ქუჩის ზემოთ შემართულ გზას ავუყევი, ირობად გადავჭერი და „კუზიან“ ხიდზე შევდგი ფეხი. შუა, ყველაზე ამოზურცულ ადგილზე გავჩერდი. მშრალი ამინდია. ხევი უცოდველი ნაკადულივით მირაკრავებს. ფსკერზე სწრაფი ნაბიჯით მიმოდიან მტრედები, თავს წყალში ყოფენ, ყურყუმელაობენ, იბერტყავენ და გარშემო ციდა ცისარტყელებად აფრქვევენ წინწკლებს. ვინრო, ხავერდგადაკრულ კალაპოტში აუმღვრევლად, აულელვებლად აგრძელებს გზას. ან, კი, რა აამღვრევს, – თვითონ ბროლივით გამჭვირვალეს გაურეცხ-გაუკრი-ალეზა კენჭები... წყალმა მოშიება იცის, – ხევის მოაჯირზე შემომსხდარი მტრედები ხელში აჩერდებიან გამვლელს, ფუნთუშას ან სხვა ჩასატკბარუნებელს რომ სთავაზობს ხალისით.

ამასობაში გავივაკე. უშუქნიშნო გადასასვლელზე ავტომობილების ლაბირინთში ძლივს გავიკვლიე გზა. სწრაფად გავიარე ბნელი, სვეტებიანი თალის ქვეშ. სამრეკლოს მსგავსი წვეტიანი მაღალი კოშკი გადმოჰყურებს ჟურნალ-გაზეთებით აჭრელებულ პანია ჯიხურს,

თითქოს, აბუჩად იგდებს, – შენ რალა სათვალავში ჩასაგდები ხარო. კიდევ ერთი გადასასვლელი გადავჭერი, – ღმერთო ჩემო, უკვე მერამდენე. სამშვიდობოს ვიგრძენი თავი, – ციხე-გალავნის იდილიას შევაფარე თავი. ამქვეყნად არაფერია, უფრო მნიშვნელოვანი შეგრძნება, ვიდრე სიმშვიდე. სწორედ მას სჭირდება გაფრთხილება, გონივრულად დაფასება.

ფილაქანზე ბალახი ამომძვრალა, ალაგ-ალაგ კამკამა წყალია დაგუბებული. ოქტომბრის სიყვითლემეპარული ხეები შიგ თავდაყირა ჩაკიდულა. აგერ, მონყვეტილი ფოთოლი ზემოდან დინჯად მოფარფატებს, ქვემოდან, შესახვედრად მისი ანარეკლი მოისწრაფვის. სადაცაა, შეხვდებიან ერთმანეთს წყლის ზედაპირზე. იქ, უკვე ერთი ფოთოლი უნიჩბო ნავივით აწყდება ნაპირს ნიავის უცაბედ შემობერვაზე...

სრული სინყნარეა. სავალის ორივე მხარეს ჩამწკრივებულ მერხებზე მარტოობას და სიჩუმეს მოუკალათებია, თუ არ ჩავთვლით მსხვილ, ყავისფერ ჭიანჭველებს, გაფაციცებით რომ მიმორბიან სკამების უკვე შემშრალ ფიცრებზე. მიწა დაუსერავთ ათეულობით წვრილი გზით, რომელიც ზოგჯერ, ხის ფესვების ქვემოთ გაივლის გვირაბივით და ზემოთ ამოდის. მოუსვენარი არსებები გაუთავებლად დაფუსფუსებენ ამ გზაზე. ერთ მხარეს ცარიელები გარბიან, უკან დატვირთულები ბრუნდებიან. დაარბენინებენ თეთრ, პანია პარკებს, ხოჭოების ფრთების მონატეხებს, ფეხებს. აგერ, პეპელას ნემტი აუტატებიან. ზოგს სამშენებლო მასალა მიაქვს: ნიადაგის ნამცეცები, წინვები, ხის ქერქის ანაქერცლები. დროდადრო ერთმანეთს ეჯახებიან, წამით ჩერდებიან, ულვაშებს შეატოკებენ და და მშვიდად აგრძელებენ სავალს. წესრიგი სუფევს მწერთა ყავისფერ სამეფოში. ჩვენ, კი, – მოაზროვნე არსებებს, ზოგჯერ გვიჭირს კანონის მორჩილება, ვჩადით ბოროტებას. ვილაცასთან ვქედმალლობთ, ვილაცასთან არარაობის გრძნობა გვიჩნდება საკუთარი თავის მიმართ, თუმცა, ვიცით ყველა ჩვენგანის ჩრდილს ერთი ფერი აქვს. უამრავ შეცდომას ვუშვებთ, მათგან ყველაზე დიდი ის არის, როცა საკუთარ შეცდომას ვერ ვხედავთ. ამქვეყნიური სიკეთის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის ფლობით ვკმაყოფილდებით...

ნელი ნაბიჯით მივდექ ფილაქანს. რამდენიმე ადამიანმა ლანდივით ჩამიარა გვერდით. მშვიდად ვათვალისწინებ ძველ ბალს, ციხე-გალავანს, ხეებს და მათ კენწეროებში გახლართულ ცას, – წარსულისა და აწმყოს ამ ჰარმონიულ ნაზავს. ვერც კი შევამჩნიე, საიდან მოფრინდა ყვითელი, შავხალეებიანი ჭიამაია. ხელზე დაგოგმანობს კარგახანს, – გაბრუებული ადის და ჩადის თითებზე, ბოლოს აზრზე მოსული მტოვებს. ეტყობა, სითბომ მისცა ძალა



ასაფრენად. იქვე ახლოს მწვანე ბალახზე ეშვება, ალბათ, ისევ გაითოშა.

ნიავემა შემოუბერა. უამრავი ყვითელი, ჟამგადასული ფოთოლი მიფანტ-მოფანტა, ზედ შემომაყარა. მაინც მრავლად ყრია. ზოგი მიცურავს ფილაქანზე, ზოგი მიფრინავს. გადაგვის უჩინარი ცოცხით, მაგრამ, კვლავ, ცვივა და ცვივა ახალ-ახალი... ჯერაც ფოთოლუხვობს ხეები, რამდენი ქარი აქვთ გადასატანი. შემოდგომის სევდაა გამეფებული.

ნახევრად მოღრუბლული ცა მოძრაობაშია. ქარი აღმოსავლეთისკენ ერეკება შავ-შავებს. ქუჩის მტვერი ჰაერში დაბორიალობს. ხეებს ქალაღდის ნაკუნები და პოლიეთილენის ფერად-ფერადი პარკები სათამაშოებივით ასხმია. თავისიც აღარ უნდათ, – გულგრილად იშორებენ ფოთლებს, ასე, თავმომწონეებს რომ ხდის მათ. ისინიც გზას აგრძელებენ ხიდან ხეზე. ნეტავ როდის დაადგება საშველი ქარის ჩადგომას?!

ბაღის ბოლოში ერთად დაუდგამთ სკამები. უზარმაზარ ცაცხვის ხეს ტოტები გადმოუფარებია და ბნელში მოუქცევია, ეს, ერთი მუჭა ადგილი. სევდიანი რომანტიკა სუფევს, – ყურს რომ მიუგდებ, გეგონება ფოთლები ჩურჩულებენ, ხან მღერიან ნიავის ყოველ ნამოქროლვაზე; ციხეს, თითქოს, ძველი იარები გაყურებია, სათოფურებში და ქონგურებს შორის ამოსული სუსტი ბალახი მშვიდად ირწევს; ტყნობაშეპარული მწვანე ლივლივებს. წარმოდგენის საზღვარი მიფართოვდება და მუხების სამეფოში შემაფრენს. აქ განმარტოებული ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი, – აღარ მასსოვს წყენა, ავადმყოფობა, ათასი ხათაბალა, ყურში მოხვედრილი ტელეფონის ზარი გონებადვე ვერ აღწევს. კალმის წვერი გაშმაგებით მიარბენინებს სტრიქონებს... თუმცა, ეს სიამოვნება მხოლოდ დილის საათებში შემოძლია შევიგრძნო. ერთადერთი არ ვარ იდილიას რომ ეძებს, – საღამოობით ხნიერი, დარბაისელი მამაკაცების თავშეყრის ადგილია. ცხოვრების სიკეთით ან უკეთურობით დაღლილთ, აქ, ერთმანეთის გვერდით უპოვიათ შვება. საუბრობენ, თავშეკავებული ღიმილით, ნოსტალგიით იხსენებენ ახალგაზრდობას, თავისებურად ანალიზებენ საჭირობოროტოს, არც წარდი და დომინო ავიწყდებათ. გაყურებითა ფიზიკური ტკივილიც. იშლებიან, იმედად მისდევეთ ხვალინდელი შეხვედრის დღესასწაული.

აქვე მინდა ერთ პატარა შემთხვევას მივაპყრო მკითხველის ყურადღება. დილაა, ამოჩემებულ ადგილს მივაშურე. სკამიდან ცაცხვის ფოთ-



## მარიამ კაკუშვილი

გამეფანტა, არ ვიცოდი... არც მიმიხედავს მათკენ, საათს დავხედე, თითქოს, მაგვიანდებოდა. კალამი და რვეული ჩანთაში ჩავტენე. წამოვდექი, იქაურობა სწრაფი ნაბიჯით დავტოვე. დაუძლეველი სურვილი მწვავდა გამეგო, რა ხდებოდა ჩემს ზურგს უკან. მათ თვალსაწიერს რომ გავცდი, შემოვბრუნდი... უკვე მოესწროთ „საკუთარ“ სამფლობელოში გამაგრება... პირისპირ იხსდნენ სკამებზე, საუბრისას ხელებს იშველიებდნენ....

### III

ბაღის შესასვლელში, პირველივე მერხზე, ხშირად მხვდება მოხუცი, ტანმორჩილი ქალი. სამოცდაათს კარგად გადაცილებული იქნება. ძაძით შემოსილს შავი, თხელი მოსახვევიდან ჭალარა მოუჩანს. შავჩარჩოიან სათვალეს დროდადრო ჩვევად ქცეული მოძრაობით ისწორებს... თმა უკან „კუდად“ შეუკრავს ლითონის სამაგრიით. ვინრო ქვედატანი მუხლებს ჩასცილებია და თითქმის ეხება თბილ, მოკლეყელიან ჩექმას. უსახელო სვიტერზე ბოლომდე ჩაუხსნია „ელვა“. ფეხებზე შავი ქიშმირის თავშალი აქვს გადაფენილი. მარჯვენა ხელის არათითზე ვერცხლის რგოლი მოუჩანს. ზის, ნიკაპისთვის ხელისგული ამოუყენებია და ჩუმად წვრილ-სხივოსანნაოჭმეყრილი თვალებით უცქერს გამვლელ-გამომვლელს. ძლიერმა სურვილმა მომიარა გავიგო, რას ფიქრობს იგი ამ წუთში. წინ მომცრო, ლურჯი სათლი უდგას, რომლიდანაც ქალაღდის პარკების წვერები მოჩანს. ნაცნობი სურათია, – მზესუმზირას ყიდის.

დილაა, არავის სცალია საკნატუნებლად. ის, კი, ზის და იცდის. ცივი მზე ვერ ათბობს მოხუცის დაძაბუნებულ სხეულს. იქვე, მონიტორზე ნაირ-ნაირი კერძებით ინონებენ თავს, – თონიდან ცხელ-ცხელ შოთებს ხდიან; ახლად ამოყრილ ხინკალს ოხშივარის ბურუსი ადგას;







ნითლად დაბრუნული ხორციანი შამფურები მადისმომგვრელად ტრიალებს მაყალზე...

ასე ადრინად რამ გამოიყვანა, პური თუ აქვს?!..

გამვლელის გამოჩენაზე თავს მალლა სწევს და ისევ უიმედოდ უბრუნდება ძველ მდგომარეობას. ალბათ, მრავალი აქვს საფიქრალი და საზრუნავი. შიგადაშიგ ჩემსკენ გამოიხედავს. შორიასლო სკამზე მჯდომი ჩემს მოხუცს ვაკვირდება. მოიხედავს თუ არა თვალს ვარიდებ, – ხომ არ მიხვდა, რომ ვუთვალთვალებ?

ხალხი კი მცირედ, მაგრამ მაინც მიდი-მოდის. შემოდგომის ფოთლებს ფრიალი აუტეხავთ. ცოტა ხნით დამშვიდდებიან, მაგრამ ხანმოკლეა მათი ეს ყოფა, – ქარი ჩასაფრებულა...

შუა ხნის ქალი მიუახლოვდა მოხუცს, თუმცა, მყიდველს არ ჰგავს. ფოტოაპარატი მოიმარჯვა, ჩანთა სკამის საზურგეზე გადაკიდა. ფოტოს უღებს ციხის გალავანს, ბალის ბინადრებს. მცირე დროით ჩერდება გამხმარ, სქელშტამბიან ხესთან, მსხვილი ტოტის ამოღრუტნულ გადანაჭერში ვაზი რომ ჩაურგავთ და მაღალ სარზე აუხვევიათ. უფოთლო ღეროზე პანია მტევნის მარცვლებს სინითლე შერჩენია... ჩვენებური არ ჩანს, – იერზე ეტყობა, რომ უცხოა. ჩანთას იღებს და უსიტყვოდ ტოვებს იქაურობას...

ზუსტად ჩემი სათვალთვალო ობიექტის წინ ორი პატარა ბიჭი ფეხით მიაგორებს ქვას, რომელიც ფოთლებში ეხვევა, მაინც პოულობენ, მშვენიერი გასართობია. არც კი მიუხედავთ მზესუმზირისაკენ, ალბათ, სკოლაში მიდიოდნენ, იქვე, გალავნის შიგნით.

ვილაც, პატარა ბავშვიანი ქალი გამოელაპარაკა. იმედი მომეცა ის მაინც იყიდდა ერთ ჭიქას, მაგრამ ნაცნობი აღმოჩნდა, მალევე დატოვა.

კვლავ მარტო რჩება ქართან, ყვითელ ფოთლებთან და მზესუმზირის სათლთან, რომლის სასიამოვნო სურნელი შორს მიაქვს აცელქებულ ნიავს.

როგორც იქნა, – შორიდანვე მეცა თვალში მხარზე ჩანთაგადაკიდებული გოგო, რომელიც, ეტყობა, სკოლიდან მოდიოდა. ნაცრისფერი შარვალი და ქუდიანი სვიტერი აცვია, თმები მალლა აქვს შეკრული. ღიმილით მიუახლოვდა მოხუცს... ხელში პანია პარკით ჩამიარა, შემომცინა და გააგრძელა გზა.

მცივა, წასვლა მინდა, მაგრამ ადგილს ვერ ვშორდები. ნუთუ ველარაფერს გაყიდის, სანამ აქ ვარ?!

ის, კი, ზის ქანდაკებასავით, თუმცა, ხალხი შეთხელდა.

ერთი პირობა ვიფიქრე, შემეძინა მთლიანად, რის გაყიდვასაც, ალბათ, რამდენიმე სიცივეში გატარებული საათი ან დღე დასჭირდებოდა. ავასრულებდი, კიდევ... საფულე

ამოვიღე... ასე სწრაფად სად გაუჩინარდა?! – გაცოცხლებული გავყურებ ცარიელ სკამს. უშედეგო ძებნის შემდეგ, იმედგადაწყვეტილმა დავტოვე იქაურობა, საქმეც აღარაფერი მქონდა...

აგურის სამსართულიან შენობას გავუსწორდი. მუსიკის თავგამოდებული მოყვარული გახლავართ, მაგრამ ეს სულ სხვაა: ვილაც გასდევ-გამოსდევს გამას; წრიპინებს ვილინო; ბუხუნებს ალტი; სუსტად ირჩევა ფლეიტის ხმა; როიალის აკომპანიმენტის თანხლებით ვილაც სოპრანოს იმუშავებს... მოკლედ, სრული ქაოსია...

ვინრო ქვაფენილიანმა გზამ თავქვეზე ჩამიყოლია. ძველებურ, აჩონჩხილი სახლის აივანს შევავლე მზერა, – ამდენი ყვაილი არსად მინახავს. მიკვირს, უამრავი ქოთნის სიმძიმეს როგორ უძლებს ქარ-წვიმისაგან ფერშეცვლილი ხის მოაჯირი და იატაკი. თავზე ხილაბანდ-ნაკრულ ქალს ხელში სარწყავი უჭირავს, – აწვიმს ბუნების ამ საოცარ ქმნილებებს. პირდაპანილები ნებიერად იზმორებიან, ელოდებიან სახურავსგადმოცილებულ მზეს, ანდამატივით იზიდავენ სხივების ცხოველმყოფელ სითბოს და სინათლეს.

ვინრო ტროტუარი რკინის სახელურით ემიჯნება გზას. მწვანე სიღრმეში, მეორე მხარეს, რამდენიმე სახლი ჩასდევს ფერდობს... ზემოდან დიდრონი უსურვაზგადავლილი ხეების და ბუჩქების ტეფრი დაჰყურებს. ფიჭვის წინვინი ბულულები მოზრდილა აქა-იქ. ქვემოთ და ქვემოთ დამრეცი მკვეთრად დაბლდება. შორიდან ვხედავ, როგორ ფრიალებს ფანჯარაში ფარდა და ქოთნის ყვაილებში იხლართება. ეზოებში ძაღლები დარბიან, მზის გულზე კნუტები აბუზულან და თბებიან. სახურავებზე მტრედები მიმოდინან საქმიანად, დაფართქუნობენ. პატარ-პატარა ბოსტნებს მოსავალი მოუღვევიათ, – სუსტი ბალახი ამოხუჩხუჩებულა პამიდვრის გამხმარ ძირებს შორის, რომელთა შერჩენილ წვრილ ნაყოფს ჭკნობა შეპარვია. სუსტი ნიავის ფრთაზე ნარნარად ირწევა ბლის ტანაყრილ ხეზე ჩამოკონწიალებული ცარიელი საქანელა. ისე ვარ გართული, ვერ ვამჩნევ ერთი საფეხურით დაწეულ ტროტუარს, – ფეხი ღრმულში მივარდება, ნავიბორძიკე, რომ არა სახელური, რომელსაც ვეყრდნობოდი, არ ვიცი როგორი დასასრული ექნებოდა ჩემს უგულისყურობას. კოჭლობით ვდგამ რამდენიმე ნაბიჯს, მზერა გასავლელად დარჩენილზე გადამაქვს. ზუსტად შუაზე ვარ მისული... ჰოი, საოცრებავ, დაღმართის დასასრულს ჭალარა თმას მოვკარი თვალი. ზუსტად იქ დავინახე, სადაც არაფრით ველოდი. დიას, ის იყო, ჩემი მოთხრობის გმირი, – მზესუმზირის გამყიდველი, ასე საოცრად რომ გამიქრა თვალსა და ხელს შუა. ბედიც ამას ჰქვია. გადავწყვიტე გავყოლოდი უკან, უჩუმ-



რად. ნეტავ სად ცხოვრობს, როგორი სახლი აქვს? იქნებ, გამოლაპარაკებაც მოვახერხო. მოსახვევში თვალს მოეფარა, მაგრამ, უკვე, ახლოს ვარ. გონების თვალთ ვხედავ, სადაცაა ქუჩას გადაჭრის. ახლა, კი, აღარ მივცემ უფლებას, ასე, უბრალოდ გაეცალოს ამბავს, მისი ცხოვრების ამ მცირე ეპიზოდზე რომ მიინდა მოგითხროთ. ნაბიჯს ავუჩქარე...

„კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა“-ო, – ქუჩის დასასრულს, ზუსტად იმ ადგილას ჩემი ქალბატონი რომ გაუჩინარდა, შავ ავტომანქანას ვკიდე თვალი. არ გამკვირვებია, ხშირად იყენებენ მძღოლები ამ თავისუფალ ადგილს გასაჩერებლად. ჭირს ისარგებლონ ავტოსადგომებით, რომლებიც ისეა გადატვირთული ქინძისთავიც არ ჩავარდება... მანქანიდან მამაკაცი გადმოვიდა, ხელგაშლილი ღიმილით შემომეგება, – ვიცანი, ამდენი ხნის უნახავი ჩემკურსელი აღმოჩნდა. სხვა დროს გამიხარდებოდა მისი დანახვა, ახლა, როცა ჩემი მუზა, კვლავ, ხელიდან მისხლტებოდა, უცნაურია, მაგრამ ზიზღი ვიგრძენი მის მიმართ. გაცოფებული ვარ, – რალა მაინცადამაინც დღეს გამოჩნდა, აკი წლებია, არ გვინახავს ერთმანეთი. ამკარად უხარია შეხვედრა, მეც, რა თქმა უნდა, გამიხარდებოდა, მაგრამ, რალა ახლა... ვსაუბრობთ, თვალისა და კი არ მიინდა დავკარგო ჩემი მოხუცი. აღარ დამეხსნა, კითხვას კითხვაზე მაყრის... მივხვდი, აზრი აღარ ჰქონდა გამოდევნებას, ხალხის ბრბოში მისი ნიშანწყალიც გამქრალიყო...

#### IV

ხშირად ვსტუმრობ ჩემს საყვარელ ქალაქს. დღესაც, საქმე ბევრი არაფერი მაქვს, თითქმის მოვითავე. თელავს საავდრო ღრუბელი დასწოლია. ცის ბრაზიან ბუხუნს აინუნშიც არ ვაგდებ. შორს, ჰორიზონტთან, ყომრალ ღრუბელს, უეცრად, კაშკაშა შუქი შეუძვრება, ნამით დღედ აქცევს მის უკუნეთს. მოგვიანებით მოყოლილი ყრუ ქუხილი ნელ-ნელა მინელდება, თითქოს არც ყოფილა. მთებს უკან, ალაგ-ალაგ წვიმის ნაკადები ჩაშვავებულა... ელვის ტოტებიანმა ტეხილმა ჩემს თავს ზემოთ მოადინა ტკაცანი. ჰაერი ძრწოლისმომგვრელმა, ხმაურთანმა განმუხტვამ შეაზანზარა. რამდენიმე მსხვილი წვეთი ასფალტზე დაეცაპა. დაუშვა. თავი მახლობელ ღია დერეფანს შევაფარე... მალევე გადაილო, მზის თვალს ცისარტყელამ შესცინა. დავტოვე თავმესაფარი და მალაზიების გრძელ რიგს ნელი ნაბიჯით გავედევნე.

ფილოსოფოსობის გუნებაზე ვდგები, – კი, წვიმის სიკეთეზე რა მეთქმის, მაგრამ, ამ, ჭექა-ქუხილის ისტერიკა ვილას სჭირდება?! რისთვის?! სეტყვა რალა მოსაგონი იყო, ან, კიდევ, ზაფხულის უსაშველო ხვატი, სიკვდილის

გავარვარებული ბრჭყალებით რომ ვყავართ შებოჭილი?!..

სახლში გარიგებული საქმე გარეთ არ გამოდგება, ვიცი. საკუთარ თავზე ბევრჯერ გამოვცადე ბრძნული ჭეშმარიტება... ღრუბლებიდან ახლად გამომძვრალ მზეს საშუაღლეოზე აუსაფხურებია. არ ვამბობ, რომ ვერ გავაცნობიერე რაში შემომეფლანგა ამდენი დრო, თუმცა, აღარც მეჩქარება.

გვარიანად ვარ მოშიებული. ისედაც გახელებული მადა გამიძლიერა საცხოზიდან მონადენმა სურნელმა... პატარა ტანის ღიმილიანმა გოგომ გადმომანოდა ფაქიზად შეფუთული ხაჭაპური. სხეულს სასიამოვნოდ მითბობს ჩანთის ის ადგილი, დროებითი თავმესაფარი რომ მოვუძებნე შენაძენს...

გზას ერთი კარგი თვისება აქვს, – აუცილებლად მიგიყვანს ადგილამდე, სადაც გაუნაპირდები ამქვეყნიურ ორომტრიალს და შენს შინაგან სამყაროს, მხოლოდ, შენს საკუთრებად აქცევებედნიერება შიგნიდან უნდა იგრძნო. სულს შევებას არ აძლევს მოჩვენებითობა, პირიქით, ადამიანს ფიზიკურადაც ანადგურებს. ხშირად იქ არ არის ბედნიერება, სადაც ველით, ზოგჯერ არსიც არ გვესმის, სანამ გავიზრებთ. ცხოვრების უკუღმართობაში შეიძლება მინდვრის პანია ყვავილის უნაზესმა სუნთქვამ, ფოთლების შრიალმა, ქვაზე გადარბენილი ნაკადულის შორეულმა ჩუხჩუხმა, ჩიტების ჭიკჭიკმა, აქამდე რომ არც გვესმოდა, მოგვგვაროს სიმშვიდე და მოგვანიჭოს უანგარო სიყვარულის გრძნობა სამყაროსი, რასაც სიცოცხლეშივე გვინდა ვეზიაროთ. ბედნიერების არსიც, სწორედ, ეს არის, – სიმშვიდე და სიყვარული.

გზამ, მართლაც, მიმიყვანა იდილიასთან, – ხშირფოთლიან ხეს განმარტოებული სკამის ნახევარი ტოტებს ქვემოთ მოუქცევია. წვიმაში თუ იფარავდა, ახლა, გაუთავებლად წვეთავს, – ცვარს იბერტყს ფოთლებიდან, სველი ადგილი მზის ირიბ სხივებს გაუბრწყინებია. მშრალ კიდეზე ჩამოვჯექი და სიმშვიდის ხმაურს მივეუგდე ყური...

თეატრის შენობის სახურავის ლავგარდანზე უამრავი მტრედი შემომჯდარა: თეთრი, ნაცარა, ჭრელფრთიანი, მოლურჯო. უცებ, პატარა გუნდი ნამოიშალა, აფრინდნენ, ირგვლივ შემოიფრთხილეს და კვლავ ძველ ადგილს დაუბრუნდნენ. რა დაასვენებთ, არ წყვეტენ ფრთებით ფართქუნს, ერთმანეთს ადგილს ეცილებიან... შიმშილმა, კვლავ, შემახსენა თავი. ხაჭაპური მოვძებნე. ის იყო, ლუკმა გადავყლაპე, რომ რამდენიმე მათგანი გამოეყო ზემოთ გადაფრენილ გუნდს. ფრთხილად მომიახლოვდნენ. ახლოს დაინყეს გოგმანი, დიდი ხნის დაძლეული უნდა ჰქონოდათ შიში ადამიანთა მოდგმის მიმართ. პატარა ნაწილი მოვციცქენე





და გადაუგდევ. ერთმა, ყველაზე ყოჩაღმა, უცებ გადასანსლა. დანარჩენებმა სწრაფი ნაბიჯით იწყეს სიარული სულ ახლოს. ვაჭუცმაცებ და ვაჭმევ, ზოგი მე, ზოგი მათ. შემთხვევით თუ ვინმე გაივლის, მაინც ფრთხილად, უცებ აფრინდებიან ერთად, – ხან გაივლებენ მზის შუქზე, ხან გაუჩინარდებიან. მაინც მითვალთვალებენ, ერთი სული აქვთ მარტო დავრჩე, რომ, კვლავ, ისარგებლონ ჩემი სტუმართმოყვარეობით. ისე თამამობენ, ლამის, ფეხსაცმელზე მასხდებიან. სკამზე, ჩემს გვერდით ვალაგებ ნამცეცებს, – მინდა ხელი გადავუსვა, მაგრამ, ნურას უკაცრავად, ახლოს არ მიკარებენ, ბოლომდე არ მენდობიან, ჩუმად კი უცქერენ გემრიელ საკბილოს. ბოლოს, იმედს ვინყვეტ, სკამიდან ნამცეცებს ქვემოთ ვყრი. გიყვარდეს, ერთმანეთს არ აცდიან. ერთი ხარბობს, თეთრია, რამდენიმეს აკენკავს სწრაფად, ლამის ნისკარტიდან აცლის დანარჩენებს. სადილი დამთავრდა. შეიფრთხილეს... ცის ლაყვარდმა, თითქოს ჩაყლაპა.

სახურავის კიდეზე, კვლავ, მრავლად სხედან, ნისკარტებით ერთმანეთს ეგლისებიან, ლულუნებენ, – მასში სიცოცხლის სიყვარულის, სიმშვიდის, მშვიდობის ჰიმნი ისმის....

## V

ბაზრის გარეთ ორმხრივი სავაჭრო რიგი მოუწყვიათ. აღმოსავლეთის მხარეს ჯიხურები ჩახშირებულა. რას არ ნახავთ გასაყიდად გამოტანილს: ტელეფონები, ყურსასმენები, კომპიუტერის აქსესუარები, თანამედროვე ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტი რომ გამხდარა., საიუველირო ნაკეთობანი, საეკლესიო ნივთები... დასავლეთით პირდაპირ ასფალტზე გაუშლიათ ბოსტნეული და ხილი თხელი საფენის ზემოდან. შიგადაშიგ იაფფასიან ტანსაცმელსაც შემოგთავაზებენ. მოაჯირზე უხვად გადაუფენიათ შარვლები, ხალათები, სვიტრები, ქვედაკაბები, მათ ქვემოთ პოლიეთილენის ვინრო ზოლზე წვრილმანსაც ნახავთ. რიგებს შორის, საცალფეხო ბილიკზე, ფეხს ძლივს უქცევენ მყიდველები. გაჭირვებით მივიკვლევ გზას. აქ, ვხედავ ხოლმე ჩემს ძველისძველ ნაცნობ ქალს, ამჯერადაც, შორიდანვე მოვკარი თვალი. სავაჭრო გაუშლია, – ხის მოგრძო ყუთზე დაფენილ თეთრ ქალაღზე მცირე გროვებად ბოსტნეული დაუხვავებია. ნიკაპქვეშ ამოუღვია მუშტი და მყიდველის მოლოდინში გარინდულა.

დილის მზე კუშტ სახეზე ღიმილად ეხატება. მზერა დამიჭირა. უცხოსავით შემომხედა... თვალი მაღალ, სათვალთან მამაკაცზე გადაიტანა, – მყიდველი თუ ეგონა. კიდეც რამდენიმე ადამიანმა ჩაიარა, სანამ მივუახლოვდებოდი. მე მახსოვდა, თორემ, თვითონ, ეტყობა აინუნშიც არ იყო, ვერ გამიხსენა ვინ ვიყავი. ვერასო-

დეს მოვახერხე გამოლაპარაკება, – მაინტერესებდა იმ ოჯახის ბედი, სადაც სტუდენტობის ხუთი საუკეთესო წელი გავატარე. ერთი სახლის გამოშვებით ცხოვრობდა, ასაკში დიდი სხვაობა იყო, – ბევრად უფროსი გახლდათ. კიდეც რამდენიმე ნაბიჯით ვამოკლებ მანძილს. ახლა, უკვე, ინტერესით მიყურებს. ვფიქრობ, როგორ დავინყო საუბარი. ბევრჯერ დავაპირე გამოლაპარაკება, თუმცა, ბოლო წამს ვკარგავდი გამბედაობას და შემდეგისთვის გადავდებდი, არა იმიტომ, რომ მერიდებოდა, არამედ ეს თემა ჩემთვის მოსაფერებელი და სათუთი იყო, – მეშინოდა, ცუდი არაფერი გამეგო. ბოლოს, პირდაპირ ვკითხე:

– ქალბატონო, ალბათ ვერ მიცანით, – გამოცდელად მაჩერდება, მაგრამ, ეტყობა, ვერაფერს ხვდება, – მე არ დამინწყებიახართ, ერთ უბანში ვცხოვრობდით, მეზობლებიც კი გვეთქმოდა...

გვიანი შემოდგომის ამ დღეს საკმაოდ გრილოდა. მზის ირიბ სხივებს სიცხოველე განელებოდა, მხოლოდ, სითბოს ხავერდში ხვევდა ძილის ბურანიდან გამოთავისუფლებულ ქალაქს...

მკაცრი სახე, უცებ, გაუნათდა. შემომღიმილა. თავზე მოხვეული მსუბუქი თავსაფრის ქვემოდან ქერა, კულულა, ჯიუტი თმა შუბლზე ჩამოშლოდა. ოდნავ მოგრძო, სწორი ცხვირი მის სახეს მიმზიდველობას არ უკარგავს. კეთილი, ღიათაფლისფერი თვალებით მაცქერდება. თხელ ტუჩებზე ღიმილი აფენია.. ცისფერი ქურთუკის ზემოდან ოდნავ შეჭუჭყული, იმავე ფერის წინსაფრის კისერზე მოსადები ზონარი შიგნით აქვს ჩაკეცილი. მოზრდილი ჯიბე, სადაც, ალბათ, ნავაჭრ ფულს ინახავს, ჯერ კიდეც, ცარიელი უჩანს. თბილი, ნაცრისფერი ქვედატანის ქვემოთ სქელი შარვალი ყავისფერ, შეუკრავ, ენაგადმოგდებულ ნახევარ ჩექმაში ჩაუტანია. წითელი ლაქი მრგვალად გამოქნილ ფრჩხილებზე სანახევროდ ნაშლია...

საკმაოდ მშრალი გამოვიდა საუბარი, – „ძლივს“ გაიხსენა კარის მეზობლები. წლების წინ საცხოვრებელი შეეცვალა. იმავე წუთში დამივიწყა, – ვილაც მსუქან ქალს ბოსტნეულიანი პარკი მიაწოდა, გემრიელად მიირთვითო, გზაში დაანია. მოშორებით დაუწყევ ცდა, თუმცა, ჩემი არსებობაც აღარ გახსენებია. უხმოდ გავეცალე. რატომ მეგონა, ის, რაც მიყვარს და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩემთვის, ყველასთვის უნდა მოჰქონდეს ბედნიერება?! მივხვდი ის გარდასული დღეები, მხოლოდ, ჩემში ცოცხლობენ...

## VI

რა ცუდად მცნობია საკუთარი თავი,



თითქოს დაფიქრებული, ჭკვიანი ვარ, ზედმეტს არავის ვაკადრებ, იშვიათად გამოველაპარაკები უცნობს, არ მინდა გადაამეტებული შეკითხვებით და ჩემივე თავით ვინმემ აბეზრად ჩამთვალოს... რალაც დოზით ასეცაა, თუმცა, ხანდახან, როგორც ამბობენ, ადამიანს ჭია შეუჩნდება და ხათაბალას გადაყრის.

მაშინაც ასე დამემართა...

სახლიდან ისე გავედი საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობ აზრად არ მომსვლია.

ტროტუარს თავქვე მივყვები. გაჩერებას გავუსწორდი თუ არა, გაკრიალებული, ლურჯი ავტობუსი ჩამოდგა. დიდად ვერ დაიკვებინდა მგზავრების სიმრავლით, – რამდენიმე ადამიანს ვკიდე თვალი...

შე, კაი ადამიანო, საქმე გქონდა, ხომ მოითავე?! შენს გზას ენო, – ახლალა ვბრაზობ მაშინდელს.

სულმა ნამძლია, უკანა, ფართოდ გაღებული კარიდან ავედი, – მიყვარს, როცა ჩემს თავთან მარტო დარჩენილი ვმგზავრობ უცხოთა შორის და კიდევ ერთხელ ვათვალისწინებ ათასჯერ ნანახს. იქვე, თავისუფალ სკამზე ჩამოვჯექი. ფანჯრის მიღმა გაზაფხულის, ჯერ კიდევ ცივი დღე ატუზულა. მზის შემოჭრილი სხივები მინის სიცივეს ვერ მორევიან, თორემ შიგნით სითბოდ და მოთენთილობად იღვრება.. უკან მიანყდა მალაზიების ხვავრიელი ვიტრინები, აფთიაქის მონიტორი თვალისმომჭრელი რეკლამებით. შუქნიშანზე ვჩერდებით, სადაც წითელი თვალი ციფრებს ჩამოითვლის...

გაჩერებაზე, დაახლოებით ჩემი ხნის ქალი ამოვიდა და გვერდით მომიჯდა. მის მოხდენილ ჩაცმულობას საოცრად უხდება მოქანავე, ციმციმა საყურე. ახლალა შევათვალისწინებ დანარჩენი მგზავრები: წინა კართან, ცალიან სკამზე მოხუცი ზის. შავი მსხვილად ნაქსოვი ბერეტი ახურავს, შავივე კაბა აცვია. ორივე წინგამონეულ ხელში ხელჯოხი ჩაუბლუჯავს, თავს განუწყვეტილ აქიციანებს. მის უკან, ზურგმეტყეულ სკამზე ორმოცდაათიოდე წლის ქალი ისპანახიან უზარმაზარ ტომარას ფეხით ამაგრებს. მოუსვენრობს, ეტყობა, ეჩქარება. პატარა სათვალის ბიჭი დედას მიხუტებია და მის კალთაში ჩანთას ეპოტინება, – წვენიანი ბოთლის ამოღებას ცდილობს...

ოღროწოლო გზაზე მტვრის კორიანტელში ვეხვევით, – გზის მუშებს ფილაქანი აუყრიათ. მგზავრების ბუზლუნი ნაწყვეტ-ნაწყვეტად მხვდება ყურში უსწორმასწოროზე რყევისას. გზამ მოუხვია, როგორც იქნა, ბორბლების ქვეშ ასფალტი ვიგრძენით. ავტობუსმა შვებით ამოისუნთქა. ჩვეული, მონოტონური, ყრუ ხმაურით შეუყვა აღმართს. კვლავ გადასახვევი. რეფერალური საავადმყოფოს გაჩერებაზე მძლოლმა ძრავი გამორთო. აქ ცოტა მეტი ხნით ჩერდე-

ბა. რამდენიმე მგზავრი ამოვიდა. ერთმა, განცალკევებით მდგომმა, უკანა კარიდან ამოაბიჯა. ახლოსვე, ერთადგილიან სკამზე ჩამოჯდა. განიერი, თეთრი ლაბადის შიგნიდან ერთ ლილზე შეკრული პიჯაკი მკერდზე ამოხურცვია უცნაურად, კალთები კი გარეთ გამოფშეკია. მუქი ფერის კაშნე დაუდევრად შემოუფვია კისერზე, – ბოლოები არათანაბრად ეფინება. ჯინსის შარვალი და ზონარგაყრილი ყავისფერი ფეხსაცმელი ამთავრებს მის ჩაცმულობას. გამხდარი ჩანს, ჩია ტანისა, არც წონაში იქნება მძიმე. ჩაყვითლებულ სახეზე თვალები ჩაცვენია, მაგრამ რალაც უცნაურად უელავს. უმაღლი იქნა ჩემი ყურადღება... შეჭალარავებულ თმაზე სავარცხლის ნიშანყალი არ ეტყობა. ვერცხლისფერი ლითონით მოჭედილი ჯოხი იქვე, სკამზე მიაყუდა. მოუსვენრობს, ადგილზე ვერ ჩერდება. ალკოჰოლის ძველი კვალი ღრმად ჩაჯდომია, ჯერ კიდევ, ჩანითლებულ თვალებში. ხელები ოდნავშესამჩნევად უკანკალებს, თითებზე ნიკოტინის ჩამუქებული ყვითელი კვალი ემჩნევა, რომელიც ფრჩხილებზეც გადასვლია. ყოველივე ამის მიუხედავად უარყოფითი გრძნობა არ გამჩენია მის მიმართ. მეტიც, სუფთად გაპარსული სახით რალაც შეუცნობელ ინტერესს იწვევს ჩემში. უბირი არ ჩანს. ჭკვიანი შუბლი არანესიერი ცხოვრების ნაოჭებს დაუსერავს.

ის პერიოდი, კორონა რომ მძვინვარებს...

უცებ ამოიდგა ენა. იმაზე ბოხი ჰქონდა ხმა, ვიდრე მეგონა და ვიდრე შეეფერებოდა მის კაფანდარა შესახედაობას.

– საავადმყოფოში ვიყავ, ნემსი გავიკეთე, – სახეზე, რალაც საცოდავმა, ღიმილისმაგვარმა კრუნჩხვამ გადაუარა, – მითხრეს, ორას ლარს დაგირიცხავნო. მეორე უფასო ყოფილა, აღარ მინდა.

ლაპარაკის მოყვარული არ გახლავართ, თუმცა, ხანდახან ისეთი ენაწყლიანი ვხდები, თავი ვერ მიცვნიან.

– რაკი ერთხელ აიცერით, მეორეც აუცილებელია, – სულიერს ხმა არ გაუღია ჩემს გარდა. ან მე რა შემიჩნდა.

ეს იყო და არეული თვალები მომაბჯინა.

– არა, არ ვაპირებ, ვერც მაიძულებენ, – მომიგო ჯიუტად, გაბრაზებით, – თქვენ ვინ ბრძანდებით, მედიცინასთან შეხება გაქვთ?

– არა, ისე, უბრალოდ, ვიცი, – მივუგე და მაშინვე მივხვდი სად შევტოპე.

– ეგ მე ვიცი, რას გავაკეთებ, ჩემს საქმეში ნუ ჩაერევით, – ჩამესმა გაფრთხილებასავით. ტანში გამცრა, ცივმა ოფლმა დამასხა მისი შემოღობილი სახის დანახვაზე. არ უნდა ჩავრეულიყავი.

– რას აიტყხე, რა გინდოდა, იცი, ვინ არის? – ჩამისისინა გვერდით მჯდომმა ქალმა. რას გაალიზიანე, აღარც გაჩერდება.





შეკითხვას შეკითხვაზე მაყრის, მელაპარაკება. გასუსული, ცოტა შეშინებულიც მივიკუნჩქე ფანჯარასთან, მისკენ აღარ ვიყურები, რალა ამომალბებინებს ხმას. ბოლოს თავი დამანება, თუმცა, არ შეუწყვეტია ავადმყოფი ტვინიდან აზრების გადმოლაგება.

– ასე ნუ მიყურებთ, უბრალო ადამიანი არ გეგონოთ, ორი უმაღლესი დავამთავრე, განათლება საუკეთესო მაქვს მიღებული. თელავში ბევრი მეგობარი მყავს, ქალაქში განათლებით და საქმიანობით რომ ჩანან. მხატვარი ვარ, აკადემია ბოლომდე არ დავამთავრე, მაგრამ საუკეთესო ნამუშევრები მაქვს. გავყიდი და ცხოვრებას მოვიწყობ, – გვპირდება როდისმე თავის ნახატებს გვიჩვენებს. ცოტა ხანს ჩუმდება, თითქოს სულს ითქვამს.

სხვებისა რა მოგახსენოთ, მე კი ვიგრძენი მასში, ოდესღაც, ნაღდი ინტელიგენტი, მაგრამ ცხოვრება როდი მოგვანიჭებს იმას, რასაც ვიმსახურებთ. ამ ალკოჰოლისა და ნიკოტინისგან გასრესილ კაცში, მაინც, მცირე იმედს მოჭიდებული ადამიანი იგრძნობა, – წყალნალბული ხავსს რომ ეჭიდება. ღმერთმა ნუ ქნას, ისიც ხელიდან გამოეცალოს...

ეს, მხოლოდ, პრელუდია იყო, თურმე. მთავარი წინ გველოდა...

პიჯაკის ჯიბიდან ხელს ცარიელი ბოთლი ამოაყოლა, – გამთავებია, ავიღებ ფულს და ვიყიდი, – ფიქრობს ხმამაღლა. კვლავ, ჯიბეში აბრუნებს.

– ხელცარიელი მეგობარსაც არ სჭირდება, – თითქოს, ჭკვიანურად მსჯელობს.

– ეს არის ჩემი პატრონიც და გვერდში მდგომიც, – ამის თქმა იყო და ლაბადიდან გრძელი ხანჯალი ამოაცურა. ზედ დაცემული სხივი თვალისმომჭრელად ალაპლაპდა, – უამისოდ ნაბიჯს არ ვდგამ. მოჰყვა აქეთ-იქით ქნევას. ავტობუსი გაისუსა. ისედაც, იშვიათი გადასაუბრება მგზავრებისა სრულიად შეწყდა, შიშმა ყველას ენა წაართვა. ოფლში ვინურები, ისევ არ გავახსენდე. რა ვიცი რა აზრი გაურბენს დაბინდულ გონებაში. ადვილი შესაძლებელია, დაგვერიოს. თუმცა, არა, შიში უსაფუძვლო გამოდგა, – ვადაზე კოცნის „მეგობარს“ და სათუთად აბრუნებს ძველ ადგილზე.

კიდევ ერთხელ მოვიტოვეთ გაჩერებიდან გაჩერებამდე მანძილი. დამშვიდდა, ჩაქრა, ჩამოიღვენთა, ეტყობა გამხდარ სხეულში უძლურება იგრძნო.

– ბანკთან რომელ გაჩერებაზე ჩავიდე? – იკითხა მშვიდი, ჩავარდნილი ხმით.

და, ეს, მისი ბოლო კითხვა იყო.

აქ უნდა ჩამოსულიყო, სწეოდა გზას ავადმყოფი სულის ფორიაქით მოცულ მისი ცხოვრების ლაბირინთში რომ მიიკლანკნებოდა.

ახლაც ხშირად ვისხენებ ამ შემთხვევას.

ვფიქრობ და ვერ გამიგია, რატომ დაადგა ამ გავერანტებულ გზას. თუმცა, ის ბინადარია ჩემი სათაყვანებელი ქალაქის, ადამიანია, ღრმა კვალად რომ დამრჩა მესხიერებაში...

## VII

უკვე დიდი ხანია, ცხენზე ამხედრებულ ერეკლე მეფის მზერას ხვდება დიდებული ჭადრის ხე, გზის გადაღმა მცირე აღმართს რომ ამთავრებს... სიცოცხლის საოცარი წყურვილი ჯერაც არ განელებია ამ ცხრაასი წლის ბუმბერაზს.

დამსკდარი ქერქის ქვეშ ზოლებად მოუჩანს შიშველი კანი. ფართოდ, რის შეძლება-საც სიბერისგან გამოფიტული სხეული აძლევს, გაუშლია დაბრეცილი ტოტები. ქარ-წვიმისაგან გამოღრღნილი ფულურო, სუნთქვას რომ უზუთავს, სამუდამო ღამის სამყოფელად ქცეულა, – შეუბრალებელი განაჩენია გარდასული დროის...

სიმშვიდე დაუფლებია ჩემს ჭადარს. ნიაგი უდნავ შერხეულ ტოტებზე ფოთლებს უწნავს.

ფესვზე ჩამოვჯექი. მზის სხივებს „ოქროს“ მტვერი სვეტებად ჩამოუშვია, რომლებშიც ნაწილაკები რიალებენ, ზემოთ მიცოცავენ, ასცდებიან კენწეროს და სილურჯეში ქრებიან.

შორეულ დროზე ფიქრი მეუფლება. ჭადარს ბევრი რამ ახსოვს, ბევრის მოწმეა... ვესაუბრები, თავისებურად მელაპარაკება. ფოთლების ენა მინდა ვიცოდე, – მათით ღალადებს უხსოვარ წარსულს, ანმყოზეც მეჩურჩულება...

ხშირად ეუფლება სიბერის და მარტოობის შეგრძნება, თუმცა ცხოვრებას ზურგს არასოდეს აქცევს, – ზამთრის გადაბმულ, უფერულ დღეებს მოიტოვებს თუ არა, გაზაფხული მთელი ძალით იფეთქებს მწვანედ მოხასხასე ფოთლებში, ცხოველის თათს რომ მიაგავს. მათ შრიალს გამოჰყავს სულის და სხეულის გამომფიტავი ბურუსიდან. მზე თვალისმომჭრელად ირეკლება მათ გლუვ ზედაპირზე. ნაყოფი, – პანია, ბუსუსიანი ბურთულები, მთელი წელი რომ არ მოუცილებია, გასაშლელად ემზადება...

დგას ურყევად, როგორც გოლიათი ძლიერ ფეხებზე. ერეკლეს ხმლის უძლევლობისთვის თავისი არდანებება შეუწყვილებია...

– ჩემო ჭადარო, შენსავით დიდხანს ვიცოცხლებ, დაველოდები ჩემი თელავის, სრულიად საქართველოს იმ სანუკვარ დღეს, ოცნებაში რომ ვხატავ.

თითქოს, მისმენს. შემდეგ ჩურჩულს იწყებს. მოწინებით ვავლებ თვალს ძლევაგამოსილს. ვგრძნობ, მესმის ფოთლების ენა...

ხელით ვესათუთები ბალახის მწვანე ქოჩორს. სუსტი ღეროს წვერზე მოქანავე ჭიამიას თბილ თითებს ვაშველებ. არა, არაფერი მაქვს სათხოვარი, უკვე დიდი ხანია მაპოვნინა...



**ფირუზ  
კოჭლამაზაშვილი**

ქ  
ს  
ა  
ს  
ა  
ს  
ა  
ს  
ა  
ს  
ა  
ს  
ა  
ს  
ა  
ს  
ა  
ს  
ა  
ს

ნიშო, შარუმა, ბოკოლა,  
ნიქარაი და ქორია,  
თქვენი ნაბრუნნი ბელტისგან,  
მთა დადგება და გორია.  
მარჩენაღნო და მაძვრაღნო,  
რამდენი ოფლი ღვარეთა...  
აქ, ჭვერი სიკეთე თესეთ,  
აღმათ, იქ, გაიხარეთა.  
დაიზიჟველ-დაიჩოქებდით,  
მინას სტოგებდით ლარადა,  
თქვენზე სიმღერებს მღეროდნენ  
მთაში და, დაბლა, ზარადა.


ფ. კოჭლამაზაშვილი

ქ  
ს  
ა  
ს  
ა  
ს  
ა  
ს  
ა  
ს  
ა  
ს  
ა  
ს  
ა  
ს  
ა  
ს  
ა  
ს



**ჰე, მთებო!..**

ჰე, მთებო, უბერებელნო,  
მე, რატომ დამაბერეთა?..  
ის, – სიჭაბუკის დღეები  
გთხოვთ, ისევ, დამიბრუნეთა.  
ვერ გნახავ, ვერ გესტუმრები,  
მინდა შეგავლო თვალია,  
მე გთხოვ, ნუ დამემღურები,  
ჩემი სიბერის ბრალია.  
სანვიმრად გავმზადებულვარ,  
დღეებო, გაიდარეთა,  
შემოკლდა ჩემი სანუთრო,  
იმ ქვეყნად დამიბარესა.  
ჩემი ცეცქობა, თქვენ მკერდზე,  
ნარსულსა მიაბარეთა,  
თუ კი, სათქმელი გექნებათ,  
მთის ნისლეზს დააბარეთა.  
მე მთებში ბევრი ვირბინე,  
სიმღერითა და ლხენითა,  
ნეტავ, მთის ქება შემეძლოს, –  
დიდი ვაჟაის ენითა.



**ფირუზ  
კოჭლამაზაშვილი**

ჰაპის სახლი და ჭერი  
და... უთქვამს სანამ რატი მყავს,  
ვერას დამაკლებს მტერი.  
წყაროსაც გაუხარდება,  
გნახავს დაიწყებს მღერასა  
ჰაპის დარგული არყის ხე  
მლიმარე გჩუქნის მზერასა.  
მთის ბილიკს მონატრებია –  
ლურჯაით შენი თარეში,  
ახვალ და გულს გაახარებ  
შენი წინაპრის მხარეში.

**რატის**

ძარღვებში აგდულებია  
თუშეთის სიყვარული,  
თუშეთზე ფიქრი გესტუმრა, –  
არ გაგეკარა რული.  
საჩუქარია მთებისთვის  
მათზე მფეთქავი გული.  
მუდამ, მფარველად დაგყვება  
მალლა, შუამთის ხატი,  
უთქვამს არ მიმატოვებსო,  
სანთელს დამინთებს რატი.  
შენი სტუმრობით მოიღვნენს:

**ხარები ჩემი სოფლისა**

გამახსენდება ბავშვობა  
და ჩემი სოფლის ხარები,  
ნეტავი, შევხვდეთ, – იმ ქვეყნად,  
მინას, რომ მივებარები.  
ნიშო, შარუმა, ბოკოლა,  
ნიქარაი და ქორია,  
თქვენი ნაბრუნნი ბელტისგან,





მთა დადგება და გორია.  
მარჩენალნო და მაშვრალნო,  
რამდენი ოფლი ღვარეთა...  
აქ, ბევრი სიკეთე თესეთ,  
ალბათ, იქ, გაიხარეთა.  
დაიზმუვლ-დაიჩოქებდით,  
მინას სტოვებდით ღარადა,  
თქვენზე სიმღერებს მღეროდნენ  
მთაში და, დაბლა, ბარადა.  
ზოგმა, ეგ, თქვენი სიკეთე,  
იქნებ, ჩაგიგდოს არადა,  
მე, ხომ, ვხედავდი თქვენ თვალებს;  
ცრემლი გდიოდათ – ღვარადა.

## მანია

თუშეთ მიმდინარ მგზავრები  
ღამეს ათევდეს მთაზედა,  
დარდიან სიმღერა ისმის,  
თუშურ გარმონის ხმაზედა.  
მღეროდა თუშის ქალაი,  
იცრემლებოდეს მთანია,  
თქვენ, ცოდვად გადევსთ, ჰე, მთებო,  
ქალი ღამაში, – მანია.  
ცოდვიან ხევში, რომ ბზინავს, –  
მანიას ცრემლის ნამია,  
საფლავეში, ისევ, ცოცხლობენ –  
მანიას გიშრის თმანია,  
დედას მოესმის – მიწიდან, –  
იმათი კვნესის ხმანია.

## სამის არ დამსხმელს

ახმეტს მეცხვარე ვიყავ,  
ნოდორმა ჩამოიარა,  
ტიკი დააძრო ცხენიდან,  
შემხვედრ მგზავრების ზიარა.

მოიხსენია წარსულნი,  
სახლამდის, ვინც ვერ იარა...  
და... დაუტოვა ახლობლებს –  
ტკივილიანი იარა.  
სამის არ დამსხმელს, არ დამლევს,  
ყანები დამაცლევინა,  
ეს, ჩვენი გამარჯვებისა, –  
მეოთხეც დამალევინა.  
მგზავრი მოახტა მერანსა,  
მილრიჯ-მოლრიჯა სალარი,  
და... ჩაათავა, სიმღერით,  
ხორხი ზვავების ნალარი.  
ვაჟას სიმღერას მღეროდა, –  
მოსთქვამდა დარდიანადა,  
ხან, შეხედავდა ჭიუხებს,  
შესძახებდ მადლიანადა.  
„ბუნება მბრძანებელია,  
იგივ მონაა – თავისა,  
სადაც, რომ სიკეთეს თესავს  
იქვე, მთხრელია – ზვავისა“.

## მთის არნივეტმა ნაილონ

მე, არ ვინატრებ – სამარეს, –  
შემჭამოს – ჭიალუამა,  
არ გამიმეტოთ – სამინედ,  
არ გიღალატოსთ – ჭკუამა.  
როცა მოვკვდები, დამაგდეთ:  
თუშეთის, მაღალ მთაზედა,  
მრავალ ნაჭრებად დამჭერით,  
ყორნების მყისე ხმაზედა.  
მთის არნივეტმა ნაილონ –  
თუშეთის, ყველა, მხარესა,  
გული არ შეულონდების,  
ცრემლს არ დაღვრიან მწარესა.  
ნამუსის კაცად გამზარდე,  
ვერ გაგისწორე ვალია,  
ვინატრებ, შენ მწვერვალებზე,  
რომ ეგდოს – ჩემი ძვალია.



ს ა მ უ კ ა შ ვ ი ლ ი

**ნუნუ  
ქამუკაშვილი**

იხვეშს, შატყშს გაუმართა  
მათე ზოჟმა საგუნარი:  
იყურავეთ, განხლისდით,  
მურიკელთარ აქვე არი.  
კრახმა ასე დაიჩივლა:  
ნეტავ, გვერდეს – ნაძვის ნავი, –  
ჩავსხა – ჩემი წინილეწი, –  
ვასეირნო ზურგის ქარიო.

ნ. ქამუკაშვილი



საქართველოს

ჩვენო დედასაქართველო,  
დედასავით ტკბილო,  
სულ, ბედნიერს რომ გხედავდეთ, –  
ჩვენ ეს გვსურს და... ვცდილობთ.  
ყველას შენი სიხარული  
აშუქებდეს მზედო...  
გულის გულში საქართველოს  
გაბრწყინება გვედოს.



**ნუნუ ქამუკაშვილი**

გაზაფხულოდა

გაზაფხული, ასხივდა,  
ზეიმი აქეს ყვავილებს,  
ეს, – ფერების სიუხვე  
იქნებ, მზემდის ავიდეს.  
ნანვიმარზე, ფერები  
ცისარტყელამ გვაშუქა,  
იადონი, ბულბული  
გადაიქცნენ – აშულად.  
მუხამ, ფართო, გულმკერდი, –  
გადუშალა – მთა და ბარს...  
გაზაფხული გახელდა, –  
და მზემ გადისარხარა.

ფოთლებივით იშვილეს,  
ჩვენ ყულურტული დაგვატკობს,  
რა სჯობია სიმშვიდეს.  
ახლა, დამიფრთიანდნენ,  
და... ერთი გვაქვს – ფიქრები, –  
ვინც არაფერს გვიშავენს,  
მეგობრულად ვიქნებით.

ზურა, გილოოჯავ დაზაფხულის დღეს!

დაბადების დღეს გილოცავ  
და გულს სიხარული ავსებს,  
კარგად სწავლობ, სპორტიც გიყვარს, –  
ჩემპიონის იღებ თასებს...  
დაგილოცავ გულით მშობლებს  
და ძამიკოს, ლამაზს, კობტას,  
ორი, სასახელო, – ვაჟი, –  
მართლაც, საოცრება მოხდა.

მეგობრები

რაზე ფიქრობს ნეტავი,  
ჩიტის გული პანია?  
ამ ხემ, – ჩემი ბარტყების  
ბუდე ნაზად არწია.  
ტყემ, ხებმა ბარტყები





## ზაფხული

ძალაშია ზაფხული, –  
 საქმიანობს ყოველი,  
 და მოვიდა თიბათვე  
 უხვ მოსავალს მოველით,  
 ძროხებს თივა დავეუდგით, –  
 გვექონდეს გადანახული  
 და მკათათვეც მოსულა, –  
 შუაგული ზაფხული.  
 ხან, ვშრომობთ, ხან ვისვენებთ  
 ივლისია, თაკარა...  
 და ნაკადულს ვესტუმრეთ, –  
 ტყეში მოდის ანკარა.  
 სიმწვანეა საამო,  
 ხეც დავთვალე ასამდის...  
 ეს, რა სასწაულია, –  
 ჩიტუნების ანსამბლი.

64



## მხატვარი ნიკა

მხატვარია, უკვე, ნიკა,  
 ფისო დახატა და მურა,  
 ერთმანეთს არ აწყენინონ, –  
 ახლა, ნიკა მათზე ზრუნავს,  
 მეც დამხატე, – იხვენება  
 ეკას ლეკვი, – თეთრი „ბელი“,  
 ნიკას ლამაზ ნახატებს კი –  
 მალე, გამოფენა ელის.

## სექტემბერი მოვიდა

პაპა, ჩაფიქრებულხარ,  
 რაზე ფიქრობ, ახლა?  
 მომაგონდა ბავშვობა, –  
 სკოლის ფიქრი მახლავს.  
 დღეს მსურს – თქვენთვის გავალო  
 მოგონების კარები,  
 სიხარულის ყიჟინა,  
 სევდამიუკარები.  
 კარგი სწავლით და გარჯით  
 ბრწყინდებოდეს მამული;  
 სიყვარული, სიკეთე  
 მზისებრ იყოს გაბმული.  
 დღეს თქვენ, სკოლა მოგელით,  
 გაგვახარებთ, რაც უფრო...  
 დაეწაფეთ, კარგ ცოდნას, –  
 დედაენის საუფლოს.  
 მოგონებამ ბავშვობის  
 მეც გამათბო შორიდან;  
 გზას გილოცავთ, ბავშვებო,  
 სექტემბერი მოვიდა.



## გამრჯე ზავშკეზი

ზურა, – ბიჭმა გოჭუნები  
 ჩაიბარა, – მისახედად...  
 ცივ ნიავსაც არ აკარებს, –  
 ამას კარგად ხედავს დედა.  
 ნიკამ, ქათმებს მოვუვლიო  
 და ეს საქმე, მას რომ ერგო...  
 არ მოშივდეთ ნაცარებსო,  
 დადის, დააქვს ხორბლით ვედრო.  
 ეკა, შენ რას ჩაიბარებ?  
 ეკითხება ეკას – ბებო...  
 მე – მურიკოს მივხედავ, რომ  
 ეზოს იცავს სანაქებოდ...  
 ის – ოჯახის ერთგულია,  
 დღე და ღამე ჩვენზე ზრუნავს...  
 წინილებს და გოჭუნებსაც  
 უნდა უდარაჯოს მურამ.  
 საუზმის დროც მოსულა და  
 შემოვდგით, ბებომ, კეცი,  
 ჩვენი კარგი გარჯისათვის,  
 გველოდება – ერბოკვერცხი.

## ღაჩი

გაიზარდა, უკვე, დაჩი,  
 მალე, წავა სკოლაში;  
 სწავლითაც თავს ისახელებს  
 და წიგნების მოვლამიც.  
 ახლა კი ძმას ეფერება, –  
 ვითამაშოთ, ძამიკო,  
 ძმების დიდი სიყვარული  
 მთელმა ეზომ გაიგო.

## ლამა

ბურთს თამაშობს, უკვე, ლამა,  
 და იძახის, – გოლი!  
 მის პატარა ფეხებს, ნაზად,  
 ეფერება, – მოლი.  
 მინდა ბურთი გავიტანო,  
 თუნდაც, ერთი-ორი,  
 გულით მინდა, მე რომ გავხდე, –  
 ბიჭი, – ჩემპიონი.

## საგუბარი

იხვებს, ბატებს გაუმართა  
 მათე ბიჭმა საგუბარი;  
 იცურავით, გახალისდით,  
 მურიკელაც აქვე არი.

კრუხმა ასე დაიჩვილა:  
ნეტავ, გვერდეს – ნაძვის ნავი, –  
ჩავსხა – ჩემი წინილები, –  
ვასეირნო ზურგის ქარით.  
კარგით, კარგით, თქვენც მოგხედავთ  
წინილები მიყვარს გულით;  
სანახაობა ვიხილოთ, –  
ლორს ეწვია სიხარული.  
გაიხარეს გოჭუნებმა,  
ზოგი გადგა – ცოტა – განზე,  
იქნება, ჩვენც გვებანავა, –  
გახალისდნენ საგუბარზე.  
მათემ კი თქვა: სულ, ახლავე!  
მარჯვედ მაქვსო: თოხი, ბარი,  
გოჭუნებო, გაგიმართოთ –  
უფრო დიდი საგუბარი.

## ჩემი კვირე

ლამაზია ჩემი კვიცი,  
თითქოს, ჰგავსო ზებრას,  
საბალახოდ გაფუშვი და...  
როდი ვუნყებ ძებნას?  
პატრონისთვის – დაჯერებას  
ვასწავლი და ვაჩვენებ,  
ზებრებთან რომ შეერიოს, –  
ვერც კი გამოარჩევ.  
ჭიანჭველა  
სულ, პატარა ჭიანჭველას –  
ბარგი მოუკიდა, –  
სარჩო მიაქვს შვილებისთვის, –  
დედის გული დიდია.  
ცოტას ნასთვლემს, დანარჩენ დროს  
ბაღა-ბაღში ტრიალებს,  
შრომას, გარჯას აჩვენებს შვილებს, –  
ცისკარი რომ ციალებს.  
თითქმის ათზე – მეტი ტვირთი,  
თურმე, უტარებია...  
მინას კარგად აფხვიერებს, –  
ასე გვითხრა ბებიამ.

ლხინი აქვთო – ჭიანჭველებს, –  
და... სუყველა აქ არი...  
არ დაადგათ ფეხი, – არვინ,  
ბავშვებსა სთხოვს ბაქარი.

## ზებრა

გაისმოდა: ზებრა, ზებრა...  
და მოვედი თქვენთან,  
მგონი, – ჩემი ნახვა გინდათ!  
იყო – ერთი, – ძებნა.  
ელიმებათ ბავშვებს ჩუმად, –  
გაუბრწყინდათ სახე,  
ზოლიანი რომ ხარ, ზებრა,  
ზოოპარკში გნახეთ!  
ქუჩის გადასასვლელებსაც  
ზოლები, ხომ, შვენის,  
დააკვირდი, – შენს ზოლებს ჰგავს, –  
სახელი აქვს შენი.  
ზებრამ – რადგან, მეძახდითო, –  
ავდარში, თუ დარში,  
ჩემი ნახვა, თუ, მოგინდეთ,  
გინვევთ – ზოოპარკში.

## დათუნია

დათუნია მოიმღერის:  
ბურდღუნა ვარ, თან, კეთილი,  
მგელს და ტურას ჩავუტარო  
მსურს, – სიკეთის გაკვეთილი.  
ციყვმა უთხრა: დათუნია,  
ტყუილად არ გაიხარჯო,  
ის სჯობია, – შევაგროვოთ  
პანტა, თხილი, – ზამთრის სარჩო.  
ჩვენ ვამშვენებთ ტყეს თუ, მთასა,  
მაგათ კი სურთ: იყვნენ, თვითონ,  
მათი ნდობა არ იქნება, –  
ჩვენ ვაჯობოთ სიკეთითო.



**აკაკი  
დაუშვილი**

მ  
ლ  
ა  
ნ  
ა  
ნ  
ა  
ნ  
ა  
ნ  
ა  
ნ  
ა  
ნ  
ა  
ნ  
ა  
ნ  
ა

(ჰაუ კუპრას ახლა მეორე ფეხზე წაეჭანება)  
კუპრა – ვაიპე, ისეც პირი ჩამავლო.  
კოპნია – არ გააღვიძო.  
ჰაუ – ფუჰ, რა სასიზღარო და აყროლოებული ფეხია,  
წარიელი ძვალი და ტყავია.  
(ჰაუ კუპრას ფეხს თავს ანებებს და ძილს აგრ-  
ძელვებს)  
კუპრა – რაო, რა თქვა ჩემს დაკუნთულ ფეხზე,  
წარიელი ძვალი და ტყავიაო? ამას კი აღარ შევარჩენ!  
კოპნია – ხელი არ ახლო, არ გააღვიძო!

ა. დაუშვილი



**კეთილი თეთრა**

*(საბავშვო პიესა ერთ მოქმედებად და ხუთ სურათად)*

**მოქმედი პირნი:**

- შმაგა – ბოროტთა მბრძანებელი
- კუპრა
- კოპნია
- თეთრა
- ჰაუ – შმაგას ერთგული ძალი
- გაზაფხული
- ალმზრდელი
- მსახური
- მცველი
- კურდღელი
- დათვი

**I სურათი**

ბოროტთა მბრძანებლის შმაგას სასახლე

(შემოდის ორი მცველი. ისინი სცენასა და მა-  
ყურებელთა დარბაზს დაკვირვებით ათვალიერებენ.  
სწრაფი ნაბიჯით შემოდის მსახური)

მსახური – მობრძანებთან ჩვენი მბრძანებელი,  
დიდი შმაგა და მისი ალმზრდელი.

(შემოდის შმაგა. იგი აფორიაქებულია. შემოდის  
ალმზრდელი)

შმაგა – დედამინის მცხოვრებთ სადაცაა გაზაფ-  
ხული ესტუმრებათ. რაღაც ბოროტება უნდა მოვი-  
ფიქრო. ვერა, ვერ ავიტან მათ მხიარულ სახეებს.

ალმზრდელი – ჯერაც გაუგონარი ბოროტება  
უნდა ჩაიდინო. განა ეს არ გიანდერძა მამაშენმა,  
უძლეველმა ფუჰმა?

შმაგა – ბოროტმა ძალამ სინათლე უნდა გან-  
დევნოს. მოვიფიქრე. გაზაფხულს შევიპყრობ.

ალმზრდელი – მშვენიერი აზრია.

შმაგა – გაზაფხული ველარ მივა დედამინის  
მაცხოვრებლებთან და გამუდმებით ყინვა და მოწყე-

ნილობა დაისადგურებს. დედამინაზე გაზაფხულთან  
ერთად გაქრება ზაფხულიცა და ულამაზესი შემოდ-  
გომაც. ველარ იგალობებენ ჩიტები, ველარ იჩუხ-  
ჩუხებს ნაკადული, ველარ იფარფატებენ პელები.  
გაქრება მხიარულება და სიცილი და გამეფდება სე-  
ვდა. ჩვენ კი სხვისი დარდით გავიხარებთ. კეთილ  
ადამიანებს ბოროტებად ვაქცევთ და ყველაფერს  
ყინვა და წყვიადი შთანთქავს.

ალმზრდელი – ქეშმარიტად ბრძნული აზრია.  
გაუმარჯოს უძლეველი ფუჰის შვილს, დიდ შმაგას  
და მის დაუვიწყარ საქმეებს.

შმაგა – (მსახურს) აქ გამოცხადდნენ ჩემი ერთ-  
გული საიდუმლო აგენტები კუპრა და კოპნია.

(მსახური გადის)

შმაგა – ადამიანები, ცხოველები და ფრინველე-  
ბი გაზაფხულის მობრძანებას ელიან. დიახ, გაზაფ-  
ხულს შევიპყრობ და ის მათ ველარასოდეს ესტუმ-  
რება.

(შემოდის მსახური)

მსახური – დიდო შმაგა, თქვენ გეახლნენ  
ერთგული საიდუმლო აგენტები კუპრა და კოპნია.  
აგრეთვე, მთელს სამეფოში ერთადერთი თეთრი  
ბოროტება, სახელად თეთრა.

შმაგა – თეთრა? მსმენია მასზე.

ალმზრდელი – თეთრი ბოროტება გაზაფხულს  
არ დააეჭვებს. თეთრი ფერი ხომ სიკეთის ფერია.

შმაგა – თეთრ ფერში გახვეული ბოროტება. რა  
კარგია. ახლავე შემოვიდნენ.

(შემოდინ საიდუმლო აგენტები კუპრა, კოპნია  
და თეთრა)

შმაგა – სადაცაა გაზაფხული დედამინის მცხ-  
ოვრებთ ესტუმრება. გიბრძანებთ, ადამიანებთან,  
ცხოველებთან და ფრინველებთან მიმავალი გაზაფ-  
ხული შევიპყროთ და აქ მომგვაროთ. ჩემმა ჯამუშებ-  
მა მაცნობეს, რომ გაზაფხული მალე ტყისპირა ბი-  
ლიკს გაივლის.



**კოპნია** – (კოპნიას ბოროტების მკვიდრთაგან განსხვავებით მუდამ კონტად აცვია და ამით დიდად მოაქვს თავი) დიდო მბრძანებელი, ამისთვის რით დამასაჩუქრებთ?

**კუპრა** – ხმა ჩაინწყვიტე, სულელი!

**შმაგა** – ნებას მოგცემ, ჩემს მკერავთან ულამაზესი კაბები შეიკერო.

**კუპრა** – მე, მე დიდო მბრძანებელი.

**შმაგა** – ნებისმიერ ერთ სურვილს აგისრულებ, ხოლო თეთრას უგამოცდოდ მოვანყობ სასწავლებლად ბოროტთა აკადემიაში.

**კუპრა** – გაუმარჯოს მბრძანებელთა შორის უბრძნესს, დიდ შმაგას.

**შმაგა** – თუკი ვინმეს გულში ბოლმა და შური უდევს ჩემი დამსახურებას. სანამ დედამინაზე ბოროტება იარსებებს უძლეველი ვიქნები. ჩემს სახეზე ოდესმე ღიმილი გინახავთ?

**კუპრა** – არასოდეს.

**კოპნია** – თქვენო უბოროტესობავ, ბატონო გაუცინარა, ამბობენ, პატარაობისას ვილაცას ილლი-აში შემოულუტუნებია და ხმამალა გაცინებიათ.

**შმაგა** – სიცრუეა! ამას მტრები მიგონებენ. ჩემი გაცინება ცირკშიც კი ვერ შეძლეს. განთქმული ჯამბაზები ტყუილბრალოდ ოხუნჯობდნენ. თუკი ვინმე ჩემს გაცინებას შეძლებს, საუკეთესო საჩუქარს, ღვარძლითა და სიავით სავსე დიდ კალათას ვაჩუქებ.

**კოპნია** – ძალიან გულუხვი ბრძანდებით. ერთი კალათი რა ამბავია, სხვებს აღარაფერი დარჩებათ.

**შმაგა** – ჩემს საბრძანებელში ბოროტება არ დაიღვავა. უკეთურება და სიავე ქვიშაზე და წყალზე მეტი მაქვს.

**აღმზრდელი** – ქვიშაზე და წყალზე ბევრად უფრო მეტი!

**შმაგა** – (კუპრას და კოპნიას) ახლა კი ნადით და გაზაფხული მომიცუნცულებთ.

(კუპრა, კოპნია და თეთრა გადიან)

**შმაგა** - (დარბაზს) ადამიანებო, სულ მალე თქვენს თვალეში სევდა და მოწყენილობა დაიბუდებს.

(შმაგა, აღმზრდელი, მსახური გადიან)

## II სურათი

ტყე

(შემოდინ კუპრა, კოპნია და თეთრა)

**კუპრა** – ესეც ტყისპირა ბილიკი.

**კოპნია** – მალე გაზაფხული გამოჩნდება.

**კუპრა** – იოლი არ უნდა იყოს გაზაფხულის შეპყრობა.

**კოპნია** – სასწრაფოდ რალაც უნდა ვილონოთ, უნდა გავაბრიყვოთ.

**კუპრა** – როგორ?

**კოპნია** – მოტყუებით, ეშმაკობით!

**კუპრა** – (თეთრას) თავი გაანძრიე, რალაც მოიფიქრე. ჩვენ რას გვიყურებ, შენ შმაგამ ბოროტთა აკადემიაში უნდა მოვანყო, ჩვენ კი პატრონი არ გვყავდა. მე და კოპნიამ სკოლა გაჭირვებით დავამთავრეთ. მხოლოდ ბოროტებაში გვყავდა ათიანი.

**კოპნია** – კუპრა, რალაც მოვიფიქრე!

**კუპრა** – ჩქარა მითხარი, ჩქარა!

**კოპნია** – თეთრა ბილიკზე განვება, ვითომ ძალიან ცუდადაა. ჩვენ კი თეთრას გარშემო დავინყებთ სირბილს და ყვირილით მშველელებს მოვუხმობთ.

**კუპრა** – გაზაფხული ჩვენს დანახვაზე რომ გაიქცეს?

**კოპნია** – გაზაფხული ჯერ პატარაა და ერთმანეთისგან ვერ ანსხვავებს ბოროტს და კეთილს. გაზაფხულს ყველასთვის ბედნიერება და სიკეთე სურს.

**თეთრა** – ნუთუ მართლა ყველასთვის ბედნიერება და სიკეთე სურს?

**კუპრა** – გაზაფხული თეთრას დასახმარებლად მოიბრუნს, ჩვენ კი დავიჭერთ და შმაგას მივუყვანთ.

**კოპნია** – ბილიკს გახედე, გაზაფხული ხომ არ გამოჩნდა?

**კუპრა** – მე რატომ უნდა გავხედო, თვითონ გახედე. მოუნდა უფროსობა.

**კოპნია** – კუპრა, რატომ ბრაზობ? გახსოვს, დედამ დაბადების დღეზე უზარმაზარი ტორტი რომ გამომიცხო?

**კუპრა** – მახსოვს. მაშინ ხუთი წლის ვიყავი და ბოროტუნების საბავშვო ბაღში დავდიოდი.

**კოპნია** – იმ ტორტის ერთი ნაჭერი დღესაც შენახული მაქვს და თუ ყველაფერს დამიჯერებ, შინ რომ დავბრუნდებით, გაჭმევ.

**კუპრა** – არ მატყუებ? მართლა შენახული მაქვს ტორტის ნაჭერი?

**კოპნია** – შენახული მაქვს.

**კუპრა** – კარგი, ბილიკს გავხედავ.

(კუპრა ბილიკს გახედავს)

**კუპრა** – გაზაფხული გამოჩნდა, ჩვენსკენ მოდის.

**კოპნია** – (თეთრას) აქ დანექი. ხელები განზე დაანყვე, არ იმოძრაო, ვითომ გული ნაგვიდა.

**თეთრა** – გაზაფხული უნდა მოვატყუოთ? მას ხომ ყველასთვის ბედნიერება სურს!

**კუპრა** – გადამრევს ეს უტვინო. ჩქარა დანექი!

**კოპნია** – დანექი გენაცვალე, დანექი, თორემ მამაშენს ვეტყვი ცუდად რომ იქცეოდი და გვერდებს სულ ქამრით აგიჭრელებს.

(თეთრა ბილიკზე წვება)

**კუპრა** – რალა ახლა გვთხოვა თეთრას მამამ, თან წაიყვანეთ ჩემი შვილი, ბოროტება ასწავლეთო.

**კოპნია** – რა ვიცოდი თეთრა ასეთი სულელი თუ იქნებოდა. თანაც, მოდური ფეხსაცმელების შეკერვას დამპირდა.





**კუპრა** – შენი კოპნიაობა დაგვლუპავს.

**კოპნია** – გვიშველეთ, გვიშველეთ! პატარა თეთრა ძალიან ცუდადაა, გვიშველეთ!

**(გაზაფხული შემობრძის)**

**გაზაფხული** – ვის უნდა შველა?

**კოპნია** – გვიშველე გაზაფხულო! პატარა თეთრამ გონება დაკარგა!

**(თეთრა თავს წამოსწევს, ძალიან უნდა კეთილი გაზაფხულის დანახვა. გაზაფხული თეთრასკენ მიდის, მას კოპნია გადაეღობება)**

**კოპნია** – შენს შესახვედრად, ბოროტეთში ერთი კვირაა ზეიმისთვის ვემზადებით.

**გაზაფხული** – ბოროტეთში?

**კუპრა** – დიახ, ბოროტეთში.

**კოპნია** – ბოროტეთში ყველაზე კეთილი არსებები ცხოვრობენ. თეთრამ ბევრი იშრომა, საკონცერტო პროგრამაც თვითონ შეადგინა. მთელი ბოროტეთი მოუთმენლად გელით. დიდი ხანია ბილიკთან გიცდით. თეთრამ თქვენი გამოჩენის იმედი დაკარგა და მომქნაცველი ლოდინისგან გული წაუვიდა.

**გაზაფხული** – დედამინის მცხოვრებნი ბროლის ტბასთან მელოდებიან. თქვენ იქ რატომ არ ხართ

**კოპნია** – ჩვენმა ხელმწიფემ შმაგამ უზომოდ ბევრი ნაყინი ჭამა. საბრალოს ყელი ასტკივდა, სიცხემ აუნია და სასწრაფოდ ლოგინში ჩაანვინეს. თანაც ბროლის ტბის გზა არ ვიცით. თუ ბოროტეთში გამოგვეყვებით თეთრა უმალ ფეხზე წამოხტება. საბრალო შმაგა კი მაღალი სიცხისგან იწვის და თქვენ გელით. შმაგა ძალიან კეთილია.

**გაზაფხული** – წამოვალ, ოღონდ ცოტა ხნით. კეთილ მბრძანებელ შმაგას ვინახულებ და უმალ ბროლის ტბისკენ გავმუშურები.

**(თეთრა წამოდგება)**

**თეთრა** – (თავისთვის) გაზაფხულო, აი თურმე როგორი ყოფილხარ, კეთილი, ლამაზი.

**(კოპნიას კუპრა გვერდზე გაყავს)**

**კოპნია** – ადამიანები და ცხოველები გამოჩნდნენ. ეტყობა, გაზაფხულის შესახვედრად გამოვიდნენ. მთებისკენ მიდიან. ცოტა ხანს უნდა მოვიცადოთ, თორემ გზად გადაგვეყვებიან.

**კუპრა** – როგორ შევაცოვნოთ გაზაფხული? მოდი, ხელ-ფეხი თოკით შევუკრათ.

**კოპნია** – ნუ სულელობ, რომ დაიყვიროს, ამაზე დაფიქრდი? **(გაზაფხულს)** გაზაფხულო, ეტყობა თქვენ ბოროტეთში მხოლოდ კეთილ შმაგას ინახულებთ და სასწრაფოდ ბროლის ტბისაკენ გასწევთ. ჩვენს ზეიმს არ დაესწრებით?

**გაზაფხული** – ვნუხვარ, მაგრამ ვერ დავესწრები, ბროლის ტბასთან დამაგვიანდება.

**კოპნია** – თუ არ გინდათ რომ საბრალო თეთრამ ისევ გონება დაკარგოს, შეიძლება მოკვდეს კიდევ, ნება მოგვეცით, თეთრას მომზადებული რამდენიმე საკონცერტო ნომერი წარმოვადგინოთ.

**კუპრა** – დიახ, გული წაუვა, მოკვდება.

**გაზაფხული** – რა გაენყობა, თეთრას გასახარებლად გიყურებთ.

**(კუპრა და კოპნია გადიან)**

**თეთრა** – ჩემი გულისთვის დარჩი, როგორი კეთილი ხარ. ბროლის ტბასთან რომ ვერ მიხვიდე, რა მოხდება?

**გაზაფხული** – დედამინაზე გამუდმებით ზამთარი იქნება და მოწყენილობა და სევდა გაბატონდება.

**თეთრა** – შმაგამ თქვენი დაჭერა გვიბრძანა. ის ბნელ ჯურღმულში ჩაგაგდებს და აღარასოდეს გაგათავისუფლებს. კუპრა და კოპნია გატყუებენ. ჩვენ თვალი ერთთავად ბოროტებაზე გვიჭირავს.

**(გაისმის მუსიკა, კუპრა და კოპნია მუსიკალურ ნომერს წარმოადგენენ და გადიან. უნდა ითქვას, სიმღერა კარგად გამოსდით)**

**თეთრა** – სანამ კუპრა და კოპნია აქ არ არიან, გავიქცეთ!

**გაზაფხული** – თეთრა, ბოროტი კი არა, ამქვეყნად ყველაზე კეთილი ხარ.

**(გაზაფხული და თეთრა გარბიან. გაისმის მუსიკა. კუპრა და კოპნია შემდეგი ნომრის შესასრულებლად ცეკვა-ცეკვით გამოდიან და ადგილზე შემდებან)**

**კოპნია** – მგონი აქ აღარავინაა!

**კუპრა** – ოოხ, თეთრა, შენ გაგვეცემდი. რა ჯანდაბად ავიკიდეთ ეს ყყყეჩი! **(კოპნიას გამოჯავრებით)** მოინდომა ქალბატონმა მოდური ფეხსაცმელები.

**კოპნია** – კარგი კუპრიკო, ნუ ჯავრობ.

**კუპრა** – ბროლის ტბისკენ გაიქცეოდნენ.

**კოპნია** – სად ჯანდაბამია ბროლის ტბა. ნეტავ თოვლი იდოს, ნაკვალევს გავყვებოდით.

**კუპრა** – თეთრას და გაზაფხულს როგორ მივაგნოთ? გახსოვს, სკოლაში, ყნოსვის გაკვეთილებზე რომ მაცინებდი? სულ კუთხეში ვიდექით.

**კოპნია** – სასწრაფოდ შმაგას უნდა ვეახლოთ და ვთხოვოთ, მისი ერთგული ძალღი ჰაუ დაგვახმაროს.

**კუპრა** – ჩქარა წავიდეთ!

### III სურათი

**ბოროტეთის მბრძანებლის შმაგას სასახლე**

**(შემოდის შმაგა. მას მოჰყვებიან აღმზრდელი და მცველი. შემოდის მსახური)**

**მსახური** – საიდუმლო ჯაშუშები კუპრა და კოპნია ეს-ესაა დაბრუნდნენ. ამბობენ, თეთრამ გვილალატაო.

**შმაგა** – ახლავე შემოვიდნენ!

**(მსახური გადის)**

**შმაგა** – ორთავეს სამაგალითოდ დავსჯი!

**აღმზრდელი** – ბრძნული აზრია.



**(შემოდის მსახური. მას მოჰყვებიან საიდუმლო აგენტები კუპრა და კოპნია)**

**კოპნია** – დიდო შმაგა, ჩვენს მიერ შეპყრობილი გაზაფხული თეთრამ გააპარა. სამწუხაროდ, მათ კვალს ვერ მივაგენით.

**შმაგა** – ორივეს განამებთ!

**(კუპრა მიიპარება)**

**შმაგა** – სად მიიძურნები.

**კუპრა** – არა, არსად **(კუპრა სიარულს აგრძელებს)**

**შმაგა** – შეიპყარიო!

**(მცველი კუპრას გააკაებს)**

**კოპნია** – დიდო მბრძანებლო, თქვენი ერთგული ძალლი ჰაუ დაგვანმარეთ და გაზაფხულსა და მოლაღატე თეთრას აქ მოგვგვრით.

**კუპრა** – ჰაუ გაგვაცოლებთ და ჩვენს ერთგულებაში მალე დარწმუნდებით.

**შმაგა** – დანაშაულის გამოსასყიდად ერთ შანს კიდევ მოგცემთ. **(მსახურს)** უხმეთ ჩემს ერთგულ ძალლ ჰაუს. თან წამოიღე ღურბინდი და დამბაჩა.

**(მსახური გადის)**

**კუპრა** – თქვენ ყველაზე მონყალე მბრძანებელი ბრძანდებით, დიდო შმაგა. თქვენს გულისთვის, უკან არაფერზე დავიხვეთ.

**(შემოდინ მსახური და ძალლი ჰაუ. მსახური დამბაჩასა და ღურბინდს კუპრას გადასცემს)**

**შმაგა** – გზას გაუდექით! გახსოვდეთ, ბოროტთა შაებნელი მზერა თქვენსკენაა მოპყრობილი.

**კუპრა** – ახლა კი ვერსად გამექცევით. **(კუპრა დამბაჩას ისვრის)**

**IV სურათი**

**ტყე**

**(შემოდინ კუპრა, კოპნია და ჰაუ. ძალლი ზურგზე აზის კუპრას)**

**ჰაუ** – მარცხნიდან მცემს თეთრასა და გაზაფხულის სუნი. უზარმაზარი მუხისკენ წავიდეთ.

**კუპრა** – ასეთი ზარმაცი ძალლი არასოდეს შემხვედრია. მარტო ბრძანებებს იძლევა, ფეხით სიარულს არ კადრულობს.

**ჰაუ** – ნუ ყბედობ, გზა განაგრძე.

**კუპრა** – მეტი აღარ შემიძლია, წელი ამტკიცდა.

**კოპნია** – კუპრიკო, ჰაუს არ აწყენინო, ხომ იცი, შმაგას საყვარელი ძალლია.

**კუპრა** – თუ კარგია, თვითონ შეისვი ზურგზე.

**კოპნია** – ცოტაც გაუძელი. გახსოვს, ფიზიკულტურის გაკვეთილებზე, გირების აწევაში, ვერავინ გჯობნიდა.

**კუპრა** – წელი, ვაიმე წელი!

**(კუპრა ჰაუს ზურგიდან ძირს აგდებს)**

**კოპნია** – **(ჰაუს მივარდება)** ჰაუ, აპატიე სულელ კუპრას. ის უკვე მოხუცდა და ფეხები დაუსუსტდა. ცოტას დაისვენებს და ისევ ზურგზე შეგისვამს.

**ჰაუ** – შენი ხათრით ვაპატიებ. ისე, მეც დავილაღე, დავისვენებ.

**კუპრა** – **(თავისთვის)** ზურგზე ჯდომით დაილაღა, დასვენება მოისურვა.

**კოპნია** – ჰაუ რატომ ჩამოვადე? კიდევ კარგი ასეთი კეთილი ძალლია.

**კუპრა** – მაგის გადამკიდე გაზაფხულსა და თეთრას ვერ დავენევი. ჰაუს რა ენაღვლება, სუფთა ჰაერზე გამოისეირნა. თუ გაზაფხულს ვერ შევიპყრობთ ჩვენ დავისჯებით. **(კუპრა ღურბინდში იყურება)**

**კოპნია** – გაზაფხული და თეთრა დავინახე!

**(ძილ-ბურანში მყოფი ჰაუ კუპრას ფეხზე ჩაეჭიდება და ალოკავს)**

**ჰაუ** – რა გემრიელი ბარკალია.

**კუპრა** – რა უნდა, რას შვრება?

**კოპნია** – არ გააღვიძო. ჰაუ ძილ-ბურანშია. გამიგონია, გაღვიძება ძალიან ანრისხებს.

**ჰაუ** – ბარკალს გემრიელად მივირთმევ.

**კუპრა** – ფეხის მოჭმას აპირებს?

**კოპნია** – ჩუმად! ხელი არ შეუშალო.

**(ჰაუ, კუპრას ფეხს თავს ანებებს)**

**კუპრა** – მგონი გადავრჩი.

**კოპნია** – არადა, შიშისაგან კანკალებდი.

**კუპრა** – მე და შიში?

**(ჰაუ კუპრას ახლა მეორე ფეხზე წავტანება)**

**კუპრა** – ვაიმე, ისევ პირი ჩამავლო.

**კოპნია** – არ გააღვიძო.

**ჰაუ** – ფუჰ, რა სასიზღარო და აყროლებული ფეხია, ცარიელი ძვალი და ტყავია.

**(ჰაუ კუპრას ფეხს თავს ანებებს და ძილს აგრძელებს)**

**კუპრა** – რაო, რა თქვა ჩემს დაკუნთულ ფეხზე, ცარიელი ძვალი და ტყავიაო? ამას კი აღარ შევარჩენ!





კოპნია – ხელი არ ახლო, არ გააღვიძო!

(კუპრა დურბინდს მოიმარჯვებს. ჯერ მარცხნივ იხედება, მერე მარჯვნივ და ბოლოს პირდაპირ. კოპნია კეფით დურბინდს აეფარება)

კუპრა – არაფერი ჩანს.

კოპნია – ხო, არაფერი ჩანს. (ხელით თვალებს იჩრდილავს)

(კუპრა თავს ასწევს და მის წინ დაყუდებულ კოპნიას დაინახავს)

კუპრა – არ გამოჩნდება, აბა რა იქნება. (კოპნიას ხელის კვრით ჩამოიცილებს და კვლავ დურბინდში იხედება) გაზაფხულსა და თეთრას ვხედავ. კარგი მეგობრებით ერთად მიაბიჯებენ. ახლა კი ვერსად წაგვივლენ!

(კუპრა დამბაჩის გასროლას დააპირებს)

კოპნია – გაგიჟდი?! არ გაისროლო! ჰაუს გაეღვიძება. ეს ზარმაცი ძალღი ალარაფერში გვარგია.

კუპრა – ცარიელი ძვალი და ტყავიაო, თანაც აყროლებულიო.

კოპნია – ჩქარა, ჰაუს გავეპაროთ.

(კუპრა და კოპნია გადიან)

## V სურათი

### ბროლის ტბა

(ადამიანები, ცხოველები და ფრინველები გაზაფხულს ელიან)

კურდღელი – სად აღარ ვიყავით, მაგრამ გაზაფხული ვერსად ვნახე. ეტყობა, რალაც შეემთხვა.

დათვი – ნავალ, კიდეც ერთხელ მოვივლი ტყისპირა ჭალებს.

კურდღელი – (სიხარულით) დავინახე, ბუჩქებს მიღმა გაზაფხული დავინახე!

დათვი – ვილაც მოყვება.

(გაზაფხული და თეთრა შემოდიან)

გაზაფხული – გამარჯობა. ეს თეთრაა. ამქვეყნად ყველაზე კეთილი არსება.

(ბროლის ტბასთან ზეიმი იწყება. მოზიმიებს კუპრა დურბინდით უყურებს და კოპნიასაც გაახედებს)

კუპრა – შეხედე, თეთრა როგორ ერთობა.

კოპნია – ისე, ცეკვა და სიმღერა ჩვენც გვხეცხეცება.

კუპრა – ველარც შმაგასთან დავბრუნდებით. შურს იძიებს, სასტიკად დაგვსჯის.

კოპნია – იქნებ თეთრამ და გაზაფხულმა ჩვენი უკეთური საქმეები გვაპატიონ.

(კუპრა და კოპნია გზას გაუდგებიან და მალე ბროლის ტბასთან მოზიმიებს მიადგებიან)

კურდღელი – (შიშით) ვინ ხართ?

კოპნია – თეთრასა და გაზაფხულს პატიება უნდა ვთხოვოთ.

დათვი – (კუპრასა და კოპნიას) რალაც არ მომწონხართ!

(კუპრა და კოპნია შეშინებულები უკან იხევენ)

თეთრა – აქ რატომ მოხვედით?

კოპნია – ზეიმზე დასწრების უფლება მოგვეცით.

კუპრა – ყველაფერში ბოროტი მბრძანებელი შმაგაა დამნაშავე. თეთრა, შენც კარგად იცი, სწორედ მან გვიბრძანა გაზაფხულის დაჭერა.

კოპნია – გვაპატიეთ. დღეიდან მტრედებით უწყინარნი და კეთილები გავხდებით.

თეთრა – (გაზაფხულს) ვენდოთ?

კოპნია – ნახავთ როგორ კარგად ვიმღერებთ და ვიცეკვებთ, ყველას გაგამხიარულებთ.

გაზაფხული – ზეიმზე დასწრების ნება მივცეთ. ამდენი მხიარული და ბედნიერი სახის დანახვისას იქნებ მართლა ისწავლონ სიკეთე და ჩადენილი ავკაცობების გამო სინანული იგრძნონ.

კუპრა, კოპნია – სიკეთის ერთგულ მსახურებად ვიქეცვით.

გაზაფხული – თუ სიკეთე ვერ ისწავლეთ ისევ ბოროტეთში დაგაბრუნებთ. ბოროტეთშიც არიან კეთილები, უბრალოდ შმაგასი ეშინიათ. ხომ ხედავთ თეთრამ გადამარჩინა, თორემ თქვენთან ვერ მოვიდოდი. თანაც ბოროტეთში არ იციან რა არის სიკეთე, ამას არავინ ასწავლით. ახლა კი თეთრას დახმარებით მათაც კეთილებად ვაქცევთ.

(ზეიმი გრძელდება. კუპრა და კოპნია დანარჩენებთან ერთად თავგამოდებით მღერაინ და ცეკვავენ)

დასასრული









ახლა მესამე შვილის ჯერი დადგა. თერძმა ბიჭს უთხრა:

– თხა მთის საძოვარზე წაიყვანე, სადაც ბალახი უფრო გემრიელია!

შვილმა წაიყვანა, და თხამაც ძოვა, ძოვა და ძოვა.

სალამოს, მზის ჩასვლისას ჰკითხა:

– ხომ ამოივსე მუცელი, თხაო?

თეთრწვერამაც მაშინვე უპასუხა:

– ყველაზე კარგი ბალახი ვჭამე, მინას ავცალე, არრა დავტოვე!

ყმანვილი შინ დაბრუნდა, თხა სადგომში შეიყვანა, ბაგაზე მიაბა და მამისკენ გაეშურა, რომელმაც ჩვეულებრივ ჰკითხა:

– ხომ მუცელამოვსებული მომიყვანე თხა?

შვილმაც არ დააყოვნა:

– ყველაზე კარგი ბალახი ჭამა,

მინას ასცალა, არრა დატოვა!

მამა დასარწმუნებლად სადგომში შევიდა და თხას მიმართა:

– თხაო, თეთრწვერავ, ლამაზო და პატიოსანო, მუცელი გაიძლე?

პასუხადაც ეს მიიღო:

– როგორ შემეძლო, ოჰ, მე მეჭამა

და ეს მუცელი, ეჰ, ამომევისო?

ქვებსა და ეკლებს ვეხეტებოდი,

ერთ ძაფ ბალახსაც ვერ ვაწყებოდი!

გაბრაზებულმა თერძმა კეტს ხელი სტაცა, შვილს მივარდა და სიტყვაც არ ათქმევინა, სახლიდან ისე გააგდო. დარჩა ახლა ის თხასთან მარტო. მეორე დღეს კიკინას უთხრა:

– ჩემო თეთრწვერავ, წავიდეთ, ბალახი მოგაძოვებინო! – და წაიყვანა ხასხასა ბალახით სავსე მინდორზე, მერე მწვანე ბუჩქების ძირასაც გადაიყვანა. მანაც ძოვა, ძოვა და ძოვა. მზის ჩასვლისას კაცმა ჰკითხა:

– თხაო, ჩემო ლამაზო, ჩემო თეთრწვერავ, ხომ ამოივსე მუცელი?

– ბატონო ჩემო, იმდენი ვჭამე,

მუცელს აღარ მაქვს ადგილი რამე!

თერძი შინ დაბრუნდა, თხა სადგომში შეიყვანა, ბაგას მიაბა, ხელი თავზე გადაუსვა და უთხრა:

– ამჯერად, მართლა მაძლარი ხარ?

თხამ კი:

– არა, მინას ვადექ შიშველს და

მინა ვცხონე მაგარი,

მუცელს არ მაქვს არაფერი,

შიმშილს ვყავარ დამდნარი.

მაშინ თერძი მიხვდა, რომ შვილები უსამართლოდ გაყარა და ძალიან ინანა.

– თხაო, სულელო, მატყუარა და საძაგელო! – იყვირა. – მე გაჩვენებ ახლა სეირს! – გადმოიღო ისევ ის კეტი და კიკინა მუქარით სახლიდან გააგდო.

დარჩა თერძი შინ მარტოდმარტო და მწუხარებას მიეცა. ერთი კი გაიფიქრა: „ეჰ, ნეტავ, ჩემი შვილები დაბრუნდებოდნენ! ოჰ, ნეტა, სად არიან ახლა ისინი!“

საინტერესოა, რა საქმეს ეწივნენ შვილები. უფროსი ვაჟი დურგალს მიეზარა შეგირდად. ხელობას კარგად რომ დაეუფლა – ისწავლა გაზომვა, დახერხვა, გაშალაშინება, გათლა, ჩაჯენა, ჩაჭედება –



მხატვარი სოფიო ქელიძე

გადანყვიტა, თავის გზას დასდგომოდა.

დამშვიდობებისას ოსტატმა მას ერთი ტაბლა გამოუტანა.

– ამ ჯადოსნურ ტაბლას გაჩუქებ. – უთხრა.

– და რა ჯადოსნობა შეუძლია? – ჰკითხა ყმანვილმა.

– შეხედე და ყური დაუგდე: „ტაბლავ, გაენყვე!“

ტაბლას უცებ თეთრი, ქათქათა სუფრა გადაეფარა. ზედ სურნელოვანი პურიც გაჩნდა, ლანგრებზე დანყობილი შემწვარ-მოხრაკულიც, ფერადნაირი ხილიც, უგემრიელესი ნამცხვრებიცა და ისეთი შუშხუნა ლვინოც, რომ პირდაპირ გულს გაახარებდა. „ეს ტაბლა მთელ ცხოვრებას უზრუნველად გამატარებინებსო!“ – გაიფიქრა ახალგაზრდა დურგალმა, ოსტატს მადლობა გადაუხადა, წამოიღო და გასწია ქვეყნის სანახავად. აღარც კი იყო დაინტერესებული იმით, თუ სადმე კარგი ფუნდუკი შეხვდებოდა, მეტიც შეეძლო გვერდი აეველო და მინდორში ან ტყეში ესადილა – მხრებიდან ტაბლას ჩამოიღებდა და ეტყოდა:

– ტაბლავ, გაენყვე! – ისიც ყველაფერ საუკეთესოს უწყობდა თვალწინ.

ბევრი იარა თუ ცოტა, ბოლოს მან მამასთან დაბრუნება გადაწყვიტა. „ამ ჯადოსნური ტაბლით რომ დამინახავს, გაუხარდება!“ – გაიფიქრა.

ერთ სალამოს, სახლისკენ გზას რომ ადგა, ხალხით სავსე ფუნდუკს მიადგა.

– კეთილი იყოს შენი ფეხი! – უთხრეს დამხვდურებმა. – მობრძანდი, ვახშმად დაგვენვი.

– არა, რას ამბობთ! – უპასუხა მან. – თუ თქვენ



თვითონ დამენვევით, მადლობელი დაგრჩებით!

დამხვდურებმა გაიფიქრეს, ეს ხუმრობს ალბათო, მაგრამ ბიჭმა შუა ოთახში ტაბლა გაშალა და შესძახა:

– ტაბლავ, გაენყვე! – მაშინვე ტაბლაზე ნაირ-ნაირი კერძი გაჩნდა, მაგრამ მხოლოდ ერთი კაციისთვის კი არა – ყველასთვის.

იქაურებმა რომ დაინახეს, სტუმარი არ ხუმრობსო, თავპატიჟიც არ დასჭირვებიათ, განყობილ სუფრას მაშინვე შემოუსხდნენ და გემრიელად შეექცნენ. ჭამასა და სმას ვერ ასწრებდნენ, თეფშები და ჭიქები ახლით მაშინვე ივსებოდა. მეფუნდუკე ყველაფერ ამას თვალყურს ადევნებდა და ასეთი აზრი გაუჩნდა: „აი, სწორედ ეს ოთხფეხა მზარეული მჭირდება მეც!..“

იმ საოცარი ვახშმის შემდეგ ყველა დასაძინებლად წავიდა. ჩვენმა ბიჭმაც თავისი ტაბლა კუთხეში მიდგა და დაიძინა. შუალამისას მასპინძელი საკუჭნაოში შევიდა, ჯადოსნური ტაბლა აიღო და მსგავსი ტაბლით შეცვალა.

დილით ახალგაზრდა დურგალმა ლამის გათევის საფასური ისე გადაიხადა, რომ ეჭვი არაფერში შეპარვია, ტაბლა ზურგზე მოიკიდა და თავის გზას დაადგა.

შინ ნაშუადღევს მივიდა. მამას მისი დანახვა ძალიან გაუხარდა და უთხრა:

- აბა, შვილო, რა ისწავლევ?
- დურგალი გავხდი, მამაჩემო!
- ძალიან კარგი, და სახლში რა მოიტანე?
- ეს საოცარი ტაბლა მოვიტანე.

თერძმა ტაბლას დახედა, მაგრამ ვერაფერი გასაოცარი ვერ დაინახა და სახე მოელუშა.

– დიდი ვერაფერი ჩანს. ერთი ძველი და უვარგისი ტაბლა.

– არა, მამაჩემო, ჯადოსნურია! – უთხრა ბიჭმა. – რომ ვუბრძანებ, გაენყვე-მეთქი, მაშინვე უგემრიელეს კერძებს დამილაგებს წინ. ხვალ შენი ნათესავ-მეგობრები დაპატიჟე და ნახავ, ყველას გაუმასპინძლდება!

მეორე დღეს, როცა დაპატიჟებულები შეიკრიბნენ, ბიჭმა თავისი ტაბლა შუაგულ ოთახში დადგა და შესძახა:

– ტაბლავ, გაენყვე!

მაგრამ ის არც განძრეულა, როგორც ძველი და ღარიბი მაგიდებია ხოლმე, ცარიელი დარჩა. ზედ ერთი ბალიც არ დადებულა, ერთი კურკაც კი. ბიჭი მიხვდა, რომ ფუნდუკის პატრონმა შეუცვალა და სირცხვილით სად გაპარულიყო, აღარ იცოდა. იმედგაცრუებულმა ნათესავებმა თავი გააქნიეს და შინისაკენ გასწიეს.

ამ ამბის შემდეგ, მამამ ისევ გამოალაგა თავისი ნივთები და ჭრა-კერვას მოჰყვა. შვილი კი დურგალთან სამუშაოდ წავიდა.

მეორე ვაჟი, სახლიდან რომ გააძევეს, ერთ მეპურეს დაუდგა შეგირდად, ცხოზა უნდოდა ესწავლა.

როცა კარგად დაეუფლა ყველაფერს – გაცრას, მოზელასა და გამოცხოზას – გადანყვიტა, თავის გზას დასდგომოდა. მეპურემ მას ვირი გამოუყვანა და უთხრა:

– რაკი ყოჩალი შეგირდი იყავი და კარგად იქცეოდი, ეს ვირი უნდა გაჩუქო, ოღონდ ჩვეულებრივი

არ გეგონოს, არც ცალული აქვს ჩამოცმული და არც საპალნე ჰქვია.

– მამ, რისი მაქნისია? – ჰკითხა სიცილით ბიჭმა.

– ფარდაგზე შესვამ და ეტყვი: „ვირუკა, ლამაზო, გადმოუშვი შენი ყვითელ-ყვითელი!“ და ფუნის ნაცვლად სულ ოქროს ფულს დაგიყრის.

ბიჭმა სცადა, და მართალი გამოდგა. მეპურეს მადლობა გადაუხადა, ვირი წამოიყვანა და ქვეყნის სანახავად გზას დაადგა. თუ სადმე რამე იყო ლამაზი და მოენონა, ყველაფერი იყიდა, ვირი ამისთვის საკმაო ოქროს აძლევდა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა ბოლოს გაიფიქრა: „მოდით, მამაჩემთან წავალ, ჩემი ოქროს ვირით დავენახები. ვიცი, სიამოვნებით მიმიღებსო!“

მოხდა ისე, რომ მანაც უფროსი ძმასავით იმ გზაზე გაიარა და იმ ფუნდუკში შევიდა. მეფუნდუკემ ვირის ჩამორთმევა და თავლაში დაბმა მოინდომა, მაგრამ ახალგაზრდა მეპურემ უარი უთხრა:

– ნუ შენუხდებით, მე თვითონ შევიყვან და დავაბინავებ. თქვენ მხოლოდ მითხარით, საჭმელი რა გაქვთ?

სტუმარმა ნაირ-ნაირი კერძი შეუკვეთა, გაძლომამდე ჭამა, ბოლოს კი ჰკითხა:

– მეფუნდუკე, რამდენი გადაგიხადოთ?

– ერთი ოქროს მონეტა! – მიიღო პასუხად.

ბიჭმა ჯიბე მოიჩხრიკა, მაგრამ ვერაფერი იპოვა, მაშინ მაგიდის საფარი აიღო და თავლისკენ გასწია. ცნობისმოყვარე მეფუნდუკე ჩუმად გაჰყვა, კუთხეს ამოეფარა და თვალთვალი დაუწყო. ბიჭმა მაგიდის საფარი გაშალა, ვირი ზედ დააყენა და უთხრა:

– ვირუკა, ლამაზო, გადმოუშვი შენი ყვითელ-ყვითელი!

პირუტყვმაც გადმოუშვა და გადმოუშვა ოქროს მონეტები.

„ოჰო, ძალიან მომწონს ეს ოთხფეხა საფულე!“ – გაიფიქრა მეფუნდუკემ და ხელის გულები მოისრისა.

ბიჭმა ვახშმის საფასური გადაიხადა და დასაძინებლად წავიდა.

მოგვიანებით, მასპინძელმა სასტუმრო ოთახიდან ხვრინვა რომ გაიგონა, ადგა, კიბე ფეხაკრეფით ჩაიარა და თავლისკენ გაეშურა. შევიდა თუ არა ოქროს ვირი გამოიყვანა, მისი მსგავსი დააბა და კარი გამოიხურა.

დილით ახალგაზრდა მეპურემ ვირს მოქაჩა და სახლისკენ მიმავალ გზას დაადგა. ნაშუადღევს შინ მივიდა. მამაც სიხარულით გადაეხვია და ჰკითხა:

– აბა, რა ხელობას დაეუფლე, შვილო?

– პურის მცხობელი გავხდი, მამაჩემო.

– და რა მოიტანე?

– ერთი უჩვეულო ვირი მოვიყვანე: როგორც კი ეტყვი, ვირუკა, ლამაზო, გადმოუშვი შენი ყვითელ-ყვითელი, მაშინვე ყველაფერს ოქროს ფულით აგივსებს. შეკრიბე შენი ნათესავ-მეგობრები და ნახავ, ყველას გავამდიდრებ!

მეორე დღეს, როცა მონვეულები შეიკრიბნენ, ბიჭმა ფარდაგი გადმოიღო, დააფინა, ვირი ზედ დააყენა და უთხრა:

– აბა, ვირუკა, ლამაზო, გადმოუშვი შენი ყვითელ-ყვითელი!

მაგრამ ვირს ყვითელი მონეტები არ გადმოუც-





ვივდა და იმედეგაცრუებულმა სტუმრებმა ცარიელი ჯიბეებით შინისაკენ გასწიეს. ახალგაზრდა მეპურე კი ძველ საცხობს დაუბრუნდა სამუშაოდ.

ამასობაში, მესამე შვილი ხარატს დასდგომოდა შეგივრდად და ხელობაც ესწავლა. ძმებმა მას, რაც თავს გადახდათ, ყველაფერი მისწერეს – აცნობეს, რომ მეფუნდუკემ ჯადოსნური ტაბლა და ვირი მოჰპარათ.

როცა ახალგაზრდა ხარატმა შინ დაბრუნება გადაწყვიტა, ოსტატმა უთხრა:

– ყოჩაღ, ყმანვილო! ერთ ტომარას გაჩუქებ, შიგნით კომბალიც დევს.

– ტომარა გამოდადგება, მაგრამ კომბლით რა უნდა ვქნა?

– ვინმემ თუ ცუდი გაგიკეთა, ეტყვი: „სწორლამაზავ, გადმობტი გარეთ!“ – კომბალი გადმობტება და ბოროტის ზურგზე იმდენს იცეკვებს, რომ ვერ გააჩერებ, სანამ არ ეტყვი: „სწორლამაზავ, ჩახტი შიგნით!“

ბიჭმა მადლობა გადაუხადა, კომბლიანი ტომარა ზურგზე მოიკიდა და გზას გაუდგა. გზაში როცა ვინმე ცუდს გაუკეთებდა, იტყოდა: „სწორლამაზავ, გადმობტი გარეთ!“

ერთ საღამოს ყმანვილი ცნობილ ფუნდუკს მიადგა. რომ შევიდა, ტომარა მაგიდაზე დადო და მსოფლიო საოცრებებზე ლაპარაკს მოჰყვა. მათ შორის არ გამოტოვა არც ჯადოსნური ტაბლა და არც ოქროს ვირი. მერე დაამატა:

– თუმცა ესენი რა არის იმასთან შედარებით, რაც მე აქ მაქვს!

მეფუნდუკემ ყურები ცქციტა: „რა უნდა ჰქონდეს, ნეტავ? აუცილებლად უნდა გავიგო!“

ყმანვილი დასაძინებლად რომ წავიდა, ტომარა ბალიშივით თავქვეშ ამოიღო.

მეფუნდუკემ ხელსაყრელი დრო რომ იპოვა, ტომარას კუთხით ქაჩვა დაუნყო. ახალგაზრდა ხარატი, რა თქმა უნდა, ყველაფერს მიხვდა და დაიყვირა:

– სწორლამაზავ, გადმობტი გარეთ!

კომბალმაც არ დააყოვნა, გარეთ გადმობტა და ქურდს ზურგზე ცემა სულ ცეკვა-ცეკვით დაუნყო.

მეფუნდუკე აღრიალდა, პატიება ითხოვა, მაგრამ რაც უფრო ღრიალებდა, მით უფრო ცეკვავდა მის ზურგზე კომბალი. ბოლოს ძირს დავარდა და საცოდავად მოიკაკვა. ამ დროს ხმა გაისმა:

– სწორლამაზავ, ჩახტი შიგნით! – და კომბალიც ტომარაში ჩახტა. – ახლავე დამიბრუნებ ჯადოსნურ მაგიდასა და ოქროს ვირს, თუ ისევ დავანყებინო კომბალს ცეკვა? – უთხრა ყმანვილმა მეფუნდუკეს.

– დაგიბრუნებ! დაგიბრუნებ! – უპასუხა მან. – ოღონდაც ეს შენი ურჩხული ტომარაში გააჩერე!

მეორე დღით ყმანვილი ტაბლითა და ვირით დაბრუნდა შინ. მამა ვაჟს სიყვარულით გადაეხვია და



## მანია ტურაბელიძე

უთხრა:

– რა შეისწავლე, შვილო?

– ხარატის ხელობა, მამაჩემო.

– და რა მოიტანე?

– კომბალი.

– კომბალი რაში გამოგვადგება?

– რომ უთხრა, სწორლამაზავ, გარეთ გადმობტიო, გადმობტება და სულ ცეკვა-ცეკვით გაუსწორდება მას, ვინც ღირსია. – მოუყვა მერე, რაც მოხდა ფუნდუკში.

მეორე დღეს, უმცროსმა ვაჟმა უფროს ძმებს დაუძახა და ყველა ნათესავ-მეგობარი დაპატიჟა. მონვეულები რომ შეიკრიბნენ, ფარდავი ძირს გაშალა, ვირი ზედ

დააყენა და დაიძახა:

– ვირუკა, ლამაზო, გადმოუშვი შენი ყვითელ-ყვითელი!

იმდენი ოქრო დაეშვა სეტყვასავით, რომ ყველას ეყო ჯიბეების ასავსებად.

მერე ხარატმა ტაბლა შუაგულ ოთახში დადგა და დურგალმაც დაიძახა:

– ტაბლავ, გაეწყვი!

მამინვე გაიშალა სუფრა გემრიელი კერძებით. სტუმრებმა ჭამეს, სვეს და თავ-თავიანთ სახლებში კმაყოფილები წავიდნენ-წამოვიდნენ. თერძმაც შეაღება, როგორც იქნა, თავისი ხელსაწყოები და შვილებთან ერთად ცხოვრება მშვიდად და უზრუნველად განაგრძო.

თხა რაღა იქნაო? – იკითხავთ ალბათ. – მელიის სოროში შემძვრალიყო სირცხვილით. მელია შინ რომ დაბრუნდა და მისი ორი ბრიალა თვალი დაინახა, შეეშინდა და გაიქცა.

– რატომ გარბიხარ, მელიავ? – ჰკითხა გზად შემოყრილმა დათვმა.

– ჩემს სოროში საზარელი ცხოველი ზის და თვალებს აბრიალებს!

– ნუ გეშინია, ახლავე გამოვადგებ! – უთხრა დათვმა და სოროს მიუხალოვდა, მაგრამ შიგნით რომ შეიხედა, ის ცეცხლოვანი თვალები დაინახა და შეეშინდა. ბოლოს ისიც მელიას დაედევნა.

– დათვო, რატომ გარბიხარ? – ჰკითხა გზად შემოყრილმა ფუტკარმა.

– მელიის სოროში საშინელი მხეცი ზის და თვალებს აბრიალებს!

– მე პატარა კი ვარ, მაგრამ შემოძლია დაგეხმაროთ. – უთხრა ფუტკარმა, სოროში შეფრინდა, თხას თავზე დააჯდა და ნესტარი ისე ჩაასო, რომ საცოდავი გარეთ სულ კიკინით გამოვარდა:

– მეე! მეე! მეე!

ასე გაიქცა დაფეთებული თხა შორს, შორს, შორს.

და სად წავიდა, იცის ვინმემ? არც მე ვიცი.

**იტალიურიდან თარგმნა**

**მანია ტურაბელიძე**



იკა  
ქადაგიძე

როლანდ გიორგაძის ნერის კულტურა თავიდანვე

თვალისაწეშია, რამაჩ მისი ეროვნული მსოფლმხედვე-  
ლონით გამსჭვალული, რხოვრენისეული შინაარსით დატ-  
ვირთული საინტერესო რომანი და ჰუმანიზმით გამთზარი  
მოთხრობენი სიამოვნებით წამაკითხა. რხოვრენისეული სი-  
ზრძის კვალდაკვალ ავტორის ხედვა მარადიული სატ-  
კივარის სწორ ფსიქოლოგიურ გააზრებას მოიწვეს; ის,  
რაჯ ყველა თაობის ჭანსალ შემოქმედ გულის მუდმივად  
გვტყენს, პრობლემატიკის სიმწვავის მიუხედავად ადამი-  
ანური თანაგრძობითაა ასახული და გამსჭვალული, რაჯ  
სადღეისოდ ასე გაიშვიათდა.

ი. ქადაგიძე



როლანდ გიორგაძის ნიგნის: „ღისო ღისო-ს“ გამომახილი

ახალი ნიგნების დროული შეფასება კლანურ ფაქტორთა გათვალისწინებით როგორც წესი, დროში საკმაოდ ჭიანურდება; აღარავისთვისაა საიდუმლო, თუ რომელიმე გავლენიან დაჯგუფებას ან სახელ-გავარდნილ კლანს არ მიეკუთვნები, თვალისმომ-ჭრელი შედეგები რომც დაახვავო, ათას დარჯაკში გამოტარებული პროფესიონალები თავიანთი პირადი მიზნების საზიანოდ ობიექტურად ძალზე იშვიათად გამოგეხმარებიან. 22 წელზე მეტია ლიტერატურულ პროცესებში „შემანუხებელი“ აქტიურობით ვმონა-ილეობ და დაგროვილი გამოცდილების კვალდაკვალ შემძლია თამამად განვაცხადო, რომ ჩემ მიერ გზა-დალოცვილ შემოქმედთა რიცხვი საკმაოდ შთამბეჭ-დავია, იმის მიუხედავად, სადღეისოდ პოლიტიკური მსოფლმხედველობის ქამელეონისებური ცვლილე-ბების ფონზე ჩემი მხარდაჭერა რამდენ კოლეგას „ახსოვს“ ან რამდენია მაღლიერი ან პირიქით; ესოდენ საჭირობოროტო საკითხს აქ არ განვავრცობ, რადგან ამ მხრივ თავი ქუდში მაქვს ჩემი პუბლიკაციებითა და რადიოგადაცემებით იმდენ შემოქმედს ამოვუდექი მხარში, გზა დავულოცე თუ დავიწყების ბურუსს ხე-ლიდან გამოვტაცე და ზურგი საიმედოდ გავუმაგრე; რაც მთავარია, ჩემი მხრიდან გამოვლენილ მწერ-ლურ სოლიდარობას გულწრფელი და დაუმაღლე-ბელი დადებითი მუხტი ასაზრდოებს, რაც ნიგნის შეფასებისას გადამწყვეტი ფაქტორია; მოკლედ, რაც გულს არ ეკარება, არავის ხათრით არასდროს გამო-ოვებმაურები თუკი ნიგნს ეროვნულად მოაზროვნე საზოგადოებისთვის ლიტერატურული ღირებულება არ გააჩნია;

მოკლედ, მტრებისა და მოყვრების გულის გასახ-არად იმ მწერლების თვალისაცემად მცირერიცხო-ვან კატეგორიას განვეკუთვნები, რომლებიც თავი-ანთი თანამედროვე თანამოკალმეების შემოქმედებას საფუძვლიანად ეცნობიან და დროულ გამოხმაურე-ბას სხვადასხვა მიზეზთა გამო არასდროს თაკილო-ბენ. ამ თემაზე ჩემს კრიტიკულ-პუბლიცისტურ-ეს-ეისტურ ნიგნებში ჩემი მრავალწლიანი საბრძოლო

საქმიანობიდან გამომდინარე, მრავალწახნაგოვანი ლიტერატურული მოვლენებისა და ერთი შეხედვით პარადოქსული ფაქტების შეჯერების საფუძველ-ზე გამუდმებით ვმსჯელობ, ამიტომ ამჯერად ხან-გრძლივი და ზოგადი დასკვნების გაზიარებით ჩემს გემოვნებიან პუბლიკას თავს არ შევანყენ. ელექტრო-ნული სივრცის ფორმატი მსგავსი წიაღსვლებისთვის ნამდვილად არ განმანყობს, სამაგიეროდ ცინცხალი შთაბეჭდილებების გადმოსაცემად აქაური გარემო საკმაოდ ხელსაყრელია;

ცოდვა გამხელილი სჯობს, გამოცდილება თავ-ის დაღს ყოველთვის გვამჩნევს, როდესაც ნიგნებს, რომელთა შეფასებაც გადაუდებელია, მკაცრი შერ-ჩევის კრიტერიუმს უქვემდებარებს. უფრო მარტივად ეს წინადადება ასე უღერს, დრო ავტორებს მიუკერ-ძობლად ფილტრავს და მწერლის კეთილსინდის-იერება მაშინ საცნაურდება, თუკი მას უნარი შესწევს სიმართლე არასდროს გაამრუდოს. ციფრული ეპო-ქის მიუხედავად გამოცემული ნიგნების რეკორდუ-ლი მაჩვენებელი სახეზეა და ცხადია, დახარისხების საკითხი მუდამ აქტუალურია. ადრეც არაერთხელ აღმინიშნავს, რომ ყველა ნიგნს თავისი ბედი დაჰყე-ვა, ზოგს გისახსოვრებენ, ზოგს იძენ, ზოგი თხოვების პრინციპიდან გამომდინარე, სამუშაო მაგიდის დროე-ბითი ბინადარია...

ნიგნს, რომელმაც გამოხმაურების სურვილი აღმიძრა, წინ საინტერესო ისტორია უძღვის. მისმა ავტორმა გაცნობამდე პირად სასაუბროში მომწერა და ჩვენი საერთო ძვირფასი და სამწუხაროდ ან გარ-დაცვლილი კოლეგა, ქართული მწერლობის ღვანლ-მოსილი თანამოკალმე – ბატონი აკაკი ბრეგაძე მისხენა (იგი ჩვენი ჟურნალის საპატიო წევრი გახ-ლდათ), რომელმაც ერთმანეთი მწერალთა კავშირის ერთ-ერთ ყრილობაზე გაგვაცნოო. მას შემდეგ ბევრ-მა წყალმა ჩაიარა, ერთმანეთს აღარ გადავყრივართ (ყალბ მასკარადებად გადაქცეულ ლიტერატურულ თავყრილობებს თითქმის აღარ ვესწრები და ალბათ ამიტომ), და რადგან კოლეგამ ყველაზე მეტძოლო,



ეროვნულ ყურნალში დაბეჭდვა მოინაღინა, ტრადიციისამებრ ჩვენი წესები გავაცანი და დავაზუსტე, რომ არაერთგვაროვანი მსოფლმხედველობის მქონე ავტორებს „ისინდში“ გზას არ გავუხსნიდი. ცხადია, მან თავისი მოთხოვნა გამოიმგზავნა, რომლის წაკითხვამ დამარწმუნა, რომ შემოქმედს ჩვენს ყურნალში გამოსაქვეყნებლად დამაბრკოლებელი გარემოებები ოდნავაც არ ემუქრებოდა. ამასობაში „ისინდის“ ახალი ნომრის წარდგენა წამოგვეწვინა, სადაც მონვეული ავტორი – ბატონი როლანდ გიორგაძე პირადად გავიცანი. მან საკუთარი, ლამაზად გაფორმებული წიგნი „დისო, დისო“ (ალღალად ვაღიარებ, სათაურის ეტიმოლოგია ჩემთვის დღემდე უცნობია) ავტოგრაფით რომ გამომიწვინა, უმალ შევნიშნე, რომ მისი წიგნის ფერი ჩემი ახალგამოცემული რომანის გარეკანის ფერს ემთხვეოდა. აქვე აღსანიშნავია, სასიამოვნოდ მოსაუბრე ავტორი შინაგანად კეთილმოსურნე და პირიანი პიროვნება აღმოჩნდა: ჩემთან დამეგობრების შემდეგ დაუნერგელ კანონს თავაზიანად და ტაქტიანად იცავდა, რაც ჩემი პოსტების მყარი მხარდაჭერით გამოიხატა. რადგან იმ პერიოდში უზღვავე საქმე წასაკითხ დროს არ მიტოვებდა, ახალ ავტორს ვუთხარი, რომ მის წიგნს უახლოეს მომავალში აუცილებლად დავაჭაბნიკებდი. ვაღიარებ, მძულს ჩვენში გამეფებული სამარცხვინო ტრადიცია, ნაჩუქარი წიგნების უგულვებელყოფა, ცალსახად უკუდო ამპარტავნების მდარე გამოვლენად რომ მიმჩნია. პატივცემული მწერლები მეტწილად თავისას რომ გაინადღებენ, საკუთარი ეგოში გაფუყულებს კოლეგების წიგნებისკენ გახედვა ხაზგასმით ესიკვდილებათ; ცოდევა გამხელილი სჯობს, თავად ამგვარ ვითარებაში შედარებით იშვიათად აღმოვჩენილვარ, ალბათ იმიტომ, რომ ჩემი კრიტიკული წიგნები, ყველაზე მეტრძოლი მწერლის ავტორიტეტი რომ უმალ მომიხვეჭა, დახავსებულ ლიტერატურულ სივრცეში ზედიზედ ყუმბარებივით გასკდა და მას შემდეგ წონიანი და კეთილსინდისიერი კოლეგების მყარი მხარდაჭერის პარალელურად მწერლების ქვებუდან კატეგორიას არც თუ უსაფუძვლოდ ეშინია, საკუთარი „საგმირო საქმეები“ მომდევნო წიგნებში არ ამოიკითხონ, რის გამოც რასაც ვაქვეყნებ, დაძაბული ყურადღებით ეცნობიან, თუმცა მოულოდნელობებისგან არავინაა დაზღვეული. მოკლედ, ნაჩუქარ წიგნამდე ვერა და ვერ მივალნიე, არადა, როლანდ გიორგაძის ნატურა საამისოდ აშკარად განმანყობდა. ზოგჯერ კეთილგანწყობის მუხტი უმალ წარმოიქმნება, თუმცა ამ „დეტალმა“ წიგნის წაკითხვისას ხელი თუ შეგიშალა, მაშინ პროფესიული კლასი გლალატობს.

ჩემი რომანის წარდგენის შემდეგ როგორც იქნა, თავისუფალი დრო მოვიხელთე და მწერლის რომანი



ნიკა ქალაგიძე

„დისო, დისო“ გადავშალე. როლანდ გიორგაძის წერის კულტურა თავიდანვე თვალმისაცემია, რამაც მისი ეროვნული მსოფლმხედველობით გამსჭვალული, ცხოვრებისეული შინაარსით დატვირთული საინტერესო რომანი და ჰუმანიზმით გამთბარი მოთხრობები სიამოვნებით წამაკითხა. ცხოვრებისეული სიბრძნის კვალდაკვალ ავტორის ხედვა მარადიული სატიკვარის სწორ ფსიქოლოგიურ გააზრებას მოიცავს; ის, რაც ყველა თაობის ჯანსაღ შემოქმედს გულს მუდმივად გვტკენს, პრობლემატიკის სიმწვავის მიუხედავად ადამიანური თანაგრძობითაა ასახული და გამსჭვალული, რაც სადღესოდ ასე გაიშვიათდა; ძველი სურნელის ნოსტალგიას ახალი, დაუნდობელი ყოფის ბურუსიდან გამოყოფილი სიტუაცია და სინათლე ბუნებრივად ავსებს და უკეთესი მომავლის იმედს ძალდაუტანებლად ბადებს. რომანი ჩვენი კატასტროფული დემოგრაფიის თაობაზე პირდაპირ განგაშის ზარებს არისხებს, ემიგრაციის სახიფათო ტრადიციასაც საკმაოდ მტკივნეულად აშიშვლებს და ეს ლოზუნგურად კი არ ხორცილდება, არამედ მწერლური ოსტატობითაა გადმოცემული. საოცარი და მრავალწახნაგოვანი ფსიქოლოგიური შტრიხებით გამსჭვალული საბავშვო მოთხრობები ცალკე აღსანიშნავია, თუმცა ყველაზე მეტად „ჩინორის ბრძოლა“ გამოვარჩევდი; არ დავმალავ, ამ მოთხრობის ისტორიული მუხტი ყველაზე მეტად მემშობლიურა და ავტორის ეროვნული სულისკვეთების მიღმა საკუთარ სამშობლოზე მოფიქრალი ჭირისუფლის მზრუნველი ბუნება ამოვიკითხე...

ამიტომ გულს დამაკლდა, ასეთ საინტერესო წიგნს თან წინასიტყვაობა რომ არ ახლავს. არადა, წიგნის რედაქტორი ცნობილი მწერალი მაკა ჯოხაძეა, რომელსაც პროზაიკოს როლანდ გიორგაძის წერის კულტურა შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. მიმჩნია, წინათქმა სერიოზული წიგნების აღსაქმელად ერთმნიშვნელოვნად სასარგებლო გზამკვლევაა, რისი ტრადიციაც ბოლო პერიოდში მეტწილად რატომღაც უმართებულოდაა უგულვებელყოფილი, ვინაიდან ავტორის შრომის შესაფასებლად წინასიტყვაობა აუცილებელი ქვაკუთხედაა.

რაც მთავარია, როლანდ გიორგაძის წიგნი „დისო, დისო“ ნამდვილ მკითხველებსა და კოლეგებს იმ საქართველოს შეახსენებს, რომელსაც ასე ვესწრაფვით და რომლის აღსადგენადაც მწერლური სოლიდარობის მიღმა საყოველთაო სახალხო ერთსულოვნება და „ბოროტსა სძლია კეთილმან“ მუხტის გათავისება და ცხოვრებისეულ ასპარეზზე განხორციელება ესაჭიროება, ვინაიდან ძალა ერთობაშია ნებისმიერი სატიკვარის დაძლევის უტყუარი გზაა, ჩვენგან ურღვევ ქართულ პასუხისმგებლობას უწყვეტად რომ მოითხოვს.



ქეთევან  
ჯერპალიძე

მ  
ლ  
ა  
ნ  
ა  
მ  
ლ  
ა  
ნ  
ა  
მ  
ლ  
ა  
ნ  
ა  
მ  
ლ  
ა  
ნ  
ა

პოეტი გივი გეგეჭკორი მე ფრანგული პოეზიის თარგ- მანით გავიყვანი გასული საუკუნის 70-იან წლებში. სოფელ ჟინვალში შევიძინე ფრანგული პოეზიის კრებულის პირ- ველი ქართულად ნათარგმნი გამოცემა სხვა წიგნებთან ერთად და მეორე სოფელში ფეხით ნავილე უზარმაზარი შეკვრა. ძალიან ბედნიერი ვიყავი კარგი წიგნების შეძენით; გროშიერ არ დამრჩა, გზაში კი მიჩერებდნენ მანქანებს, მაგრამ ამ წმინდა ტვირთის ნაღება ასე მინდოდა. სიმძიმეს ვერ ვგრძნობდი.

ქ. ჯერვალიძე



გივი გეგეჭკორი

გახსენება

„არა, არ შეიძლება მოკვდეს ლამაზი არსი ჩვენის კაცობისა!“

გივი გეგეჭკორის გარდაცვალებიდან 20 წელი გასულა! დაბადებიდან კი 90 წელი უს- რულდება ახლა, 2023 წელს.

პოეტი გივი გეგეჭკორი მე ფრანგუ- ლი პოეზიის თარგმანით გავიცანი გასული საუკუნის 70-იან წლებში. სოფელ ჟინვალში შევიძინე ფრანგული პოეზიის კრებულის პირ- ველი ქართულად ნათარგმნი გამოცემა სხვა წიგნებთან ერთად და მეორე სოფელში ფეხ- ით ნავილე უზარმაზარი შეკვრა. ძალიან ბედ- ნიერი ვიყავი კარგი წიგნების შეძენით; გროშიც არ დამრჩა, გზაში კი მიჩერებდნენ მანქანებს, მაგრამ ამ წმინდა ტვირთის ნაღება ასე მინდ- ოდა. სიმძიმეს ვერც ვგრძნობდი. ელო დეიდას სახლამდე რომ მივალწიე, დეიდაჩემმა მითხრა, შვილო, რამ აგაკიდებინა ეგ საპალნე, დაგეცა- და, მერე ვინმე ჩვენი გამოგიყვანდა მანქანითო. ეტყობა, გამოფენა მინდოდა ჩემი საგანძურის და ჩემი „თავგანწირვისა“. მერე პირველი ვის და რის შესახებაც ბატონ ზვიადს ვესაუბრე ჩვიდმეტი წლის ასაკში, სწორედ გივი გეგეჭკო- რის ნათარგმნი „ფრანგული პოეზია“ და ვახ- ტანგ ჯავახიშვილის ლექსები იყო.

როგორც პოეტი, გივი გეგეჭკორი, თანაც გაღმა ბანაკის, ძალიან გვიან გავიცანი. დღეს დავინტერესდი მისი ლექსით „შენი სამფლო- ბელოა“, ანა კალანდაძისადმი მიძღვნილი. გეგეჭკორის სულ სხვა ლექსს ვეძებდი, ჩემი აზრით, შეფარულად საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ბატონი ზვიად გამსახურდიას

წინააღმდეგ მიმართულს. მერე ეროვნულ გა- მოცდებზეც მიჰქონდათ, თუ ერთხელ მიიტანეს მხოლოდ, ზუსტად არ ვიცი...

ანა კალანდაძისადმი გივი გეგეჭკო- რის მიერ მიძღვნილი მშვენიერი ლექსიდან მე მაინც მისი ორი სტროფი მეცა თვალში, პირ- ველი, შუაში მოქცეული:

დგახარ მზეში, უაზრო  
ხმაურს არიდებული,  
ხელს შეუშლის ტაში  
მარგალიტად რომ იქცეს  
ის, რაც მოხვედრილია  
სულის ნიჟარაში.

თვითონ გივი გეგეჭკორმა შეიძლება არც კი იცოდა, რომ ეს სიტყვები ლექსისა „სულის ნიჟარა“ პერიფრაზი და ალუზიაა მარგალიტის შობის მითისა, რომელიც ისეთ დიდ ავტორებს აქვთ გამოყენებული, როგორებიც ჯერ ჩვენი საბანისძეა ქართულ მწელობაში, ისტორიულ- ში – ჟამთა აღმწერელი; უცხოურში – იოანე დამასკელი და მოგვიანებით კი თეოფილაქტე ბულგარელი, მერე იოჰან ვოლფგანგ გოეთეც. აი ვაჟას „სულის ქურა“ კი ედებოდა ხელის- გულზე ავტორს, მაგრამ პერიფრაზს მიმართა, დაწერა „სულის ნიჟარა“ და სწორედაც მოიქ- ცა... ნიჟარა ხომ უფრო სხვა სიღრმეა, სხვა თვისობრიობა?

მაშინ ასეთი ლიტერატურა, კულტურ- ოლოგიური გადააზრებანი ვინრო სპეციალ- ისტებისთვისაც ძალიან ძნელად ხელმისაწ-



ვდომი იყო, თვითონ მარგალიტს კი მხატვრულ ლიტერატურაში გრძელი, ძალიან გრძელი გზა ჰქონდა გამოვლილი. ამ სტროფში სწორედ სანყისთან მიბრუნებაა. ჩემს სტატიაში აუცილებლად ჩავამატებ...

თვითონ ახლა წარმოდგენილი ლექსი, ანა კალანდაძისადმი მიძღვნილი, ძალიან ლამაზია, რამხელა მონივნება ჩანს, რამხელა პიეტიზმი ქვეშევრდომისა და თანაც რა ამამალღებელი მთქმელისა ლექსის ფინალში:

მაგრამ ალბათ ბოლომდე  
სამაყოფ მექნება,  
სანამ ვცოცხლობ, მანამ  
რომ მე შენი ერთგული  
ქვეშევრდომი ვიყავი,  
დედოფალო ანა!..

13, 14, 15, IV 2023 ვნების კვირა!

ნეშტი იგი ძველი განვაახლოთ. სხვათა უპირატესობის აღიარება იოლი არ გახლავთ, ეს მხოლოდ კეთილშობილ და შინაგანად ძლიერ ადამიანებს ახასიათებთ. და წარმოიდგინეთ, რამხელა გულისტკივილი ვიგრძენი, გავიფიქრე, როგორი „ვეფხისტყაოსნური“ საქციელია მისი მხრიდან, ფრიდონ-ავთანდილისეული-მეთქი ტარიელის მიმართ. აი რას ვკითხულობთ ჩვენს უკვდავ პოემაში:

642. მოსრულხარ ჩემდა წყალობად მეფე,  
ინდოეთს მჯდომელი,

მემცა რად ვიყავ ამისთვის მადლისა რასმე  
მთხოველი?

ერთი ვარ მონა მონებად წინაშე თქვენსა  
მდგომელი – მიმართავს ფრიდონი ტარიელს.

1484. ვარ მუცლითგანვე დედისათ თქვენ-  
ნად სამონოდ შობილი

ღმერთმა მუნამდეს მიწა მყოს, ვირ მეფე  
იყო ცნობილი“ – შეუთვლის ავთანდილი  
ფრიდონის პირით ტარიელს.

არც ჩვენი ქუჯი უნდა გამოგვრჩეს, ფარ-  
ნავაზს რომ მიმართავს ლეონტი მროველის  
„მეფეთა ცხოვრებაში“: „შენ ხარ შვილი თავთა  
მათ ქართლისათა და შენ გმართებს უფლება  
ჩემი... და უკეთუ მოგვეცეს ძლევა, შენ ხარ  
უფალი ჩემი და მე ვარ მონა შენი“.

და თქვენ წარმოიდგინეთ, ამ საოცარ  
ფაქტსაც, აღიარებას სხვისი აღმატებულები-  
სა, ძალიან, ძალიან ძველი სანყისი ჰქონია –  
უუუუუძველესი და ის შუმერული სიტყვიერე-  
ბიდან იწყება:

შენ ინანას შეყვარებული ხარ,



**კეთევან ჯირაკალია**

ერთადერთს შენ გეკუთვნის  
დიდება!

ინანას ჭემმარიტად აურჩე-  
ვიხარ

თავისი წმინდა უბისთვი  
ქვემო ქვეყნებიდან ზემო  
ქვეყნებამდე.

დიდი ბატონი შენა ხარ,  
ხოლო მე მეორე ვარ შენ  
შემდეგ.

ჩემი ჩასახვიდანვე  
შენი სწორი არ ვყოფილვარ,  
ვერ შეგედრები ვერასოდეს“  
(თარგმანი ზურაბ კიკნაძისა,  
შუამდინარული მითოლოგია,

1979, 215) – ასე მიმართავს „ქურუმ ენმერქა-  
რისა და არათას ბატონის გაბაასებაში“ არათას  
ბატონი ქურუმ ენმერქარს. მართლაც, რა უნდა  
ვთქვათ ისეთი, ათასწლეულების მიღმა ვინმეს  
არ დასცდენოდეს მაშინდებურად?..

სახერებიდან იოანე ნათლისმცემელია ის,  
ვინც თავისზე აღმატებულზე მიუთითებს ხა-  
ტოვნად: „ხოლო რომელი შემდგომად ჩემსა  
მოვალს, უძლიერეს ჩემსა არს, რომლისა ვერ  
შემძლებელ ვარ ხამლთა მისთა ტვირთვად“  
(მთ. 3,11)..

ჩენი აკაკი კი იტყვის: „გმირსა წინ უძღვის  
ყოველთვის უძღური წინამორბედი“...

ქართველებს ხომ ასე გვიჭირს სხვათა,  
ჩვენზე უპირატესების, აღიარება და სულ თავ-  
ის მართლების მიზეზებსა და საბაბებს ვეძებთ?  
არც ვინმეს დაკნინებაზე ვამბობთ უარს. არადა,  
ხშირად ეს თავის გამამართლებელი მიზეზები,  
ღვთისგან ბოძებული, მხოლოდ ჩვენი ნაკლუ-  
ლი გონებრივი თუ სხვა რამ შესაძლებლობე-  
ბი არ გახლათ, ანუ სახარების თანახმად (მათ,  
13, 5-6), კლდეზე ამოსული თესლი, რომელსაც  
წინადაგი არ ეყოფა და გახმება, ხშირად ცხოვრე-  
ბის სივარდასხენია მიზეზი წარუმატებლობისა,  
ისევ სახარება რომ დავიმოწმოთ (მათ. 13. 7)  
– თესლი, ეკლებში მოშობილი. ანუ ვის რა  
სასტარტო პირობები მოეცემა ცხოვრებისა და  
ბედისგან? ვის შვილად დაიბადება? რომელი  
ქვეყნისა თუ კუთხის შვილია? რა წრეში გაიზ-  
რდება და მოხვდება? ვინ გამოუჩნდება ცხ-  
ოვრებაში შემწედ და შემველად? სინდისი საით  
წაიყვანს?..

მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, ეს თავ-  
ისზე უკეთესის ცნობა, აღიარება მაინც დიდი  
სიქველეა და ამიტომაც დამწყდა გული. თუკი  
ანა კალანდაძის პირველობა იგრძნო (ცხოვრე-  
ბა დიდი ტკივილების გარეშე არც ჩვენს ანას  
დატოვებდა, ვინ დაუტოვებია რო?), ბატო-



ნი ზვიადის პირველობას რატომ ვერ მიხვდა, როდესაც ამას თვით მერაბ კოსტავა აღიარებდა-მეთქი? ვიგრძენი არც მერაბი იქნებოდა მისთვის ავტორიტეტი.

აი გივი გეგეჭკორის ის ლექსი, რომელიც, მხოლოდ უმაღლესის მისაღები გამოცდების შემდეგ წავიკითხე, მგონი, ათიოდე წლის წინ. პირველი წაკითხვისთანავე, დავინწყე თუ არა, ის აზრი გამიჩნდა, რომ მან ბატონი ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ დაწერა ეს ლექსი. რატომ ვიფიქრე ასე? – მეორე ბანაკი სწორედ ასე უყურებდა მაშინ ბატონ ზვიადს, კლიშედ იყო ქცეული ეს აზრი. გეგეჭკორის არც ამ ლექსს უზის თარიღი. ბუნებრივია, გული ხელით მეჭირა კითხვისას:

- ვინ იდგამს თავზე ეკლის გვირგვინს?
1. ვინ იდგამს თავზე ეკლის გვირგვინს?
  2. ვინ მენავეა?
  3. იმისი ნავი სად დაცურავს ან სად აბია?
  4. იგი ჩვენს ნავში როდის იჯდა?
  5. და თუკი იჯდა,
  6. თუ გარჯილა და ნავში წყალი თუ უხაზია?
  7. სად იყო მაშინ, როცა ხეზე ავიდა ფითრი?
  8. რად მივაჩნივართ ყველა ბრიყვებად.
  9. ვინ იდგამს თავზე ეკლის გვირგვინს?
  10. ის ხომ არ არის,
  11. მისი სიმძიმით ვინც უთუოდ მოიდრიკება?
  12. თუ მატინის ფოლიანტზე არ გაიჭყლიტა,
  13. რა ქნა ისეთი, რომ იმისთვის სხვა რამ მცირეა?
  14. ო, ეკლის გვირგვინს იქნებ იგი ეპოტინება,
  15. ვინც ხალხს ზვარაკად ვერასოდეს შეენირება?
  16. ის ხომ არ იდგამს ეკლის გვირგვინს,
  17. ვინც სხვებს ზევიდან
  18. ისე დაჰყურებს, როგორც თავგუნებს?
  19. ვისაც ჰგონია, რომ საქართველო
  20. მისი რჩეული სიყვარულის ღირსია მხოლოდ
  21. და გულზე ხელებს ვინც იბრაგუნებს?
  22. მამულს თავისი სიყვარული რომ უწყალობა,
  23. ჩვენ მადლობლები უნდა ვიყოთ...
  24. არა ჰყოლია
  25. უფრო ერთგული შვილი მამულს და მას ეკუთვნის
  26. მხოლოდ სამშობლოს სიყვარულის მონობოლია.
  27. ის ხომ არ იდგამს ეკლის გვირგვინს,

ვისი მახვილიც

28. უგნურება და უმეცრება არის რეგენ-თა?
  29. ვისაც ჰგონია, რომ ამაგი არ დაუფასეს
  30. და ვისაც უნდა მის გარშემო შექმნას ლეგენდა?
  31. სად არის მისი აგებული სვეტიცხოველი?
  32. თაყვანისცემით გაბერილმა პარანოიკმა
  33. გულუბრყვილონი როგორ უნდა დაიმორჩილოს,
  34. რომ განდიდების წყურვილი და ჟინი მოიკლას?
  35. ო, ნუთუ იგი იმ იმედით დაიარება,
  36. რომ გაჩუმდება და არავინ არაფერს იტყვის?
  37. ვინც არის-მეთქი მხოლოდ სახელს დახარბებული,
  38. ის ხომ არ იდგამს წამებულის ეკლიან გვირგვინს?
  39. ვინ ცდილობს ხალხი შეცდომაში რომ შეიყვანოს?
  40. ვით შეიფერებს ეკლის გვირგვინს თავი სახედრის?
  41. ამ ქვეყანაზე თავის ფუსფუსს,
  42. თავის ლოლიალს,
  43. თავის უბადრუკ არსებობას რატომ გვაყვედრის?
  44. ის ხომ არ იდგამს ეკლის გვირგვინს, ვინც ქვეყანაზე
  45. დაბადებული არის მლიქვნელად?
  46. საითაც ქარი დაუბერავს, ვინც მხოლოდ იქით
  47. გადაყველეფილი სინიდისით გადიზნიქება?
  48. ის ხომ არ იდგამს ეკლის გვირგვინს, ვინც კაცს გულგრილად
  49. გულს უხეთქავს და მერე უხდის საკადრის ქელეხს?
  50. ო, ეკლის გვირგვინს ვისი ხელი ეპოტინება,
  51. რა უნდა მასთან ანგარებით დაკრუნჩხულ ხელებს?
  52. ო, ვინც განცხრომას ვერასოდეს ვერ შეეღევა,
  53. ტანჯვა არ იცის და ერთობა სხვებზე ქირქილით,
  54. ის ხომ არ არის?
  55. დააკვირდით...
  56. ვის უნდა თავი,
  57. რომ დაიმშვენოს წამებულის ეკლის გვირგვინით?..
- ამხელა ლექსი ჭკუათამყოფელმა როგორ







უნდა მიუტანო უმაღლეს სასწავლებელში მის-  
ალებ გამოცდაზე ახალგაზრდას, რომელსაც  
სულ სამი ასტრონომიული საათი აქვს წა-  
საკითხად, გასააზრებლად და დასაწერად კიდევ  
ორ საკითხთან ერთად? მერე ასეთი სულიერი  
სიმძიმის ლექსი ავტორის მიერ დასმული კითხ-  
ვებისა და ავტორისავე გაცემული პასუხებისგან  
რომ შედგება? როგორც ძველები იტყოდნენ  
„კითხვა-მიგებითა!“.. ასე რომ რიტორიკული  
კითხვები ტექსტში არ გვაქვს. 57 სტრიქონიან  
ლექსში 11-ჯერ არის ნახსენები „ეკლის გვირგ-  
ვინი“, „მონამის გვირგვინი“, ლამის რეფრე-  
ნის ფუნქცია აქვს. და პირადად მე, უროსავ-  
ით მირტყამდა თავში კითხვისას. ყოველგვარი  
გაზვიადების გარეშე ვამბობ, სული კბილით  
მეჭირა, თუ სულს ვეჭირე კბილით მე, ველარ  
ვხვდებოდი. ისე განვიცადა. ტკივილის სიმძიმე  
ლოდზე მეტად დამანვა გულზე, ახლაც მანევს,  
მე ხომ წლები ისეთ დღეში ვიყავი და ვარ, რო-  
გორც აკაკის ლექსის – „აღმართ-აღმართ“ –  
ლირიკული გმირი დაბლა დაშვებისას:

„იქ ჩაბრძანდი, სად გელიან ლოდებით,  
ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით!“

თვითონ ლექსზე რა უნდა ითქვას? პირვე-  
ლი რეაქცია ჩემი საშინელი განრისხება იყო.  
რა სამოქალაქო ლირიკა, ჩვენი სიმბოლისტები  
ასე რომ უარყოფდნენ, საყვედურობდნენ მა-  
მებს და ებრძოდნენ კიდევ: „მწერლობა გაიხა-  
დეს სამიტინგო ზალად და პოეზია გაზეთადო“  
(ტიციანი). მე რომ კონკრეტული პიროვნება არ  
წარმომედგინა მყისიერად გეგეჭკორის ლექს-  
ში, რა თქმა უნდა, ვიტყოდი, მორალურ-ეთი-  
კური პრობლემაა ლექსის მთავარი საკითხი,  
კაცობრიობის მარადიული თემა, ადამიანის  
ნაკლულევანი ბუნებიდან გამომდინარე და მა-  
შასადამე, დაუძლეველი-მეთქი, გმირობის არ-  
სის ფილოსოფიური გააზრების ხანგრძლივ ის-  
ტორიაზეც ვიტყოდე ორიოდ სიტყვას, ჩვენის  
და მათის, ღვთისა და ერის ხმის იგივეობაზეც,  
იოანეს აპოკალიფსიდან რომ იღებს სათავეს;  
გმირისა და ანტიგმირის ურთიერთ მიმართების  
შესახებ, ხალხის და მერე ისტორიის დამოკ-  
იდებულებაზეც ამ წყვილისადმი. და ეს ისტო-  
რიაც ხომ მრავალგვარი და მრავალნახნაგოვ-  
ანია დღეს?.. არც შექსპირს დავივინყებდი. ეს  
დალოცვილი ცოდნა გააჩნდეს კაცს, თორემ  
უამრავი კუთხით შეიძლება ინტერპრეტირება...

ლექსის ლირიკული გმირი ლამის ჰე-  
როსტრატედ ჰყავს გამოცხადებული პოეტ გივი  
გეგეჭკორს, – „და ვისაც უნდა მის გარშემო  
შექმნას ლეგენდა?“ – ჰეროსტრატეს ხსენების  
გარეშეც, ანუ ქვეტექსტური ალუზიაა. არადა,  
ამ ჰეროსტრატეს შესახებ, ვფიქრობ, ძალიან

სცოდავს ძველბერძნული ტრადიცია, სხვა არც  
გვაქვს. მაგრამ იმ ეპოქის გეოპოლიტიკური  
ომების ქრილში თუ განვიხილავთ ამ სახელს,  
გერ-ამტორეტ, რომელიც ფინიკიური ასტარტ-  
ეს მსახურს, ქურუმს, ასტარტეს მფარველობა-  
ში აყვანილს, ან მის მონას ნიშნავს, შესაძლოა,  
ეს ჩვენი ვითომ ნებისმიერი გზით სახელის მოხ-  
ვეჭითა და ისტორიაში დარჩენის შემოგზნებით  
დალდასმული ჰეროსტრატე ეფესელი, ბერძ-  
ნეთ მოძულე, ბერძნული ღმერთების წინააღმ-  
დეგ მებრძოლი, საკუთარის თავგადაკლული  
დამცველი აღმოჩნდეს. მე ასე ვფიქრობ. მსგავს  
თვალსაზრისს ჰეროსტრატეს შესახებ ჯერ არ-  
სად წავწყდომივარ. შესაძლოა, იყოს სადმე...

ახლა გეგეჭკორის ამ უშველებელი ლექსის  
შესახებ ვამბობ, უალრესად რაფინირებული ლე-  
ქსია, ეკლის გვირგვინი და მისი წამების ალუზია  
და სიმბოლო სახეზეა, თვით „მესათხეველისა“ და  
„მეთევზურთა სიბრძნისა“; შუა საუკუნეებში  
ხომ პროფესიები და საგნებიც კი სიმბოლიზე-  
ბული იყო? სვეტიცხოველიც კი მეტაფორა და  
სიმბოლოა ტექსტში ზოგადად კულტურისა და  
შრომისა, რწმენისა, სამი სკნელის შეერთებისა,  
თანაც რომ არა ეს ჩვენი წმინდათაწმინდა, ლე-  
ქსი აბსოლუტურად ზოგად სახეს შეიძენდა. ამ  
არქეტიპულმა დედა სახემ საქართველოს სინ-  
მინდებისა, ამ ჰიერონიმმა გააცხადა, რომ ლე-  
ქსში აუცილებლად ქართველ კაცზეა საუბარი,  
კონკრეტულ ქართველ კაცზე, რომელსაც არ  
მისცეს საშუალება საქართველოს „პოლიტიკუ-  
რი სვეტიცხოველი“ მყარად დაეყენებინა ფეხ-  
ზე. უფრო შორსაც შეიძლება წასვლა, ავტორი  
გვეუბნება, ადრესატი ლექსისა ქრისტეს ნავ-  
ში არასოდეს მჯდარაო. სიმბოლოცაა ამავე  
დროს მენავე სახელმწიფოს მმართველისა, მე-  
ბადური – კაცთა გულების მონადირების სიმ-  
ბოლო; მურმანის (ასევე რომ მატკინა გული)  
ლექსიც გამახსენდა: „არდავინყების მწვანე  
კონცხთან ამოდის გემი“; მეტაფორა: „მენავე“  
„ნავში წყალი თუ უხაპია“; „თავი სახედრის?“;  
ეპითეტი: „გადაყვლეფილი სინდისი“; ჰიპერბო-  
ლა და სარკაზმიც: „თაყვანისცემით გაძედილმა  
პარანოიკმა“; სარკაზმი და გაშლილი მეტაფო-  
რა: „მატიანის ფოლიანტზე არ გაიჭყლიტა“;  
სარკაზმი: „მამულს თავისი სიყვარული რომ  
უნწყალობა“; „ჩვენ მადლობლები უნდა ვიყოთ...  
არა ჰყოლია უფრო ერთგული შვილი მამულს  
და მას ეკუთვნის მხოლოდ სამშობლოს სიყ-  
ვარულის მონოპოლია“, შედარება: „როგორც  
თავუნა“; ეპითეტი: „გაბერილმა პარანოიკ-  
მა“; ისეთი უცხოური წარმომავლობის სი-  
ტყვებიც ყელყელაობენ ორგანულად ლექსში,  
როგორებიცაა: „მონოპოლია“ და „პარანოია“.



და ეს ყველაფერი ტექსტში ისეა, თუ კარგად არ დააკვირდები, პოეტური აქსესუარებისგან სრულიად გაძარცვული მოგეჩვენება ლექსი. კიდევ შეიძლება საინტერესოს გამოჩხრეკა...

თუ მართლაც ბატონ ზვიადს გულისხმობდა გივი გეგეჭკორი, საქართველოს პირველ პრეზიდენტს და ეს ჩემი მცდარი აჩემება არ არის, რამხელა სიძულვილი და უარყოფის სული ჰქონია ცხონებულს? – ამხელა უბედურება, ცრემლი, სისხლი და ცხედრები რომ მოგვიტანა უამრავს, უპირველეს ყოვლისა, ქვეყანას და ისიც არ მჯერა, თვითონ მაინც ენახოს სარგო ამაში... აბა ჩემი უარყოფის სული, ცალკე მისი არსებობა რომ მტანჯავდა და პერიოდულად მიმდაფრდებოდა მე –

ნუთუ ხმა ესე არს ხმა დევნისა

შეუწყალისა სინიდისისა? – მასთან სად მივა? ნეტავ გივი გეგეჭკორი ან ვინმე მათგან თუ განიცდიდა ასეთ შემოტევებს?

ახლა ჩემს თავს კითხვას ვუსვამ, უნდა დამენერა ეს, რაც დავწერე ცხონებული გივი გეგეჭკორის ლექსის შესახებ? იქნებ სულ რომ არ მცოდნოდა, არ გადავყროდი, არ წამეკითხა ეს ლექსი, ის სჯობნებოდა? მაგრამ რომ გადავეყარე? იქნებ ესეც გამოცდაა უფლისა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში მორიგ ჯერზე ჩასაბარებელი? – ვფიქრობ ჩემთვის!

მახსოვს, ამ რამდენიმე წლის წინ საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა ჩაატარა საერთაშორისო კონფერენცია, მგონი, ასეთი სახელწოდება ჰქონდა: „ქართველი საბჭოთა პოეტების დამოკიდებულება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისადმი“. ჩემთვის ეს მძიმე თემა იყო, – „წყლული უფროვე წყლულდების“ – სურვილიც არ გამჩენია იქეთ გახედვისა, მით უფრო, როდესაც ამ კონფერენციას ისეთი ადამიანი ედგა სათავეში და ისეთები მონაწილეობდნენ უტიფრად, ყველა დროს, როგორც შუმერულ-აქა-

დურ ქინგუს, ისე რომ გამოსწურეს „წვენი“...

მე არ მინდა, მკითხველმა იფიქროს, რომ პოეტ და მთარგმნელ გივი გეგეჭკორის მიმართ, ზღაპრების დიდებულად მკითხველის მიმართ მძაფრ უარყოფით ემოციას განვიცდიდე დღესაც. არა, ეს ასე არაა! აი ის სიყვარული უფრო მძლავრობს ჩემში, რაც მის მიერ თარგმნილი ფრანგული პოეზიის მიმართ განვიცადე, „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების...“, ზეპირად ნეტარებით რომ ვსწავლობდი და მერე კიდევ მის წაკითხულ ზღაპრებს პატარასავით ასევე ნეტარებით რომ ვისმენდი. სულ ჯოჯოლას დღეში ვარ ხოლმე ასეთ დროს: „თითქოს ნასროლი ისარი ზედ გულის კოვზზე დაესო“. ახლა, 32 წლის შემდეგ, წრფელი გულით და წმინდა ცრემლით აკაკისავით ვამბობ: „დაბლა ეს გული მიმონმებს და მალლა ღმერთი ზენაო“. იქნებ ჩვენც ვერ გავაგებინეთ კარგად ჩვენს მცირე მეორე ნახევარს, რომელსაც მაშინ მსოფლიო უჭერდა მხარს და აქეზებდა? მაშინ ხომ უცხოთა, ისიც დასავლეთის აზრს, ჩვენსაზე კი არა მხოლოდ, ღვთის სიტყვის ფუნქციაზე მეტი ძალა ჰქონდა?.. ამიტომ ვთვლი, რომ უნდა ვწეროთ, წრფელად უნდა ვწეროთ, კეთილმონყალედ, რათა მათაც დაისვენონ იქ, შენდობილებმა ჩვენგან, ჩემნაირებისგან და ჩვენც, ნალალატევებმა მათგან – აქ. რათა გამთლიანდეს ჩვენი ერის დამსხვრეული ყოფიერების ველი, ახალი ხიდი გაიდოს ამ საქართველოში, იმ და ამ საქართველოს შორისაც და აშენდეს მომავალი; იქაც უმძრახებად ხომ არ უნდა ვიყოთ, გვერდს ვუქცევდეთ და თვალს ვარიდებდეთ ერთმანეთს? პატიებაზე დიდი უნარი, ღვთისთვის სათნო, იქნებ მართლა არც არსებობს? ასეა თუ ისე, მეოცე საუკუნეში, მის მეორე ნახევარშიც, დიდი ლიტერატურა შეიქმნა საქართველოში, ეს ფაქტია! ამიტომ ახლა, 32 წლის შემდეგ, მაინც მადლობა ბატონ გივი გეგეჭკორს და ნათელი მის სულს ჩემგან...



## ინსტრუქციები გორგაძე

ასოცირებული  
პროფესორი

82



მ  
ლ  
ქ  
ქ  
ქ  
ქ  
ქ  
ქ  
ქ  
ქ  
ქ  
ქ  
ქ

თემურ ჯაგოდნიშვილი ქართულ ფოლკლორისტიკაში პირველი აღმოჩნდა, რომელმაც შეძლო არსებული ფოლკლორული ტექსტების საფუძველზე გამოევლინა ერთ-ერთი მეთრის საგმირო-ისტორიული ეპოსი. სწორედ ბატონმა თემურმა შეძლო, რომ ერეკლეს შესახებ არსებული ფოლკლორული ლექს-სიმღერები კიდევ დიდხანს არ დარჩა ფრაგმენტებად და მხოლოდ საისტორიო სიტყვიერების კუთვნილებად. ისევე, როგორც დღემდე რჩება მხოლოდ ფრაგმენტებად, „პოეტურ ქრონიკებად“ ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის შესახებ შეთხზული ტექსტები.

ნ. გორგაძე



### ეტიკური ამბებიდან ერიკლეს ეპოსამდე

თემურ ჯაგოდნიშვილის თვალსაწიერი, კვლევის არეალი მეტად ვრცელია და მრავლისმომცველი. ამაზე მეტყველებს მისი ორასამდე პუბლიკაცია, მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების ვრცელი ჩამონათვალი: „რაფიელ ერისთავი და ხალხური შემოქმედება“ (1979), „ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია“ (ნიგინა, 2004), „ქართული ფოლკლორისტიკის სათავეებთან“ (1986), „ბერიკაცი ვარ ნუ მამკლავ“ (ფოლკლორისტიულ-ლიტერატურათმცოდნეობითი ნარკვევები, 1990), „ქართული ორატორული ხელოვნება“ (2000), „ნოდარ ტაბიძე“ (ცხოვრება მოღვაწეობა, 2009), „თაობათა მოძღვარი“ (2011), „ხანძთა, ძველი, ახალი (2014), „წერთი და ზეპირი კომუნიკაციები“ (2017, თანაავტორთან ერთად), „ახალი რიტორიკა-საჯარო კამათის ტექნოლოგიები“ (2018, თანაავტორთან ერთად), „ლინგვოკრიმინალისტიკა“ (2020), „ერეკლეს ეპოსი“ (2021) და სხვა. ღვაწლმოსილი მეცნიერის ნაკვლევ-ნაღვანი მოიცავს ლიტერატურათმცოდნეობის, ფოლკლორისტიკის, კომუნიკოლოგიის, ჟურნალისტიკათმცოდნეობის, ქართული ენის სწავლების საკითხებს.

თემურ ჯაგოდნიშვილის ზემოთ დასახელებული ნიგნების არასრული ჩამონათვალიდან გამოვყოფთ „ერეკლეს ეპოსს“. ნიგინა პირველად 2005 წელს გამოიცა, 2021 წელს ავტორმა მკითხველს წარუდგინა ახალი, შევსებული რედაქცია, ხოლო 2023 წელს გამოდის მისი ინგლისურენოვანი თარგმანი.

ერეკლე მეფით დაინტერესება დიდი მეცნიერისთვის შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. ქართველი ერისთვის თამარიცა და ერეკლეს

ღვთივეკუთხეულნი, უფალს მიმსგავსებულნი არიან. ეს ღირსეული შეთანატოლება მომცრო ლეგენდამაც შემოგვინახა: „ხალხსა სწამს, ნეფე ერეკლე და თამარ ნეფე ცოცხლები არიან ღმერთთან და როცა გაუჭირდება საქართველოს, მოეშველებიანო, – მირონი ნეფე ერეკლეს ძვლებს ჩამოჰდისო. – ერეკლემ ხმალი წინ დაიდგის და ისევ თავისთავად შამაერთყისო. – ერეკლე როცა ლოცვაზე დადგებოდა, ხმალს მზის შუქზე დაჰკიდებდა ხოლმეო და ლოცვას როცა გაათავებდა, ი სხივიდან ისევ აიღებდა ხმალსაო“ (ჯაგოდნიშვილი, 131:2005).

„ერეკლეს ეპოსის“ მნიშვნელობა დიდია. მისით გამდიდრდა ქართული ხალხური ეპოსი. ამჟერად, ძველთაძველი მითოლოგიური „ამირანის ეპოსის“, სატრფიალო-რომანტიკული ქმნილების „ეთერიანისა“ და სოციალური პრობლემატიკის შემცველი „არსენას ლექსის“ გვერდით დამსახურებულად დგას საგმირო-საისტორიო ეპოსი.

თემურ ჯაგოდნიშვილი ქართულ ფოლკლორისტიკაში პირველი აღმოჩნდა, რომელმაც შეძლო არსებული ფოლკლორული ტექსტების საფუძველზე გამოევლინა ერეკლე მეთრის საგმირო-ისტორიული ეპოსი. სწორედ ბატონმა თემურმა შეძლო, რომ ერეკლეს შესახებ არსებული ფოლკლორული ლექს-სიმღერები კიდევ დიდხანს არ დარჩა ფრაგმენტებად და მხოლოდ საისტორიო სიტყვიერების კუთვნილებად. ისევე, როგორც დღემდე რჩება მხოლოდ ფრაგმენტებად, „პოეტურ ქრონიკებად“ ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის შესახებ შეთხზული ტექსტები.

ნიგნში საინტერესოდაა გაანალიზებული



ერეკლეს ეპოსის თეორიული საფუძვლები და ეპოსმცოდნეობის უმნიშვნელოვანესი საკითხები, ერეკლეს ზეპირსიტყვიერი თავგადასავლის ეპიკური სტრუქტურა, ტექსტის ჩანერა-პუბლიკაციის ისტორია, და რაც მთავარია, ნიგნი საშუალებას იძლევა მთლიანობაში აღვიქვათ ზეპირსიტყვიერებაში დალექილი ერეკლე მეფის ეპიკური თავგადასავალი, სრულად გავცნოთ „პატარა კახის“ ეპოსის ციკლების გმირებს (ლევან ბატონიშვილი, მაია წყნეთელი, თამარ ვაშლოვანელი, თინა წავკისელი, ძალეკა ხიმიკაური, პაატა თემურიშვილი, გელა ნათელაშვილი და სხვა), გავიაზროთ მათი ისტორიული მისია ქვეყნის ტრაგიკული ხვედრის ფონზე.

როგორც ავტორი შენიშნავს, საერთო და კერძო ამბები ეპოსში მთლიანურია, ამასთან თავთავის მნიშვნელობასაც ინარჩუნებენ. ეს წვრილ-წვრილი ამბებიც გმირის საერთო თავგადასავალთან ისეთსავე მიმართებაში არიან, როგორც მისი პოეტური ბიოგრაფია ეპოსის საერთო ამბავთან, ანუ თავიანთი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ სრულ აზრს გმირის თავგადასავლის მთლიანობაში იძენენ, მასთან განუყოფელნი არიან. ამის გარეშე ისინი „პოეტურ ქრონიკებს“ წარმოადგენენ.

ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში ეპოსი ფრაგმენტებად ცოცხლობს. ამ ეპიზოდების, ფრაგმენტების გამთლიანება მოხდა მეცნიერის მიერ და ის ახალ რეალობად იქცა, ქართველ მკითხველს „ერეკლეს ეპოსის“ სახით დაუბრუნდა. ეს რა თქმა უნდა დიდ ცოდნასა და ძალისხმევას ითხოვდა. დამოუკიდებელი ტექსტების ერთიან ეპიკურ ქმნილებად ქცევა უამრავ სირთულესთან ასოცირდება. ასორმოცდაათამდე ხალხური ლექს-სიმღერა და თქმულება-გადმოცემა თავიანთი ვარიანტებით უაღრესად დაკვირვებულ და სათანადო ცოდნით აღჭურვილ მკვლევარს ითხოვს, მხოლოდ მხატვრული ალლო ბევრს არაფერს ნიშნავს. ასევე, სირთულეს ქმნის მათი ჟანრობრივი ნაირგვარობაც, რაც შემდგომში მდგომარეობს: „ერთი ნაწილი აშკარა მითოლოგიური ელფერისაა, მეორე – ლირო-ეპიკური, სხვანი – გამოკვეთილად ისტორიულ სიმღერებს ჩამოჰგვანან და ა.შ. ასეთი სიჭრელე ერეკლეს ეპოსის შექმნასაც სათუოს ხდიდა და



**ნინო გიორგაძე**

ამავე დროს მის რეკონსტრუირებასაც გამორიცხავდა. ალბათ, ამიტომაც აღმოჩნდა, თავის დროზე, პეტრე უმიკაშვილის, ზაქარია ჭიჭინაძის და სხვათა მცდელობა წარუმატებელი. შესაძლოა ამავე მიზეზით აუარა გვერდი ტექსტის გამთლიანებას საისტორიო სიტყვიერების დიდმა მკვლევარმა ქსენია სიხარულიძემ. თემურ ჯაგოდნიშვილი ამ საკითხზე მსჯელობისას ავლენს მისთვის ჩვეულ აკადემიურობას და სამაგალითო კოლეგიალობას. სხვა მიზეზებთან ერთად ერეკლე მეორისადმი მიძღვნილი ტექსტების ერთიან ეპიკურ ქმნილებად ქცევის წარუმატებლობას ადრე რეკონსტრუირების მეთოდოლოგიის არარსებობასაც მიაწერს და ეპოსის შესახებ ფოლკლორისტიკაში ინფორმატიულობის სიმწირესაც. აქ უნებურად გვახსენდება ქართული მთარგმნელობითი სკოლის უდიდესი წარმომადგენელი ეფრემ მცირე. როდესაც მან ხელახლა თარგმნა ექვთიმე ათონელის და გიორგი მთაწმინდელის მიერ ნათარგმნი რიგი ძეგლებისა, გაამართლა ის მთარგმნელობითი მეთოდები, რომლებსაც მიმართავდნენ ათონის საღვთისმეტყველო სკოლის მამები და მათი მთარგმნელობითი პრინციპები გარკვეულწილად დაიცვა კიდევ. ასევე მოიქცა ბატონი თემური წინამორბედ მკვლევრებთან დაკავშირებით.

დღეს, ჩვენ ხელთ გვაქვს „ერეკლეს ეპოსი“, მთლიანი და შეკრული, რომლის ცენტრალური ფიგურა მეფე ერეკლეა მის გარშემო გაერთიანებული გმირებით. საერთო და კერძო ამბები ეპოსში გაერთიანებულია, მაგრამ ისინი თავისთავადობასაც ინარჩუნებენ და ეს ბუნებრივია. ისინი მანამდეც არსებობდნენ გარკვეულწილად დამუშავებული სახით, ანუ როგორც ბატონი თემური ბრძანებს, მათ ერთგვარი მხატვრული დონე უკვე ჰქონდათ.

ამაში ადვილად ვრწმუნდებით ერეკლეს ეპოსის ციკლების გმირთა ამბების, ეპიზოდების გაცნობისას. ეს იქნება მაია წყნეთელი, თამარ ვაშლოვანელი, თინა წავკისელი, პაატა თემურიშვილი, გელა ნათელაშვილი თუ სხვა. მათი საგმირო ამბები ცალკე ეპიზოდებად ან ციკლებად ჩაერთვის საგმირო საისტორიო ეპოსს და როგორც უკვე შევნიშნეთ, ორგანულ ნაწილად აღიქმება. ამ სახალხო გმირებს საკუთარი ბედი





და თავგადასავალი აქვთ. ზეპირსიტყვიერებაში ისინი ერეკლეს დროის გმირებად მოიაზრებიან და მის თანამებრძოლებადაც აღიქმებიან. ამიტომაც უწოდა ქსენია სიხარულიძემ მათ „ერეკლე მეორეს თანამედროვენი.“

„ერეკლეს ეპოსში“ ეს „თანამედროვენი“ უკვე პერსონაჟები არიან, რომლებსაც საკუთარი ბიოგრაფია, ცხოვრების ისტორია აქვთ. განსაკუთრებულ ყურადღებას მიახ წყნეთელის, თამრო ვაშლოვანელის და თინა წავკისელის ეპიკური ციკლები იქცევს. ალბათ იმიტომაც, რომ სამივეს ერთი ხვედრი აქვს, უმნიშვნელო სხვაობით. სამივემ განიცადა ობლობის მძიმე ხვედრი, მებატონის ძალადობის სისატიკე, სამივემ უარი თქვა, მშვიდ, ქალურ, ბედნიერ ცხოვრებაზე. თითოეულმა განიცადა შური, ლაღატი, ტყვედ ჩავარდნა, სიკვდილი. ერეკლეს ეპოსში გმირი ქალების სიმრავლეს თემურ ჯაგოდნიშვილმა ლოგიკური ახსნა მოუძებნა. მისი აზრით, „აქაც, ალბათ, ჩვენი ისტორიული ყოფის ერთი კანონზომიერება გამოსჭვივის, კერძოდ, ქართველი ქალის საზოგადოებრივი (არაიშვიათად პირწმინდად მხედრულიც!) აქტიურობა ისტორიული კატაკლიზმების ჟამს“ (ჯაგოდნიშვილი, 80:2021). ერეკლეს შესახებ შექმნილი ფოლკლორული ტექსტების გაერთიანებამ უფრო თვალშისაცემი გახადა ამ პერსონაჟთა საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი მისია, ვიდრე ეს ჩანდა და იკვეთებოდა ცალკეულ ეპიკურ ამბებსა და ფრაგმენტებში.

ამდენად, ბევრი რამისთვის უნდა ვუთხრათ მადლობა ბატონ თემურს. უპირველესად კი იმისთვის, რომ „ერეკლეს ეპოსით“ ქართულ ფოლკლორისტიკაში მისი ძალისხმევით პირველად გამოვლინდა და დადგინდა მეფე ერეკლე მეორის შესახებ შექმნილი ხალხური ეპოსის ტექსტი. ამით მეცნიერმა ცხადპყო დიდი მეფის „საქმენი საგმირონი“, მისი ადგილი ქართველი ერის სულიერ საუნჯეში.

თემურ ჯაგოდნიშვილმა თავისი განუზომელი ღვაწლით კიდევ უფრო უკვდავყო „პატარა კახად“ სახელდებული დიდი მეფის სახე-ხატება და გვარწმუნა ილიასეული შეფასება-განსჯის სისწორე:

„ერეკლე-ბრწყინვალე მეფე..., რკინის კარი იყო საქართველოსი. აი, მისი ისტორიული ხატი ეს არის და თუ არა დიდბუნებოვანს კაცს, სხვას ვის შეუძლიან რკინის კარობა გაუწიოს ქვეყანას?“

ერის ასეთი მონუმბა უტყუარი საბუთია მეფე ერეკლეს დიდბუნებოვანებისა. ეს რკი-

ნის-კარობა პატარა კახისა ოთხ კედელს შუა მოგონილი და ხელად გამომცხვარი ეპითეტი კი არ არის, ეს სიტყვა ერის გულით შობილი და ერის ელდაცემულ გულიდამვე ამოფეთქებული, ვითა თოფის წამალი, როცა ცეცხლი ეცემა. აქ ლაპარაკობს თვით ერი, რომელიც ამისთანაებში მეტისმეტად სიტყვა-ძვირია და თავდაჭერილი და არა ჰგავს კარჩაკეტილ მწიგნობარსა, რომლისთვისაც დაუვალეობათ უსახელოს სახელი რამ მიაკეროს მახლობელთა სანუგეშოდ...“ (ჯაგოდნიშვილი, 4:2005).

როგორც ცნობილია, „ერეკლეს ეპოსი“ პირველად 2005 წელს გამოიცა, მიეძღვნა თემურ-რაზ მეორისა და ერეკლე მეორის ქართლისა და კახეთის მეფეებად კურთხევის 260 წლისთავს. ხოლო, მეორე – შესწორებული გამოცემა კი ერეკლე მეორის დაბადების 300 წლისთავს უკავშირდება. ეს გამოცემები ტექსტთან ერთად მნიშვნელოვანია თანდართული სამეცნიერო კვლევებით, რაც კიდევ ერთხელ წარმოაჩინს მეცნიერის ინტერესთა დიაპაზონს.

ამასთან, მნიშვნელოვანია ნიგნის რედაქტორის, პროფ. ნიკოლოზ ჯავახიშვილის ისტორიული ნარკვევი: „უძლიერესი კავკასიელი მონარქი.“

„ერეკლეს ეპოსი“ იმდენად საინტერესოდ და მაღალკადემიურ დონეზეა შედგენილი, რომ თითქოს წინასწარაა გათვლილ-გააზრებული ყველა სავარაუდო შეკითხვა, ეჭვი... დაინტერესებული მკითხველი უმალ ნახულობს პასუხს. თუმცა, თემურ ჯაგოდნიშვილი გარკვეული ლოგიკიდან გამომდინარე არ გამორიცხავს ახლებური ხედვების წარმოჩენას: „ერეკლე მეორემ გაუსწრო თავის ეპოქას, და ჯერ კიდევ ორი საუკუნე ძალიან ცოტა დროა იმისთვის, რომ ასეთი დიდი ისტორიული პიროვნების ნაღვანი შეაფასო და გააცნობიერო“ ( შაიშმელაშვილი, 9:2020).

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. შაიშმელაშვილი თ., „ეს ჩვენი მეფე ერეკლე“... მონარქი, რომელმაც გაუსწრო თავის ეპოქას (ინტერვიუ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ თემურ ჯაგოდნიშვილთან), ჟურნ. „ანეული“, №3, 2020;
2. ჯაგოდნიშვილი თ., „ერეკლეს ეპოსი“, გამოც. „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ. 2005;
3. ჯაგოდნიშვილი თ., „ერეკლეს ეპოსი“, გამოც. „საარი“, თბ. 2021.



**ნიშ**

**კოჭლოშვილი**

ფილოლოგიის  
დოქტორი, პროფესორი

მ  
ლ  
ნ  
მ  
ლ  
ნ  
მ  
ლ  
ნ  
მ  
ლ  
ნ  
მ  
ლ  
ნ

დავით თურდოსპირელის მინიატურული პროზა მრავალმხრივ ეხმიანება მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართველთა ისტორიულ-პოლიტიკურ თუ კულტურულ-საზოგადოებრივ ყოფას.

მწერალს ქვეყანაში განვითარებულმა ისტორიულ-პოლიტიკურმა მოვლენებმა სათქმელის შენიღვის სხვადასხვა გზისკენ უბიძგა. რიგ შემთხვევაში თუ შეფარვით წვლილობდა უფლონაყრილი ქვეყნისთვის გზა ხსნი-სა ერვენებინა, რიგ შემთხვევაში კი თითქმის ერთი და იმავე სათაურით აბსოლუტურად განსხვავებული შინაარსის ნაწარმოებებს ქმნიდა.

ნ. კოჭლოშვილი



**ეპოქალური სინამდვილე დავით თურდოსპირელის მინიატურებში**

დავით თურდოსპირელის მინიატურები, მიუხედავად მცირე პროზისთვის დამახასიათებელი მკაცრი კანონიკისა, არა მხოლოდ მწერლის სულიერ სამყაროში გვახედებს და მისი სუბიექტური განცდების თანაზიარს გვხდის, არამედ მთელი რიგი სიცხადით წარმოაჩენს მწერლის თანადროულ ეპოქალურ პრობლემებს.

დავით თურდოსპირელი ადრეული ასაკიდან ჩაერთო აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ჯერ კიდევ სემინარიაში სწავლის პერიოდში რედაქტორობდა ლიტერატურულ-პუბლიცისტურ ჟურნალს „ჩვენი დროა“ და აღმანახს „პირველი ტალღა“. ჟანდარმერია ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ახალგაზრდა მწერლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ნაბიჯებს.

დავით თურდოსპირელის მინიატურული პროზა მრავალმხრივ ეხმიანება მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართველთა ისტორიულ-პოლიტიკურ თუ კულტურულ-საზოგადოებრივ ყოფას.

მწერალს ქვეყანაში განვითარებულმა ისტორიულ-პოლიტიკურმა მოვლენებმა სათქმელის შენიღვის სხვადასხვა გზისკენ უბიძგა. რიგ შემთხვევაში თუ შეფარვით ცდილობდა უფლებაყრილი ქვეყნისთვის გზა ხსნი-სა ერვენებინა, რიგ შემთხვევაში კი თითქმის ერთი და იმავე სათაურით აბსოლუტურად განსხვავებული შინაარსის ნაწარმოებებს ქმნიდა.

მინიატურაში „მჭკნარის ფოთლებთან“ შეფარვით განმჟღავნებული ურვის მიზეზი უთუოდ მწერლის თანადროული ყოფითაა გამოწვეული.

1916 წლით დათარიღებულ მინიატურაში „სიყვარული“ ერთ შეხედვით სიყვარულის ფილოსოფიის მაძიებელი, ქვეყნიერების დასაბამიდან დღემდე მისი მატანიისა რომ ვერაფერი

გაუგია რა, თავისუფლების ხიბლით ტკობისა და მონობის ბორკილების დასამასხვრევად თავგანწირული ბრძოლისაკენ მოუწოდებს მკითხველს.

დავით თურდოსპირელის ავტოგრაფებზე მუშაობამ მწერლის შემოქმედებითი პროცესისთვის დამახასიათებელი არაერთი ნიუანსი გამოკვეთა. რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია მისი ხელნაწერებისთვის, რომლებიც ძირითადად შავი ავტოგრაფებია და ნათლად გვიჩვენებს მწერლის შემოქმედებითი მუშაობის პროცესს, ავტორის მიერ ხელმოწერილი და დაუთარიღებელია. ვფიქრობთ, მწერალი შეგნებულად არ ათარიღებდა თავის ხელნაწერებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიუხედავად იმისა, რომ თავისი სათქმელის მკითხველამდე მიტანას სხვადასხვა საშუალებებით ცდილობდა, ხელნაწერების დაუთარიღებლობაც, ალბათ, ერთ-ერთი ხერხი იყო თავისუფალი აზრის დასაცავად.

დავით თურდოსპირელის მინიატურები, მიუხედავად თავისუფალი აზრის დევნა-შევიწროებისა, საინტერესოდ ავლენს მწერლის დამოკიდებულებას თანადროულ ისტორიულ-პოლიტიკურ ყოფასთან, ამავდროულად ქვეყნის უკეთესი მერმისისთვის ბრძოლის გზესაც სახავს.

დავით თურდოსპირელის მინიატურები, მიუხედავად მცირე პროზისთვის დამახასიათებელი მკაცრი კანონიკისა, არა მხოლოდ მწერლის სულიერ სამყაროში გვახედებს და მისი სუბიექტური განცდების თანაზიარს გვხდის, არამედ მთელი რიგი სიცხადით წარმოაჩენს მწერლის თანადროულ ეპოქალურ პრობლემებს.

დავით თურდოსპირელი ადრეული ასაკიდან ჩაერთო აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ჯერ კიდევ სემინარიაში სწავლის პერიოდში რედაქტორობდა ლიტერ-



ატურულ-პუბლიცისტურ ჟურნალს „ჩვენი დროშა“ და აღმანახს „პირველი ტალღა“. მან გიორგი ქუჩიშვილთან ერთად 1906 წელს გამოსცა ჟურნალი „მახვილი“. ჟანდარმერია ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ახალგაზრდა მწერლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ნაბიჯებს. 1906 წელს დავით თურდოსპირელის წიგნად გამოცემულ მოთხრობას „თავისუფლების მსხვერპლი“ ტირაჟის დიდი ნაწილის განადგურება და ავტორის დაპატიმრება მოჰყვა.



**ნინო კოჭლოვკილი**

დავით თურდოსპირელი, კიევის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ აქტიურ პუბლიცისტურ საქმიანობას ეწეოდა. მისი პუბლიცისტობა მრავალმხრივ ეხმიანება მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართველთა ისტორიულ-პოლიტიკურ თუ კულტურულ-საზოგადოებრივ ყოფას. პუბლიცისტური წერილებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „ლორის მიდამოებში“, რომელიც 1921 წელს გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნდა.

ამ წერილში საკმაოდ მწვავედ არის ასახული ეროვნული პრობლემები, რაც, სამწუხაროდ, დღესაც არ კარგავს აქტუალობას, წერილში ვკითხულობთ:

„როდესაც ბუნება ქართველობას გვაჩენდა – ყოველივე უნარი და ნიჭი თავს დაგვაბერტყა, მხოლოდ ეროვნული თავმოყვარეობა, საკუთარი თავისა და ვინაობის ყადრი დაენანა და მარტო ერთი პეშვი გაიმეტა.

სხვანაირად ვერ ავხსნი ჩვენს დამოკიდებულებას იმ კუთხეებთან, რომელიც საქართველოს ომამდელ საზღვრების აღდგენას შეეხებოდა.

ყველაფერში მამაცნი ვართ, ყველგან პირველი ვხვდებით მტერს თუ მოყვარეს, ამ კუთხეში კი კრძალულობას ვიჩინებ...

ახია ჩვენზე...

არ ვიმჩნევთ ამ აშკარა გლეჯას საქართველოს სათუთი ორგანიზმისას და აკი ყვაყვორნებით გვეხვევიან მსუნაგები და გაძიძგნას გვიპირებენ. შელოცვილ მგლებივით ყბა შეგვიკრავს და გვრცხვენია ჟამთა სიავისგან დაფლეთილ საზღვრების შემოერთებაზე ლაპარაკი – ემანდ, ნაციონალისტობა არავინ შეგვწამოსო – ვშიშობთ და რალა თქმა უნდა ბევრი კუთხე, რომელიც უმალ უნდა შემოგვეერთებია – რანამს გაიშალა ჩვენი სახელმწიფოებრიობის დროშა – ჯერც ისევ სადავოდ გამხდარა...“

დავით თურდოსპირელის ლიტერატურული მემკვიდრეობა ჩვენს ქვეყანაში მეოცე საუკუნის

პირველ ნახევარში განვითარებული ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენების ფონზე იქმნებოდა, რამაც, ბუნებრივია, მწერლის შემოქმედებით ცხოვრებაზეც გავლენა იქონია. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მას მხოლოდ საბავშვო თემატიკაზე შექმნილ ლექსებსა და მოთხრობებს უქვეყნებდნენ, პუბლიცისტობა თუ თანადროული ყოფის ამსახველი ნაწარმოებები კი მხოლოდ არქივის კუთვნილებად რჩებოდა.

ამ თვალსაზრისით გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული

ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცული მწერლის არქივი ბევრ საინტერესო მასალას ინახავს, რომელთა უმრავლესობა ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია და შესაბამისად, სამეცნიერო მიმოქცევის მიღმა დარჩენილი.

მწერალს ქვეყანაში განვითარებულმა ისტორიულ-პოლიტიკურმა მოვლენებმა სათქმელის შენიღბვის სხვადასხვა გზისკენ უბიძგა. რიგ შემთხვევაში თუ შეფარვით ცდილობდა უფლებაყრილი ქვეყნისთვის გზა ხსნისა ეჩვენებინა, რიგ შემთხვევაში კი თითქმის ერთი და იმავე სათაურით აბსოლუტურად განსხვავებული შინაარსის ნაწარმოებებს ქმნიდა.


მინიატურაში „მჭკნარის ფოთლებთან“ შეფარვით განმჟღავნებული ურვის მიზეზი უთუოდ მწერლის თანადროული ყოფითაა გამოწვეული. ნაწარმოები სათაურიდანვე განაწყობს მკითხველს მიუღებელი ანმყოთი ამღვრეული ცის კაბადონის ქვითინის მოსასმენად, მწვავედ მსუსხავი ქარისგან საცოდავად აწრიალებულ ყვითელ ფოთლებთან ერთად სიკვდილის ცელის წკრიალით რომ მიმოფანტავს მოყვასთა ირაო ფიქრებს და გაუთენებელი, წყვდიადი ღამის გარდუვალობას აუნყებს. გახოლოდშობილებულ ბაღში აჩრდილივით აცახცახებულ პერსონაჟს, ძილში რომ ეძებს თავდავიწყებას, მაინც უკეთესი მერმისის იმედი აძლიერებს და სჯერა, რომ „მაღე გაივლის ეს მწვავე წუთები... აგერ ის ახლოვდება... ახლოვდება ის გარდუვალი...“.

1916 წლით დათარიღებულ მინიატურაში „სიყვარული“ ერთ შეხედვით სიყვარულის ფილოსოფიის მაძიებელი, ქვეყნიერების დასაბამიდან დღემდე მისი მატთანისა რომ ვერაფერი გაუგია რა, თავისუფლების ხიბლით ტკბობისა და მონობის ბორკილების დასამასხვრევედ თავგანწირული ბრძოლისკენ მოუწოდებს მკითხველს.

დავით თურდოსპირელის ავტოგრაფებზე მუშაობამ მწერლის შემოქმედებითი პრო-



ცესისთვის დამახასიათებელი არაერთი ნიუანსი გამოკვეთა. რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია მისი ხელნაწერებისთვის, რომლებიც ძირითადად შავი ავტოგრაფებია და ნათლად გვიჩვენებს მწერლის შემოქმედებითი მუშაობის პროცესს, ავტორის მიერ ხელმონერილი და დაუთარილებელია. ვფიქრობთ, მწერალი შეგნებულად არ ათარილებდა თავის ხელნაწერებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიუხედავად იმისა, რომ თავისი სათქმელის მკითხველამდე მიტანას სხვადასხვა საშუალებებით ცდილობდა, ხელნაწერების დაუთარილებლობაც, ალბათ, ერთ-ერთი ხერხი იყო თავისუფალი აზრის დასაცავად.



### დავით თურდოსპირელი

ყურადღებას იპყრობს დავით თურდოსპირელის ის შავი ავტოგრაფები, რომლებიც უშუალოდ გვაცნობს მწერლის დამოკიდებულებას მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში მიმდინარე ისტორიულ-პოლოტიკურ მოვლენებთან.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა მინიატურა „ზამთრის“ ავტოგრაფი. მინიატურა ტიპიური საბავშვო ნაწარმოებია, ზამთრის პეიზაჟებით დასურათხატებული, თოვლის მოსვლით გამონვეული ბავშვების ემოციებით დატვირთული, მინიატურას ასეთი ფინალი აქვს:

„რა ხუმარა რამ არის ზამთარი.“

მან არ იცის გარჩევა ახალგაზრდისა თუ მოხუცისა.

აგერ ტუხანთ ბაბუა ყავარჯნით რომ მიხანხალებს ბამბასავით თეთრ უღვამზე ლოლოები დაუკიდია.

ექიდება ბაბუა, ეჭიდება და ველარ მოუძვრია.

გაჩაღდა, გაჩაღდა თამაში.

გუნდაობით რომ გული იჯერეს მშენებლობას შეუდგენენ...

მათ გაახსენდათ ჩრდილოეთ პოლუსის მეზამთრეები... თავი წარმოიდგინეს ყინულის გამირებად და ჰერი...

ვინ ბელადის სურათი და საბჭოთა კავშირის დროშა აღმართა... ზოგი კიდევ დაკვირვებას აწარმოებდა თოვლზე...

მთელი ეს თამაში-საქმიანობა დაგვირგვინდა ჯანსაღი სიმღერებით ბედნიერ და საამურ ცხოვრებაზე“.

მინიატურა ავტორის მიერ ხელმონერილია და როგორც მწერლის ავტოგრაფების დიდი ნაწილი, ესეც დაუთარილებელია. საინტერესოა ავტორის მიერ გადახაზული ადგილები. დავით თურდოსპირელს გადაუხაზავს ბელადის სურათი, სიტყვა ჯანსაღი და ბედნიერ და საამურ ცხოვრებაზე.

ამ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალით ნათლად იკვეთება მწერლის დამოკიდებულება თანადროულ ისტორიულ-პოლიტიკურ ყოფასთან.

დავით თურდოსპირელის ეროვნული მრწამსი და შეუპოვარი ხასიათი საინტერესოდ არის გამოვლენილი მინიატურაში „ძეძვია“.

„სურნელების მისაღებად საჭიროა წვა... ასეთი წვა გვესაჭიროება თითოეულ ჩვენთაგანს, როცა ახალზე ოცნებობ.“

აგირემებია რაღაც იდეალები, რომელსაც არავინ გაიგებს, არც სჭირდება... რა გემართება?

– სჯობია დაიღუპო ახლის ძიებაში ვიდრე დაობდე ძველზე ყურყუტში.

– ეგ რომანტიკაა.

– მაგრამ რომანტიკა პროგრესული, მალეღებელი, ამაჯანყებელი...

მე რომ ლოკოკინასავით ჩემს ბნელ ნიჟარაში შევმწყვდეულიყავი, ასე არ გამოიმეტებდნენ. მე მაინც არა ვჩივი.

მე ვარჩევდი ჭკვაზე შევშლილიყავი, ვიდრე მათ მოვწონებოდი“.

ამ მინიატურის იდეური საზრისის ლოგიკური გაგრძელებაა დავით თურდოსპირელის ლექსი, მეტეხის ციხეში პატიმრობისას დაწერილი, მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ერთგვარ ჰიმნად რომ იქცა:

„ჩვენ უბრძოლველად სამშობლოს არვის მივცემთ გულსაკლავად, თუნდ მთელი ქვეყნიერება, გადაგვექცეს ცივ საფლავად, თეთრი გიორგი ქართველებს, მოუძღვის აბჯარ ჟღრიალით, ჩვენც შევუერთდეთ მამაცებს სამფერი დროშის ფრიალით, ერთად წავიდეთ ბრძოლაში, ჩავლენოთ ციხის კარები, საქართველოდან ავგავოთ ცივ ჩრდილოეთის ჯარები.“

საინტერესოა დავით თურდოსპირელის მინიატურა „ცეცხლი“. ამ ნაწარმოებში ცეცხლი წარმოდგენილია, როგორც მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის პოლიტიკური ყოფის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტი, რაც უდავოდ უკავშირდება დავით თურდოსპირელის ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებას, ამავდროულად, ვფიქრობთ, ნაწარმოების აზ-







რობრივი ქვეტექსტი, გარკვეულწილად, განასახიერებს ცეცხლთან დაკავშირებულ მსოფლიო ხალხთა წარმოდგენებს.

როგორც ცნობილია, მტრული სამყაროთი გარემოცულმა უძველესმა ადამიანმა უმთავრესი საზრუნავის, შემწის ძიებისას ცეცხლს მიაგნო, რომელსაც აღფრთოვანებისა და ძრწოლის გაორებული გრძნობით უცქერდა. უძველესი ადამიანი მინიდან ზეცისკენ ზეატყორცნილ ალს ზეგარდმო ძალებს უკავშირებდა.

უძველეს კულტურებში ცეცხლს, როგორც ღვთაებას ეთაყვანებოდნენ. შემდგომში კი ცეცხლს მზის მინიერ ანალოგიად მიიჩნევდნენ.

უკვე მოგვიანებით სხვადასხვა ხალხთა კულტურაში ცეცხლმა სხვადასხვაგვარი დატვირთვა შეიძინა. ცეცხლის კულტზე აღმოცენდა ძველი ირანის უმთავრესი რელიგია ზოროასტრიზმი, ცეცხლზე იყო დაფუძნებული ზოროასტრიზმისგან დამოუკიდებლად განვითარებული მითრაიზმი, რომლის კოსმოლოგიაც ცეცხლზე იყო დაფუძნებული. მითრას ტაძრებში დამკვიდრებული უქრობელი ცეცხლის ტრადიცია ამ რწმენას უკავშირდება.

ინდუისტურ მითოლოგიაში ცეცხლის საკრალური ბუნება სამსახოვანია –შემოქმედი, შემნახველი და დამანგრეველი.

ანტიკური მითოლოგია ცეცხლს ზევსს, ჰეფესტოსსა და პრომეთეს უკავშირებს. ძველ რომში ცეცხლის კულტი კერის კულტად აღიქმებოდა და საოჯახო კერის მფარველი ღვთაება ვესტა რომაულ პანთეონში განსაკუთრებული მონივნებით სარგებლობდა.

ქრისტიანულ სიმბოლიკაში ცეცხლი თავისი დუალისტური არსითაა წარმოდგენილი: წმინდა საუკუნო ცეცხლითა და საუკუნო ცეცხლის სახით. ცეცხლი სულიწმინდის სიმბოლოა. შემთხვევითი არ არის რომ ანგელოზები ცეცხლოვანი შარავანდელით არიან წარმოდგენილნი.

„ცეცხლი სულია დაუდგარი, რევოლუციონერი. ისა ჰკითხულობს ყველა რევოლუციურ გამოცემებს...“

როდესაც ვისმეს ეწვევა ჟანდარმერია მას გაანადგურებენ ცეცხლში.

მან ყველა გეგმა და შეთქმულება იცის.

ფარული სიყვარულის ამბორსაც კარგადაა გაცნობილი...

რამდენი მგოსნის აღსარება იწერება, მაგრამ ყველა როდი აღწევს კაცობრიობამდის.

ცეცხლი კი უეჭველად გაეცნობა მას...

მგოსნებს სწორედ იმიტომ უყვართ ცეცხლის პირას სხდომა.

მათ ესმით ცეცხლის ენა.

ამ ცეცხლმა იცის მათ თანამოდმეთა გაუმჟღავნებელი ამბები და...

ცეცხლი იმასაც სპობს, რაც დრომოჭმულია...


ჩვენ ბევრჯერ ვწვავთ იმას, რაც ნისქვილის ლოდით გვამძიმებს.

ცეცხლი სწავს, მაგრამ ცეცხლმა დათობაც იცის“.

დავით თურდოსპირელის მინიატურები, რომლებმაც მეოცე საუკუნის ქართული მცირე პროზის განვითარების საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანეს მრავალმხრივ იქცევს მკითხველის ყურადღებას. განსაკუთრებით საინტერესოა მწერლის თანადროული ყოფის ამსახველი მინიატურები, რომლებიც მიუხედავად თავისუფალი აზრის დევნა-შევიწროებისა, საინტერესოდ ავლენს მწერლის დამოკიდებულებას თანადროულ ისტორიულ-პოლიტიკურ ყოფასთან, ამავდროულად ქვეყნის უკეთესი მერმისისთვის ბძროლის გზებსაც სახავს.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. თურდოსპირელი, დ. (1921). ლორის მიდამოებში II, გაზეთი „ერთობა“, 12: 2;
2. თურდოსპირელი, დ. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, 29018-12;
3. თურდოსპირელი, დ. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, N24468-10;
4. თურდოსპირელი, დ. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, N29018;
5. სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, II, (2007). თბილისი: ბაკმი გამომცემლობა.





უშანგი ხუშარაშვილი  
(1948-2023)

